

114
1940


ქართული
ანტიკვნიძის

მნათობი

3

მ ა ნ ბ ი

თბილისი
1940



მნათობი

სრულიად საქართველოს საშრომისა შრომების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-სამოღობო
ქრნალი



წელიწადი მხმინდობა

3

19 მ ა რ ტ ი 40
ს ა ხ ი მ ბ ა მ ი



3630
104959

საკრედიტო კოლეგია:

ასათიანი ლევან,
გომიანთა ალექსანდრე,
ქალაქი კაკლუ,
ლორთქიფანიძე კონსტანტინე,
გაგაშვილი ალიო (პ/მ. რედაქტორი),
გოსაშვილი ილო,
შუთათელი ალექსანდრე.

3. ი. ლენინის წერილები ინესა არმანდისადმი¹

ქვემოთ ჩვენ ვათავსებთ ვ. ი. ლენინის ორ წერილს ინესა არმანდისადმი. წერილები დაწერილია 1915 წლის იანვარში და წარმოადგენს პასუხს ლენინისათვის გამოგზავნილ გეგმაზე, რომლის მიხედვით ინესა არმანდს განზრახული ჰქონდა დაეწერა ბროშურა მუშა ქალთათვის.

ლენინის ეს წერილები—უძვირფასესი დოკუმენტია კომუნისტური მსოფლმხედველობისა მშრომელთა ყოფა-ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა ოჯახისა და ქორწინების საკითხები.

ლენინი მოითხოვს ამ საკითხებისადმი სერიოზულ, მარქსისტულ მიდგომას. მთელი თავისი რევოლუციური გატაცებით ამითრახებს ის უხამსობას და მეშინობას ამ საკითხებში და განსაკუთრებით გვაფრთხილებს არ ავეყეთ სხვადასხვა „მოდურ“, გარეგნულად რევოლუციურ, „მემარცხენე“, არსებითად კი რეაქციულ ბურჟუაზიულ შეხედულებებსა და მოთხოვნებს მსგავსად ცნობილ, მაგალითად, „სიყვარულის თავისუფლების“ და სხვ. მოთხოვნისა.

ლენინი მსგავსი მოთხოვნების ღრმა კლასობრივ ანალიზს იძლევა. ის აღნიშნავს, რომ „ბურჟუა ქალებს“ „სიყვარულის თავისუფლება“ გავებული აქვთ როგორც თავისუფლება ყოველივე იმისგან, „რაც სერიოზულია სიყვარულში“, თავისუფლება „შვილოსნობისგან“, „თავისუფლება მრუშობაში“. ის სთვლის, რომ „სიყვარულის თავისუფლების“ მოთხოვნა ბურჟუაზიულია და იგი „საქსებით ამოვადებული“ უნდა იქნეს მუშა ქალთათვის განკუთვნილ ბროშურადან.

ლენინი თავის წერილებში „სიყვარულს მოკლებულ უმსგავს და ბიწიერ ქორწინებას“ უბრისპირებს არა „სიყვარულის თავისუფლების“ მოთხოვნას და „არა მსწრაფლ მიმავალ ვნებასა და კავშირს“, არამედ „პროლეტარულ სამოქალაქო ქორწინებას სიყვარულით“.

¹ საჯ. კ. პ. (ბ) ც. კ.—თან არსებულ მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მასალები.

ქვემოთ გამოქვეყნებულ წერილებს ლენინისას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ოჯახის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის და ადამიანთა ყოვაცხოვრებასა და მშვენიერებაში კაპიტალიზმის ნაშთებთან ბრძოლისათვის.

ისინი განსაკუთრებით საინტერესოა საბჭოთა ინტელიგენციის, მასწავლებლების, მწერლების, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკების უდიდესი არმიისათვის, მათთვის, ვინც, ამხანაგი სტალინის მიერ მოცემული განსაზღვრით, უნდა იყოს „ადამიანის სულის ინჟინერი“.

საკ. კ. პ. (პ) ც. კ-თან არსებული
მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტი

17 იანვარი 1915 *)

Dear friend!**) ძალიან გირჩევდით, რომ პროშურის გეგმა რაც შეიძლება ვრცლად დაგეწერათ. სხვანაირად შეტად ბევრი რამ გაურკვეველია.

ერთი მოსაზრება უკვე ახლავე უნდა გამოეთქვა:

§ 3—„სიყვარულის თავისუფლების მოთხოვნა (ქალთა)“ გირჩევთ სრულიად ამოიღოთ.

ეს მართლაც გამოდის არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული მოთხოვნა.

მართლაც, რა გესმით თქვენ ამ მოთხოვნაში? რა შეიძლება გავიგოთ ამით?

1. თავისუფლება მატერიალური (ფინანსიური) ანგარიშებისგან საყვარლის საქმეში?
 2. იგივე მატერიალური მზრუნველობისგან?
 3. რელიგიურ ცრურწმენათაგან?
 4. მამიკოს აკრძალვისაგან etc.?
 5. „საზოგადოების“ ცრურწმენათაგან?
 6. ვიწრო წრის (გლებური ან მეშხანური ან ინტელიგენტურ-ბურჟუაზიული) პირობებისაგან?
 7. კანონის, სასამართლოს, პოლიციის ბორკილებისაგან?
 8. იმისგან, რაც სერიოზულია სიყვარულში?
 9. შეილოსნობისაგან?
 10. თავისუფლება მრუშობაში?
- მე ჩამოვთვალე მრავალი (რასაკვირველია, არა ყველა) ელფერი. თქვენ გესმით, რასაკვირველია, არა №№ 8—10, არამედ ან №№ 1—7 ან მსგავსად №№ 1—7-სა.

*) ამ და შემდგომი წერბლის თარიღი წერილებს ზემოთ დაწერილია ი. არმანდის ხელით. რ. ე. დ.

**) ძვირფასო მეგობარო! რ. ე. დ.

მაგრამ №№ 1—7-სათვის არჩეულ უნდა იქნას სხვანაირი აღნიშვნა, ვინაიდან სიყვარულის თავისუფლება ამ აზრს ზუსტად ვერ გამოხატავს.

ხოლო საზოგადოება, ბროშურის მკითხველები „სიყვარულის თავისუფლებაში“ აუცილებლად გაიგებენ საერთოდ რაღაც №№ 8—10-ის მსგავსს, თქვენი სურვილის წინააღმდეგაც კი.

სწორედ იმიტომ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე უბედ, შფოთიან და „აშაღერა“ კლასებს „სიყვარულის თავისუფლებაში“ №№ 8—10 ეს-მით, სწორედ ამიტომ ესე არს არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული მოთხოვნა.

პროლეტარიატისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია №№ 1—2, და შემდგომ №№ 1—7, ეს კი არსებითად არაა „სიყვარულის თავისუფლება“.

საქმე ის კი არაა, თუ რა „გინდათ გაიგოთ“ ამით თქვენ სუბიექტურად. საქმე სიყვარულის მხრივ კლასობრივ ურთიერთობათა ობიექტურ ლოგიკაშია. *Friendlu shake hands! W. J. **

2

(24 იანვარი 1915)

ძვირფასო მეგობარო! ბოდიშს ვიხდი პასუხის დაგვიანებისათვის: მინდოდა გუშინ, მაგრამ შემაჩერეს და დრო აღარ მქონდა შევდგომოდი წერილის წერას.

ბროშურის თქვენი გეგმის შესახებ მე მიმანდა, რომ „სიყვარულის თავისუფლების მოთხოვნა“ გაურკვეველია და—დამოუკიდებლად თქვენი ნება-სურვილისა (მე ამას ზაზს ვუსვამდი, როცა ვამბობდი: საქმე ობიექტურ, კლასობრივ ურთიერთობაშია, და არა თქვენს სუბიექტურ სურვილებში)—თანამედროვე საზოგადოებრივ პირობებში ბურჟუაზიული, და არა პროლეტარული მოთხოვნა იქნებოდა.

თქვენ არ მეთანხმებით.

კარგი. კიდევ ერთხელ განვიხილოთ საქმე.

რომ გაურკვეველი გარკვეულად შექცია, მე ჩამოვთვალე დაახლოებით ათნაირი შესაძლებელი (და კლასობრივი უთანხმოების პირობებში გარდუვალი) განმარტება, ამასთანავე აღენიშნე, რომ განმარტებანი 1—7, ჩემის აზრით, ჭკიპიური და დამახასიათებელი იქნება პროლეტარ ქალებისათვის, ხოლო 8—10 ბურჟუა ქალებისათვის.

*) გართმევთ ხელს მეგობრულად! მ. ა. რედ.

თუ ამას უარყოფთ, უნდა უჩვენოთ (1) რომ ეს განმარტებანი სწორი არაა (მაშინ ისინი სხვებით უნდა შეიცვალოს ანდა აღინიშნოს არასწორნი) ან (2) არასრულია (მაშინ დაემატოს რაც აკლია) ან (3) ასე უნდა იქნებოდეს პროლეტარულად და ბურჟუაზიულად.

არც ერთს არც მეორეს არც მესამეს თქვენ არ აკეთებთ.

პუნქტებს 1—7 თქვენ სრულიად არ ეხებით. მაშასადამე, სენობთ მათ (საერთოდ) სისწორეს? (ის, რასაც თქვენ პროლეტარ ქალების პროსტიტუციანზე და მათ დამოკიდებულებაზე სწერთ: „შეუძლებლობა უარისთქმისა“ საესეებით უდგება პ. პ. 1—7. ჩვენს შორის უთანხმოებას აქ ვერაფერში ვერ ვნახულობთ).

თქვენ იმაზედაც არ დავობთ, რომ ეს პროლეტარული განმარტებაა. რჩება პ. პ. 8—10.

თქვენ ისინი „ერთათი არ გესმით“ და „მედავებით“: „არ მესმის როგორ შეიძლება (სწორედ ასე სწერია!) სიყვარულის თავისუფლების გაიგივება (!!?)“ პ. 10-თან...

გამოდი, რომ მე „გაიგივებ“, თქვენ კი ჩემს გასანადგურებლად და დასამარცხებლად მოემზადეთ?

როგორ ეს? რა არის ეს?

ბურჟუა ქალებს სიყვარულის თავისუფლებად ესმით პ. პ. 8—10 აი ჩემი თეზისი.

უარყოფთ თქვენ მას? სთქვით, რას გულისხმობენ ბურჟუა ქალები სიყვარულის თავისუფლებაში?

თქვენ ამას არ ამბობთ. ვანა ლიტერატურა და ცხოვრება არ ამტკიცებს, რომ ბურჟუა ქალები სწორედ ამას გულისხმობენ? საესეებით ამტკიცებს! თქვენი უხმოდ სენობთ ამას.

თუ კი ეს ასეა, აქ საქმე მათ კლასობრივ მდგომარეობაშია, და მათი „უარყოფა“ საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს და საეჭვოა, რომ გულუბრყვილო არ იყოს.

საქიროა გარკვევით განვასხვავოთ მათგან, დაუპირისპიროთ მათ პროლეტარული თვალსაზრისი. უნდა გავითვალისწინოთ ის ობიექტური ფაქტი, რომ სხვანაირად ისინი ამოკვლევენი სათანადო ადგილებს თქვენი ბროშურიდან, თავისებურად განმარტავენ მათ, თქვენი ბროშურიდან წყალს მიუშვებენ თავის წისკვილზე, დაამახინჯებენ თქვენს აზრებს მუშების წინაშე, „შემაჭოთებენ“ მუშებს (დასთესავენ რა მათში შიშს, უცხო იდეებს ხომ არ აწვდით თქვენ მათ). მათ ხელში კი უამრავი ვაზეთებია და სხვ.

თქვენ კი, სრულიად დაივიწყეთ რა ობიექტური და კლასობრივი თვალსაზრისი, „იერიშზე“ გადმოდიხართ, ჩემზე, თითქოს მე სიყვარულის თავისუფლებას „გაიგივებ“ პ. პ. 8—10-თან... საოცარია, სწორედ რომ, საოცარია...

„თვით მსწრაფმიმავალი ვნება და კავშირიც კი“ „უფრო პრეტერი და წმინდაა“, ვიდრე „კოცნა უსიყვარულოდ“ (გაბეზრებული და ბედითი) ცოლ-ქმარისა. ასე სწერთ თქვენ. და ასე ფიქრობთ დასწეროთ ^{მეტი} ~~მეტი~~ კეთილი.

ლოგიკურია ასეთი დაპირისპირება? გაბეზრებულ ცოლ-ქმარს შორის ხვევნა კოცნა უსიყვარულოდ ბიწიერებაა. ვეთანხმებით. მას უნდა დაუპირისპიროთ რა?... ვფიქრობ: კოცნა სიყვარულით? თქვენ კი უპირისპირებთ „მსწრაფლ მიმავალ“ (რატომ სწრაფლმიმავალ?) „ვნებას“ (რატომ სიყვარულს არა?)—ლოგიკის მიხედვით, გამოდის, თითქოსკ კოცნა უსიყვარულოდ (მსწრაფლმიმავალი) უპირისპირდება ცოლ-ქმართა უსიყვარულოდ კოცნას... უცნაურია. განა პოპულარული ბროშურისათვის უკეთესი არ იქნებოდა მეშ-ჩანურ-ინტელიგენტურ-გლეხური (ვგონებ, ჩემთან ეს პ. 6 ან პ. 5) უგვანო და ბიწიერი ქორწინება უსიყვარულოდ დაგპირისპირებინათ—პროლეტარულ სა-მოქალაქო ქორწინებისათვის სიყვარულით (დამატებით, უკეთუ აუცილებლად გსურთ, რომ მსწრაფლმიმავალი კავშირიც—ვნებაც შესაძლოა ბიწიერიც იყოს, შესაძლოა—წმინდაც). თქვენ გამოვივიდათ დაპირისპირება არა კლასობრივი ტიპებისა, არამედ რალაც „კაზუსის“ მსგავსი, რომელიც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მაგრამ საქმე განა კაზუსებშია? თუ ავიღებთ თემას: კაზუსი, ინდივიდუალური შემთხვევა ბიწიერი კოცნისა ქორწინებაში და წმინდისა მსწრაფლმიმავალ კავშირში,—ეს თემა დაბუშაგებულ უნდა იქნეს რომანში (ვინაიდან აქ მთელი არსი ინდივიდუალურ პირობებშია, მოცემული ტიპების ხასიათისა და ფსიქიკის ანალიზში). ბროშურაში?

თქვენ ძალიან კარგად ვაგვიგიათ ჩემი აზრი შეუფერებელი ციტატის შესახებ კეიდან, როცა ამბობთ, რომ „უაზროა“ „სიყვარული ეს პროფესორების“ *) როლში გამოსვლა. სწორედ. მაშ ეს მსწრაფლ მიმავალ და სხვ. პროფესორების როლში კი?

მართალი ვითხრათ, მე, სრულიად არ მსურს პოლემიკა. მე სიამოვნებით გადავადებდი ამ ჩემს წერილს და ვადავებდი საქმეს საუბრამდე. მაგრამ მე მიიდა, რომ ბროშურა კარგი იყოს, რომ მისგან არავის არ შეეძლოს თქვენთვის არასასიამოვნო ფრაზების ამოგლეჯვა (ხანდახან ერთი ფრაზაც საკმარისია ერთი კოვზი კუბრის მისაღებად...), არ შეეძლოს თქვენი უკუღმართად განმარტება. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ აქაც „სურვილის წინააღმდეგ“ დასწერეთ, და ვიგზავნით ამ წერილს მხოლოდ იმიტომ, რომ შესაძლოა თქვენ უფრო საფუძვლიანად განიხილოთ გეგმა წერილებთან დაკავშირებით, ვიდრე საუბრების გამო, გეგმა კი მეტად მნიშვნელოვანი საქმეა.

*) ლაპარაკია ციტატაზე შედეგი მწერალი ჭლის ელენ კეის ნაწარმოებიდან, რომელიც სწერდა ჭალთა მოძრაობისა და ბავშვთა აღზრდის საკითხებზე. რედ.

ხომ არვინ გყავთ თქვენ ნაცნობი ფრანგი სოციალისტი ქალი? გადაუ-
თარგმნეთ მას (თითქოს ინგლისურიდან) ჩემი პ. პ. 1—10 და თქვენ შენიშე-
ნები „მსწრაფლმიმავლის“ და სხვ. შესახებ და შეხედეთ მას, ~~ქვემოთ~~ მას
ყურადღებით: მცირე გამოცდილება, რას იტყვიან გარედან ~~მსწრაფლმიმავლის~~ პრო-
გორია მათი შთაბეჭდილება, მათი მოლოდინი ბროშურისაგან.

გართმევთ ზელს და გისურვებთ რაც შეიძლება ნაკლებ იავედმოფოთ
თავის ტკივილით და მალე გამომრთელდეთ. ვ. უ.

P. S. ზოვის შესახებ არ ვიცი. შესაძლოა, რომ my friend გადათქვაა.
მაგრამ რა? არ ვიცი. საჭმე გადადებულია, ე. ი. კონფლიქტი გადადებულია,
აცილებული არაა. საჭირო იქნება ბრძოლა და ბრძოლა!! შეეძლებ თუ არა
გადათქმევენებას? როგორია თქვენი შეხედულება? *).

*) ლენინი ლაპარაკობს კონფლიქტზე პიატაკოვ-ბუხარინის გამცემლურ ჯგუფთან,
რომელიც ცდილობდა ლენინის ზურგს უკან მოეწყო თავისი ჯგუფური გაზეთის გამოცემა.
ჯგუფის წევრები ცხოვრობდნენ დაბა ბოეიში (შვეიცარია). რ. ე. დ.

კ. ნ. ჩარკვიანი

ხელოვნება და ლიბერაზუმა¹

საანგარიშო პერიოდი ხასიათდება ქართული საბჭოთა ხელოვნების შემდგომი იდეურ-შემოქმედებითი ზრდით. გაიზარდნენ და განმტკიცდნენ სცენის, მუსიკისა და ფერწერის ოსტატთა კადრები.

წარმატებით განაგრძობს თავის შემოქმედებითს გზას რუსთაველის სახელობის თეატრი, რომელმაც განახორციელა მხატვრული ღირებულების შემცველი და იდეური შინაარსით აღსავსე მთელი რიგი დადგმები: პოგოდინის „თოფიანი კაცი“, კორნიჩუკის — „ბოგდან ხმელნიცკი“, შიუკაშვილის — „სულელი“, დადიანის — „გუშინდელნი“ და სხვ.

უღადავ არ მუშაობდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრიც, რომელმაც დასდგა საბჭოთა პიესები „კოლმეურნის ქორწინება“ — დრამატურგ კაკაბაძისა, „პათი ამბავი“ — გაბესკირიასი, კლასიკური კომედია „მადამ სან-ჟენ“ და სხვ.

გრიბოედოვის სახელობის თეატრს დამსახურებული წარმატება აქვს მანუჩრებლებში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თეატრის მუშაობა შ. დადიანის ცნობილი ისტორიულ-რევოლუციური პიესის „ნაპერწყლიდან“ დადგმისათვის.

ეს პიესა დასდგა აგრეთვე სომხური დრამის თეატრმა, რომელიც უკანასკნელ წლებში სერიოზულ შემოქმედებითს-კოლექტივად გაიზარდა.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა საოპერო თეატრის რეპერტუარი. დაიდგა საბჭოთა ოპერები: „წყნარი დონი“, „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ და ბალეტი „ბახჩისარაის შადრევანი“.

თეატრმა ვერ შესძლო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გაემდიდრებინა თავისი რეპერტუარი ახალი ქართული საოპერო ნაწარმოებებით. ეს მისი მუშაობის ერთერთი ყველაზე სერიოზულ ნაკლოვანებათაგანია.

ამჟამად უკვე დაწერილია და დასადგმელად მზადდება კომპოზიტორ ანდრიაშვილის ოპერა „კაკო ყაჩაღი“, ი. ჭავჭავაძის პოემის მიხედვით, და კომპოზიტორ შ. თაქთაქიშვილის ოპერა „დეპუტატი“.

კომპოზიტორი ტუსკია სწერს ოპერას სამშობლოს თემაზე და კომპოზიტორი კილაძე ოპერას მგზნებარე რევოლუციონერ-ლენინელზე, დიდი სტალინის თანამებრძოლ ლადო კეცხოველზე.

თეატრის კოლექტივმა უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს კომპოზიტორებთან და აღმოუჩინოს მათ შემოქმედებითი დახმარება. თეატრთან

¹) საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სწანგარიშო ნიხსენებიდან საქართველოს კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე.

თანამშრომლობით კომპოზიტორები უფრო ადვილად დასძლევენ თანამედროვე თემებზე ახალი ნაციონალური ოპერებისა და სხვა მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის ამოცანას.

ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა და ხელოვნების საქმეთა კომიტეტი უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ ახალი კადრების აღზრდის საქმეს, უფრო გაბედულად მიანდონ საპასუხისმგებლო პარტიები ნიჭიერ არტისტებს ახალგაზრდებიდან. ამასთან ერთად საჭიროა თეატრის შემოქმედებითს მუშავენს შევუქმნათ საჭირო პირობები მათი იდეური დონისა და შესრულების ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის.

ორი წლის განმავლობაში საქართველოს თეატრებმა უჩვენეს სულ 278 ახალი დადგმა და 9.636 რიგითი წარმოდგენა. ამ სპექტაკლებს დაესწრო 3.446,2 ათასი კაცი.

ჩვენი თეატრები განუწყვეტლივ უნდა აუმჯობესებდნენ თავისი კადრების კვალიფიკაციას და იძლეოდნენ სრულფასოვან მხატვრულ დადგმებს თანამედროვე თემებზე. პარტიის ისტორიის, ქართველი ხალხის ისტორიის, სოციალისტური მშენებლობის თემებზე, მათ უნდა შექმნან გმირული სპექტაკლები, რომლებიც აღზრდიან და ასახევენ საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმის წმინდათაწმინდა გრძობას.



საქართველოს მხატვრებმა საანგარიშო პერიოდში შექმნეს ახალი ტილოები, რომლებიც მოწმობენ მათს იდეურს და შემოქმედებითს ზრდას. გაიმართა რამდენიმე გამოფენა. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ეს გამოფენა არსებითად არის გაგრძელება ნამუშევართა ცნობილი ციკლისა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის თემებზე, რომელთა შექმნა საქართველოს მხატვრებს შთააგონა ამხანაგ ლ. პ. ბერიას შესანიშნავმა წიგნმა.

უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ ყველა მხატვარი ვერ დაეუფლა სრულყოფილად ყალმის რთულ ოსტატობას. გამოფენებზე, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით სურათებს, რომლებიც მოწაფეთა ნამუშევრების შთაბეჭდილებას სტოვებენ. ზოგიერთი მხატვარი სუსტად იცნობს ნატურას და ანგარიშს არ უწევს მას.

საჭიროა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ უფრო მაგრად მოჰკიდოს ხელი მხატვრულ განათლებას. სერიოზულად უნდა დაგეგმარონ საქართველოს სამხატვრო აკადემიას და შევუქმნათ მას პირობები მხატვართა ყოველმხრივ განათლებული კადრების აღზრდისათვის, რომლებიც მთლიანად იქნებიან დაუფლებული სახვითი ხელოვნების ტექნიკას.

თავისი წევრების მხატვრულ-კულტურული დონის შემდგომი ამაღლების ამოცანით უნდა ხელმძღვანელობდეს მთელ თავის მუშაობაში აგრეთვე მხატვართა კავშირი, რომელმაც, უნდა ითქვას, ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ გარდაქმნა თავისი მუშაობა ამ მიმართულებით.



უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ქართული საბჭოთა ლიტერატურა გამდიდრდა ახალი ძვირფასი, მხატვრული ნაწარმოებებით. ეს ნაწარმოებები თემებზე. ამ ნაწარმოებთაგან იდეური შინაარსითა და მხატვრული ღირსებებით გამოირჩევიან ის წიგნები, რომლებიც მიძღვნილია ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის ქაბუკობის წლებისადმი.

მთელმა ქართულმა ლიტერატურამ ფართოდ აღნიშნა ამხანაგ სტალინის დაბადების 60 წლისთავი. ამ თარიღისათვის ქართველმა პოეტებმა დასწერეს მიმართვა ლექსად, რომელშიც მათ მხატვრულ სახეებში მოგვეცეს ბელადის განთავისუფლებული და ბედნიერი სამშობლოს სურათი, გამოხატეს საქართველოს შრომელთა მსურველად მადლობა და სიყვარული ხალხთა ბედნიერების შემომქმედის დიდი სტალინისადმი. (ტაში).

ამავე თარიღისათვის გამოიცა კონსტანტინე გამსახურდიას წიგნი „ბელადი“, გიორგი ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრობა“ და კრებული მხატვრული ნაწარმოებებისა ამხანაგ სტალინის შესახებ.

შემოქმედებითს აქტივობას იჩენს მოწინავე პოეტი გალაქტიონ ტაბიძე, რომელმაც ქართული პოეზია გაამდიდრა ოსტატურად დაწერილი ლექსებით ბელადზე და მის სამშობლო ქალაქზე.

კარგად დაწერილი პოემის „ენგურის“ შემდეგ პოეტმა ალიო მაშაშვილმა გამოუშვა ლირიკული ლექსების კრებული. მაშაშვილის შემოქმედება პოეტური გამოხატულებაა ჩვენს სინამდვილეზე.

სიმონ ჩიქოვანის ლექსების უკანასკნელი წიგნი მოწმობს პოეტის შემდგომ იდეურ და შემოქმედებითს ზრდას. ჩიქოვანი წარმატებით მუშაობს ბოლშევიზმის ისტორიის ცალკეული ეპიზოდების ასახვაზე.

პოეტი ილო მოსაშვილი აქტიურად ეხმარება ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურ მოვლენებს, საჭიროა აღინიშნოს მისი კარგი ლექსი „ბელადის სახლი“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისათვის მოსაშვილი სწერს პოემას მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ გლეხთა აჯანყების შესახებ ღუშეთში.

თავის პოემაში „წულუკიძის გარდაცვალება“ პოეტი ირაკლი აბაშიძე შეეცადა მოეცა კომუნიზმისათვის მტკიცე მებრძოლის, დიდი სტალინის თანამოსანგრის — ალექსანდრე წულუკიძის სახე.

თავისი რომანის „გვადი ბივას“ გმირის მაგალითზე მწერალმა ლეო ქიჩილმა დამაჯერებლად გვიჩვენა გლეხის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისა და ახალი აღმართის ფორმირების პროცესი.

აქტიურად მუშაობდნენ აგრეთვე ქართული პოეზიისა და პროზის სხვა წარმომადგენლებიც: დ. შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე ა. შანშიაშვილი, გ. აბაშიძე და სხვ.

გასული წლის თებერვალში საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა რევოლუციამდელი ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის, მწერლისა და თეატრალური მოღვაწის შ. ნ. დადიანის ლიტერატურული მოღვაწეობის 45 წელი. შ. ნ. დადიანი განაგრძობს

ენერგიულ, შემოქმედებითს მუშაობას და ჰქმნის ახალ მხატვრულ ნაწარმოებებს საბჭოთა თემატიკაზე.

საკიროა ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურისათვის ჯერ კიდევ არჩება საბრძოლო ამოცანად სოციალისტური სამშობლოს თანამედროვე სურათის სრულყოფილად მოცემა. მწერლებმა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ მოჰკიდეს ხელი თემატიკას მესამე სტალინური ხუთწლედის შესახებ, სოციალიზმიდან კომუნისმამდე თანდათანობით ვადასვლის ეპოქის შესახებ. მთელი რიგი მწერლები ჯერ კიდევ მეთისმეტად გატაცებული არიან შორეული წარსულის სახეებით. ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორია წარმოადგენს უშრეტ წყაროს მხატვრული შემოქმედებისათვის. უდავოა, რომ ისტორიული თემების დამუშავება მწერლების საპატიო ამოცანაა. მაგრამ მტკიცედ უნდა შევითვისოთ, რომ ისტორიული თემები თანამედროვე თემატიკის მხოლოდ დამატებას უნდა წარმოადგენდნენ. საბჭოთა მკითხველს პირველ რიგში უნდა ლიტერატურაში დაინახოს სტალინური ეპოქის, ადამიანები, რომლებიც გვიჩვენებენ გმირობისა და სიმამაცის უბადლო ნიმუშებს, კომუნისმის დიადი, მსოფლიო-ისტორიული საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების ნიმუშებს. ჩვენი ლიტერატურა მოვალეა დააკმაყოფილოს მკითხველის ეს სამართლიანი მოთხოვნა.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმავლობას მოწმობს აგრეთვე მისი პოპულარობის ზრდა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ქართველი მწერლების ნაწარმოებთა თარგმანები ფართოდ ვამოდის და იკითხება მოძმე რესპუბლიკებში. ქართულმა ლიტერატურამ, ქართული საბჭოთა კულტურის მშენებლის ლავრენტი პავლესძე ბერიას მუდმივი მზრუნველობის მეოხებით, განიმტკიცა ადგილი საბჭოთა კავშირის ხალხთა მოწინავე ლიტერატურებს შორის. (ტ ა შ ი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში შესანიშნავი წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის ორდენებით დააჯილდოვა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ცამეტი მოწინავე წარმომადგენელი. ეს მაღალი ჯილდო ბევრ რამეს ავალებს ქართველ საბჭოთა მწერლებს.

საკიროა განსაკუთრებით აღინიშნოს ჩვენი დრამატურგების არასაკმაო შემოქმედებითი აქტივობა. თეატრები უკანასკნელ ხანებში განიცდიან კარგი პიესების დიდ ნაკლებობას. ეს ხარვეზი უნდა გამოვასწოროთ.

ვაიზარდენ და მკითხველთათვის ცნობილი ხდებიან ახალგაზრდა ავტორები: ლ. ბალიაური, ს. ისიანი, გ. კალანდაძე, ა. საჯაია, მ. მრეველიშვილი და სხვ. მათი ნაწარმოებები მოწმობენ მწერალთა ახალი თაობის შემოქმედებითს ძალასა და ზრდას.

საბჭოთა მწერლების კავშირმა უნდა მოაწყოს ლიტერატურული ახალგაზრდობის სისტემატური სწავლება, დაეხმაროს მათ თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებასა და ლიტერატურული ოსტატობის დაუფლებაში.

მწერლები უნდა დაეუფლონ მარქს-ენგელს-ლენინს-სტალინის დიად თეორიას, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია ჩვენი თანადროულობის,

საზოგადოებრივი განვითარების კანონების, კომუნიზმის გამაძლიერებელი კანონების გაგების მიღწევა, მაშასადამე, შეუძლებელია სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოებების შექმნა ჩვენი ეპოქის შესახებ.

ე. ა. კონენული
პ. ი. ხიზანიძისთვის



1938—1939 წლები საქართველოს კინემატოგრაფიისათვის მძიმე და შემოკმედეგების მხრივ არასახელებით ნაყოფიერი წლები იყო. კინომრეწველობის რეორგანიზაციის დროისათვის, 1938 წელს საქართველოს სახკინმრეწველ წარმოებაში ჰქონდა 7 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი. აქედან კინემატოგრაფიის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტმა წარმოებიდან მოხსნა 6 ფილმი.

ახალი სცენარების უქონლობის შედეგად კინოსტუდია მოულოდნელად იძულებული გახდა გამცდარიყო. 1938 წელს მან გამოუშვა მხოლოდ ერთი ისტორიულ-რევოლუციური სურათი „დიადი განთიადი“, ერთი სამეცნიერო-ტექნიკური ფილმი „საბჭოთა ჩაი“ და ნარკვევ-ქრონიკალური ფილმები.

1938 წლის გაცდენით გამოწვეული შედეგები კინოსტუდიამ დიდხანს ვეღარ გამოასწორა. 1939 წელს მან გამოუშვა მხოლოდ ორი ფილმი: „სამშობლო“ და „დაგვიანებული სასიძო“.

ამეამდ კინოსტუდია მთლიანად დატვირთულია. იგი იღებს და წელს უნდა გამოუშვას ხუთი მხატვრული ფილმი თანამედროვე თემებზე.

რეჟისორი ჭიაურელი უკვე მუშაობს გრანდიოზულ, უაღრესად საპასუხისმგებლო ფილმის „ფიცის“ დადგმაზე, რომელშიც მხატვრულად უნდა იქნას ასახული შესრულება საბჭოთა ქვეყნის მიერ იმ დიადი ფიცისა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა დასდო ვ. ი. ლენინის კუბოსთან.

რეჟისორი შენგელია სდგამს ფილმს „ნაპერწყლიდან“ — ახალგაზრდა სტალინის მიერ საქართველოში შექმნილი ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიიდან აღებულ თემაზე.

სწარმოებს აგრეთვე მოსამზადებელი სამუშაოები დიდი ისტორიული ფილმის „გიორგი სააკაძის“ დასადგმელად. ფილმი გამოშვებულ უნდა იქნას 1941 წელს.

საქართველოს კინოსტუდიას აქვს ყველა შესაძლებლობა — შემოკმედეგითი კადრები, ტექნიკური ბაზა — იმისათვის, რომ საბჭოთა კინემატოგრაფია ახალი კარგი ნაწარმოებებით გაამდიდროს. ეს შესაძლებლობანი მთლიანად უნდა იქნან გამოყენებული.

ი. ვ. ტიულენევი

ა/კ. სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი,
 მიოკა რანგის სარდალი.

**წითელი არმიის XXII წლისთავი და
 საბჭოთა საქართველის XIX წელი**

ლენინ-სტალინის დროშით წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ განვლილი 22 წელი, საბჭოთა საქართველოს ხალხის მიერ განვლილი 19 წელი — ეს არის სოციალიზმისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერებისათვის საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა და მშრომელთა გმირული ბრძოლის ისტორია.

ჩვენი სამშობლოს მრავალეროვნებანიმა ხალხმა შიმშილის, სიცივის, არნახული განადგურების განსაკუთრებულად მძიმე პირობებში დაიწყო თავისი საბჭოთა სახელმწიფოს შენება. მიუხედავად ყოველგვარი სიდუხჭირისა, კაცობრიობის უდიდესი ადამიანების — ლენინისა და სტალინის გეონიალური გამჭირაობისა და ხელმძღვანელობის მეოხებით, ბრძოლის თვითოვეულ ცალკე უბანზე ძალთა სწორი განაწილების მეოხებით, ჩვენი სამშობლოს ხალხმა არა თუ გაიმარჯვა, არამედ ოცდაორი წლის მანძილზე შექმნა ისეთი საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს ნამდვილი კულტურის, შეძლებული, საამური ცხოვრების ბაზას არა მარტო დედამიწის ერთი მეექვსედისთვის, არამედ მსოფლიოს ყველა მშრომელისათვის.

საბჭოთა კავშირი უმძლავრეს საღ კლდესავით არის ამართული კაპიტალისტურ სამყაროზე. მან არ იცის კრიზისები, უმუშევრობა, ექსპლოატაცია. მეფის ყოფილი რუსეთის უცოდინარმა, გაუნათლებელმა ხალხმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დასძლია ყველა სიძნელე და შექმნა უმძლავრესი სოციალისტური-ინდუსტრიალური ტექნიკა, უმძლავრესი კოლექტიური სოფლის მეურნეობა, გამართული უახლესი თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით.

და ყველა ამ გამარჯვებაში უაღრესად ძვირფას მონაპოვარს შეადგენენ ადამიანები, სტალინური ეპოქის ადამიანები, თავიანთი სამშობლოს პარტიოტები, ლენინ-სტალინის საქმისათვის ბოლომდის თავდადებულნი.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით პარტიამ დააწინაურა და აღზარდა ჩვენი კადრები. მუშა და გლეხი, ღარიბი და მოჯამაგირე დაწინაურებულ იქნენ პოსტებზე: ახალი სოციალისტური სახელმწიფოს სახალხო კომისრებად, აღმასკომების თავმჯდომარეებად. ზეინკლებმა, ღარიბებმა და მოჯამაგირეებმა ხელთ აიღეს მძლავრი შეიარაღებული ძალის მართვა-გამგეობა, კაცობრიობის გენიოსების ლენინისა და სტალინის ხელმ

ძღვანელობით, მრავალეროვნებიან ხალხთან ერთად, შექმნეს უძლიერესი წრფელი არმია და მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ინტერესებზე — 14 კაპიტალისტურ სახელმწიფოზე, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის ჩახშობას ცდილობდნენ.

მუშურ-გლეხური წითელი არმია საბჭოთა კავშირის დიდი ხალხის სისხლი და ხორცია, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შობილი, ის წამოიზარდა ბარაკებზე მუშათა მებრძოლი რაზმებიდან, წითელი გვარდიიდან, წითელი პარტიზანული რაზმებიდან.

თავისი ხანგრძლივი ისტორიული გზის მანძილზე ბოლშევიკური პარტია მუდამ ზრუნავდა რევოლუციის შეიარაღებაზე.

ჯერ კიდევ 1905 წლის, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში თბილისში მიტინგზე ამხანაგი სტალინი მიგვითითებდა:

„აბა რა რევოლუცია იქნება, რომ უიარაღოდ გაიმარჯვოს? ის რა რევოლუციონერია ვინც იტყვის: ძირს იარაღიო? ამის მოქმელი ორატორი ალბათ ტოლსტოის მიმდევარია და არა რევოლუციონერი, და ვინც უნდა იყოს ამის მოქმელი, ის რევოლუციის, თავისუფლების, ხალხის მტერია...“

რა გვესაჭიროება ჩვენ, რომ მართლა გავიმარჯვოთ? ამისათვის გვესაჭიროება სამი რამ: პირველი — ჩვენ გვესაჭიროება შეიარაღება, მეორე — შეიარაღება, მესამე — კიდევ და კიდევ შეიარაღება“.

ლენინ-სტალინი ამ პრინციპებისადმი ერთგულმა ბოლშევიკების პარტიამ ჩამოაყალიბა მუშურ-გლეხური წითელი არმია, რადგან ის აშკარად ხედავდა, რომ დამხობილი ექსპლოატატორი კლასები ვერ შეურიგდებოდნენ თავიანთ დამპყრუებას და სხვა ჭკეცნების ბურჟუაზიასთან შეკავშირებულნი ჩაიდნდნენ ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, გამოიყენებდნენ ბრძოლის უაღრესად საზიზღარ საშუალებებს, რათა მოეპოვოთ პროლეტარული დიქტატურა. და მართლაც, მემამულეებმა, კაპიტალისტებმა და მათმა დამკავებმა — მენშევიკებმა და ესერებმა, რომელთაც დამარცხება 1917 წლის ოქტომბერში განიცადეს, გადაწყვიტეს მიეყიდათ თავიანთი სამშობლო და მისი დამოუკიდებლობა ანტანტის იმპერიალისტებისათვის, ოღონდ დაებრუნებინათ თავიანთი ხელისუფლება, ოღონდ დაებრუნებინათ „უბრალო ხალხისაგან წართმეული სამოთხე“.

ამიტომ დიადი ოქტომბრის რევოლუციის დასაცავად ბოლშევიკთა პარტიამ შექმნა მუშებისა და გლეხების ახალი, რევოლუციური არმია, წითელი არმია. კლასობრივ საზოგადოებაში არც ერთ გამატონებულ კლასს არ შეუძლია იარსებოს თავისი სახელმწიფო აპარატის გარეშე, თავისი შეიარაღებული ძალის არმიის გარეშე.

„ყოველივე ძვენამოსილი რევოლუციის პირველი მცნება... იყო: ძველი არმიის დამსხვრევა, მისი დაშლა, ახალი არმიით შეცვლა“. (ლენინი).

ამიტომ ლენინი წითელი არმიის შექმნის შესახებ პირველს დეკრეტში სწერდა:

„ძველი არმია იყო ბურჟუაზიის მიერ მშრომელთა კლასობრივი ჩაგვრის იარაღი. მშრომელი და ექსპლოატირებული მასების ხელში ძალა-უფლების გადასვლით წარმოიშვა აუცილებლობა ახალი არმიის შექმნისა, რომელიც წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენს“.

„დეკრეტით, — ამბობდა ლენინი, — წესდება მშრომელთა მერაბლეზა, მუშათა და გლეხთა სოციალისტური წითელი არმიის შექმნა და მკონებელი კლასების სრული განიარაღება“.

მაშასადამე, წითელი არმიისა და წითელი ფლოტის გამართვაში არის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მუშებისა და გლეხების სახელმწიფოს ბრძოლის ისტორია, სოციალიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორია.

აი ამიტომ ჩვენი მამაცი, ნიჭიერი და საყვარელი სარდლები, დიდი სტალინის თანამებრძოლნი კ. ე. ვოროშილოვი, მ. ფრუნზე, ს. ორჯონიკიძე, ს. კიროვი მეთაურობენ პარტიზანულ მოძრაობას ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

სოციალისტური სამშობლოსათვის დაუღალავ ძლევამოსილ ბრძოლებში რაზმები ვოროშილოვის, ფრუნზეს, ორჯონიკიძის, კიროვის, ბუდიონის მეთაურობით გადაიქცნენ საბჭოთა ქვეყნის ახალი შეიარაღებულ ძალთა რეგულარულ პოლკებად, დივიზიებად.

„მძიმე მდგომარეობა იყო ამ პერიოდში საბჭოთა რუსეთში. არ იყო საკმაო პური. არ იყო საკმაო ხორცი. შიმშილი სტანჯავდა მუშებს. მოსკოვისა და პეტროგრადის მუშებს ორი დღისათვის მერვედი გირვანქა პური ეძლეოდათ. იყო დღეები, როცა პური სულაც არ ეძლეოდათ. ქარხნები არ მუშაობდნენ, ან თითქმის არ მუშაობდნენ. არ იყო საკმაო ნედლეული, სათბობი მასალა“.

ჩვენს ქვეყანას შიმშილი ემუქრებოდა.

შიმშილისაგან ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად, პურით მისი მომარაგებისა და გამოლაშქრებულ თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა გასანადგურებლად, ცარიცინში, ფრონტის ამ უმნიშვნელოვანეს და სახიფათო უბანზე, სამხრეთ რუსეთის მთელი სასურსათო საქმის ხელმძღვანელობისათვის პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი ლენინი ჰგზავნიან რევოლუციის გენიალურ სტრატეგს ამხანაგ სტალინს.

უძნელესი ამოცანების გადაწყვეტისას ამხანაგი სტალინი ეშელონებოდა უგზავნის პურს რევოლუციის გულს — მოსკოვს და აგრეთვე პეტროგრადს და სხვა ქალაქებს. იმავე დროს ამყარებს ბოლშევიკურ წესრიგს ქალაქსა და სამხედრო სარდლობის ორგანოებში.

ამხანაგ სტალინს არ ეძინა ღამით, რაზმედა ხალხს, ამტკიცებდა ხელმძღვანელობას, ამხსვერედა წინააღმდეგობას, იყო უღმობელი და ახდენდა გარდატეხას, აჯანსაღებდა ხელმძღვანელობას.

„მდგომარეობა უფრო და უფრო დამაბული ხდებოდა. ამხანაგი სტალინი კოლოსალურ ენერჯიას ანეითარებს და სულ მოკლე ხანში სურსათ-სანოვანის საგანგებო რწმუნებულიდან იქცევა ცარიცინის ფრონტის ყველა წითელ ძალის ფაქტიურ ხელმძღვანელად“.

ამხანაგმა სტალინმა ცარიცინი გადააქცია პროლეტარული სოციალისტური რევოლუციის ფორპოსტად და გაანადგურა გევგები გენერლების კრასნოვისა, დუტოვისა, კოლჩაკისა და დენიკინისა, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთ მოქმედებათა გაერთიანებას.

ასე დაიწყო ლენინ-სტალინის პარტიის, პროლეტარულ რევოლუციის სარდლების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით წითელმა არმიამ თავისი ორგანიზაციისა და გამარჯვებისა.

მტერი არა ცხრებოდა, იგი ვანაგრძობდა მოქმედებას: წარჩინებული რესპუბლიკის წინააღმდეგ გაერთიანდნენ რუსი თეთრგვარდიელები და უცხოეთის ინტერვენტები. ისინი მჭიდრო რკალად შემოერთებენ გარს საბჭოთა რესპუბლიკას, გამოსთიშეს რა იგი სასურსათო, ნედლეულისა და სათბობი მასალის ძირითადი რაიონებიდან.

1919 წლის გაზაფხულზე დაიწყო ანტანტის პირველი გამოლაშქრება საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

ეს კომინერებული ლაშქრობა იყო. ვინაიდან იგი გულისხმობდა კოლჩაკის, დენიკინის, პოლონეთის, იუდენიჩისა და ინგლისურ-რუსული შერეული რაზმების საერთო თავდასხმას თურქესტანსა და არხანგელსკში, ამასთან ლაშქრობის სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო კოლჩაკის რაიონში. (სტალინი).

კოლჩაკის წინააღმდეგ ვადსაროლილ იქნა პარტიის საუკეთესო ძალები, წითელი არმიის საუკეთესო ძალები. 1919 წლის აპრილში წითელმა არმიამ სერიოზულად დაამარცხა კოლჩაკი. დაიწყო კოლჩაკის უკანდახევა მთელს ფრონტზე. წითელმა არმიამ გმირულს ბრძოლებში გაანადგურა კოლჩაკის არმია.

კოლჩაკისა და მისი ხელქვეითის-იუდენიჩის განადგურებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ამხანაგმა სტალინმა. 1918 წლის მიწურულში აღმოსავლეთის ფრონტზე შეიქმნა კატასტროფული მდგომარეობა, მე-3 არმიის უბანში მტერმა ხელთ ჩაიგდო პერმი. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება პერმის გადაცემისა და ურალის ფრონტზე დამარცხების მიზეზთა გამოსარკვევად სტალინისა და ძერუინსკის შემადგენლობით პარტიულ-საკვლევო კომისიის დანიშვნის შესახებ. ამხანაგმა სტალინმა ადგილზე ჩასვლისას თავისი საქმიანობა არ შემოფარგლა კატასტროფის მიზეზთა გამოსარკვევით, არამედ მიიღო მთელი რიგი ზომები, რომელთა შედეგად არა თუ შესწყდა მოწინააღმდეგის შემდგომი წინსვლა, არამედ უზრუნველყოფილი გახდა მისი მთლიანად განადგურებაც.

1919 წლის გაზაფხულზე, როცა წითელი არმიის სახელოვანი ნაწილები, დიდი სარდლის ამხანაგ სტალინისაგან აღფრთოვანებულნი, ავიწროებდნენ კოლჩაკის არმიას და კისრიტებით მიერეკებოდნენ მას ურალის გადაღმა, ანტანტამ, კოლჩაკის მდგომარეობის შესამსუბუქებლად და აღმოსავლეთის ფრონტიდან რევოლუციური ჯარების გამოსაყვანად, მოაწყო დენიკინის თეთრი არმიის ლაშქრობა. საფრთხე მოელოდა პეტროგრადს. მდგომარეობის სერიოზულობა ღრმადედებოდა კიდევ იმით, რომ პეტროგრადში აღმოჩენილი იქნა კონტრრევოლუციური შეთქმულებები. რამდენიმე ჩვენი პოლკი გადავიდა მოწინააღმდეგის მხარეზე, „კრასნაია გორკასა“ და „სერაია ლოშადის“ მთელი გარნიზონი აშკარად გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. საჭირო იყო დაუყოვნებელი გამოსწორება მდგომარეობისა. ცენტრალური კომიტეტი ამ მიზნისთვის კვლავ ამხანაგ სტალინს ირჩევს.

ამხანაგი სტალინი აქაც გარდატეხას ახდენს, ის ერევა სარდლობის ოპერატიულ საქმიანობაში, აწარმოებს მთელი ფრონტის მუშაობის გარდაქმნას და აღწევს იუდენიჩის არმიის მთლიანად განადგურებას.

55805
059C
3630

2. „მანითობა“ № 3.

საქართველოს
საარქივო
სერვისი



ანტანტამ, დაინახა რა, რომ კოლჩაკმა და იუდენიჩმა ვერ გაამართლეს მათზე დამყარებული იმედები, მთელი ყურადღება გენერალ დენიკინს გადასწორდა. ამ დროს დენიკინი მოქმედებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხრეთში, ყუბანის რაიონში. ანტანტამ მოამარაგა მისი არმია იარაღისა და სასაბჭოთაო მდიდრი რაოდენობით და წარგზავნა ჩრდილოეთისკენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამგვარად მოეწყო ანტანტის მეორე გამოლაშქრება. ახლა მთავარი ვახდა სამხრეთის ფრონტი. „მოკავშირეთაგან“ მომარაგებული დენიკინის ბრძოლები უახლოვდებოდნენ ორიოლს. მთელი უზარმაზარი სამხრეთის ფრონტი უკან იხევდა. ჩვენი ქვეყნის შიგნითაც არა ნაკლებ შიშვე იყო მდგომარეობა. გამწვავდა სასურსათო სიძინე. სათბობის ნაკლებობის გამო შეჩერდა მრეწველობა. ქვეყნის შიგნით, თვით მოსკოვშიაც-კი, ამოძრავდნენ კონტრრევოლუციური ელემენტები. საფრთხე ემუქრებოდა ტულას, მოსკოვს, პარტიამ ასტეხა ვანგაში და მოუწოდა ხალხს — დარაზმულიყო. ლენინმა გადმოსროლა ლოზუნგი „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად!“ დენიკინის განაღდგურებლად სამხრეთის ფრონტზე ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა ამხანაგები სტალინი, ვოროშილოვი, ორჯონიკიძე, ბუდიონი.

ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით და პირადად ამხანაგ სტალინის მიერ შემუშავებული გეგმით სახელოვანმა წითელმა არმიამ გაანადგურა დენიკინის ურდოები. 1920 წლის დამდეგს მთელი უკრაინა და ჩრდილო კავკასია გათავისუფლებულ იქნენ თეთრებისაგან. ამგვარად, დენიკინსაც ბოლო მოეღო. დენიკინის განადგურებისას განსაკუთრებით მკაფიოდ გამოივლადნა ამხანაგ სტალინის, როგორც ახალი ტიპის სარდლის, სტრატეგიული ნიჭი. ამხანაგმა სტალინმა ომის შესახებ საკითხის მარქსისტულად გაგების საფუძველზე ჩამოაყალიბა პროლეტარული სტრატეგიისა და ტაქტიკის ახალი პრინციპები, შეუპოვრად იბრძოდა რა ტრუტკის მავნებლური გეგმის შეცვლისათვის.

მუშათა ხარკოვისა და დონბასის მღაროებიდან როსტოვის მიმართულებით მთავარი დარტყმის ჩატარების სტალინური გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა უპირველესად წითელი არმიისადმი უკრაინისა და დონბასის მუშათა კლასის თანაგრძნობასა და პირდაპირ მხარდაჭერას, მოწმობს იმას, რომ სტალინი არის არა მარტო უბრალო სარდალი, სტრატეგი — ამ სიტყვების ჩვეულებრივი გაგებით, არამედ იმასაც, რომ ის არის პროლეტარული რევოლუციის სარდალი და სტრატეგი, რომლის განკარგულებაშია არა მარტო ის შეიარაღებული ძალები, რომელნიც უშუალოდ მას გააჩნდნენ, არამედ ადამიანთა ის პოტენციონალური უზარმაზარი რესურსებიც, რომლებიც მოიპოვებიან მთავარი სტრატეგიული მიმართულების გზაზე. პროლეტარული რევოლუციის ამ ეს რეზერვები მთლიანად და შეუშუქდარად გაითვალისწინა სტალინის სტრატეგიულმა გეგმამ.

ანტანტის მეორე გამოლაშქრება, 14 სახელმწიფოს გამოლაშქრება განადგურებულ იქნა. მაგრამ უცხოეთის იმპერიალისტები ამით როდი დაკმაყოფილდნენ. მათ მოაწყეს მესამე გამოლაშქრება, წარმოგზავნეს რა ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ პოლონელი პანები და ვრანგელი.

1920 წლის აპრილში პოლონელი ჯარები შეიჭრნენ საბჭოთა უკრაინაში. მათ დაიკავეს კიევი. ამავე დროს ვრანგელი გადმოვიდა იერიღოვზე და საფრთხეს უქადდა დონბასს. პოლონელი ჯარების თავდასხმის საპასუხო წითელმა ჯარებმა სტალინის გეგმით გაშალეს შეტევა მთელს უკრაინაში. განთავისუფლეს კიევი და განდევნეს პოლონელი პანები უკრაინიდან.

საბჭოთა რესპუბლიკამ შეინარჩუნა თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, თავისი თავისუფლება. თეთროპოლონელთა განადგურება და ვრანგელის შემუსვრა იყო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დასასრული, „ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების ისტორიული გამარჯვება“ („საქ. კ. პ. (მ) ისტორიის მოკლე კურსი“).

წითელი არმიის მთელი ისტორია მისი წარმოშობის პირველი დღიდან ფინეთის ფრონტიდან უკანასკნელი ოპერატიული ცნობის მიღებამდე, არის მკაცრი ბრძოლებისა და ბრწყინვალე გამარჯვებების გზა. რევოლუციური ხალხის შეილებიდან ლენინ-სტალინის პარტიამ გამოსჭედა მძლავრი საბრძოლო ძალა, რომელსაც შესწევს უნარი შემუსროს, გააცმტვეროს, მიწის პირისგან აღგავოს ყოველგვარი მტერი.

სწორედ ასეთი ოპერაცია ჩაატარა წითელმა არმიამ თავისი არსებობის პირველსავე წლებში თეთრგვარდიელთა ბრბობზე, ინგლისელი, ფრანგი და სხვა ინტერვენტების წინააღმდეგ. ასე იყო ხასანის ტბასთან და მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ველმინდერებზე. ახლა წითელი არმიის დევემირულ ძლიერებას, მისი ეროვნოლოვური ბათქების წონას თავიანთ ტყავზე გასინჯავენ ფინელი ხალხის დამპყრობლები — მანერჰეიმიელი აგაზაკები.

ჩვენმა ქვეყანამ უმდიდრესი ტექნიკით შეაიარაღა თავისი არმია. მთელი მსოფლიო — მეგობრები აფრთოვანებით, მტრები კბილთა ღრჭენით — ლაპარაკობს ჩვენს თვითმფრინავებზე, ტანკებზე, ზარბაზნებზე. მრავალი ძლიერი და სრულყოფილი იარაღი გააჩნია ჩვენს წითელ არმიას. ხოლო ყველაზე ძვირფასი, საფუძველთა საფუძველი არის ის, რაც არ მოეპოვებათ და არც შეიძლება მოეპოვებოდეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ესაა ადამიანები, სტალინური ეპოქის ადამიანები, თავიანთი სამშობლოს პატრიოტები.

იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირის ცენტრში და ჩრდილოეთ-დასავლეთ მხარეებსა და ციმბირში მთლიანად განმტკიცებული იყო საბჭოთა ხელისუფლება, ამდროს ქართველი ხალხი შეუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკური უღლის წინააღმდეგ. საქართველოში მენშევიკების სამწლიანმა ბატონობამ მოიტანა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთლიანი დაცემა. 1920 წლის შემოდგომისათვის სამეურნეო ეკონომიურმა კრიზისმა მიიღწია იმ ფარგლებს, რომლებსაც აქცილებლად უნდა მოჰყოლოდა კატასტროფა. მენშევიკური მთავრობის მეთაურები თვითონვე გახდნენ იძულებული განეცხადებინათ, რომ საქართველო აშკარად კატასტროფიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მენშევიკებმა, ქართველი ხალხის ამ უბოროტესმა მტრებმა, საქართველო გადააქციეს რუსეთის კონტრრევოლუციისა და დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის სათარგზო მოედნად.

1921 წელს ქართველმა ხალხმა, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხისა და მძლავრი წითელი არმიის დახმარებით, დაამ-

ხო კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობა და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება. საქართველო აღივსო ახალი სიცოცხლით. დაადგა ნაციონალური აღორძინებისა და სამეურნეო კულტურული აყვავების გზას.

დიდი რუსი ხალხის დახმარებით, ბოლშევიკური პარტიის მხარდგანდგომით, დიდი სტალინის ყოველდღიური ყურადღებითა და მხარდგანდგომით, საქართველო, წარსულში რუსეთის ჩამორჩენილი კოლონია, გადაიქცა აყვავებულ საბჭოთა რესპუბლიკად. საქართველოს ბოლშევიკები, დიდი სტალინის მოწაფისა და თანამებრძოლის ლ. პ. ბერიას ხელმძღვანელობით თანმიმდევრულად და განუხრელად ატარებდნენ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას, ამტკიცებდნენ საქართველოს ხალხთა ძმობას საბჭოთა კავშირის ხალხებთან, ანხორციელებდნენ სტალინურ ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე საქართველო გადაიქცა ქვეყნის ერთ-ერთ უმდინიერეს კუთხედ.

კულტურული მშენებლობა

საქართველოს სამეურნეო გარდაქმნას თან მოჰყვა ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის სწრაფი ზრდა.

საქართველო გადაიქცა მთლიანად წერა-კითხვის მცოდნე რესპუბლიკად. დაწყებითს და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი თითქმის 5-ჯერ გაიზარდა. ამჟამად ამ სკოლებში სწავლობს 700.000-ზე მეტი მოსწავლე.

თუ წინათ, ოქტომბრის რევოლუციამდის, საქართველოში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი, ახლა საქართველოში არსებობს 18 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 22.000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

5 წლის განმავლობაში, ე. ი. 1933 წლიდან 1938 წლამდის, საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს მაღალი კვალიფიკაციის 15.000 სპეციალისტი: ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, პედაგოგი და სხვ.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე საქართველოში მოეწყო 266 ახალი თეატრი, 235 ხმოვანი კინო-დანადგარი, 265 კლუბი, 418 მასობრივი ბიბლიოთეკა.

გადაპხედეთ, თუ როგორ შეიცვალა ორდენოსან საქართველოს დედა-ქალაქის თბილისის სახე.

თბილისში ჩამოსული ჩვენი ქვეყნის ათეული ათასი მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენტი ალტაცებით ლაპარაკობს კულტურისა და დასვენების მშვენიერი პარკის—ფუნკელიორის შესახებ, საბჭოების სასახლეზე, საუცხოო სანაპირო ქუჩაზე, ჩელუსკინელთა სახლზე, სახელმწიფო ცირკისა და შესანიშნავი კინოთეატრების შესახებ.

საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყეა.

ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ საქართველოს ბოლშევიკებს, ქართველ ხალხს და მის საუკეთესო შვილს ლ. პ. ბერიას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში თბილისში იყო ერთი კონსერვატორია და ერთი მუსიკალური სასწავლებელი, რომლებშიაც სწავლობდა 500 კაცამდის.

ახლა ჩვენ გვაქვს მუსიკალური და მხატვრული განათლების სკოლა, სადაც სწავლობს 8.000-მდის მოსწავლე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წლებში თბილისში იყო 11 ბიბლიოთეკა, რომელთა წიგნის ფონდის სულს იქნა 300.000 ტომს, ახლა თბილისში 30 ბიბლიოთეკაა 5.000.000 ტომის საერთო ფონდით.

ორდენოსან საქართველოს მწერლები და პოეტები, ხელოვნების მუშაკები, ხალხური მთქმელები თავიანთ ნაწარმოებებსა და სიმღერებში ასახავენ ბედნიერი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

ამხანაგი მოლოტოვი თავის გამოსვლაში ამბობდა:

„საქართველო—ეს მსოფლიოს ერთ-ერთი უბედნიერესი კუთხეა, უხვად დაჯილდოებული ისეთი ბუნებრივი სიმდიდრით და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იგი მდიდარია ადამიანებით, რომელთა ნიჭიც ბრწყინავს საქართველოში, ამიერ-კავკასიაში და მთელ საბჭოთა კავშირში. ქართველმა ხალხმა ბევრი რამ მისცა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელს საბჭოთა კავშირსაც, კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც საპატიო ადგილი უჭირავს. საკმაოა ითქვას, რომ საქართველომ ჩვენ მოგვცა ამხანაგი სტალინი“ (მოლოტოვი).

ქართველი ხალხი მჭიდროდაა დარაზმული ხალხთა სტალინური მეგობრობის დროის ქვეშ. საბჭოთა საქართველო დიდი საბჭოთა კავშირის განუყოფელი ნაწილია. გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურმა კონსტიტუციამ უფრო მეტად განამტკიცა საბჭოების ქვეყნის მრავალეროვნებიანი ხალხთა ურყევი მეგობრობა.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა, რომლისათვისაც იბრძოდა წითელი არმია, იყო სწორი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამებოდა ხალხის ინტერესებს, და ხალხიც მხარს უჭერდა ამ პოლიტიკას. წითელი არმია, მუშათა კლასი და გლეხობა იბრძოდა თავისი სასიცოცხლო საქმისათვის, ფაბრიკებისათვის, ქარხნებისათვის, მიწისათვის, თავისი სოციალისტური დამოუკიდებლობისათვის.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ ის იყო თავისი ხალხის ერთგული და ბოლომდის თავდადებული. ხალხს უყვარდა და მხარს უჭერდა თავის მშობლიურ არმიას. არმია, რომელიც ერთგულია თავისი ხალხისა და რომელსაც ეს ხალხი ყოველნაირად მხარს უჭერს, უძლეველია.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ:

- ა) მან შესძლო თავის რიგებში ისეთი ახალი ტიპის სამხედრო ხელმძღვანელთა გამოქედვა, როგორცაა ფ რ უ ნ ზ ე, ვ ო რ ო შ ი ლ ო ვ ი, ბ უ დ ი ო ნ ი და სხვ.
- ბ) მის რიგებში იბრძოდნენ ისეთი გმირები, როგორიც იყვნენ კ ო ტ ო ვ ს კ ი, ჩ ა პ ა ე ვ ი, შ ჩ ო რ ს ი, ლ ა ზ ო და მრავალი სხვა.
- გ) წითელი არმიის პოლიტიკურ განათლებაზე მუშაობდნენ ისეთი მოღვაწენი, როგორც ლ ე ნ ი ნ ი, ს ტ ა ლ ი ნ ი, ს ვ ე რ დ ლ ო ვ ი, მ ო ლ ო ტ ო ვ ი, კ ა ლ ი ნ ი ნ ი, კ ა გ ა ნ ო ვ ი ჩ ი, ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე, კ ი რ ო ვ ი, კ უ ბ ი შ ე ვ ი, მ ი ქ ო ი ა ნ ი, ე დ ა ნ ო ვ ი, ა ნ დ რ ე ვ ე ვ ი, ი ა რ ო ს ლ ა ვ ს კ ი, ძ ე რ შ ი ნ ს კ ი, შ ჩ ა დ ე ნ კ ო, მ ე ხ ლ ი ს ი, ხ რ უ შ ჩ ე ვ ი და სხვანი.

ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა იმიტომ, რომ იგი აწარმოებდა თავისი ბრძოლის თავისი მიზანმიმართულ მანქანას. ლენინ-სტალინის დროს მთაწკარველთა წინააღმდეგ მის ბრძოლას მეთაურობდა დიდი სტალინი, ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები: ლადო კეცელი, ორჯონიკიძე, წულუკიძე, ბერია და სხვები.

წითელი არმია, წითელი ფლოტი და საბჭოთა სოციალისტური საქართველო იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ მთელი ჩვენი ქვეყნის ზრდასთან ერთად. სტალინურმა ხელწოდებებმა, რომელთაც გარდაქმნეს ჩვენი ქვეყნის სახე, ყველა წინაპირობა შექმნეს წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესაბამისად უახლეს პირველკლასოვანი ტექნიკით. ქართველ ხალხს შეუქმნეს ყველა პირობა ბედნიერი, შეძლებული ცხოვრებისთვის.

მსოფლიოში არცერთს არმიას არ გააჩნია ადამიანთა ისეთი შემადგენლობა, როგორც ჩვენს არმიას. წითელი არმიის ადამიანები ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები არიან, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მედგარი და საიმედო დამცველები, უკანასკნელ ამოსუნთქვამდის თავიანთი ხალხისადმი, თავისი საბჭოთა მთავრობისადმი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისადმი თავდადებულნი.

ჩვენს ქვეყანაში ერთად შეერთებული ხალხი და კომუნისში მასობრივი გმიროსნობის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენენ. წითელი არმიის მებრძოლებს და მეთაურებს სამართლიანად შეიძლება მივმართოთ რუსი მწერლისა და ისტორიკოსის კარამზინის სიტყვებით:

„ვიცი, მრავალზე ვართ უმამაცესნი,
ჯერ კიდევ არ ვიცნობთ ჩვენზე მამაცებს“.

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამყობს თავისი გმირებით. მათში ხედავს იგი თავისი დევ-გმირული ძალის, თავისი ტიტანიური სულის, თავისი ლეგენდური ვაჟაკობა, ყველაზე უფრო მკაფიო განხორციელებას, მაგრამ რა არის საბჭოთა გმირობა?

„გამბედაობა და სიმამაცე ეს გმირობის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხარე, არანაკლებ მნიშვნელოვანი — ეს არის უნარი. გამბედაობა ამბობენ ქალაქებს იღებს. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა გამბედაობა, მამაცობა, რისკისათვის მზადყოფნა შეხამებულია წარჩინებულ ცოდნასთან“ (სტალინი).

მამაცობისა და ცოდნის შესანიშნავი შენაერთი, — აი რა არის საბჭოთა ადამიანების გმირობა. ეს მოსდგამს ყველას, ფრინავებს, პოლარულ მუშაკებს, მეტეორებს, წითელი არმიის მებრძოლებს, მეთაურებს, პოლიტ-მუშაკებს, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველებს. ამ საუცხოო თვისებით აღჭურვილია მთელი საბჭოთა ხალხი.

ჩვენი ქვეყანა მასობრივი მოძრაობის ქვეყანაა. თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის, მისი სახელისათვის საბჭოთა ადამიანები სწადიან გასაოცარ გმირობას. ყოვლის შემძლეა და მტკიცე ხალხი, რომელიც გამოზრდის წითელი არმიის მებრძოლთა, არქტიკის უშიშარ მკვლევართა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირთა, სოციალისტური შრომის გმირთა მსგავს ადამიანებს.

პირველი იმპერიალისტური ომის (1914 — 1918 წ. წ.) და სსრ კავშირში უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის (1918 — 1920 წ. წ.)

დამთავრების შემდეგ ჯერ არასოდეს არ ყოფილა ასე გამწვანებულნი და დახლართული საერთაშორისო ვითარება, როგორც ახლა, ამჟამად.

კაცობრიობა მოექცა ახალი ომის, მეორე იმპერიალისტურ ექვსეულ ხაჭარში. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ომში ჩაბმულია დაახლოებით 1700 მილიონი მოსახლეობა, კოლონიებთან ერთად — დაახლოებით 1.300 მილიონი კაცი.

დედამიწის მოსახლეობის ნახევარზე მეტი განიცდის მეორე ბოროტმოქმედური, ანტი-სახალხო იმპერიალისტური ომის მთელ სიმძიმეს.

დღეს ჩვენ ვდგევართ იმ საფრთხის წინაშე, რომ ომი ევროპაში, აზიაში ომთან ერთად, თუ მას ვაღამწყვეტი წინააღმდეგობა არ გაეწია, გადაიქცევა ხალხთა ახალ, მსოფლიო, სისხლისმღვრელ ქლტა-ბოცვად, — ამბობს მთლოტოვი.

ევროპაში ახლანდელი ომის მიზანი იმაში როდია, რაზედაც ლაპარაკობენ მისი ორგანიზატორები, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტთა მეთაურები — ჩემბერლენი, დალაიდი და სხვანი და მათი ლაქები, ბლიუმები და სიტრინები თავიანთ ოფიციალურ გამოსვლებში მსმენელთა ფართო წრისათვის საფრანგეთსა და ინგლისში, რომ ვითომ ისინი იბრძვიან „დემოკრატიისათვის“, „მიტლერიზმის“ წინააღმდეგ, „ფაშიზმის“ წინააღმდეგ.

ჩემბერლენს „ანტიფაშისტური“ ომის დამცველად გამოჰყავს თავი. იმავე დროს „ანტიფაშისტური“ ომის ეს მოციქული რამდენიმე წელი ხელს უწყობდა იმათ, ვის წინააღმდეგაც იბრძვის ამჟამად ინგლისის ბურჟუაზია. საოცარნი არიან ეს „ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლნი“, რომელთაც საუკუნეებით დამონებული ჰყავთ მილიონობით კოლონიური მონები და ხურდა ფულივით ათამაშებენ მცირე ხალხთა ბედ-იღბალს თავიანთი იმპერიალისტური მიზნებისათვის. ისინი ამბობენ, რომ იბრძვიან „დემოკრატიისათვის“, თვითონ კი, თავიანთ ქვეყნებში, სობონენ ხალხთა მასების დემოკრატიულ უფლებათა უკანასკნელ ნაშთებს.

ინგლის-საფრანგეთის ბლოკის ომის ნამდვილი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ბურჟუაზიულ ინგლისსა და საფრანგეთს სურთ განუყოფლად იბატონონ კოლონიური მონებზე, რომელთა რიცხვიც ასს მილიონებს უდრის, შეინარჩუნონ თავიანთი იმპერიალისტური პოზიციები, უზრუნველჰყონ ახალ დაპრობათა შესაძლებლობა, დაასუსტონ თავიანთი მეტოქე და გახადონ იგი დამოკიდებული, ამაშია ახლანდელი ომის არსი.

ომის ახლანდელი გამაღებლები მიმართავენ მთელ რიგ ღონისძიებებს იმისათვის, რომ გააფართოონ ომის ფარგლები, კიდევ უფრო დიდად გააღვივონ მსოფლიო ომის ხანძარი, ჩააბან მასში ყველა ნეიტრალური ქვეყანა და მოაწყონ ჯვაროსნული ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ყველა მშრომელის სამშობლოს წინააღმდეგ.

ჩრდილოეთ-დასავლეთში მათ შესძლეს ფინეთის პროვოცირება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაჩაღებულია გააფთრებული პროვოკაციული კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შვეციისა და ნორვეგიაში, რომელთა მთავრობებიც, თავიანთი ხალხის ნებასურვილის მიუხედავად, მოხალისეებს ჰგზავნიან მანერჰეიმის ბანდების დასახმარებლად და აიარაღებენ ამ ბანდებს.

მიმართავენ აქტიურ ღონისძიებებს ფრონტების შესაქმნელად ბალკანეთსა და მახლობელ აღმოსავლეთში, რომელთა მახვილიც საბჭოთა კავშირის წინა-

აღმდეგ არის მიმართული. ამ მიზნების მისაღწევად ამოძრავებულა ყველა ბერკეტი მეორე ინტერნაციონალიდან რომის პაპამდის. ინგლისისა და საფრანგეთის ოქროთი იჭმნება „ევროპის ფედერაცია“—ხაფანგი ნეიტრალური ქვეყნებისთვის.

რის მივყევართ კაპიტალისტური სამყაროს ყველა წინააღმდეგობის უკვე-თრი გამწვავებისკენ. რაც დროს ვადის, მით უფრო ამწვავებს იგი წინააღმდეგობას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, ამწვავებს წინააღმდეგობას მეტროპოლიტებსა და კოლონიებს შორის, გაბატონებულ და ჩაგრულ ერთა შორის და, რაც მთავარია, ამწვავებს და აშიშვლებს კლასობრივ წინააღმდეგობას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, წინააღმდეგობას მეურნეობის სოციალისტურ სისტემასა და კაპიტალისტურ სამყაროს შორის.

უკვე 5 თვია, რაც დასავლეთ ევროპაში იმპერიალისტური ომია, რომელიც წამოიწყეს ინგლისმა და საფრანგეთმა. მაკინოსა და ზიგფრიდის ხაზთან თავმოყრილია ინგლის-საფრანგეთის ჯარები, მაგრამ სერიოზული ომი ჯერ არ დაწყებულა. სწარმოებს თავისებური, „საალყო ომი“.

სად გაქრა გენერალ გომელენის დაპირება საფრანგეთის მთავრობისადმი, რომ იგი ვაარღვევდა გერმანიის სიმაგრეებს?

რატომ სტკეპნიან ერთ ადგილს ინგლისი და საფრანგეთი, რომელთაც წამოიწყეს ეს ომი?

რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ ინგლის-საფრანგეთის მთავრობებს არა სურთ დაღვარონ თავიანთ ხალხთა მილიონების სისხლი.

ამას ისინი დაუფიქრებლად ჩაიდენენ, როგორც ეს ჩაუდენიათ მათ არაერთხელ თავიანთი არსებობის მანძილზე. ზღბათ, არსებობენ სხვა მიზეზები.

როგორც ვიცით, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებმა ომი დაიწყეს თავიანთ ქვეყნებში ომის საწინააღმდეგო მოძრაობის არსებობისას. ეს მოძრაობა, განსაკუთრებით მუშათა კლასისა და გლეხობის ჩაგრულ მასებს შორის, უფრო და უფრო ძლიერდება. პოლიციელთა თარეში და რეაქციული ძალების შემოტევა მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ კი არ ასუსტებს, აძლიერებს მუშათა კლასისა და მშრომელი მასების აღშფოთებას ომის წინააღმდეგ.—ეს არის პირველი მიზეზი.

ინდოეთში ინდოეთის ნაციონალური კონგრესი შეუპოვრად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის. ეს მცირე დაბრკოლებას როდი უჭმნის ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს, რადგან იქაური მოსახლეობის გარეშე იმპერიალისტები არ არიან მიჩვეულნი ომის წარმოებას.—ეს არის მეორე მიზეზი.

ინგლის-საფრანგეთის აგრესორებმა, ომის პროვოკატორებმა, ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს ყველა ნეიტრალური ქვეყნის მოტყუილება და მათი ჩაბმა თავიანთ ორბიტში ანტისახალხო მძარცველური ომის საწარმოებლად.—ეს არის მესამე მიზეზი.

აგრესორთა ინგლის-საფრანგეთის ბლოკმა, თავისი სიმხდალის დასაფარავად, იმის დასაფარავად, რომ მას კოლონიების მოსახლეობისა და ნეიტრალური ქვეყნების გარეშე ომის წარმოება არ შეუძლია, ხელი მიჰყო ზღვაზე მეკობრეობას, თავს ესხმის რა უმთავრესად უმწყო ხომალდებს.

ოკეანის სავაჭრო გზებზე ჩაძირულია 300 გემზე მეტი, რომელთა საერთო წყალწყვა 1,5 მილიონ ტონას უდრის.

ზღვაზე ინგლისის მეკობრეობის შედეგად, იზრდება სამეურნეო რღვევა, მცირდება წარმოება, იზრდება უმუშევრობა, მცირდება კვების პროდუქტები, მძინვარებს შიმშილი ნეიტრალურ ქვეყნებშიც-კი.

მეორე იმპერიალისტური ომი წარმოადგენს სერიოზულ საბჭოთა კავშირისათვისაც. ომის იმპერიალისტური პროვოკატორები დაიწყებენ ყველგან, ცდილობენ რა მონახონ მანერპეიშები, ბეკები, ადამიანთა რესურსები და მოამზადონ ომის პლაცდარმები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დიდი ომისათვის.

ამხანაგი სტალინი ასწავლის საბჭოთა ხალხს, ომის თავდასხმის საფრთხის წინაშე ყოველთვის მზად იყოს, ყოველმხრივ გააძლიეროს და განამტკიცოს ჩვენი წითელი არმია, წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვაავიაქიმი.

იმპერიალისტური ომით გამძაფრებულ ამ ვითარებაში ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა ატარებდა და ატარებს მშვიდობიანობის ბრძნულ სტალინურ პოლიტიკას,—პოლიტიკას, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შემდეგი სიტყვებით განსაზღვრა:

„1. მომავალშიაც გავატაროთ მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი კავშირის გამტკიცების პოლიტიკა.

2. დაეცვათ სიფრთხილე და საშუალება არ მივცეთ ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა“.

მშვიდობიანობის სტალინური პოლიტიკის თანმიმდევრულად გატარების მეოხებით, საბჭოთა კავშირი, ისევე, როგორც წინათ, სარგებლობს მშვიდობიანობის სიკეთით, რომ წარმატებით წარმართოს აღმავლობის გზით ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგი.

ჩვენი მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულად გატარების მეოხებით, შექმნილი მნიშვნელოვნად გაგვეძლიერებინა ჩვენი პოზიციები და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო წონა.

საბჭოთა მთავრობამ გამოააშკარავე ომის ნამდვილი აგრესორების, ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებისა და მათი დამჭაშების ბოროტმოქმედური პოლიტიკა. მოხდა უდიდესი ისტორიული გარდატეხა გერმანიასთან დაახლოვების მხრივ. საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებული თავდაუსხმელობისა და მეგობრობის ხელშეკრულება წარმოადგენს მნიშვნელოვან პუნქტს ევროპის ისტორიაში და არა მარტო ევროპის ისტორიაში. ამ ხელშეკრულების მთავარი მნიშვნელობა,—ამბობს ამხანაგი მოლოტოვი,—მდგომარეობს იმაში, რომ ევროპის ორი ყველაზე დიდი სახელმწიფო შეთანხმდა იმაზე, რომ ბოლო მოუღონ ურთიერთ შორის მტრობას, აღკვეთონ ომის საშიშროება და იცხოვრონ ურთიერთშორის მშვიდობიანად. ამგვარად შესაძლებელ საომარ შეტაკებათა ასპარეზი ევროპაში მცირდება.

ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი პოლიტიკა მკაფიოდ არის გამოხატული მეგობრობის იმ ხელშეკრულებებში, რომლებიც დავდეთ ჩვენ ყველა პატარა ქვეყნებთან და რომლებიც აშკარად ქვეყნდება ჩვენს პრესაში.

მსოფლიოში, გარდა საბჭოთა კავშირისა, არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ნებაყოფლობით მიეცეს თავისი ქალაქები და ტერიტორია

პატარა სახელმწიფოსთვის მისი მთლიანობისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

შალოდ საბჭოთა კავშირი, რომელსაც ხელმძღვანელებს სტალინის-სტალინის პარტია, არის მსოფლიოში მშვიდობიანობის გულწრფელმა მომხატველი და გამტარებელი. ის იცავს პატარა სახელმწიფოების ნამდვილ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ამის მკაფიო მაგალითია ლიტვისათვის ქალაქ ვილნოსა და ვილნოს ოლქის გადაცემა.

ეს გარემოებაც ცოფსა ჰგერის კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის შედეგად და ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის წარმატებულ მოქმედებასთან დაკავშირებით, დასავლეთი უკრაინა და დასავლეთი ბელორუსია 13 მილიონიან მოსახლეობით შეერთებულია ახლა საბჭოთა უკრაინასა და ბელორუსიასთან.

ეს არის უკანასკნელ დროს ჩვენი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი წარმატება. ეს არის დღევანდელი დღისათვის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ჩვენი შედეგი, რითაც შეუძლიან იამაყოს საბჭოთა კავშირს, რომელიც ერთგულია თავისი მშვიდობიანობის მოყვარე საგარეო პოლიტიკისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა, — ამბობს მოლოტოვი.

მზად ვართ თუ არა მოვიგერიოთ მტრის თავდასხმა დღეს და ხვალ და გავიმარჯვოთ?

დიაღ, მზადა ვართ! სტალინური ხუთწლიელები იყენენ არა მარტო ჩვენი სახალხო მეურნეობის განუწყვეტელი და მძაფრი ზრდის წლები, არამედ წითელი არმიის ტექნიკური აღჭურვის ზრდის წლებიც.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მრავალჯერ ვაიზარდა მთელი ჩვენი საბრძოლო ტექნიკა: ტანკების ხაზით ზრდა 1930 წლიდან 1939 წლამდის 43-ჯერ გადიდდა, თვითმფრინავების აგების ხაზით—5-5-ჯერ, მიძიმე, საშუალო, მსუბუქ-ყალიბიანი არტილერიის ხაზით—7-ჯერ, მცირე-ყალიბიანი, ტანკების საწინააღმდეგოდ და სატანკო არტილერიის ხაზით—70-ჯერ, ტყვიამფრქვევების ხაზით—5,5-ჯერ.

ამ ტექნიკის ხარისხი არა თუ ჩამოუარდება, არამედ სჭარბობს კაპიტალისტური არმიების ტექნიკას. საინტერესოა დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის მუშებისა და გლეხების შენიშვნები, როცა მათ წითელი არმია და მისი ტექნიკა დაინახეს; ისინი ამბობდნენ, რომ ასეთ აღამიანებს ასეთი ტექნიკით გერაიეთარი დამარჯობა ვერ შეაფერხებდა.

უდაოა, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ მომავალს შეტაკებაში, რომ კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატი წითელ დროშას აღმართავს მსოფლიოს ყველა დედა-ქალაქში. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავიმარჯვოთ მცირე დანაკლისით. ესაა მთავარი. უნდა ვემზადოთ, უფრო მეტად განვამტკიცოთ წითელი არმია და სამხედრო-სახლგაო ფლოტი, განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა, მობილიზაციურ მზადყოფნაში ვიყოლიოთ ხალხი. უნდა გვახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ დიდი სტალინის მითითებანი იმაზე, რომ ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ გარემოებაში, რომ ჩვენი სამშობლო სცხოვრობს ბურჟუაზიული ქვეყნების

გარემოცვაში, რომლებიც განაგრძობენ ბურჟუაზიულ ცხოვრებას, რომლებიც ელიან შემთხვევას, რომ თავს დაესხნენ ჩვენს სამშობლოს.

ამგვარად, ჩვენი მშვენიერი სამშობლოს დაცვა წარმოადგენს ჩვენი ცხოვრების უმაღლეს კანონს. ჩვენი ცხოვრების ეს ძირითადი კანონი უკვე აღდგინდა და მძლავრად გამოხატული სტალინურ კონსტიტუციაში.

დიდი ღირსებაა წითელი არმიის მებრძოლის სახელის ტარება, მაგრამ დიდია მისი პასუხისმგებლობაც სამშობლოს წინაშე, პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე.

ხალხი წითელი არმიის მებრძოლებისაგან, მეთაურებისა და პოლიტმუშაკებისაგან მოითხოვს დაიცვან თავიანთი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი „მამაცურად, მარჯვედ, ღირსებითა და სინდისიერად, სიცოცხლის დაუზოგავად შტრებზე სრული გამარჯვების მიღწევისათვის“.

ბრძოლები ხასანის ტბასთან, შდინარე ხალხინ-გოლზე, დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში და ფინელ თეთრგვარდელებთან წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალების ძლიერების საბრძოლო შემოწმებას და აგრეთვე საგნობრივ გაკვეთილს „მოუსვენარ, მაგრამ უკუო მეზობლებისთვის“.

იაპონელთა სამხედრო ხროვა 1938 წლის გაზაფხულზე, როგორც მოგეხსენებათ, შეეცადა შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ტერიტორიისათვის ჩამოეთალა ერთი ნაკერი. ამ სამხედრო ხროვას, რომელიც საბჭოთა ტერიტორიის ხელში ჩაგდებას ცდილობდა, იმედი ჰქონდა ოდნავ მაინც აემილდებინა თავისი შერყეული პრესტიჟი და იაპონელი ხალხის ყურადღება აეცილებია ჩინეთთან გაკვირვებული ომის შედეგად გაძლიერებული ეკონომიური ნგრევისაგან. იაპონიის სამხედრო ხროვას იმედი ჰქონდა წარმატებისა, რამდენადაც ხასანის ტბასთან მდებარე ჰაობიანი ადგილი ამწელებდა წითელი არმიის მოქმედებას. მაგრამ წითელმა არმიამ, რომელსაც აფრთოვანებს სტალინი და ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი, სასტიკად დაამარცხა გათავხედებული შტერი და აიძულა ეთხოვა ზავი.

ხასანის გმირებმა ღირსეული პასუხი გასცეს თავზედ მტაცებლებს. დარტყმა ხასანის ტბასთან შემსუსტრელი იყო, მაგრამ ერთი გაკვეთილი, ეტყობა საკმაო არ აღმოჩნდა იაპონიის სამხედრო ხროვისათვის. ის ამზადებდა ახალ პროვოკაციას ამჯერად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვრებთან, რომელთანაც საბჭოთა კავშირმა ურთიერთდაზმარების პაქტი დასდო.

1939 წლის დამდეგს ამხანაგმა მოლოტოვმა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს სესიაზე გამოსვლისას, ვაფრთხილა იაპონიის სამხედრო ხროვა:

„მე წინასწარ უნდა ვანვაცხადო, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საზღვარს, ჩვენს შორის ურთიერთდაზმარების შესახებ დადებული ხელშეკრულების თანახმად ჩვენ ისევე მტკიცედ დავიცავთ, როგორც ჩვენს საკუთარ საზღვარს“.

მაგრამ ამ ვაფრთხილებიდანაც იაპონელებმა ვერ გამოიტანეს სათანადო დასკვნები. ისინი შეიჭრნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორი-

ახე. ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ დაამარცხა და მოსპოვდა იაპონელ-მანჯურელი ჯარი. 1939 წლის აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში მხოლოდ რვა დღიან ბრძოლების შედეგად მთლიანად განადგურებულ უკვე ქვეყნებში ერთ-ერთი არმიის ორი რჩეული დივიზია.

ბიულენევი

იაპონია-მანჯურიის ჯარის განადგურება და ლიკვიდაცია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ადგილობრივი მნიშვნელობის ეპიზოდი როდია, — თავისი გეგმებითა და მნიშვნელობით იგი უდიდესი ოპერაციაა. იაპონიის სამხედრო ხროვა, ბოლოს, ჩაუფიქრდა იმ სასტიკ გაკვეთილს, რომელიც მას წითელმა არმიამ მისცა.

ამ ბრძოლებში მარად უჭკნობი სახელითა და დიდებით შეიმოსა ჩვენი მშობლიური, უძლეველი წითელი არმია.

პოლონეთის სახელმწიფოს დაშლის მომენტში, როცა პოლონეთის „უბადრუკმა“ მთავრობამ ბედის ანაბარად მიატოვა თავისი ხალხი და გაიქცა „გამოურკვეველი“ მიმართულებით, სსრ კავშირის მთავრობამ, საბჭოთა ხალხის სრული მოწონებით, გადაწყვიტა ძმური დახმარების ხელი გაეწოდებინა, ჩვენი ძმების უკრაინელებისა და ბელორუსელებისათვის, დაეცვა მათი სიცოცხლე და ჭონება, აგრეთვე დახმარებოდა პოლონელ ხალხს—თავი დაეღწია ომისაგან, რომელიც წამოიწყეს პოლონელმა მემამულეებმა.

17 სექტემბერს წითელი არმიის ნაწილები, საბჭოთა მთავრობის ბრძანებით, გადავიდნენ პოლონეთის სახელმწიფოს საზღვარს.

წითელმა არმიამ ღირსეულად და სახელოვნად შეასრულა თავისი დიადი განმანთავისუფლებელი ამოცანა. მებრძოლები, მეთაურები, და პოლიტმუშაკები არ იშურებდნენ სიცოცხლეს პოლონელ მემამულეთა და კაპიტალისტებისაგან მშრომელთა გასანთავისუფლებლად. წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებიც უკრაინისა და ბელორუსიის ფრონტების შემადგენლობაში შედიოდნენ, განადგურეს პოლონეთის ჯარები და ოფიცერთა ბანდები.

დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის ველებზე წითელმა არმიამ ერთხელ კიდევ დაანახვა მთელს მსოფლიოს თავისი თავდადება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის, კომუნისმის საქმისათვის. მან გვიჩვენა თავისი მტკიცე ნებისყოფა, მიმართული გამარჯვებისაკენ, თავისი მზადყოფნა—ყოველგვარს პირობაში გადაწყვიტოს ამოცანა, რომელსაც დაუსაბავს მას საბჭოთა მთავრობა.

ფინეთის ტყეებსა და ჭაობებში, ურიცხვი ტბების ყინულებზე, თოვლის ზვავეებსა და მთის ფერდობებზე წითელი არმიის უშიშარი მებრძოლები წმინდად ასრულებენ დიადი სოციალისტური სამშობლოს განუხრელ ნებას-სურვილს. ისინი ეხმარებიან ფინეთის ხალხსა და მის სახალხო არმიას—გააცამტვეროს ომის გამჩაღებელ მანერპეიმების ბრბო, რომელსაც აქვებენ იმპერიალისტები.

საბჭოთა კავშირის მტრები ცილს სწამებდნენ წითელ არმიას, ზოლო უცხოელი ჟურნალისტები, იტაცებდნენ რა ამ ცილისწამებას, უწინასწარმეტყველებდნენ ჩვენს არმიას ისეთსავე დამარცხებას ფინეთში, როგორც განიცადა ნაპოლეონმა რუსეთში 1812 წლის ზამთარში.

მანერპეიშის ბანდიტები უკან დახევის დროს ანადგურებდნენ მაცხოვრებელ ბინებსა და ყოველგვარ საკვებ პროდუქტებს. ამით მათ უზღოვრათ თითქოს გაეყინათ და შიმშილით ამოეწყვიტათ წითელი არმია.

ბატონმა იმპერიალისტებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენს ხალხს ნაწილობრივ შეინიან 50-გარდუსიანი ყინვებისა. ეს დაამტკიცა ჩრდილოეთ პროლეტის დაპყრობამ.

რაც შეეხება შიმშილით ამოწყვეტის მუქარას, მათ უნდა იცოდნენ აგრეთვე, რომ სსრ კავშირის მილიონჯერ მეტი პროდუქტები გააჩნია არა მარტო ფინეთთან შედარებით, არამედ რამდენიმე ათეული ასეთი სახელმწიფო რომ ავიღოთ.

წინასწარმეტყველებანი წითელი არმიის დამარცხების შესახებ მხოლოდ შემოიღოს ბოდეა და სხვა არაფერი.

წითელი არმიის გამორული მოქმედების გამოცდილება, — დახმარება ფინელი ხალხისათვის მანერპეიშის ბანდებისაგან მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში — მეტყველებს, რომ წითელმა არმიამ გაარღვია ფინეთის გამაგრებული პოზიციები, რომლებიც არ ჩამოუვარდებიან საფრანგეთისა და გერმანიის ციხე-სიმაგრეებს (მაგინო და ზიგფრიდი).

რას იტყვიან ამაზე იმპერიალისტები? რას იტყვიან ამის გამო მათი მჯღაბნელი ჟურნალისტები?

აღბათ, ვოროშილოვური კილოგრამების სინამდვილე, გამრები, მსროლელები, ტანკისტები, არტილერისტები, მფრინავები, რომელთაც ძლევა მოსილად გადალახეს გეოგრაფიულად და ტექნიკურად უაღრესად გამაგრებული მტრის ზონა, აიძულებენ მტრებს და, განსაკუთრებით, შეედელ და ნორვეგიელ მმართველ წრეებს უარპყონ ქორები, ცილისწამება და დახმარება მანერპეიშის ბანდებისათვის. ასეთი ყოფაქცევის ნიშნებს, განსაკუთრებით წითელი არმიის წარმატებითი მოქმედებების უკანასკნელ დღეებში, უკვე ვხედავთ. შვეციის მეფეც-კი იწონებს თავისი მთავრობის პოლიტიკას თეთრფინელთა დახმარებაზე ხელის აღების შესახებ. ასევე უკან იბრუნებენ თავიანთ სიტყვებს ნორვეგიის მმართველი წრეები.

და უნდა ვუთხრათ ამ ვაჰბატონებს, რომ თუ ისინი შეასრულებენ თავიანთ სიტყვას ნეიტრალიტეტის შესახებ, ბევრს მოიგებენ, და არ ჩაეარდებიან პროლონელი პანებისა და მანერპეიშის ბანდების მდგომარეობაში.

ნუ დაივიწყებენ სოციალიზმის ქვეყნის მტრები სამოქალაქო ომის წლებში, ხასანის ტბასთან, მდინარე ხალხინ-გოლზე, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ველ-მინდვრებზე წითელი არმიისაგან მიღებულ გაკვეთილებს და იმ საბრძოლო მოქმედებას, რომელიც სწარმოებს მანერპეიშის ბანდებისაგან ფინელი ხალხის გასანთავისუფლებლად.

ყოველი მტერი, საიდანაც არ უნდა გამოჩნდეს იგი, თუ კი გაბედავს ჩვენი წმინდათა-წმინდა საზღვრების ხელყოფას, განადგურებული იქნება მისსავე საკუთარ ტერიტორიაზე და მაშინ იმას ვეღარ დაიხსნის ვერავითარი გამაგრებული პოზიცია, რის გაკვეთილდაც გამოდგება კარელიის ყელზე თეთრფინელთა ბანდების მიერ გამაგრებული ზონის გარღვევის ბრწყინვალე მოქმედება. ეს მოქმედება შეეა ომების ისტორიაში, როგორც სამხედრო ხელოვნების — სტალინური სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენების ნიმუში.

ასეთი სიმაგრეების წინაშე ინგლის-საფრანგეთის ჯარები უკვე თვის განმავლობაში უმოქმედოდ დგანან და არ წაწეულან წინ ანც ერთი მეტრით. წითელმა არმიამ-კი გამაგრებული ზონა რამდენიმე დღეში გადალახა, ამასთან ხელში ჩაიგდო: 509 სიმაგრე, აქედან 120 რკინა-ბეტონის მანქანაგორიო სიმაგრეა, რამდენიმე ასი ქვემეხი, ყუმბარმტყორცნი, რამდენიმე სხვა-სხვა ტყვიანობა. ჩამოგდებულ იქნა 200-ზე მეტი თვითმფრინავი.

ეს მოწმობს დიდი ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი წითელი არმიის უძლეველობას.



ომის გამწაღებელ ინგლის-საფრანგეთს, რომელიც ცდილობს მეორე სისხლიან ომში ახალი და ახალი ქვეყნების ჩაბმას, სურდა თავისი იმპერიალისტური ინტერესების დასაცავად ჩაეთრია სკანდინავიის ქვეყნებიც — შვეცია და ნორვეგია.

შვეციისა და ნორვეგიის წრეებში, რომლებიც მეთაურობენ რეაქციურ ხროვას, მხარი დაუჭირეს რა თავიანთ პატრონებს — ინგლის-საფრანგეთის აგრესორებს, მთელი თავიანთი ძალადონე მიმართეს იქითკენ, რომ მანერპეიშის თეთრგვარდიელთა ბანდებისთვის „ნებაყოფლობითი“ დახმარება აღმოეჩინათ.

მაგრამ, ალბათ, „გოროშვილოვეური კილოგრამების“ დამაჯერებელი წონა აიძულებს მათ პირდაპირ შეხედონ სინამდვილეს, აიძულებს შვეციისა და ნორვეგიის მმართველ წრეებს, უარი სთქვან თავიანთ განზრახვაზე, — აღარ იზიდავენ მათ იარაღის მოკლარუნე ბოლონელი პანის პერსპექტივა.

გონზე მოსულმა სკანდინაველებმა უკან დაიბრუნეს თავიანთი სიტყვები, გადაწყვიტეს — მტკიცედ დაიცვან ნეიტრალიტეტი. და უნდა ითქვას, რომ ამით ისინი, რასაკვირველია, უფრო მეტს მოაგებენ, ვიდრე ინგლის-საფრანგეთის ანტი-საბჭოთა ბლოკში „ნებაყოფლობითი“ მონაწილეობით.

ბოლშევიკები არასოდეს არ ნებდებიან — ეს წითელი არმიის მეტროპოლითა კანონად გადაიქცა. ყოველგვარ, ერთის შეხედვით, უაღრესად გამოუვალ მდგომარეობიდან ისინი ყოველთვის ეძებენ გამოსავალს.

უმცროსი მეთაურის მეთოდი კოზლიტინის ტანკმა, სამურაებთან ბრძოლის დროს, მიიღო დავალება — გაენადგურებინა მტრის ბატარეა. ტანკისტები მიეპარნენ ბატარეას, უეცარი სროლით თავს დაესხნენ და გაანადგურეს, მაგრამ გაჩნდნენ მტრის ტანკები. მედგარი ცეცხლით კოზლიტინმა წყობიდან გამოიყვანა მტრის ორი ტანკი და საომარი საქურველით სავსე მანქანა. ტანკებს იქით კოზლიტინი თავს დაესხა ქვეითა ჯარს და შეიჭრა მტრის სიღრმეში. ტანკისტები არაერთხელ შეეტაკნენ მტრის არტილერიასა და ქვეითა ჯარს როცა არტილერიის ცეცხლით დაზიანებული ტანკი წყობიდან გამოვიდა, სიბჭოთა სამი მამაცი პატრონი ქვეითად განაგრძობდა ბრძოლას უპუროდ და უწყლოდ, ოთხი ხელყუმბარით და ორი ნაგანით დარჩნენ ტანკისტები.

ოთხი დღე-ღამე, სიცივისაგან გატანჯული ტანკისტები იბრძოდნენ მტრის ზურგში, უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდნენ, რათა შორიდან შემოეგლოთ ფრონტის ხაზისთვის. მეოთხე დღეს მშვიერ-მწყურვალთ, სანგრებში წოლისას, კონსერვის ქილებს შორის იპოვნეს ქვიშაში ჩაფლული პურის რამდენიმე ნა-

ტები. წყურვილით ეხოცებოდნენ. მექანიკოს-წამყვანმა პუჩკოვმა იპოვა დაკუ-
ლტული ქვაბუნა და წყლის მოსატანად გაემართა. დაბრუნებისას ის შეხვნიდა
ჯარისკაცმა, რომელიც გატრიალდა და მიიმალა. კოზლიტინი და მისი ამბა-
ნაგები „სტუმრებისაგან“ თავდაცვისათვის მოლოდინში მოემზადნენ. მალევე
მოჩნდა 12 ჯარისკაცი, წყნარად მოცოცავდნენ სანგრისკენ. ნაგანით კოზლი-
ტინმა მოკლა ოფიცერი; სამი ხელყუმბართი მოსპეს დანარჩენებიც. მეზუთე
დღეს გამოცხადდნენ ისინი თავიანთ ნაწილში. შტაბში მისვლისას კოზლი-
ტინმა ამოშალა თავისი სახელი და გვარი დაღუპულთა სიიდან.

— ბოლშევიკები არასოდეს არ ნებდებიან, — სთქვა მან, — ჩვენ ჯერ კი-
დე ვიბრძობებით!

საბჭოთა კავშირის გმირის სახელმა დაამშვენა ეს თავმდაბალი უმცროსი
მეთაური, რომლის რკინისებურმა ნებისყოფამ გადალახა ყველა დაბრკოლება
მიზნისკენ მიმავალ გზაზე.

ფინელი ხალხის ჯალათებთან ბრძოლაში მონაწილე საბჭოთა კავშირის
გმირთა შორის არიან ახალგაზრდა წითელარმიელებიც და უფროსი მეთაუ-
რებიც, სამოქალაქო ომის მონაწილენი.

აი 23 წლის კომკავშირელი დანაყოფის მეთაური, არტილერისტი გრიგოლ
ლაპტევი. თეთრგვარდიელთა მიერ გარშემორტყმული ის მარტო დარჩა ქვე-
მეტან, მაგრამ არ შემდრკალა და პირდაპირი სროლით განაგრძობდა მტრის
ბანდების ვლეტას. გრიგოლ ლაპტევმა 19-ჯერ ვაისროლა ქვემეხი, გაანადგუ-
რა თეთრფინელნი და შეინარჩუნა თავისი ქვემეხი.

შესანიშნავი გმირები წამოაყენეს თავიანთ რიგებიდან ყველა სახეობის
იარაღის მებრძოლებმა. განსაკუთრებული გმირობის მაგალითი გამოიჩინა, შემ-
მუსვრელი იერიშის შესანიშნავმა ოსტატმა, თეთრფინელთა რისხვამ — ქვეი-
თი ჯარის კაპიტანმა ნ. ს. უგრიუმოვმა. უკვდავი გმირობა ჩაიდინა სატანკო
ათეულის მეთაურმა, უმცროსმა ლეიტენანტმა ნიკოლოზ კიჩიგინმა. მტრის
ცეცხლის ქვეშ სისხლისგან დაცლილმა, ცეცხლწაქიდებულ ტანკიდან გამოიყ-
ვანა თავისი დაჭრილი 6 ამბანავი და 6 საათის განმავლობაში ხელყუმბარე-
ბით იგერიებდა მტერს. გმირულად ებრძოდა მტრის გამანადგურებლებს მსრო-
ლელი-რადისტი ვასილი ბაზვალოვი. მტრის იერიშის მოგერიებისას ის ისროდა
უკანასკნელ ვაზნამდის. ფეხში დაჭრილი ბაზვალოვი დაზიანებული პარაშუ-
ტით გადმოშტა ცეცხლწაქიდებული თვითმფრინავიდან. დაეშვა რა მტრის
ზურგში, მან მოახერხა თავის ჯარებთან მისვლა.

შესანიშნავი გმირობა ჩაიდინა მესანგრე წითელარმიელმა ნიკოლოზ ნი-
კიტინმა, რომელიც ვზას უკავადედა ჩვენს ქვეითა ლაშქარსა და ტანკებს. მტრის
ტყვიების ზუზუნ ქვეშ, ხიფათის მიუხედავად, ის ჰკავადედა გასასვლელებს
ეკლიანი მავთულების ღობურებში.

ასეთივე მამაცობა და ვეჯაცობა პირისისლიანი მანერპეიმის განხეცებულ
ბანდებთან ბრძოლაში გამოიჩინეს წითელი არმიის სხვა გმირებმა. ისინი ვაჟ
ბედულად და უშიშრად ანადგურებდნენ ფინელ თეთრგვარდიელებს, ინგლის-
სატრანგეთის იმპერიალიზმის დაჭირავებულ ბანდიტებს. მათ საქმით გაამართ-
ლეს წითელი არმიის ბელადის ამბანავ ეოროშილოვის სიტყვები:

სტალინის სახელით ლენინგრადის ოლქის ნაწილები აწარმოებენ ბრძოლას, იცავენ რა ლენინგრადთან მისასვლელებს და ანთავის უფლებებს რა ფინელ ხალხს მათი დამმონებლებისაგან.

ვერცხული
ზიხლიჩოსეა



წითელი არმია სტალინის სახელით მიდიოდა ბრძოლაში და იმარჯვებდა. წითელი არმია სტალინის სახელით დაამარცხებს ყოველგვარ მტერს, რომელიც გაბედავს სოციალიზმის ქვეყანაზე თავდასხმას.

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარი, როგორც მუშურ-გლეხური წითელი არმიის ერთ-ერთი რაზმთაგანი, ფზიზლად აღევენებს თვალყურს სოციალისტურ საზღვრებს და მზადაა სოციალიზმის ქვეყნის პირველ დაძახებაზე სტალინის სახელით შეუტოს ყოველგვარ მტერს და გაანადგუროს იგი მისსავე საკუთარ ტერიტორიაზე.

ქართველი ხალხი სტალინის სახელით კვლავ განაგრძობს თავის ძლევაშოსილ გზას და უფრო მეტად განამტკიცებს ინტერნაციონალურ მეგობრობას დიადი საბჭოთა კავშირის ხალხებთან.

ალ. აბაშელი

შუქი გაუქრობელი

არის ერთი სახელი
გულში ამღერებული,
ტკბილი და საამური,
როგორც ტრფობის აღმერი,
როგორც შეყვარებული
გულის ჩუმი ძახილი.
გულში ამღერებული
არის ერთი სახელი.

ეს სახელი შუქია
მარად გაუქრობელი,
ის ჩვენ ფიქრებს თანა სდევს,
ის ჩვენ გვათობს, გვანათებს,
შუბა თუ ქარბუქია,
ჩვენ მისი ვართ მზომბელი.
მთელ ქვეყანას უქია
ამ სახელის მფლობელი.

შავ ღამესთან ბრძოლაში
ის ეძახდა განთიადს,
ის ჩვენს სათქმელს ამბობდა,
ღამეს რომ მიაბობდა,
ელვარებდა ფოლადში,
ჩრდილი გაუფანტია.
ის ამ ლექსის ბოლოში
სანთელივით ანთია.
ის ცისკიდის ბზინვა
დილის გამოყვანაზე,
მს დაფი და ქნარია,
ის წამყვანი ქარია,
ის ტუტუნა წვიმა
ამწვანებულ ყანაზე.
ის ყველაზე წინაა
ამ ფრთიან ქვეყანაზე.

ბაღში იხსამანი
 სასოებით რგულია.
 ეს სახელიც ასეა:
 საყვარულით სავსეა.
 ჩემი ხოტბის საგანი
 უნაკლო და სრულია,
 მისი თბილი სავანე
 ჩვენი ხალხის გულია.



ქვაში ცეცხლი ჩამდგარა,
 ვწინავე ამასწინათა:
 ცეცხლი როგორ გაქვავდა?
 ცეცხლი როგორ აყვავდა?
 თითქოს არა ჩანდა-რა,
 გავკარ კვესი — ინათა,
 თითქოს არა ჩანდა-რა,
 თურმე ქვაში სძინავდა.

ტალი ქვაა მაგარი,
 რკინას დაეჯახება.
 ბრძოლა საამურია,
 თუ სინათლე გწყურია!
 ის სახელიც აქ არი,
 როცა ცეცხლი ჩაღდება,
 როცა მზის ნიაღვარი
 გულის ძარღვში ჩაღდება.

შუქი გაუჭრობელი
 მიწის მწვერვალს მიაღვა.
 არ დაცხრება ფოლადი
 ლამის ამოქოლევამდი.
 და ჰა, ჩრდილთა მპყრობელი
 გაქრა და განიავდა,
 რადგან ცეცხლის მშობელი
 კვესავს ტალღი ნიაღვ!

ს ი ს კ ა რ ი

რომანი *)

ნაწილი მეორე

1.

ვანო ჯან-ღონით თანდათან აივსო. მალე ისე დაეაჯაკცა, რომ ქაბუ-
კურად დანჯღრეული ხმა დაეწმინდა და აქა-იქ სასაცილოდ ავინგლული ულ-
ვაშებიც კობტად დაუშვეწენდა.

თავისი ახლად გაფურჩქვნილი ყმაწვილკაცობით თავი იმასაც დიდად
მოსწონდა. ცდილობდა როგორმე დარდიმანდ ამფსონებში არც ის გამოწყვე-
ტილიყო, კობტად იცვამდა, კობტად ეხურა და არც ერთ ქორწილსა და ობას
არ აკლდებოდა.

ქუჩაში რომ ჩაივლიდა, უბნის ვასათხოვარ გოგოებს სულ ელეთ-მელეთი
მოსდიოდათ, მაგრამ ოქროსხელებიანი ქარგალი აინუნშიაც არ ავდებდა იმათი
ეშინ თვალთა ნაბვას, რადგან მის ნორჩსა და გამოუცდელ გულს სიყრმი-
დანვე სულ სხვა ვინმე დაუფლებოდა.

საკოლედ შელერებული ბიჭის აჩენაზე უბნის განთქმული მაქანკლებიც
ჯარასავით დატრიალდნენ, მაგრამ ახალგაზდა ქარგალი ბაიბურშიც არ
იყო. მუშაობდა თავისთვის და ასე ეგონა, რომ ქუჩაში გამლღვალი ლითონი
გულნარას ტანივით მწველად თრთოდა, მისი გულმკერდივით ამაღლევებლად
იბურცებოდა. მუშაობდა და თან სულ იმას ზრუნავდა, რომ ნიეთი, რომელ-
საც აკეთებდა, რაც შეიძლება, შნოიანი ყოფილიყო და მისი სახელისა და
შემკვეთლის საფერო.

მის ოსტატს ცხოვრება იმდენად გაუჭირდა, რომ, სხვაგზა არ იყო, სახე-
ლოსნოს გვერდით დუქანიც ვახსნა და თავის მზა ნიეთებთან ერთად გარმი-
წული ოქროვლითაც იწყო ვაჭრობა.

დღესა და ღამეს ერთიმეორეზე ასწორებდა, მუშაობით ღამის არის,
წელში გაწყდა კაცი და, თუმცა არა გამოდიოდა რა, მაგრამ ებტიბარს მაინც
არ იტებდა,—დაკარგული შვილის მოლოდინი გულს იმედებით უცესებდა.

საქმეს ხომ თვითონ აკლავდა თავსა, ახლა ვანოსაც არა ზოგავდა. მზა
ყალიბებით სულ ერთნაირ ნიეთებზე ამუშავებდა და ასე,—თანდათან ქრე-
ბოდა, იკარგებოდა მისი ხელის შნო და ზინეთი.

თუ უწინ ამბობდა: „კარგი ოსტატი მუშტარს თავის გემოზე უნდა ატა-
რებდესო“, ახლა პირიქით იქცეოდა და ხელი მაინც ეცარებოდა.

*) ვაგრძელება. იხ. „შნათობი“ № 1 და 2.

ამ კულა აზნაურებისა და აფიცრების ნისიებმაც ხომ სულ გააჭირებს საქმე. ძმომ, ნისია რა სინდისია, ნაღღზე ივაჭრე, წესი ისეა, — მაგრამ ვის ესმოდა, გაპქონდათ და გაპქონდათ! დალოცვილებმა გატანა იცოდნენ, შიშისაგანა.

2.

აპრილი თანდათან ძალაში შედიოდა.

საგაზაფხულოდ აყვავებული ბაღები ამქართა სადღესასწაულო არიფანებით ახმაურდნენ და ხელოსანთა მარაქას სული ახალი და ახალი ოსტატები ემატებოდნენ.

სახელმა და ხალხის ქებას წააქეზა ვანო, ვულსაც ქაილი იმდენად შეჰმატა, რომ ერთ დღეს თავისი საგანგებო ნახელავი ამქარში გასასინჯად მიიტანა.

შიომ თავისი შეგირდის ნამუშევარს ჯერ შორიდან გახედა მიზეზიანად და მისი ეში თვალში ისე წარმტაცად მოხვდა, რომ ახლოს მისვლაც იკადრა. ხენვით, მიიმე სუნთქვით ნიეთის ყოველი მზარე წვლილად გასინჯა, ყოველ წვრილმანს კარგად დააკვირდა, ზედმიწევნით შეისწავლა და უკან გაოცებით დაიწია, — ისევე შორიდან გახედა. რაც უფრო მეტად აკვირდებოდა, მით უფრო და უფრო იხიბლებოდა.

ხმის ამოუღებლად იქვე, სკამზე, ჩამოჯდა. კმაყოფილება რომ არ გაემკლავებინა, ერთი ხმამალა ჩაახველა და მით სთქვა ყველაფერი.

ნიეთი შართლაც საუცხოოდ იყო ნამუშევარი.

შიო მას პირველად ხედავდა. ეწყინა კიდევ მისი ამგვარი გულჩახურულობა, მაგრამ არა სთქვა-რა. ალბათ, ღამით მის ნამალავად თუ უკეთებია იგი, და თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა.

ჭარგალმა ოსტატს პირი დამნაშავესავით ააჩიდა, მაგრამ სიხარულით ამგვრებული გული ყელში მანაც მოაწვა, რადგან იგრძნო, რომ უფროსს ნიეთი დიდად მოეწონა.

მერთალ იისფერ საფირონის წახნაგოვან ტინზე ოქროს მეთევზე ლაღად იწვა და მიღუშული, თვალდახუტული ოცნებად წასულყო.

ერთის დახედვით, არა სჩანდა, მაგრამ მანაც იგრძნობოდა ზღვის უნაპირო სიფრცეები, ტალღათ ხმაური და მზის მცხუნვარება.

აშეფებულ ტალღასთან ერთად ნაპირზე მოხეტქებულ ოქროსავე სირინოსი ხელებზე წამოყრდნობილიყო, მღეროდა და ტკბილად დახნედილი ვიჟკაცი სიყვარულით ივსებოდა.

უცხოდ ნაქსოვი ოქროს ბადეც წყალში ნაოქებად ჩაშლილიყო და, ბერარამ შიგ გახლართულ თევზქალს რომ დახედა, შეკრთა, ნიეთი კინალამ ხელში გაუფარდა. ზღვის ასული მისი აზიზად ნაზარდი გულნარა იყო. ამ სატილზე ბიქს მისი სახე ისე სათუთად, იმდენი სიყვარულით, ნატკრითა და გატაცებით ექანდაკებინა, რომ ის თავისი ძველი სამღურავი მაშინვე დაავიწყდა. ყველაფერში თავდაუტყერელმა თავი ახლაც ვერ დაიჭირა. სიხარულით თვალგაბრწყინებულმა ნიეთი წინ დაიდო და ისიც მეთევზესავით დამტკბარი, ნეტარებაში წასული, გატაცებული ღიმილით უსმენდა, თუ როგორი თავდავიწყებით გალობდა იმისი მოხუცი გულის გამზარებელი შვილი. თვითონაც

ბადით შეპყრობილ სიმღერასავეით იყო და თითქოს უხაროდა, უხაროდა, რომ დაატყვევეს და მით მის დაუოკებელ ნაგარდს ზღვარი დაუდეს.

არც ღარაშვილი მაღავედა თავის კმაყოფილებას, სახეზე ამწყვდობდას. ასევე დაძნაობდა.

ეს საფირონი მან ამას წინათ, როგორც უვარგისი რამ, ნაგვის ყუთში გადააგდო. ვანოს იჭიდან ამოეტანა და ასე გაუთლელი, გაუშანდაგებელი იმნაირად დაეყენებინა, თითქოს ბუნებას შოლოდ ამისთვის გაეჩინა.

მიზეზიანმა უსტაბაშმა, იგიობაშმა და ამქრის საპატიო ახსაკალემა ნამუშევარს წუნი ვერ დასდეს და შიოსაც რა ძალა ჰქონდა, ადგა და კურთხევას დაყაბულდა.

— იობის მოთმინება გქონდეს!—დადგა ლოცვად და გრძობა-მორეულს გული ერთბაშად ამოუჯდა, თვალი ცრემლით აევსო. — დაილოცე ივრე, როგორც დედამისის გული გლოცავდა. მამა ამრაამის გულდა დაგვეს და ბარაქა-წუთისოვლის შეილება ვართ, ჩვენ წავალთ, სხვა დარჩება. არ ითაღლითო, ეგ შენი მადლიანი მარჯვენაც არ გაიფუჭო. სახელის გატეხას თავის გატეხა გერჩინოს. კოქსა, ბანქოსა და ლოთობას არ აძვევ, — ყველა ესეები დიდი სიწუწუკია. ყომარბაზი კაცი ქორწილშიც ხელცარიელი ივლის. გავიხმეს ეგ მარჯვენა, თუ ხელი გაიმრუღო! შენ, ვანოჯან, ესლა ჩენი ჰამქრის კაცი ხარ, ჩენი ამზანავი, რალა და, ეე, ოჯახიცა და სახელიც სამუდამოდ ნამუსიანად უნდა ატარო. მუცელს ნურც აღორებ, ნურც აქორებ! შეილიც შენი ხელობის გზაზე დააყენე და ჰამქრის კვლობაზე გაატარე. შეგირდესაც ივრე მოექექც, როგორც შენ გექცეოდით და საიჭიოს, ცოდო-მადლის მოკითხვის დროს, ყველამ ივრე ვსთქოთ: ღმერთოო, ესეც ჩენი შეგირდებით შენთან მოვსულვართ, ქუდიცა და ულვაშიც ნამუსით გვიტარებია, ესლა გავცილე ეგ სამოთხის კარი და შეგვიშვი, რალა, ამინ!—ამ სიტყვებით თავდაბრილ ვაჟაკს ორივე ცერი ცალ ხელში დაუჭირა, მეორეთი ჯერ მარჯვენა ლოყაში გააწინა სილა, მერე მარცხენაში და, ბოლოს, ისევ მარჯვენაში რომ გაულაწუნა ხელუკულმა, საწყალ ბიჭს სიმწარისაგან წუთით თვალი დაუბნელდა.

ეს შეგირდობის უკანასკნელი ვალის მოხდა იყო.

გასილაქების შემდეგ ოსტატი, როგორც სწორი სწორს, ჯერ შუბლში ემბზორა და მერე მარჯვენაში. ვანო მაშინვე დაიხარა და მადლობის ნიშნად, აღას ხელზე რომ ჰკოცნიდა, უსტაბაშმა წელზე აბრეშუმის ბაღდადი შემოახვიდა.

ამქარმაც სამპირი ზურნის ქვეტიწიში დროშები ააფრიალა და, უბანი სამგზის რომ შემოიარეს, პირდაპირ კრწანისის ბაღებისაკენ გაემართნენ.

აიგნები, ბანები ხალხით აივსო, ქუჩაში გამველენი ჩერდებოდნენ და ახალ ოსტატს ხელის ქნევით სალამს აძლევდნენ.

ამ ფრიამულზე ბანზე გულნარაც აიჭრა და, ვანოს რომ მოჰკრა თვალი, თავი ვერც იმან შეიკავა. ლეჩაქი მოიგლიჯა და ეშხიანი ღიმილით დაუქნია. ახალგაზრდა ოსტატს გული სიხარულით აივსო. თავდაბრილმა მას წინ მოკრძალებით ჩაიარა.

ბაღში სამღეთო დაჰკლეს.

მზარეულებმა შილაფლაღი მოამზადეს და უბნის ლარბი-ლტაკებს მტკთად ჩამოურთივეს. ერთი მოზრდილი ქვაბი თავისი ჯვარიძმის, ლევაშებით პატიმრებსაც გაუგზავნეს ციხეში.

სამი დღე იქეიფა ვანო ხანდამაშვილმა, სამი დღე იარა ლალად და ბედნიერი მამა მოსწრებულ შვილს სულ თავს დასტრიალებდა, წუთით ვერ ელეოდა.

ცასავით განივრად გაშლილ ლურჯ სუფრას თავლის სანთლები ვარსკვლავებივით დაჰქათქათებდნენ და ზედ, თეფშების მაგიერ, ახლად გაკვირტული მწვანე ტოტები ეყარა.

პირველი დღე დალოცვის დღე იყო და უფროს-უმცროსები ყველანი ერთად ქეიფობდნენ, მეორე დღეს მხოლოდ უფროსნი ღრვობდნენ, მესამე დღეს ნამცეცობა იყო და ახალგაზდებმაც მოინამცეცეს რჯულზე.

სალამო ხანს მოქეიფებმა ისევ აანთეს კელაპტრები, თაიგულებითა და ზურნის ქიჰყინით ბალიდან გამოვიდნენ და ახლა სახელოსნოს წინ გაშალეს ახალთახალი ლურჯი სუფრა.

მთელი ღამე იმღერეს, იცეკვეს. იყო ყიყინა, მზიარულება და თუ იქ, ბაღად გამართულ ლხინში, პირველი სადღეგრძელოებით გარდაცვლილი დიდი ოსტატები მოიგონეს და მათი სულის შესანდობრად ღვინით სავსე სველ ხელადებს თავი პურზე წაუქციეს, ახლა აქ, გადამთვრალნი და გალალბულნი, სუფრის ლაზათს ველარ იცავდნენ. იყო ერთი ვაი-უშველებელი, ღრიანცელი, არეულობა და, ბოლოს, ტკბილად შეყოლილი ნადიმი აყალმყალითაც დაასრულეს.

თედო ჯავარაშვილი ოსტატად კურთხევის ღირსად ამქარმა არც წლებულს იცნო და შურით ავსებულმა ეს აყალმყალი გამოიწვია.

მეორე დღით, სანამ ვანო მუშაობას დაიწყებდა, იმდენად გაკანდიერდა, რომ გადასწყვიტა, ოსტატისთვის თავისი გულის ნადები გაემზილა.

— აღაჯან!—დაიწყო ნაღვინარზე დაბოხებული ხმით და მეტი სიმტკიცისათვის დაბლს მჭიდროდ ჩამოეყრდნო. — მე ვგრე ვერ ვიმუშავებ...

მერე მეტი დამაჯერებლობისათვის ხმას ოდნავ აუწია და ენის სარფად თათრულიც წამოიშველია:

— ოლმაზ, უსტაჯან, ოლმაზ! მე ვმუშაობ, ჩემი ნამუშევარი მუშტრის მოლოდინში თარობებზე თვეობითა ყრია. ყრია და გული მიკვდება. დაკვეთით მამუშავე, ძია, დაკვეთით. მუშტარს თვალდათვალ რო ვხედავ, გული საგულესა მაქვს და ნივთსაც მეტი ხალისით ვაკეთებ. ვიცი ვინ უნდა ატაროს, რა კაცია და უზურშიც რა ყაიდისა მოუვა. ეგეთ მუშაობას გემოცა აქვს და მადლიც. აქ კი ზეპირად უნდა ვიმუშაეო, ჰალაალად, რალა!

ღარაშვილმა ნედლი ოსტატის თამამი სიტყვები სამი დღის ქეიფს დააბრალა, მაგრამ რომ დააკვირდა, იმისი ხელის მადლიც გაითვალისწინა, მიხვდა, რომ მართლაც აფსუსი იყო მისი მარჯვენა. სანამ ის თავის სახელოსნოს გახსნას შესძლებდა, სანამ გზასაც თავისას დაადგებოდა, ადგა და, სურვილი-სამებრ, პირად დაკვეთებზე გადაიყვანა.

3.



ზაფხულიც დადგა.

შუადღის მზე რომ დააჭერდა და პაპანაჭებისაგან სკასპეზის სსსწრე ტანტუ-ლი პაერი სულის შემუთავად გარინდებოდა, შევირდები და ნოქრები სუ-რა-ლიტრებით რწყავდნენ ფილაქნებს.

ქუჩები მიწყნარდებოდა. სიციხით დაოსებული ხალხი ჩრდილ-ჩეროვებში მილაგდებოდა და გვალვიან დუმილში გოდებასავით მოისმოდა დნგრა მება-ლის გულამოსკენილი გუფუნო

— პაი, წიწმატი, ბოლოკი, ტარხუნა მოსულა!

მუშტარიც ნელნელა ილეოდა.

სიციხით დაოსებულ ადებს დუქნების წინ მუტეულზე ხელები შემოეწყობოდა და სკამის საშურგეზე თავგადაგდებულებს წასთვლემოდათ.

ამ ალაოში ყველაფერი გარინდებულყო. მხოლოდ მუდამ ცელქად აქ-ლივილებული ბედურები არ ისვენებდნენ. რიყის ქვით ნაგებ აგურის ფაიებიან კედლის ღრუებში მყუდროდ შემსხდარიყვნენ და მიანც ქივიეებდნენ. ბო-ლოს, ისინიც დასცხრნენ, მიყუჩნდნენ და, მაღალი შუადღის ძილქუშიც რომ ჩამოწვა, ზეატთან დუმილში ცხენები შემოგრილდნენ.

ხმაურმა ყველა გამოაღვიზლა. ნამძინარეე თვალთა შმუშვნით ქუჩას ყვე-ლამ ზანტად გახედა.

რიყის ქვით ნაფენსა და ფარდულებით დაჩრდილულ ვიწრო მოსახვევში ეტლი ნჯღრევით, კრაქუნით შემოვიდა.

— ხაბარდაა! ხაბარდაა!—ყვიროდა მეეტლე ისე კირვეულად, თითქოს ქუჩაში ტევა მართლა არ იყო.

მას ღრქენით, სიცილით საცვლის ამარა სულელი ალექსანდრე ფებშიშ-ველი ტანტალით მოსდევდა. ეტლს უკანიდან ახტებოდა, მაგრამ წითლად შედებილ ზამბარებზე თავს ვერ იმაგრებდა, ძირს ვარდებოდა. მტვერში ამოგანგლული კვლავ დგებოდა და კვლავ მისდევდა. თან იმანქებოდა, იგრი-ხებოდა და ისევ მოხტომას ლამობდა.

— ზადი კნუ-უტ! ზადი კნუ-უტ!—აფორიაქდა ერთ წუთში მთელი ბა-ზარი.

— ალექსანდრე მოუსვი-ი! ალექსანდრე ტუტუ-უც!—ატყდა სიცილ-ხარ-ხარი, ღრიანცელი, მაგრამ უცებ გაჩქურდნენ, ენა მუტელში ჩაუფარდათ, — ეტლში ზოქაული იჯდა, იმასაც ალექსანდრე ერქვა.

— ხაბარდა-ა! ხაბარდა-ა!— ისევ ყვიროდა მეეტლე, თუმცა ქუჩაში სა-ხაბარდო ისევ არაფერი იყო და აფორიაქებული მტვერი ცაში კორიანტელად აღიოდა.

დუქნებიდან, სახელოსნოებიდან ხალხი გარეთ გამოცვივდა, აივნებზე, ბა-ნებზე ქალ-ბაღნი გამოიფინენ.

ეტლი ისევ მიჰქროდა და გზად შემოხვედრილი ყურთმაჯიანი თავადი-შვილები საეარძელში ხარივით გადაბღენძილ ალექსანდრე ბოქაულს მდაბ-ლად მიესალმებოდნენ, — ისინიც ერთ ადგილას შეშდებოდნენ.

წვერ-მოშვებულმა ახალგაზრდებმა ეტლს პირი განზრახ აარიდეს, მაგრამ გაოცებულნი ისევ შემობრუნდნენ, — ბოქაულს წინ შავმუნდირიანი გარადო-

ვოი უჯდა და თან შიო დარაშვილის ციმბირში დაკარგული შვილი მოჰყავდათ.

მოხუც შიოს არც პოლიციელებისთვის და არც ხალხთაგანგანგებულ ეზოსახლისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ღმუილით, ყვირილით, ცრუდანიამოვარდნილ პირშეოს ყელზე გადაეკვლო და ხან გიჟივით იცინოდა, ხან ტიროდა, — სიხარულით კინაღამ ჰკუაზე შეიშალა.

საწყალი კაცისათვის ეს ამბავი სახელოსნოში ეხარებინათ, ჯერ არ დაეჯერებინა. ბოლოს, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერი მიეყარა და მეშის ფეშტამალ მოუხსნელი და დაუბანელი სახელოსნოდან გიჟივით გამოვარდნილიყო. ახლა ხელში შერჩენილ სიმჭაშს აქეთ-იქით უაზროდ იჭნევედა. შვილის ნახვას დაღირსებული ალერსით ვერა ძღებოდა, ისევ კოცნიდა, ისევ ღმუოდა და იცინოდა. მერე დაოსებულნი, სიხარულისაგან არაჭათავალილი სულის ნოსაბრუნებლად წუთით მოშორდა და მხოლოდ მაშინ შეამჩნია ხელში უაზროდ შერჩენილი სიმჭაში. მოუთმენლად იქით ისროლა, ფეშტამალიც შეიხსნა და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყო, — ისევ ხვევნა, ისევ კოცნა და ტირილი.

— ჩემო შვილო, სიზმარია თუ მოჩვენება? მოხველ, ბიჭო, მართლა მოხველ? შენ სახლში მოხველ, ბიჭო? მითხარ, თორემ გცემ, ბიჭო! სიყმის მწემ, გცემ! — ყურის წამლებად ღრიალებდა, ხოლო მისი მაცქერალი ხალხით ცოცხით იწოდა.

— შინ შემო, ბიჭო, შინა! — და ეზოში შემდგარ ოთარს შინისაკენ ეწეოდა. ხელს არ უშვებდა, თითქოს ეშინოდა, ისევ არ მომტაცონო. პიჯაკის კალთაში ჩაფრენილი კბეზე აუძღვა და, შვილი შინ რომ დაიგულა, ირგვლივ უსაენოდ მიმოიხედა.

გაუთავებელი ალერსით, მღელვარებითა და მგზავრობით დაღლილმა ოთარმა ჭალადისფერი გამზდარი ხელი შუბლზე კანკალით გადაისვა. ისედაც ფერმიხდილსა და დაქანცულს ფერი სულ დაეკარგა და იქვე სუზანგადაფარებულ სკამლოგინზე ჩამოჯდა. ლოყა-ტუჩები წითლად აფორეჯებოდა, მაგრამ ბედნიერი მამა ვერას ამჩნევდა, კვლავ ჰკოცნიდა, კვლავ ტიროდა და კვლავ ბუტბუტებდა რაღაც აბდაუბდას.

— ოთარ, ბიჭო! ოთარ, შე უღმერთოვ, შენა! ჩემო დამლუპველო და ჩემო სიხარულო შვილო! ნამდვილი ხარ, თუ მოჩვენება? ნამდვილი ხარ, თუ სიზმარი? ფუი შენს ვაჟეკობას! უღმერთო ყოფილხარ და არ ვიცოდი! მოდი, შვილო, მოდი, ერთხელ კიდე მოგვხვით! ჩემი ღვიძლი ხარ, ჩემი შვილი ხარ! — იძახდა შესულივით და ხელებს განივრად რომ შლიდა, გაოცებასა ნიშნავდა, მუხლის თავებზე რომ იცემდა, ესეც გაკვირებას ნიშნავდა. ცრემლიან თვალებს ხელებით იშუშუნინდა, — თავისი ბედნიერება თვითონვე არა სჯეროდა. მერე ერთბაშად გაახსენდა, შუბლში ხელი ვაირტყა და თავისი ჯალბის ოთახისაკენ ყვირილით გაქანდა: — ფეფო. დედაკაცო! ფეფო, ჩემო ჯალბო! ჩვენი შვილი, ჩვენი ოთარი ჩამოგვივიდა!

შედგა.

ერთბაშად აბალგაზდობა გაახსენდა, თავისი ჯეელობა, როცა ოთარი მორბედი იყო და ბრძანების კილოთი დაიძახა:

—ოთარ, ბიჭო, ერთი ცივი წყალი დამალეინე! — და თავისი სიტყვების უცნაურობაზე თვითონვე გაღიზიანდა:—გავეციდი, ბიჭო, ხო ხელაფ, რომ გავციდი!—და მართლა გაცივით ხარხარებდა.

ფეფო თავის ოთახში იატაკზე უგონოდ ეგდო, —სიხარულით ვეწივს შეგლონებოდა და შიო წყალს რომ თხოულობდა, მეზობლებს ეგონათ, ალბათ, იმისთვის თუ უნდაო, მაგრამ ეს უაზრო ხარხარი რალას ნიშნავდა, ვერ გავგოთ.

დნგრამ სპილენძის ლულეინით მაშინვე წყალი მოარბენინა და სახეში რომ ასხურა, მოხუცი შეერთა.

თვალეზი მშვიდად გაახილა.

გონს რომ მოვიდა, ერთი გულის გამგვირავი ხმით ცივად დაიწვილა და შეიღისაკენ მკლავგაშლილი გაქანდა.

ოთარი ისე მოსწყდა ამ წივილზე, რომ წელი მალლა ვერ აიტანა და, როცა დედა თავისით ჩაუვარდა კალთაში, გულში მხურვალედ ჩაიკრა, ორივენი ბედნიერნი, თავდავიწყებულნი, ტკბილად გაეუჩნდნენ.

ბოჭალმა ერთბაშად ისარგებლა ჩამოვარდნილი მყუდროებით და ირგვლივ შემოკრებილთ რისხვით გადახედა:

— აი... ჩამიბარებია...—დაიწყო ისე, თითქოს ოსტატს კი არა, ხალხს მიმართავდა.—ღიახ, ღიახ! მაგრამ ფრთხილად, ფრთხილად! ციცი!—დაამუნათა თითის ქნევით და ისევ განაგრძო:—თორემ პასუხს არ ვაგებ! Ни за что! Ни за что! ხომ გაიგეთ? თორემ კვლავ ციციბირი, ციხეები და ვინ იცის...— მაგრამ შიომ სიტყვის დასრულება არ აცალა, ხმა იმ წუთსავე ჩააწყვეტინა: უბოღიშოდ ცალკე გაიყვანა და მუნდირის ყოშში ცისფერი ქალაღის ოცდაზუთმანეთიანი ფრთხილად ჩაუყვცა.

4.

შუალამეს გადავიდა.

ოთარ დარაშვილს არ ეძინა.

მტკვრის დუღუნი საამოდ მოისმოდა და ოთახში კითხვა კიდევ უფრო ტკბილი იყო და გონების გამართობელი.

მაგიდაზე, თაროებზე, სვამებზე, ლოგინზე,—ყველგან წიგნები ეყარა. ზოგი გაშლილი, ზოგი გაუშლელი. კარადებსა და განჯინებს საკეტავ ჩარჩოებზე გერ ისევ ეტყობოდა დანით ანაფხეკი პოლიციის ბეჭდის წითელი ნალექარი. ლამპის ირგვლივ ფარვანები ფართქალებდნენ, იწვოდნენ, ბზუოდნენ და ფრთამეტქსულნი გადაშლილ წიგნზე ფერფლად ცვივოდნენ.

უცებ ღია კარებში ერთი გზააბნეული აშარი კალია შემოიჭრა, ლამპას ყაჩაღივით დაეძგერა, ზედ ასხლტკბილი კედელს ხმაურობით დაეჯახა და საკინძე მოღვლილ ოთარს კისრის ქვეშ ჩაუვარდა. შემკრთალმა წიგნი იქით მიიგდო.—გამოერკვა.

მტკვრის დუღუნს ყური მიუგდო.

წამოდგა.

ოთახში განიერი ლაჯებით გაიარ-გამოიარა. თავისი რიტმიული რხევით მესხიერებაში ჩარჩენილი ბარათაშვილის სტრიქონები ოდნავ გასაგონად წარმოსთქვა:

„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი,
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!“

მტკვარზე გადაკიდულ აივნიდან ბნელად ჩახერგილ ქვეყანას უბრალოდ, —
ყველას ეძინა. აქაიქ კიდევ ციმციმებდნენ სინათლეები.

ქვეყანას ეძინა, მხოლოდ მუდამ დაუდევარი და ტკბილად მოდუღუნე
მტკვარი სულიერივით ჩაწოლილიყო ამ უკუნეთში, ლილად მიაქანებდა ტალ-
ღებს და კლდეს მიხეთქებული ზვირთი უეცრად გადაფურცლული პერგამენ-
ტოვით ტკაცუნებდა.

საიდანღაც, ალბათ, ჩაიხანედან, ყრუდ მოისმოდა თარის ობოლი კენესა, —

შენ აზრუმის ცისკარი ხარ,
გულნარა,
მანათობლად ამომხდარი,
გულნარა!..

სადღაც, ცხელ სიღრმეებში, კალიები და ბუნჯაკალები ყურის წამლებად
ჭრიკინებდნენ, წიოდნენ, ნაყოფიერდებოდნენ, სქამდნენ ერთიმეორეს, იხო-
ცებოდნენ.

მოაჯირს გადაეყრდნო, ერთხანს ეგრე იყო, მაგრამ კოჯრის ნიავე გრი-
ლად რომ აელამუნა, გაციებისა შეეშინდა, ისევ ოთახში შებრუნდა.

მაგიდაზე ყვავილი იღო.

დაჰყნოსა, გულს მოეფონა. მიწის, მზისა და სამშობლოს ცის უზადო სურ-
ნელებამ ტანში ერთანტელად დაურბინა. ეს ვარსკვლავებიც ღამეში ყვავი-
ლებივით გაფურჩქნილიყვნენ და თითქოს ყვავილისავე სურნელებას გამოს-
ცემდნენ.

აი, ესეც ამდენი ხნის ნატვრა აუსრულდა, — კვლავ თავის მამულშია, თა-
ვის ტკბილ დედ-მამასთან არის.

სახეზე ნეტარების ღიმი ვადაეფინა.

თვალეები დახუჭა, — ერთხანს ეგრე იყო.

შორიდან კვლავ მოისმოდა გულის ამადულრებელი თარის კენესა, ის
აბეზარიც კვლავ ჰყეფდა:

„გამიფრინდა სიყვარულის ფრინველი
მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა.“

ეს სიტყვები დავით ბატონიშვილისა იყო, იმ ბატონიშვილისა რომლის
სევდიან მატთანესაც ახლა კითხულობდა.

„ხოლო წელსა მასვე (მემატიანე 1793 წელს გულისხმობდა), გაძლი-
ერდნენ ფრანცუზნიც; წარგზავნა რესპუბლიკამან მათმან სარდალი თეი-
სი ლიანარალი ნაპალიან (ესე იგი შონაპარტე) დოსკანელი მხედრობითა
ოციათასითა, მივიდა და აღიღო ქალაქი ალექსანდრია, შევიდა ეგვიპ-
ტეს და დაიპყრო იგიცა; თუმცალა უსუფ ფაშამ, ვეზირმა, რომელ იყო
ქართველთა ტყვეთაგან, ბრძო ფრანცუსთა, გარნა იძლია ფრანციელ-
თაგან.“



კითხვა შესწავლიტა.

ფიქრი უსუფ ფაშას ბედმა წარიტაცა.

მაზანდარანი, ფერეიდანი, ეგვიპტე, სირია სავსე იყო ქართველთა და აზნაურთაგან დიბა-ატლასში მონებად გაყიდული მშრომელნი და მკვლევნი. შორიდან ისმის მამულუტოა და შახსევანელთა აბჯრის ჭლარუნი.

პატარა კაპრალი „ნაპალიან ღოსკანელი“ დგას პირამიდებთან და საუკუნეებს ესაუბრება.

თავიწვეტილი ფარისი მიჰქრის უდაბნოში და ელის, როდის ამოხდება ამ კამკამა ცაზე შთვარე ლოტოსის ყვავილივით.

ახლა...

ციმბირს მიმავალი პატიმარნი მიაქლარუნებენ ბორკილებს და მათი ქლეჭიანი ხრასტი სისხლისფერ ლოტოსივით ეცემა თეთრად გაპენტელ თოვლზე.

ირგვლივ ტაიგები, ტუნდრები, თოვლით დაყურსული გარინდებული უღრანი ფიჭვნარები და ღუმელიც ისევე უღრანი და უდაბური.

ყურანჩელას კაკანი ან თრითინას წრიბინი თუ დაარღვევს ხანდახან ამ ღუმელს.

ოთახში მომწყიდეული ფეხმოტეხილი კალია ირიბულად ხტოდა და შპალერაქრულ კედელზე უეცარი შესკდომით გულს აკრთობდა.

გარეთ თითქოს ვილატაა.

აივანზე ჩქარი ნაბიჯით გავიდა, ყური მიუვდო, — არაეინ არ იყო.

მტკვარზე კელაპტრებით განათებული ნავტიკი თარფივით მიცურავდა და ზედ მოქეიფენი ყაყანებდნენ. კარგა ხანს ისმოდა მათი ყრიაშული. ეს ყრიაშული შალე აკენესებულმა ბაიათმა ჩაახშო და მანამ არ გაჩუმებულა, სანამ ხარონის ნავივით არ ჩაატარა მტკვარმა ორთაქალისაკენ და ბნელში არ დაინთქა.

მოაჯირზე ჩამოვდა.

ზურგით აიენის სვეტს მიეზვინა და უკან თავგადაყრდნობილმა მოჭიქულ ცას შვებით ახედა.

ირმის ნახტომი, მდევის ნამუხლარი, ხომლი...

ამ ღამემ მას უფლისციხისა და ვარძიის მღვიმეები მოაგონა, ამ მაღალმა ცამ გელათისა და წრომის ბიზანტიური კენჭის ფრესკები, ამ ვარსკვლავებმა ხახულისა და ანჩისხატის ძვირფასი ჰედილობა. დიდი ბეჭა ოპიზარი ამ ცას. ამ ვარსკვლავებს ოქროში სჰედდა. იმათ ადათებს, იმათ ჩევეებს ახლი იმისი ჯაეაირჩი მამა შიო დარაშვილი იძიებს და ვერ უპოვია.

მეთორმეტე საუკუნეში, როცა გერმანული გენია ვოლფრამ ფონ-ეშენბახის რელიგიური დოგმებით შემოკვილ პარსიფალსა ჰქმნიდა, ხოლო ვნებადაუოკებელი მხევალი ქრისტესი ელოიზა თავის საჭურის ქმარს მონასტრიდან უტიფარსა და ბაკხანური ავხორცობით შეპყრობილ წერალებსა სწერდა, საქართველოში დეისტური, მაგრამ სარწმუნოებრივ დოგმათა შეუწყნარებელი „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით ახტალისა და ყინცვისის ვასაოცარი ფრესკები იქმნებოდა. ეს საკვირველი ხანა ბაკურ განდგომილმა, ექვთიმე ივერმა და ეფრემ მცირემ შეამზადეს, ხოლო მაგანის აკადემიის დიდი ჰუმანისტი ფილოსოფოსის, იოანე იტალის, ახლო მეგობარი და შეგირდი „აფხაზი“ იოანე პეტრიწი ურყევად განავრძობდა ჰელინური ფილოსოფიის დამხობილი აღორძი-

ნების საქმეს თავის სამშობლოში, რომელმაც, ბოლოს ეს აღრიზნული რენესანსი დიდმა რუსთაველმა დააგვირგვინა თავისი გენიალური პოემით.

ფიქრთაგან საეჭვო ხმაურმა გამოარკვია.

ალაყაფის კართან, მგონი, ვიღაც იდგა:

— ვინ არის?

ხმა არავინ არ გასცა.

მიხედა, ვინც იყო,—იგი პოლიციის „მზრუნველ“ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. მთლიანი, განუყოფელი და მართლმადიდებელი რუსეთის თვითმპყრობელი იმპერატორის ალექსანდრე მესამის ერთგული ძალები თვალყურს ფიზიკად ადევნებდნენ, მაგრამ ის თავისას მაინც არ იშლიდა: ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში, ადელზანოვის, ტოლესა და ჯიმშეროვის ფაბრიკა-ქარხნებში ფარულ საქმიანობას განაგრძობდა. ძველ ამბანაგებს არ ეკარებოდა, ახლები გაიჩინა და მუდამ იმათთან იყო, მაგრამ ვერც იქ შეეგუა ყველას, განსაკუთრებით უცხოეთიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს. თუ ძველნი მხოლოდ გლეხობას ეყრდნობოდნენ, ესენი ხელაღებით უარყოფდნენ მიწის მუშაკთა მნიშვნელობას რევოლუციაში. ვერ ამჩნევდნენ, რომ გლეხობა ფენებად იყო დანაწილებული,—ერთის მხრივ, ბოხოლანი, ხოლო მეორეს მხრივ, ბოვანონი, უხარონი და უმიწა-წყლონი.

ახლა რომ თავს დასხმოდნენ, ისევ გამოძიება დაიწყებოდა, ისევ ციხეები...

შინ საეჭვო წიგნები ჰქონდა: ბიუხნერი, მარქსი, დარვინი, დობროლოვოვი...

უმწეო ბრახისა და მღელვარებისაგან ისეთი ძლიერი ხველება აუტყდა, რომ მისი ხმა ბუხუნით გაისმა ღამის მყუდროებაში.

ფეფოს შვილის ხმა ძილში ჩაესმა. ბალიშიდან თავი აიღო და ფანჯარაში გაიხედა: ოთარის შავი ჩრდილი მოაჯირს გადაყრდნობდა და სულს ძლივს იბრუნებდა.

— ისევ ახველებ, შვილო?—შეშფოთებით იკითხა და ნამძინარევი კარებს პერანგის ამარა მიადგა.—დაიძინე, შვილო, მოისვენე, თორემ მოგკლავს ამდენი უძილობა, გულს გაგიწყალებს, უწინამც სიცოცხლე გამქრობია! რა არი, შვილო, აბა რასა ჰგავს ეგრე ქოტივით ცხოვრებაი?

— რა უშავს, დედი, თუ კი ეგრე მიჩრევნია.

— მაშ ეგრე ცუდად რათ ახველებ, შვილო; იქნებ ავითა ხარ და მიმაღავ?

— იიპ, რას უნდა გიმაღაედე, დედი! ეს გადაჩვეულმა ჰაერმა დამცადა და, ალბათ, იმიტომ... დაწეკ, დედალო, მოისვენე!—და მოხუცი ქალი ალერსიანი დაყვავებით კვლავ თავის ოთახში შეიყვანა, ლოგინში სათუთად ჩააწვინა.

— მაშ რათ არა გძინავს, შვილო?—მაინც არა სცხრებოდა მოხუცი.—ქაჯან, ერთი პირი წყალსაც წაეძინება და შენ რა გპირს ივითი? რამე ხო არ გაწუხებს, ან თუ ავად ხარ, რატომ არას მეტყევი?

— რა უნდა მაწუხებდეს, დედი!—გაუიოლა შვილმა ეჭვები საყვედურით და ქალარა თმაზე ხელი ალერსიანად გადაუსვა.—აი, ცოტაც და სულ კარგად ვიქნები.

ალერსით გაბედნიერებულ დედას თვალები ტუბილად მიერულა, ამბობ-
ნენი ეპეები უცებ გადიყარა და მთელი დღის ნაჯაფს უცებვე წაქიდა.

ეს უძილო ლამეები მის შვილს იჭიდან აეკვიატა, —ნესტეან პეტერბურგი-
დან. არც იქ ასვენებდა, —თოვლიან-ყინულიან ციმბირში.

ახლა აქაც აწვალებს და სასოწარკვეთილებისაგან არ იცის რას ეწიოს.
ბაბაყულივით მარტოსულად დაბორიანებს აკვიატებული ფიჭვებით ღამეებ-
ში. კლექით დაცხრილული ფილტვებიც იჭიდან ჩამოიტანა...

... მახათაზე მთვარე შემოდგა და ძირს გაქნეული მტკვარი მის შუქთა
ანარეკლით ხმლის პირივით აელვარდა.

5.

არასოდეს სარდაფებსა და ჭოხმაზებს იმდენი მუშტარი არა ჰყოლია, რამ-
დენიც ახლა, რადგან გაღატაკებულნი და ბოგანონი სადგომად იაფ ბინებს
მიეძალდნენ.

მეგუბოვენი კუბოების შეკვრას რომ ვეღარ ასდიოდნენ, ღურგლებმაც ამ
სარდთან საქმეს მოჰკიდეს ხელი.

სამარხი ფული რომ არსად იყო, მიცვალებულს შესაწევრისათვის გულზე
ქელი ან თიხის ჯამი ესვენა და ხელოსნები ქელეხისა და გასასვენებელ ხარჯს
ერთმანეთში ხელსახოცის ჩამოტარებით აგროვებდნენ.

ქალაქი სამიკიტნობით, საროსკიპობითა და საქეიფო ბალებით აივსო.

უსაქმოდ დარჩენილი ხალხი ჩალიჩობითა და დიდი გაჭირვებით ნაშოვარ
უკანასკნელ გროშებს იქა სტოვებდა და გულის ჯაგის ღვინოში იჭარებდა.

„ხელოსნობა არ გადის,
დავალთ უსაქმურადა
და, თუ საღმე იშოვე,
უნდათ უდასურადა.
სადგურს ვეღარ ეშოულობთ
თავზე ნასახურადა“.

ლიღინებდნენ სევდიან ხმაზე.

სარდაფებთან მთელი დღეები იდგნენ მათი გაუბედურებული ცოლ-შვი-
ლი და დედები. დარდით ენაჩაგარდნილნი მოთმინებით უცდიდნენ თავიანთ
მარჩინალ კაცებს, ცილობდნენ როგორმე ამოეყვანათ ისინი ამ დამლუბველ
ადგილიდან და ის ორიოდ გროში მაინც გადაეჩრინათ, რომლის ჩაღლევა
ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ.

მიკიტნებს კარებთან ბიჭები ედგათ და როცა დედაკაცები ბლომად მო-
იყრიდნენ თავს, ისინი ფეშტამლის კალთის ბარტყუნით აქეთ-იქით ფან-
ტავდნენ.

— დაიკარგეთ აქედან, თქვე უსირცხვილოებო, თქვენა! ჰაჰა, ჰაჰა! უუ,
თქვენი ქოქი და ჯილაგი არ იყოს, თქვენი!

დედაკაცები გაჩენის დღეს იწყებდნენ და მათი აფორიაქებული ყაყანის
დასაყრუებლად ღუქანში არღანი ჰყვიტინებდა, კარები მჭიდროდ იხურებოდა.
როცა არც ესა სჭრიდა, საქმეში ბოლიციელები ერეოდნენ.

— Разойди-ись, празойди-ись, бесово банде! — ყვიროდა წესრიგის დამცველი და თითბრის ბრჭყვიალა ბუნთან ხმლის ქარქაშს ისე იქნედა, თითქოს ისიც ქათმებს ერეებოდა.

სამაგიეროდ მიკიტანი ერთ-ორ თლაშოის მუქთად ჩააქცევდა და ზედ ნამცეც პურს, მთავე წიწაკას ან მოხარშულ ჯიგრის ნაჭურს დაავიწროებდა.

ოსტატის სახლში ვაჭირვება ქუჭრუტანიდან შეძვრა და შერე ღია კარებშიც ვეღარ გაეტირა. ოჯახსაც პირი სულ აერთვა და ის მართლაც ეშმაკის გაქედლი ფული იმნიარად გორავდა, რომ, ვისაც ჰქონდა, იმას ემატებოდა და, ვისაც არა ჰქონდა, იმისი ქარსაც გაჰქონდა. დროებასთან ერთად ხალხიც ისე გაფუჭდა, რომ ნაღდი არავის არა ჰქონდა, ყველას ნისია უნდოდა. საქონელზედაც ფასმა ისე აიწია, რომ ყველაფერს ცეცხლი ეკიდებოდა. მუშტარიც ისე მიიღია, რომ ოსტატი და მისი ნაშეგირდალი სახელოსნოში მთელი დღეები უქმად უსხდნენ და ამოქნარებდნენ. ბოლოს საქმე იქამდე გაჭირდა, რომ შიოს მასალისა და პატენტის შეძენის ილაჯიც გაუწყდა, — დუქანი დღე-დღეზე უნდა დაეკეტა. ახლა შვილიც თანდათან ცუდად გაუხდა. ვინ იცის, იქნებ, ჰაერმა დასცადა, თითქმის ლოვინად იყო მიგდებული.

ფეფოს ქმარი შინ რომ არ მოუვიდა, მიხედა, — ჯავრიანი კაცის გულის მალამო ღვინოა და ახალგაზდა ოსტატს მოხატრებულად შეეხვეწა:

— შელო, შენ ვაზდას, ერთი იმ ფირუზაანთ დუქანში ჩაირბინე და ვინძლო ის კაცი იქიდან როგორმე ამოიყვანო.

ვანომ ოსტატის სახლობას თხოვნა აღარ გამეორებინა და მაშინვე ფირუზას „ქრელ ხობობს“ მიაშურა.

სამიკიტნოს რიკულებიან სარკმელში რომ ჩაიხედა, სახეში შემოხეტყეულმა ობის, ღვინისა და ყაურმის სუნმა ერთბაშად სული შეუხუთა.

სარდაფის ბინდ-ბუნდში ჩამწკრივებულ მაგიდებს ხალხი ჯგუფჯგუფად უსხდა. ზოგი სვამდა, ზოგი მღეროდა და ზოგიც, ჩხუბობდა თუ თავისთვის ყაყანებდა, კაცი ვერ გაიგებდა. ოშხივართ, ბულითა და თუთუნის ბოლით დამძიმებულ ჰაერში გახვეებულმა ლოთების თბილმა ნასუნთქმა გულს შემოჰყარა, მაგრამ ადგილს მაინც არ მოშორდა.

მაგიდებსა და სკამებში არეულ ხალხს დააკვირდა და დაინახა, რომ სარდაფის ბოლოში მამა, ის თავისი ოსტატი და ოქრომჭედელთა ამქრის უსტაბაში ბეჩარა ერთ დიდ ყუთში ჩარგულ რაღაც უცნაური ზის ძირას მიმსხდარიყვინენ. სუფრაზე მოხარშული ცხვრის თავი ედოთ, ცოტაც მწვეანილი, ცოტაც მოთალი და ღვინოს წყნარად შეექცეოდნენ.

გარეთ, კარებთან იდგნენ იმისი უბნელი, — ბადალანთი, ქოსმანაანთი, გალუსტანთი და, ვინ იცის, კიდევ ვისი სახლობა და დარდით წუწუნებდნენ.

ვანომ ერთხანს ყური მიუგდო მათ წუწუნს და, მათი უბედო ბედი რომ გაითვალისწინა, გული მდღლარებით აევსო.

— შელო, შენც ჩვენ დღეში ხარ, განა? — მიმართა ვილაც გაქარვებულმა ტირილით.

— პოო, დედი! — აღარ გაუგრძელა სიტყვა გულადღებულმა ვანომ, აგურის კბე ერთ წუთში ჩაირბინა და სუფრასთან გაჩნდა.

გაკვირებულმა ვიგომ შეილს რისხვით ახედა.

— აქ რა ვინდა? — შეეკითხა კუშტად და შუბლქვემოდად მჭკრალად ახედა.

შიო მაშინვე მიხვდა, ვისი მოგზავნილიც იყო და შუბლზე იმანაც შეიკმეტუნა.



საქართველოს
საზღვაო მსახური

ვანო დაიბნა.

— ქალბატონმა სთქო... რომო... რომო... — აზრსა და სიტყვებს თავი ვერაფრით ვერ მოუყარა და ერთბაშად გული აურუყდა.

— რომო... რომო... — გამოაჯაერა შვილს მჩრექმემ უკმაყოფილოდ. — წადი, აქედან დაიკარგე!

მაგრამ ვანომ ფეხი არ მოიცივალა. ეწყინა კიდევაც, — კაცი ოსტატი იყო და მიინც ბიჭივით ექცეოდნენ.

სუფრასთან უხერხულად აღტუზულ ვაჟივით ისევ უსტაბაში წამოეკომაგა:

— იყოს, გიგოჯან, იყოს... რა უშავს?

— იყოს! — ახლა იმას გამოაჯაერა მამამ ბუზღუნით. — ეს ამოდენა ხალხი აქ უღვთოდ ფუჭდება და ეგვიც რათ უნდა გაფუჭდეს?

— ნუ გეშინია, არ გაფუჭდება! შე შავას კარგადა ვცნობ! ბაღლი აღარ არის... გაუშვი, ეს ცხოვრება მაგანაც ნახოს... იქნებ იმისი ავანჩავანი მაგან მიინც გაიგოს! მიეჩვიოს... ეებს, ბედი არა მჭონია, გიგოჯან, ბედი! რა იქნებოდა, იმ ჩემი გულის გამზარებელი გულნარას მაგიერ ერთი ბიჭი მეცა მყოლოდა, ჰა?

გიგომ ბეჩარას ბედის ჩივილს ყურადღება არ მიაქცია, შვილს სიმთვრალისაგან დაბრეცილი თვალებით ერთხელ კიდევ ახედა და ხელი უიმედოდ ჩაიჭნია.

— ეგრეა, მაშა! — განაგრძო, როგორც ეტყობოდა, წელან შეწყვეტილი საუბარი უსტაბაშმა. — წავიდა და წავიდაა, მიღის და მიდიის შაბზე ეს ჩვენი საქმე!

— ეებს, ხელოსანმა მადლი დაჰკარგა, ბეჩარ, მადლი და სუ იმისი ბრალია! — დაასკვნა ოსტატმა.

— ქვეყანა გაფუჭდა, კაცებო, ქვეყანა გაირყვნა და იმიტომ! — დაუკრა კვერი ოსტატს ბეჩარამაც. ტარხუნის ყლორტი თითზე დაიხვია, სამარილეში ჩააწო და პირისაკენ გააქანა, მაგრამ შედგა, რატომღაც არ შესქამა. მერე ბრახით მოიჭნია და სუფრაზე ღონივრად დაანარცხა. მაგიდაზე დაყრილი მარილი აიფანტა, ერთი ნამცეცი ვანოს თვალში მოხვდა და ისე დაეწვია, ისე, რომ კტრცხალიც წამოვარდა, მაგრამ მოითმინა, ხელიც არ ამოუსვამს. ცოტაც და სიმწვევემ გაუღრა. ალბათ, მარილი ცრემლში გადნა და იმიტომ.

ისინი თავიანთი დარღით ისე იყვნენ გართულნი, რომ ახლად შემოსწრებული აღარც ახსოვდათ.

— ხალხმა ხელობის ყადრი დაჰკარგა, ჰამქრის პირი გატყდა, ეე, ჰამქრისა! — არა სცხრებოდა ბეჩარა და ისე ლაპარაკობდა, თითქოს ვიღაცას ნიშნს უგაღებდა.

მერე წინდის ჩხირივით გამხდარი ფეხები სკამზე მოუთმენლად აიტანა და მორთხმით დაჯდა. მუშტის ოდენად მოკეცილმა კუტბა თვალები წვრილად მილულა და მწარე სინანულით განაგრძო:

— აფსუს, ძველო ხელოსანო! აი, გიგოჯან, მჩეჩქმე ხარ და ტუნდაც შენი ხელობა აილე. ხო გახსოვს, ძველთა შეკერილს, მამა რომ ვერა სცვეთდა, შვილი ათრევდა. ეხლა? მაშინისა უნდათ, რანტიანი, ბანტიანქუა წაწყუო ზედინედ ლექსად და დიაკური წრიბინით გაქალაჩუნებულ მტყუარს სასასტილოდ გამოაჯავრა.

ბაასში ვართულ უფროსებისათვის თავი ეხურბულად რომ არ გაეხსენებინა, ვანო წყნარად დაიხარა და უცნაური ხის ტოტებქვეშ ფრთხილად ჩამოჯდა. სანამ იდგა, ხშირი ფოთლები თვალს ეფარებოდნენ და მათ იქით ვერაფერსა ხედავდა, როცა დაჯდა, ტოტებს ქვემოდან დაინახა, — იქვე, სუფრასთან, ვილაცანი ისხდნენ. წინ ხელადით ღვინო ედგათ და ჩუმად თავისთვის საუბრობდნენ. ერთი, სერთუკი რომ ეცვა, ვერ იცნო. ის ორნი ნაცნობნი იყვნენ. ოსტატის შვილთან ხშირად ამოდოდნენ და რალაცას იღუმალად თათბრობდნენ ხოლმე.

სარდაფის მეორე ბოლოში მოაჯირივით ჰრელად ჩაწყობილ ფერად-ფერად სასმელებიანი ბუფეტის წინ ვერცხლის სამარხი ჰამრით ღიბაკრული მიკიტანი ფირუზა დაბლზე უხარმაზარ გამბეშოსავით გადმოფაშველიყო. კოტიტა ხელებიც საანგარიშო ჩოთქზე ბაყაყებივით გადმოესხა და ჩხაკა-ჩხუკით რალაცას ვარაუდობდა. ვანომ უცქირა, უცქირა, მერე მოსწყინდა და ახლა ოდესღაც კირით შენაფეთქავი თალიან-თახჩებიანი კედლები აათვალიერა. ეს კედლები ნიადაგიდან შეპარულ სისველისაგან ბებრის კბილებივით ჩაშაგებულ-ჩაყვითლებულიყვნენ და ირგვლივ უსიამოვნო ნესტიან სიგრილეს ავრცელებდნენ. იქვე მიკიტნის ღაბუა ყოჩი ჯაჭვით ება და თვალთა ლუღვით ზანტად იცოხნებოდა.

ღლის სინათლე კიბიდან წყალივით იღვრებოდა.

„აღება ღამეს აქ ვიჯექ მე კალატოზი მინასა კრუაშვილი ეახმე ქვეყანაზე სამართალი მართლაც არ ყოფილა“.

„მინასა! მინასა!“ — გაოცებისაგან ერთხანს აზრს ვერ მოვიდა. წამოიწია და ჩამოცვენილ კირქვეშ გამოჩენილი ადამის წლის წინად ლურსმნით ნაჯღაბნი ერთხელ კიდევ გულდასმით ჩაიკითხა.

ეს კრუაშვილი ის მინასა იყო, დნგრას დაკარგული მამა. უცებ გაისაზრა, რომ ამ სახლში უწინ თურმე პოლიცია იდგა და ამ სარდაფშიც საპატიმრო ჰქონდათ გამართული. ამქრის „ბუნტის“ თავებიც თურმე აქ ეყარნენ და ეს ნაჯღაბნიც, ალბათ, მას შემდეგ თუ დარჩა. ისევ დაჯდომა რომ დააპირა, ქვეშ რალაც მოექცა. დახედა, წიგნი იყო. უნდოდა აეღო, მაგრამ ვერ ვაბედა. მიიხედა, — ის სერთუკიანი, ხის უკან რომ იჯდა, ჯოტუად მოსჩერებოდა და თან თვალთ ანიშნებდა, აიღეო. იმასაც ეს უნდოდა, ადგა და აიღო.

ახლა კი ძალიან უნდოდა აქაურობას მალე გასცლოდა. ენახა, რა წიგნი იყო, ან რა ქვეყნიერებისა და ხალხის ამბავი ეწერა შიგ, მაგრამ თავი შეიკავა. სანამ ოსტატი ჰეიდეს არ მორჩებოდა, აქედან ფეხს რას მოიცვლიდა.

უეცრად ხარხარი მოესმა, ხარხარი ისეთი, თითქოს მღვეი ცარიელ აბანოში იცინისო. მიიხედა, — კუთხეში უძლეველი დნგრა იჯდა და დროს მარტო ატარებდა. კალთაშიც ის ტურის შესაქმელი წითელი მამალი ეჯდა და ტიკჭორიდან ღვინოს ყელში ძალად ასხამდა.

მამალს სისხლისფერი ბიბილო ნისკარტზე დარდიმანდულად გადმარეგდო, სიმთვრალისაგან ფეხზე ძლივს იდგა და რომ არ წაქცეულიყო, გაფრთხილ ფრთებს საბჯენად იშველიებდა. ლენოს რომ ყლაპავდა, თან ჭერში ღმერთს შესცქეროდა და, სიხარულისა თუ გაჭირვებისაგან, რაც ძალი ^{დასწრისა} ~~დასწრისა~~ ^{დასწრისა} შტონდა, გაპყიოდა.

ბენდიერი პატრონი ღიმილით დასცქეროდა თავის ფრთოსან ამფსონსა და ეშხში შესული ნეტარებით ლიღინებდა.

— კაცო! ძმაო! — დაიძახა ენაამოდგმულად სიტყვაძვირმა შიო დარა-შვილმა.

ვანოს ეგონა მას ეძახდნენ და მოიხედა.

— თუ ხელობა არ გავა, მამ სადაური ხელოსანი ვარ? თუ ამქარი აღარ ამქრობს, მამ რილასი ოსტატი ვარ? — განაგრძო უცნაური ამოჩემებით. თან მუშაობით დაბჭირავებულ ტორებს აქეთ-იქით ატრიალებდა და თან ბოღმიანად, დამცინავად მწარე ღიმილით დასცქეროდა.

— ესეც ვცხოვრობთ რაღა! — მისი შეწყვეტილი სიტყვა ახლა გვიგამ განაგრძო. — თქვენ ჩვენი მუშებიც უნდა ნახოთ, რა ყოფაში არიან, და! ადელ-ხანოვის ძაღლიც არ ცხოვრობს იგრე, როგორც მუშები!

შიომ ერთი ისე მოულოდნელად წამოიყენესა, რომ ყველამ ყურადღება მიაქცია. აკენესებულმა კაცმა თავი მწარედ ჩაიქნია. მერე სავესე ჯამს ორივე ხელით დაეძგერა და ისე დალია, თითქოს ლენო კი არა, წამალი ყოფილიყოს.

ცარიელი ჭურჭელი მაგიდაზე ღონივრად დაარტყა და ღვინით დასველებული უღვაშები ორივე მაჯით მოიწმინდა.

— აი, ჩვენი გიგოლანთ ქიტესა ზო პირველი კალატოზია? — დაიწყო ისეთი კილოთი, თითქოს თავის სადარდელს იმით აყვედრიდა. — აი, ის ჩვენი ვალუსტოვიც ზო პირველი დალაქია? ეხლა? ეხლა ხელობსა სტოვებენ. ის ჩვენი კარტინიკი ჩოფურა ქსანთუაშვილიც სახელოსნოსა ჰკეტავს და ანგლიჩნებთან რკინიგზის ზაოდში მუშათ მიდის. როგორ, დუქანი დაგკეტო და სხვის კარზე სამოწყალოდ ვიარო? დუდუკზე ვიმუშაო, დუდუკზე ვკამო, დუდუკზე შაბაში დავაყენო? მამ მე იმათი გელდი მაიმუნი ვყფილვარ რაღა! აარა, ძმავ, მიპირდეს, მშიოდეს, მწყუროდეს, ჩემი თავის ბატონი მე უნდა ვიყო! ჩემ ნებაზე უნდა ვიმუშაო და ჩემ ნებაზედაც შაბაში დავაყენო! ეს ჩვენი არღანჩიკი ლოხოშაც რა ვისზე ნაკლები მექმდე იყო? ქვეყანას ნამუსის ქულსა ზურავდა, ეხლაც ბევრსა ჰჭურავს! მერემ რა? სამაგიეროდ თვითონ მოჰხადეს, ნამუსი აპყარეს და ეხლა, ხედავთ, არღანზე თითო პენსას შაურად აყვეტიანებს! — მერე მიბრუნდა, სკამის საზურგეზე ხელი მოწყვეტილად გადაჰკიდა და კუთხეში მარტოდ მჯდომ განიერ შარვლიან კაცს გულდარდიანად გასძახა:

— შენ დაუკა, ლოხოშუჯან, დამწერისა დაუკა, დამწერისა! — ხელი ჩაიქნია და თავის წნევით ისევ დოსტებს მიუბრუნდა: — დამწერნი ვართ, მა რა ვართ?

მალე არღნის სევდიანი ქვეტინიც გაისმა. ლოხოშა ჩობანს უკრავდა.

ვანო ხის ძირას ობლად იჯდა და, ტკბილი ხმებით გარინდებულნი, კედელზე მიმაგრებულ ჭრელი ზოხბის ფიტულისათვის ოცნებად წასული თვალები მიეპყრო.

ირგლივ ისევ ის დახუთული ბული ირეოდა ლოთებისა, დასველებული, ისევ ლილინი. წინსაფრთხიანი დუქნის ბიჭებიც აქეთ-იქით გამალეებით დარბობდნენ. კერძი მოპქონდათ, ცარიელი ბოთლები და თევზები მიპქონდნენ. მკვრამ, კრლანი მაინც ტკბილად კენესოდა და ყმაწვილს სიბრალულოთ, სიჩაღვლილოთ და სულის წიაღამდე ჩამწვდომი ხმებით სულ ღვიძლ-ჯივარი ეწვოდა.

დნგრას მამალმაც ხმა ჩაიწყვიტა.

ფუჩქიანთ ბეჩარამ ნიკაპამდე აკეცილ მუხლებში თავი ნაღვლიანად ჩაპკიდა და თვალთა ლულვით საამო კენესას გატრუნული ისმენდა.

შოც დადუმდა, თვალები ოცნებად წასვლოდა.

გივოს ამ ხმებზე თავისი ვანოს საღამურით ტკბილი სიმღერა გაახსენდა. სიმღერაზე ისიც მოაგონდა, რომ ის აქვე იყო სადღაც და, სმენად გადაქცეულმა, ხელები პაერში ბრმასავით მოაფათურა. შეიღს რომ მოავნო, თავზე დაყვებებით გადაუსვა და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ის ყვევილის ყუთზე უხერხულად იჯდა. ააყენა, სკამი მიაწოდა და, ზედ რომ დასვა, მკერდზე ალერსიანად მიიკრა.

— ჩემი ბიჭი, ჩემი სიყმის შვილი! — ისეთის გრძნობით ჩასჩურჩულა, რომ ვანოს ბოლმა ყელში მოებჯინა, თვალები ცრემლებით აევსო. არასოდეს მამა ასე ტკბილად, ასეთი გრძნობით არ მიაღერებია მას.

ცოტაც და არღანი გაჩუმდა.

სარდაფი ერთხანს გაყუჩდა. მაგრამ ეს დუმილი გრძნობამორეულმა ბეჩარამ დაარღვია. განივრად გაშლილი ხელები ცად აღაპყრო და ზოხბის ყელმოღერებულ ფიტულს ჩახლანძული, მაგრამ მომუდარე ხმით მიმართა:

„გამიფრინდა სიყვარულის ფრინველი,
მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა!“

— მოდი, ლოხოშჯან, მოდი, ჩვენთან დაჯექ! — მოსწყვიტა ერთბაშად, როცა მეარღნემ საკრავს კორბა გამოაძრო და ქამარში ვაიყარა.

ლოხოშჯამაც ძველი დოსტი აღარ გააწმილა. არღანზე წითლად ნაქარგი მუღდის გადასაფარებელი გაასწორა და შიოს გვერდით დაჯდა.

ბეჩარა თან ჯამს ავისებდა და თან ქადაგად დავარდნილივით ქაქანებდა:

— მერმე რა, რო არღანჩიკი ხარ, — მაინც ჩვენი ბიღანი დოსტი ხარ, ჩვენი ამქრის ამფსონი რალა! უუჰ, შენი ღედის ღმერთიც არ იყოს, შენი! — და უეცრად სიტყვას გეზი უცვალა: — იციო რა! მოდიო, აი, იმ საწყალი ზოხბის სადღეგრძელო დაელიოთ, ჰა? ეს ჩიტი ერთ დროს ჩიტი იყო. ლამაზიც იყო, ცოცხალიც იყო. ცოლიც ჰყავდა, შვილიც ჰყავდა და ამ ვერანა ქვეყანაზე ფრენა იმასაც უხაროდა. აფრინდებოდა, — ცა იყო, დაფრინდებოდა. — მიწა, და ეს ქვეყანა თავისი ქეიფი ეგონა. და, აი, ეგრე არჩენად რო ცხოვრობდა, ამ დროს საიდამღაც ერთი ღმერთძალე მონადირე გამოჩნდა. მიეპარა, მიეპარა და, ერთიც ენახოთ, ბუჰჰ, თოფი ესროლა და ყველაფერი ეგრე, აი ეგრე გათავდა!

და ამ სიტყვებით ხელის გულები ერთი მეორეზე ღონივრად მოიფშენიდა.

— ეხლა, ზედავთ? ფრთაცა აქვს, თვალიცა, ფრინველია, რალა! მაგრამ რა? ფრთა ასბია და ვერა ფრინავს, თვალი აქვს და ჩინი არა. აუღიათ, აი იქ,

იმ კედელზე, ჩამოუკიდნიათ და ქვეყანას ატყუებს, ვითომ მეც ერთი ჩიტო ვარო, რაღა! ტყეში იყო, — მართალი იყო, მოკლეს და ტყეში გასდა! ეებს, ძმაგ, სიკვდილი რა ბედენაა! მიწაში ჩაგდებენ, მიწასვე მოგაყრიან, მოჩხა და გათავდა! სიკვდილი აი ეს არის, ეგრე ჩუხელად რომ გაგაყრიან და ქვეყნის მასხარად გავხდებიან! ფრენა ეხლა მაგას არ შეუძლია და თვალშიც სინათლე არა აქვს, — მაშ რა ჩემი ფეხების ხობობია? აი ის დნგრას მამალი უფრო ჩიტია, ვიდრე ეგა. ჩვენც ეგრე ვართ, — ხელები გვაქვს, უნარიცა გვაქვს, ქუდიცა გვხურავს. მემრე რა? მუშტარი არა გვყავს, — ვერც ვმუშაობთ, ჰამაც ვერცა ვცხოვრობთ! ეშნი გვაქვს და ქეიფი არა, ხელი გვაქვს და სამუშაო არა! მაშ სადაური ოსტატები ვართ? აი, ის შენი არღანი ხო ერთი რაღაც ქრელი ყუთია, პო-და, მაინც მღერის! ეგეთნი ვართ, — იაღონს ვაჩუმებთ, ყუთებს ვამღერებთ! მაშ მოდი ერთი იმ საწყალსა, მტვერიანსა, ბრუციანსა და კურსაც გაუმარჯოს!

და, რომ დასკლიდა, ისევ განაგრძო:

— ეგ რა არი! თქვენ უნდა ნახოთ, მალე რა ცოდო-მადლი დატრიალდება. მგონი, იგეთი უბედურება არც ამქრის ბუნტობის დროს მომხდარიყოს. გუშინ რემესლენნი უპრაგაში ამბობდნენ ამ ბოლო წლებში თორმეტიათასი ზელოსანი ნახევარზე დავიდაო. ექვსათასზე, რაღა! თორმეტი ათასი, ეე, მუდრეგ, თორმეტი ათასი ხო თორმეტი უზალთუნი არ არის, დაგეკარგოს და ხელი ჩაიქნოს! ეს ნახევარი, ეს ექვსი ათასი საღლა წავიდა? — და თავის შეკითხვას პასუხი თვითონვე გასცა: — ტრახტირში, ქუჩაში, ჯანდაბაში და ჯახრუღო-ზანში! ბიჭო, ვიგოო, იქნებ, ძეგველ ჩილიპოლოსა სცნობდი? აი, როგორ არ იცი, პირველი ხარატი, პირველი ჩქქურთმების ამომქრელი რო იყო? ის რო ავეჯს ვასთლიდა, იტყოდი, ხელით უხატავთო!

— ეცნობდი, როგორ არა ეცნობდი კრივში დურგლების ფალავანი იყო.

— ეცნობდი! — გამოაჯავრა უსტაბაშმა შეინახეს ვესლიანად. — მაშ არა სცნობდი! თუ სცნობდი, მაშ ის რათ არ იცი, რომ სიონის კარებთან სამოწყალოდ დამდგარა და ხელგაშვერილი გლახაობს?

ვიგომ დოსტს გაოცებით შეხედა, გაშტერებულ თვალეზზე მწუხარება უეცარ ბინდად გადაეკრა და თავი ჩაჰკიდა.

ვანომ მამა ამ დღეში რომ დაინახა, უნდოდა თავი მალლა აეწია, თვალეზში ჩაეხედა და ეთქვა: «მამი, მამილო, რისა გეშინია, აქ არა ვარ?» — მაგრამ თქმა ვერ გაბედა, სურვილი გულშივე ჩაიკლა.

— ნიხაეო! — სთქვა ღრმა ამოხენწეით შიომ და ხელი მოწყვეტით ჩაიქნია. — სულ ეგრე როდი იქნება! ნათქვამია, სამართალმა პური სჭამაო, ბოლოს ამ ჩვენმა სამართალმაც უნდა სჭამოს თუ არა თავისი პური?

— პური სჭამა! ნათქვამია! — გამოაჯავრა უსტაბაშმა ოსტატს ბრაზიანად. — მაზალოც ეგ არის, რომ ნათქვამია! სამართალი პურს მაშინა სჭამს, როცა ჩვენცა ვჭამთ! რის სამართალი, რა სამართალი! რით ვერა ხედავ, რამდენიც კაცია, სამართალიც იმდენია! სამართალს ეხლა ისა სჭრის, ვისაც ჯიბე სქლადა აქვს. ეხლა, ჩვენ კი არა, ადელხანოვისა და იმ დედალ სოლომანა ფართანოვის სამართალი სჭამს პურსა...

— სულ იმ უჩენიკებმა და ნასწავლებმა არიეს ეს ქვეყანა! დაიწყო ლო-ზოშამა და რატომღაც უღვაწებზე ხელი გადაისვა. სულ დაავიწყდა, რომ ერთი

ამგვარი ამრევთავანი შიოს შეილიც იყო. — თქვენ რა იცით. ამ დღეებში იმათ, იმ დიაკვნის შეილებმა, ქალაქ გარეთ პიკნიკი გვაქვსო და არღნით ჩამიყვანეს. ერთიც ვნახოთ, იმ შენი დისწულის ბაღში არ მიმიყვანეს. ვითომ ქვიფობდნენ და თურმე თათბირი არა ჰქონდათ! ვახ, რაც მე იქ ამბები გავიგე, გავიწყობოდა: კაცი თმას უშვებებს, ქალი იკრეპს! ქვეყანა გადაბრუნდა და ეგ არი, რალა!

გიგო აქამდე ჩუმად იჯდა, ხელოსანთა სჯა-ბაასს ყურადღებით ისმენდა. მაგრამ ლოხოზა წრეს რომ გადასცდა, გული მოუვიდა.

— ეებ, — იმხანად ამოიოხრა, რომ ყველამ ყურადღება მიაქცია.

— რა სხვანაირად ოხრავ, გიგო? — შეეკითხა ბეჩარა გაკვირვებით.

— რასა და იმასა... როგორ არ იცით, რა ვქნა! ზოგი არ მუშაობს და დიდი კაცია. ზოგი წელზე ფეხს იდგამს და მაინც საწყალია და საწყალი...

— პოო-და, მეც მანდა ვარ! — დაუდასტურა ბეჩარამ და ამხანაგებს თავ-მომწონედ გადახედა.

გიგო არა ჩქარობდა.

რატომღაც წიწმატის ყლორტი აიღო, ისევ დაავლო.

— არა, ბეჩარ, სტუდენტები. შენ იქ არა ხარ! არც შენ, არც შენ და არც შენა, ჩემო შეილო... — და ყველას თვალი საითთაოდ რომ მოავლო, ისევ ფუჩეჩაანთ ბეჩარას მიუბრუნდა: — აი, ის ჩენი მინასა რო იყო, კალატოზი, რალა, შენი სიძე. — შიოს მიმართა და მერე საერთოდ იკითხა: — ხო ვახსოვთ? — ვიცი, მემრე? — სმენად იქცა უსტაბაში.

— მემრე და ისა, რომა... ისა, რომა... თურმე ციხე უშენებია... კედლები აუყვანია და მემრე ისა, რომა... — ერთბაშად გული მოუვიდა და სიტყვა ერთხანს ვერ განაგრძო. ბოლოს სული კვლავ მოიბრუნა, ნაღვლიანი თვალებით ენოს მიაჩრდა და ისე მიახალა: — ზედ აღება ღამეს თურმე თავის აშენებულ ციხეში თვითონვე ჩაუსვამთ... — მერე შეიღს თვალი მოაშორა და ყველას საერთოდ მიმართა: — ეს როგორი საქმეა, ჰა?.

არავინ არ იცოდა როგორი საქმე იყო.

ხმაც ვერავინ ვერ ამოიღო.

გიგო მაინც არა სცხრებოდა:

— ქვეყანა გადაბრუნდა, ქვეყანა და იმიტომა. რით ვერ გაიგეთ, რო ქვეყანა გადაბრუნდა და იმიტომა. ის ქვეყანა მოკვდა, ერთ დროს რომ ხელოსანი აშენებდა. ეხლა მუშა აშენებს ამ ქვეყანასა და თქვენ კი გძინავთ, არასა ხედავთ. თვალი გაახილეთ, ხალხნო, თვალი!

6.

სარდაფში ყასაბი არშაკა და დერციკი ბაბაქუა ჩამოვიდნენ. მათ გადათხლაშული ბარბაცით ვართანოეც ჩამოჰყუა. აგურის კიბეზე ფეხის ყოველ ჩამოდგომისას თავს მოწვევტილივით აკანჩურებდა.

შევალის დანახვაზე დარაშვილი უხეიროდ აიწურა და ის კბილის ტკივილივით მიყურებულ დარდი ისევ გაახსენდა.

სოლომანა სარდაფში ჯერ სულ არც იყო ჩამოსული, რომ ქუდი განივრად მოიხილა. ბელებიც განივრად გაშალა და მოქეიფეებს ჩახლანძული ხმით გადასძახა:

ლოთებო, ნეტა-ვი ჩვე-ენა!

მაგრამ სიმღერის მაგიერ ყვირილი რომ გამოუვიდა, ხელი უკმაყოფილოდ ჩაიჭნია. ბაბაქუასა და არშაკას მკლავგაშლით გადაეხვია და შუა სამი-

კიტნოში ბარბაცით გამოვიდა. მერე ხელის კერით ორივე იქით მიპყარა და თავმოგვიყიანებულმა დასძახა:

არღანჩიკო, გარეკე-ე!
ფაიტონჩიკ, დაუკა-ა!

ერკინულნი
ხიზლინოსეჟა

ესეც რომ არ გამოუვიდა, ხელი ისევ მოწყვეტით ჩაიჭნია და ერთი უწყალოდ შეიგინა. ლობოშამაც სტუმარი აღარ გააწვილა, არღნისაყენ ზანტად გაემართა.

მაღე ყურის წამლები ტუში გაისმა.

ახლად მოსულნი კარგად შეზარბოშებულნი იყვნენ, მაგრამ, ეტყობოდით, გული საკმაოდ ჯერ კიდევ ვერ ეჯერებინათ და დანაკლისის შესავსებად აქ ჩამოსულიყვნენ.

არღნის ტუტუათი ყინზე მოსულმა სოლომანამ ველარ მოითმინა და გულს ცეცხლ შემონთებულევით დაიღრიალა:

— ჯან-ჯაან! — და ხმა უეცრად ჩაუწყდა, — მეარღნე ხელით შეაჩერა.

სირუმე რომ ჩამოვარდა, შიოსი და იმისი დოსტების სუფრას ფეხაყრეფით მიუხაზოვდა.

— კამპანიას გაუმარჯოს!

— ჰაი, გაგმარჯოს! მობრძანდი სოლომან, მოდი, ერთი ეს ჩენნი საწყალი სუფრა დალოცე! — ჩამოართვა სალამი უსტაბაშმა და ღვინით სავსე ჯამი თავაზიანი ღიმილით მიაწოდა.

ვაჰარი ჭურჭელს მიზეზიანად დასწვდა, მერე დარაშვილს ამრეზილად გადბედა და ერთი უშნოდ დაიმანჭა.

უსტაბაშმა შარს ყურადღება არ მიაქცია და ახლა საკამიც მიაწოდა.

— დაჯექ, დაჯექ! რა, ფეხზე დგებარ?

სოლომანამ თავი ჯიუტად გაიჭნია, — არ დაჯდა.

— თქვენი გამარჯვების იყოს! — სთქვა და ღვინო პირისაყენ ნულა წაიღო.

— ჰაი, გაგმარჯოს! — ჩამოართვა სიტყვა შიომ და ამ სიტყვებზე დედალი სოლომანა ისე შედრკა, თითქოს ეკალი მოხვდაო გულში. პირთან მიტანილი ჯამი ისე მოიშორა, არც მოუსვამს და კი არ დადგა, დაარტყა მაგიდაზე. ქაშანური ჭურჭელი სამად გატყდა და სუფრა დაღვრილი ღვინით ერთიან მოიშტკვარა.

— გამიმარჯოს? — შეეკითხა ოსტატს ღვინძლიანად. — მაშ გამიმარჯოს, არა? — აუწია ხმას და ბოლოს ბრაზით ყბამოღრეცილმა ყველას გასაგონად დაიღრიალა:

— როგორ მემრე? ფულს წაიღებ, არ მოიტან, მე საიდან უნდა გამიმარჯოს? ეე, კაცი ფულით არის, ფული შენ მიგაქვს, მე საიდან უნდა გამიმარჯოს?

ხალხი წამოიშალა.

ზოგი იღგა, ზოგი ისევ თავის ადგილას იჯდა და ჩხუბს იქიდან აღევნებდა თვალყურს.

მხოლოდ აისორ აბლახატას არ ვაეგებოდა ამ ქვეყნის არაფერი. თავისთვის მარტოხელად იჯდა. ცალი ფეხი სკამზე აეტანა, ცალი ხელიც ყურთან მიედო და თავის ენაზე რალაც სიმღერას ყურის წამლებად წაეფრებოდა.

ვართანოვი არა სცხრებოდა:

— ხვალ რომ პრისტაეი სახლს ავიწერს, მე აი ის გამიმარჯვებს!

პრისტაეის ხსენებაზე შიო კიდევ უფრო აიშრიზა, თავი მხრებში ჩაიტანა და, კი არ სუნთქავდა, ხენეზოდა სიმწარისაგან.

— სოლომანი! — სთქვა ხმაჩაწყვეტილად და, თითქოს ეს სიტყვები იყო საჭირო, რომ ყველაფერი ერთბაშად გახსენებოდა: ცოლი, ავადმყოფი შვილი. ჭირის ოფლდასმულს ყელში ბოღმა მოებჯინა, ერთი უხერხულად ჩაახველა და თვითონაც არ მოელოდა, ისე დაიკვნესა: — სოლომანი! — მაგრამ თავისივე დაძაბუნებით დარცხვენილმა ხმა ისევ გამართა და ახლა უფრო მტკიცედ განაგრძო: — ამდენი შოგითმენია, ბარემ კვირამდეც მოითმინე... ნუ დამლუბავ!

— როგორ თუ დაგლუბავ! — აუკრა სიტყვა თევზეულის ვაქარმა. — მაშ მე დავილუბო? სალიანიდან თევზი მოდის, რა ვქნა, მეც მივიდე და შევებხვეწო: თევზებო, თევზებო, ფული შიოსთანა მაქვს და სანამ მომცემდეს, მოითმინეთ თქო?... თავნს ვინა სჩივის, ეახშააც არ იხლი!

— ცოტაც მადროვე სოლომანი. აი, ეს ერთი კვირაც და ნამუსს გეფიცები...

— წადი შენი ნამუსიცი! — შეუტია გაბრაზებულმა მევაღემ. — შენ რომ ნამუსი გქონდეს, ვალის გადახდაც გეცოდინებოდა!

გივომ დოსტი ამგვარ ყოფაში რომ დაინახა, სახეზე მიწის ფერი დაედო, თავს ძლივს იჭერდა და ხელი ხელადას თავისთავად მოუქირო.

გული ბეჩარასაც სიბრაღულით ავესო.

— სოლომანი, — ჩაერია უსტაბაში ამ უსიამოვნო ყაყანში. — ამტელი შოგითმენია, ბარემ ეს ერთი კვირაც მოითმინე. ხო ხედავ, ამბობს, გავისწორდებიო! ახარ, დალოცვილო, ცეცხლი ხო არ გიკიდია?

— ცეცხლი რომელია? — აყვირდა უფრო მაღალი ხმით დედალი სოლომანა. — ცეცხლია, მა რაა? კაცს ფული მჭირდება, ეგ კი, ერთი კვირაც მადროვეო! არა ხედავთ? — მიუბრუნდა ირგვლივ შემოკრებილებს ვაოცებით. — ერთი კვირაცაო! — მერე შედგა თვალეზში რალაც კეიმატიანმა აზრმა გაუელვა და თვითონვე გაელიმა.

ყველას იმედი მიეცა. ეგონათ მევახშე მოღბა და შვებით ამოისუნთქეს.

სოლომანა ოსტატს ნელა მიუახლოვდა და შემპარავი სიამტკბილობით შეეკითხა:

— მაშ ერთი კვირა გინდა, არა? ერთი კვირა? — და სალოკი თითი თვალთან მიუტანა.

— ჰო, ერთ კვირაში გადაგიხდი. — წამოიძახა საწყალმა კაცმა საჩქაროდ და იმედის ნაპერწყალი ისევ აენთო გულში.

— იცი რა? — სულ მთლად მოღბა იგი. — მოდი ამ კედლებსაც ვკითხავ, პა? ვნახოთ, რას მეტყვიან. — სთქვა და თან ცხვირი მაღლა აიღო. ოთხივე მხარეს ნელნელა მიბრუნდა და ლოთიანად დაიძახა: — კედლებო, კედლებო, თქვე ღმერთძაღლებო, ხო ხედავთ, ეს ერთი საწყალი ჯაეაირჩი მგზხვეწება, ვალი ერთი კვირაც მადროვეო! როგორ მოვიქცე, ვადროვო? — და ამ სიტყვებით

ჯერ ერთ კედელთან მიიზბინა, ყური მიადო, მერე მეორესთან, მესამესთან, ბოლოს მეოთხესაც გახედა, — შორს იყო, მისვლა შეეზარა.

ყველა გამშრალი იდგა.

ერკინეშვილი

კაცის ასეთ გაბიაბრულებას არავინ მოელოდა. თვით ვარძნიშვილსაც ვაჭარაშვილებიც კი გაშტერდნენ.

— არაო და რა ვქნა! — სთქვა ტაკიმასხარული სასოწარკვეთილებით და ხელები უსასოოდ გაშალა — ხო ვაიგონე, არაო? ეს კედლები ხო შენი სიძის, მინასა კრუაშვილის, აყვანილია? შემრე აქ ციხე იყო და, ალბათ, ისიც ვახსოვს, რომ ის შენი მინასა თავის აშენებულ ციხეში ჩასვეს. ჯერ ჩასვეს და შემრე ციხეში დაკარგეს. რას იზამ! ეს სოფელი ეგეთია. მეც რა ვქნა, ან რა ძალა მაქვს? — სთქვა ახეინად და ნაძალადევი სიცილი დაიწყო.

არავინ რომ არ აპყვა, ირგვლივ მიმოიხედა და შუბლშეკრულმა ყველა სათითაოდ ჩაათვალიერა.

— აახ, შე არამზადავ, შე წურბელავ, შენა! — მოისმა ამ დროს და ხალხმა გამორკვევეც ვერ მოასწრო, რომ ყუთში ჩარგული ხის უკან მჯდომი სერთუკიანი გამოქანდა. გაქსუებულ ვაჭარს ყელში სწვდა და, კარგა რომ შენჯღრია, ზიზღით იქით მიავლო. დაბარბაცებულმა ვაჭარმა იქვე შწოლარე ყოჩს ფეხი წამოსდო, თავი ვერ შეიმაგრა და სასაცილოდ გადაპირქვეადა. აღრიალებული ისევ ფეხზე წამოიჭრა და სერთუკიანისაკენ მუშტის მოღერებით გაქანდა, მაგრამ უცნობმა მაშინვე ჯოხი მოუშარჯვა და ვაჭარი წახდა, უკან დაიწია.

— უუ, შენი დედის ღმერთიც! — დაიღმუვლა უმწყო ბრაზით და, ხალხი ირგვლივ რომ შემოეხვია, ხმა შხოლოდ მაშინ აიძალდა: — უუ, შე ბუნტოეჩიკო, შენა! შე კამედიანიჩიკო ტაკიმასხარავ, შენა! უუ, იმას რა ვუთხარ, ვინც შენ იმ ციხიდან გამოგიშო! სად არი სამართალი, თორემ ეხლაც იქ იჯდე. ამოტელა კაცი დამჯდარხარ და საქმე რომ გააკეთო, იმის მაგიერ წიგნებსა სწერ და ქვეყანას აბუნტებ... ციხეში ჩაგაღობ... თოკზე ჩამოგკიდებ! რაო, რაო? როგორ ეძახის თავის თავსა? ტეტიათა მოტრფიალეო. ფხუ! მეც ვიცი! პატრიოსან ხალხში შენ რა გინდა? ტეტებში სული გძვრება! ხალხნო, სმენა იყოს, ვაგონება! ახალი მოდნის ჯამბაზი კამედიას ითამაშებს! არლანიჩიკო-დაუკარ!

არლანი მართლაც აქყვიტინდა.

— აახ, სუსანა! აახ, სუსანა! — შემოსძახა თავდავიწყებით და განიერი ლაჯებით თავისუფალ სუფრისაკენ გაემართა.

შიო აქამდე ისე იყო გაშტერებული, რომ არ ესმოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. ახლა არლანმა გამოარკვია.

— აახ, შე შურდალო, შენა! — დაიგმინა და კბილდაღრჭენილმა ღვინით საესე ხელადა შხელით ესროლა.

ჭურჭელი მიზანს ასცდა და ლამფით აქედილ თხელ კედელს ნაფშენებად შეესკდა. ხოხბის ქრელი ფიტული ლურსმანს ჩამოსწყდა და დაღვრილ ღვინოში და ჭურჭლის ნამსხვრევებში გაცვეთილ ცოცხივით ჩაეარდა.

დნგრა ბიძის ზათრით აქამდე ხმას არ იღებდა. ახლა ამდენი ველარ მოითმინა. ნელა წამოდგა და ტოტყი ფეხებით ხმის ამოუღებლად მაგიდაზე გა-

დააბოტა. ვაჟარს ხელი ღმუილით ქეროში დასტაცა, დააჯღრია, კედევ შენ-
ჯღრია და თვალის დახამამებებაზე წიწილივით მალლა აიჭნია.

— ხალხნო! — ღრიალებდა დნგრა და თან ქერში აფუქტკალღვეფული კაცი
აქეთ-იქით წიწილივით დაჰქონდა. — კამპანიავე, მითხაროფი მასწავლებელი, საით
გადავაგლო ეს მურდალი, ესა?

მაგრამ ამ დროს გაანჩხლებული მიკიტანი დახლზე გადმოიჭრა და მოკრა-
ვეს შეუტია:

— ეე, ეე, ოტროველ, რას სჩადიხარ? ის აღარ გეყო, აქ საქათმე გამიჩინე
და ეხლა პატიოსან მუშტარსაც მიფრთხობ?

დნგრამ ხმა არ ვასცა. ზემოდან ერთი რისხვით დახედა და შიშით ფერდა-
კარგული სოლომანა ძირს ნელა დაუშვა.

— რაო, რაო? — იკითხა ხმის დაწვეით. მერე ერთი საზარლად დაიფშვი-
ნა და მუშტი განივრად მოიჭნია. — ჰა, დავლენო? დავლენო თუ არა ეგ შენი
დუქანი? — სხვა არა უთქვამს რა, მაგრამ ძია შიომ გახელღებულ დისწულს ერთი
ისე შეპბღვირა, რომ დნგრამ ხელი ნალვლიანად ჩაიჭნია და ისევ თავის ადგი-
ლას დაჯდა.

— მითხარ მინც სამართალი სად არი-ი! — ჩაიღლინა სევდიანად და მა-
გიდას იდაყვით ჩამოეყრდნო.

აყალმაყალის თავიდან ასარიღებლად უსტაბაშმა მეგობარს მხარზე ხელი
გადაპხვია და კარებისაკენ დაყვავებით, მაგრამ ბეჯითად წაიყვანა.

თან კიბეზე ნელა აპყავდა და თანაც გულს ტკბილად უამებდა:

— დაწყნარდი, შიოჯან, დამშვიდდი! შენ არხეინად იყავ. ფული რაა, — ხე-
ლის ქუჭკი! ჩვენა ვთხოვთ, ვასესხებთ კიდევაცა, ენტა ნიჩავოო!
ვანოც კოზაკივით აედევნა მათ და ხელში ხალათის კალთა ისე მოებღუჯა,
თითქოს რალაც დასალგრელი მიჰქონდა.

საფეხურებზე ცოტაც რომ აიარეს, ისევ გაისმა:

აბ, სუსანა! აბ, სუსანა!

შიო შედგა, კარებს ზურგიით მიეყრდნო და მოქეიფეებს ზემოდან უღილა-
ჯო ბოდმით გადახედა.

— ეგ არი, რალა! — სთქვა თავის ქნვეით, ხელი უიმედოდ ჩაიჭნია და ამ-
ხანაგებს ფეხის ათრევით გაჰყვა.

7.

ბენარამ ოსტატს ხელი მართლა გაუმართა, — ფული ასესხა და დედალ
სოლომანას თავისი ვახში გაუგზავნა, მაგრამ ეს ოხერი თავნი მინც თავნად
რჩებოდა. ისიც დღეს თუ არა, ხვალ, მუქარას აღსრულებდა, კარს აღექსანდრე
ზოქაულს მართლა მიაყენებდა და სახელოსნოს აუწერდა.

შიომ ვახშის გადახდით სული, ცოტა არ იყოს, მინც მოიბრუნა და ერთ-
ხანს ისევ გახალისდა.

მადლიერმა კაცმა დოსტაც პატივისცემა დაუფასა და გადასწყვიტა, ნი-
შნად მადლობისა, იმისი ვასათხოვრად შედერებული ქალისათვის ამ საყველი-
ეროდ ერთი თავისი ხელით ნამუშევარი კარგი რამ ფეშქაში გაეგზავნა. მართ-
ლაც, განზრახვა მალე სისრულეში მოიყვანა და თავის მეგობარს, ვიგო მერეჟ-
მეს, ერთი წყვილი ლამაზი მაშაიები საიდუმლოდ შეაკერვინა. უნდოდა, რომ

ასე მოულოდნელად მირთმეული საჩუქრით გულნარას ნორსი გული უფრო მეტად გაეხარებინა.

ახლა მაშაიები სახელოსნოში ეწყო და თავის გულის ნაღვსს ნაღვსს უმხელდა. ზედ თავისი უცხო ხელოვანების ოქროს ღილეების ახსნასს სძირს და შიგადაშიგ ლამაზ აწიებად აწყობილი სირმა-ჩაფარიშებიც უნდა დაეტანებინა. ძღვენი ისეთი უნდა ყოფილიყო, კაცს ჰგონებოდა, რომ იმითი მოსიარულე ფეხებს კი არა, უცხოდ მოხატულ სამოთხის ჩიტებს დაჰყავთო.

ეშმაკსა და ტრფობით დამწვარ ბიუსს რა დაემალებოდა. ვანო მაშინვე მიუხვდა ოსტატს განზრახულებასა და სიხარულით მიწაზე ფეხს აღარ სდგამდა. გული კვლავ იმედებით აევსო და ის მიყუჩებული, ამდენი ხნის განმავლობაში ღველვ ქვეშ ნამალავ მუგუზალივით ნატარები სიყვარული ისევ აფეთქდა, გულღვილში ცეცხლი ისევ ჩაენდო.

კარგა ხანი გამოხდა მას შემდეგ, რაც გულნარა მისთვის მართლაც აზრუმის ვარსკვლავივით შორეულად ციმციმებდა, მაგრამ იმედები ჯერ სულ არ დაეკრიფა და ახლა ამ ამბის შეტყობით ფრთა კვლავ შეესხა, სიხარულით ცას ეწია, ცას, სადაც მისი ბედის ვრსკვლავი კიადებდა.

უნდოდა და ვერა ბედავდა, უნდოდა და ენა მუცელში უფარდებოდა. უნდოდა, რომ ეს საქმე ოსტატს მისთვის დაევალებინა და მაშინ ნახავდა, თუ რა შეუძლია იმის ოქროს ხელებსა. როგორ შეამკობდა, დაამშვენებდა ამ მაშაიებს. უნდოდა, თავისი ჯადო ხელის ძალა, თავისი სურვილი, წყურვილი და გულის ტკივილი ამ საქმეშ ისე ღრმად ჩაენერგა, რომ მით ეთქვა ყველაფერი. ეთქვა, როგორ უყვარს, როგორ წვალობს, იტანჯება, როგორ არის ყელამდე სავეს მისი სიყვარულით, როგორ უხარია მისი არსებობა და როგორ ეწამება, რომ მისი არ არის. უნდოდა, რომ ამდენი ხნის ნამღურავი სიყრმის მეგობარი, სიყმის სიყვარული ისევ დაებრუნებინა და მისი გაკერბებული გულიც როგორმე ისევ მოეგო, მაგრამ ცეცხლი ის იყო, რომ ოსტატთან ამ სურვილის გამვლავნებისა ეკრძალებოდა.

ბევრი იყოყმანა, ბევრიც იწვალა. ხან რა შოიგონა, ხან რა, მაგრამ დარა-შვილი გულის ნაღვსს შინც რომ ვერ მიუხვდა, ვადასწყვიტა ისევ გულახდილად ეთქვა ყველაფერი, გამოსტეხვოდა და მით თავისი ამდენი ხნის იღუმალი ნატერა გაემილა.

იმ დილით უფროსი სახელოსნოში კარგ გუნებაზე შემოვიდა და ჯერ სამუშაოდ არც დამჯდარიყო, რომ მაშაიები მოითხოვა.

ვანო ზოზინით ადგა და ფეხსაცმელები აღას ისე ზანტად მიაწოდა, რომ მისი ყურადღება უნებურად მიიქცია.

— რა დაგემართა? — შეეკითხა შიო გაკვირვებით. — იქნებ ავთა ხარ?

იმანაც შემთხვევით მაშინვე ისარგებლა და ეხტიბარ გატეხილი ღრეკით შეეხვეწა:

— ძია, მოდი, ეგ სამუშაო მე მომე, ჰა? — უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ იგრძნო, რომ სახეზე აღმურმა წითლად გადაურბინა და თავი დაბლა დაჰხარა.

შიოს გამჭრიახ თვალებს რა დაემალებოდა, მაშინვე მიხვდა, თუ რა გენაც ჩანთებოდა გულში მის ნაშეგირდალს და ერთი დაეკვებულად ახვდა. საწყალს ფერ-ფერი ისე მისდი-მოსდიოდა, თან ენაც იმნაირად ებმოდა, რომ თავისი

გატაცებული და ახლა დანთქმული ახალგაზღობა მოაგონდა, — თავისი კოდეს-
ლაც სიცოცხლით საესე და ახლა სიცოცხლე გამწარებული ფეფოს სიყვარული
თვალწინ დაუდგა.

ახლა ამ გატაცებულ წარსულს ცოცხლად ხედავდა, მაგრამ *რათაის მწარე*
ხვედრიც რომ გაახსენდა, გულს ნალღელი კვლავ შემოაწევა.

— რაო, დიდი ხანია, რაც მწყრები გაიჩინე? — შეეკითხა ბიქს განზრახი
უქმეზობით.

ვანო უფრო აიწურა და ისე შერცხვა, თავი ისე უხერხულად იგრძნო, რომ
მიწა გასკდომოდა, ის ერჩია, მაგრამ სირცხვილიდან ისევე შიომ ამოიყვანა:

— კარგი იმუშავე! — სთქვა დაყვავებით და თავისი თანზმობა რუსული-
თაც დაადასტურა:

— ხარაშო! დაეი არა მაჭეს.

მერე ხელები კმაყოფილებით ერთიმეორეზე მოიშმუშნა და ნაგვიანეველ
ისე დაუმატა, თითქოს იმას კი არა, თავის თავს მიმართავდა:

— სამკაულითაც შენ უნდა დაამშვენო: ოლონდ, ხო იცი, სასახელოდ უნ-
და გაკეთდეს. ისიც იცოდე, დრო აღარ ითმენს. ნობათი საყველიეროდ მზად
უნდა იყოს.

— ბაშუსტა, ძიაჯან! — ამოხდა სიხარულით ცად აფრენილ ბიქსს, მაგრამ
ოსტატი არა ჩქარობდა, ნაშევირდალი თითის ქნევით დაამუნათა:

— ბიჭო ხო იცი, რო გასათხოვარია. ქვებიც ისეთი ფერის უნდა შეარ-
ჩიო, რომ მის თვალებს ეხამებოდნენ... ისიც იცი, რო ლამაზია. — მაგრამ
სიტყვა მაშინვე მოსწყვიტა, მათ ზედმეტობაზე თვითონვე გაელიმა და მოკ-
ლელ მოსჭრა: — პო-და რაღა ბევრი გაგიგრძელო, — შენც კარგად იცი... — და
უნებურად გამელაუნებული ღიმილი კვლავ უღვაშებში მიჩქმალა.

და, აი, ორი ღამეა არ ძინავს ვანოს.

თავაუღლებელი მუშაობითა და უძილობით თვალეები ლაინისფრად ამოუ-
ღამდა. ჭამის მადაც ასე დაკარგა, რომ ოსტატის სახლიდან მისთვის საბელოს-
ნოში მათლაფით გამოგზავნილი კერძი მთელ დღეს დახლზე ხელუხლებ-
ლად იდგა.

ოსტატი მის საქმეში არ ერეოდა. მაგრამ თვალუკრს შორიდან, მისდა შე-
უმჩნევლად, ფბიზლად ადევნებდა. ვანო გრძნობდა ამ თვალებს, გრძნობდა და,
მიზეზიანი ოსტატის შენიშვნისაგან თავი რომ გაერიდებინა, მუშაობდა უფრო
შეტის მოწოდებით, ირჯებოდა უფრო შეტის გატაცებით და ბოლოს იქამდე
მივიდა, რომ აღარაფერი აღარ ახსოვდა.

შიოს გულმა არ მოუთმინა და შეილის ავადყოფობით შემფოთებულმა
თავი საყვედურისაგან ვერ შეიკავა:

— ბიჭო, თავს რათ იკლავ? დინჯად იმუშავე...

მაგრამ არა გამოდიოდა რა, ბიჭი საქმეს მაინც ვერ მოსწყვიტა

ახლა მესამე ღამესაც თეთრად ათენებდა და ნაჩქარვე შრომას ბარაქა
მაინც არა ჰქონდა.

ქალაქზე ღამის დღემილი ბნელი იღუმალეებით გადმოხაფრულიყო და, ყვე-
ლას რომ ეძინა, მხოლოდ მას ენთო სანათი, მხოლოდ ის სტებდა ღამეს. მუ-

შაობდა ისე მგზნებარედ, თითქოს მართლა მღეროდა და ამ ტკბილი სიმღერით თავისი მამის ხელით სალუქად წაეკრე მაშაიებს სათუთად ამკობდა.

კედელზე ჩამოკიდებული ძველებური გუგულის საათიც ვერცხვად მგზობრივით წამატებებლად ხმაურობდა და მის დაქინებულ კაცს წაქრთქრთმწინევიად გარბოდა. შეუქმნევიადვე მოსული ვერანა თვლემაც ტკბილი იყო და თვალს ქურდულად პპარავდა.

ახალგაზრდის ძილი ხომ ღვინოსავით არის, — ჯერ ნელა შეგეპარება, მოგადუნებს და მერე, თავში რომ დაგკრავს, უცებ მოგტებს კისერს. იმასაც შეპარულ ღვინოსავით დაკრა რულმა და თვალეები შრეშწამულივით ეწებებოდა. კისერ-მოწყვეტილი სკამზე ისე საცოდავად ირწეოდა, რომ უხერხულად მომარჯვებული სიმჭამით ერთიორჯერ თითი კინალამ მიიკვინტა, მაგრამ გაჯუტებული და თავს ნათქვამი საქმეს მაინც არ ეშვებოდა. ცალი ფეხსაცმელი კალთაში ისე ჩაეჭირა თითქოს ეშინოდა, — ჩიტია და არ გამიფრინდესო.

მეორე ცალიც, ოქროს დილასხმული, პირმოქარგული, მარგალიტის თვალით მობახიული იქვე, თაროზე, უცხო ფრინველივით იჯდა და გალობდა სავეგულით:

„გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ.“

და თვალცრემლიანი თავის ტყვედ ჩავარდნილ ჯუფთს ნატვრით დაჰხაროდა.

და ასე, მოუსვენარ ჯაფაში ძილმორეულს, ჯერ უშნოდ მოხმარებული წმინდა ქლიბი ტარში გადაუტყდა. რალაც ეშმაკად იქვე ოსტატის ნამუშევარი, ჩამოსასხმელად გამზადებული გულქანდის ყალიბიც იდო. როგორღაც ისე მოხდა, რომ უცაბედად ხელი წაჰკრა, ძირს გადაეარდა და ისიც, ნაცარტუტად აქცია.

— ვაიმე, რა პირით შევხედო ეხლა ოსტატს! — ამოხდა შიშისაგან და ჯავრით ისიც დაავიწყდა, თუ ვისთვის მუშაობდა ასე თავგადადებით. სამაგიეროდ მარცხმა ერთბაშად გამოაფხიზლა და იმდენი იბეჯითა, იმდენს ეცადა, რომ საქმე იმ ღამით დანიშნულ დროზე ერთი დღით ადრე დაასრულა.

კმაყოფილებისაგან ერთი ლალად ამოიხენეშა, წელში შევებით გაიძარტა და ჯუფთი ჯუფთის გვერდით ფაქიზად დადო. შორიდან ორთავე ერთნი იყვნენ, ხოლო ახლოდან აშიათა და კილოთა სხვაობით დიდად განიჩჩევიდნენ ერთ-ერთისაგან. ეს მან მშობლიურ დიდოსტატ მეტუქურთმეთაგან ისწავლა, მათ საიდუმლოებას დიდის ჯაფით ჩასწვდა და ახლა თაროზე შემომსხდარ გულმოქარგულ ჩიტებს ხან აქედან გასცქეროდა, ხან იქიდან და საქმე გათავებულად რომ დაიგულა, ერთბაშად ისეთი დაღლილობა იგრძნო, რომ კინალამ იქვე ჩაიკეცა. ძილმორეული ლოგინგაულვლელ ტახტამდე ძლივს მიღასლასდა. ზედ ტანთგაუხდელად მიეგდო და თავის მიდებაც ვერ მოასწრო, რომ უკვე ეძინა. ეძინა და ძილში ტკბილად ჩაესმოდა, როგორ გალობდნენ ისინი, ფეხთსამოსნი კი არა, — ბედნიერი ჩიორები, გალობდნენ რალაც ლათაიებს და გულის სიღრმიდან ამოხეთქილ მუნასაბებს, გალობდნენ და რული კიდევ უფრო ტკბილი იყო და სანეტარო.

ვალობდნენ ტკბილად, გულის მასალბუნებლად და ადრეული განზრახვის მზიანი დღეებით გამოტყუებული, მამრუბელი სურნელებით აღშენილი ნუსები, ატმები და ქერამ-გარვლები მათ თავიანთ ტოტებში კეთილდღეობატი-ებოდნენ.

ხიზლირთისა

8.

კარებს ფრთხილად მიაკაკუნეს.

ხმა არაფერს გასცა.

კაკუნის ისევე განმეორდა, მაგრამ ახლა უფრო ძლიერ და დაჟინებულად-ვანოს კაკუნის ძილში ყრულ ჩაესმა.

ძილისაგან დამძამებული თავი ძლივს აიღო და ძილისაგანვე დაბოხებული მშობით უბირად შეეკითხა:

— ვინ არი? — მაგრამ პასუხისათვის არც მოუცდია, აკეცილ ლოგინზე ისევე ქვესავით მიეგდო.

ის კი, ვიღაცა იყო, მაინც არა ცხრებოდა, ისევე ჯიუტად აკაკუნებდა.

მძინარე ისევე გამოერკვა.

— ვინ არი მეთქი? — იკითხა ნამძინარევი მშობით კიდევ უფრო უბირად.

— მე ვარ, გააღე, — მოისმა ყრულ ნალოთარი, უშნოდ დანჯღრეული ხმა გარედან.

იცნო, ვინც იყო.

სახე უსიამოვნოდ დაედმიჯა და ტახტზე ზანტად წამოჯდა. ძილისაგან გა-ჟიჟინებული ფეხები ისე აწუხებდნენ რომ ჩექმის გახდა დააპირა, მაგრამ გადა-იფიქრა. ზმორებით წამოდგა, დაამთქნარა. მერე ხელის ჩაქნევით მტკიცე ნაბი-ჯით კარისაკენ გაემართა და გააღო.

— გამარჯობა! — სთქვა თედომ დაღვრემილად. შუა სახელოსნოში-გამომ-წვევად დადგა და ნაამხანაგარს შუბლ ქვემოდინ გოროზად მიაჩერდა.

დამხდური საბოლოოდ მხოლოდ ახლა გამოფხიზლდა, მაგრამ ამ მოუ-ლოდნელი სტუმრობით ისე იყო დაბნეული, რომ არ იცოდა, როგორ მოქცეუ-ლიყო და დაუპატიებელ კაცს გაცეცხული უცქეროდა.

— მუშაობ? — შეეკითხა თედო დამცინავი კილოთი და პასუხისათვის არც მოუცდია, განაგრძო: — ღამეებს ათენებ? გვონია, საქმეში ხარ რაღა!

სახელოსნოში ერთი აქეთ-იქით გაიარ-გამოიარა, მერე შედგა და ირგვლივ შავი თვალები ბნელად მოაეღო, ყველაფერი გესლიანი ღიმილით აათვალიერა.

ქურა, დაზგები, ძველებური გუგულის საათი და ათასი ხარახურა, ზოგი ზედმეტი, ზოგი აუცილებელი, — ერთი სიტყვით, ყველაფერი ისევე ისე იყო, როგორც მაშინ, როცა ის აქ მუშაობდა. მხოლოდ შეგირდთა რამ-დენიმე ტახტის მაგიერ, ახლა ერთად-ერთი და იდგა და სახელოსნოში მეტა ხალვათობა იგრძნობდა. ეს რკინის დადი ზანდუკიც, თითქმის შუამდგ, ისევე ისე ეჯდა მიწაში, ოღონდ რატომღაც ხუფი აეხადათ და იქაც, შიგ, სიკარიელის გამო, დიდი ხალვათობა იყო. ახლა მეორე თაროც ჩაათვალიერა და ზედ უცნა-ურად მორთული მაშაიები რომ დაინახა, გაუკვირდა.

— რაო, ხარაზობაც დაიწყე? — სთქვა შხამიანად და, ნიეთი ხელში რომ აიღო, გაშტერდა.

ხელოსანი იყო, კარგი ხელოსანი და ამ ძვირფასმა ნახელავმა ისიც ვაიოცა. დამკინავი ღიმილი სახეზე გაუმკრთალდა და მაშაია ისე საჩუთად ჩამოსდო თაროზე, თითქოს გასატეხია და ეშინია ძირს არ დაუვარდესო. მერე უკან დაიწია, ნიეთს მუშტრის თვალთ ისევ გახედა და ხელი სინანულდებდა.

— ღამეებს ათენებ... — სთქვა გულჩახურულად, ბოლმიახად. — შენი თავი შენვე ვიხარია და გჯერა. მუშაობ და გულს ცეცხლი გედება.—და უცებ გული მოუვიდა:

— ბიჭო, რა ვახარებს შე ღმერთბალო, შენა? მითხარ მაინცა ეს სიხარული საიდან არი, ჰა? მე კი... ეებს, რწმენა დავკარგე, ბიჭო, რწმენა! ვმუშაობ და არა მჯერა... არა მჯერა და ვერც ვმუშაობ... ეებს, ერთი ისეთ ტოტზე მაინც შემსვით, რომ თვითონ მოვჭრა და დავიღუპო. ეხლა? ტოტზე ვზივარ და შენა სჭრი... მღუბავ რაღა! რა გინდა, ბიჭო? ჩამომეხსენ, შენ უღმერთოვ, შენა! — შეევედრა ბავშვივით გულაჩუყებული და ერთბაშად თვალები ცრემლით აევსო. გული ვანოსაც აუღულდა.

არასოდეს ის ასე გულახდილი და გულადუღებული არ უნახავს.

უნდადა სანუგეშო რამ სიტყვა ეთქვა, მაგრამ დაცინვისა შეეშინდა და უბირად შეეკითხა:

— თედო... თედო, რათა ხარ ეგეთი, ჰა?

სტუმარი ერთი ყალთაბანდურად, ვანზრახი გაკვირვებით შეკრთა. მერე, თითქოს გულს ელდა შემოახდაო, ლაზათიანი სახე უშნოდ დაემანჯა და ნაამხანაგარს ბოროტად გადმოკაკლული თვალებით ახედა

— შენ ის მითხარ, რათ არ უნდა ვიყო ეგეთი, ჰა? — და უცებ, თითქოს ახლა გაახსენდაო, გაფაციცებით შეეკითხა: — ბიჭო, ხო გახსოვს? აი, ის დღე ხო გახსოვს? ბალღი ვიყავით... ერთ დღეს კეკემაღულლობას ვთამაშობდით... გახსოვს, თუ არა, მითხარ მეთქი, ბიჭო?

— მახსოვს.

— ისიც ხო გახსოვს, „ბინაში“ თვალდახუჭული რო ვიდექ და ხმამაღლა არხენად ვთვლიდი?

— მახსოვს.

— ჰო-და, ეხლაც თვალდახუჭული ვარ... უსაქმოდ ცუდად ვდგევარ და ჩემი სიცოცხლის ქესატ დღეებს უღიმჯამოდ ვთვლი... ვთვლი და მიყვარს... მიყვარს და ვთვლა... შენ კი იმ საოხრო სარაიაში იმასთან ერთად დამალულხარ და მატყუებ... ეხლა შენ თვითონ მითხარ, როგორ ვიმუშავო, რა გულით გავისარჯო, ჰა? ვნანობ, ხანდამაშვილო, ძლიერ ვნანობ, რომ ეგ მარჯვენა იქვე არ მოგტეხე... ვნანობ და მიფრთხილდი! თავსა ვფიცავ, ჩემმა მზემ, არ დაგინდობ...

ხანდამაშვილი გამშრალი იდგა

არ იცოდა, რა ეთქვა.

ისევ სიჩუმე ამჯობინა.

თედო სინათლისაკენ შემობრუნდა და ვანომ მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ მთერად კაცს თვალები ისე ბოროტად აგზნებოდა, რომ შიშით უკან დაიწია.

— მაგრამ, ეებს... განა ისედაც მოტეხილი არა გვაქვს ეს ვერანა ხელები? მოტეხილი გვაქვს და არა გჯერა. რამდენი სიხარული, სიყვარული, წყურვილი გამოგვიცდია და რისთვის? რისთვის მეთქი, ბიჭო? მეც მეგონა, ჩიტი ვიყავ და

უღარდელად ვგალობდი. მეგონა ფრინველი ვაყავ და ლაღად ვფრინავდი, ფრთებსა ვწურავდი, მაგრამ... — მაგრამ სიტყვა არ დაუსრულდება, რადგან კედელზე საათის ზამბარაკი ერთბაშად ახრიალდა და ყურთასმენა მას მიეპყრო.

ზრიალი მიუყრდა თუ არა, საათის პატარა კარი გაიღო და მიქცა. თავდა-მოყოფილმა გუგულმა თავისებურად ხუთჯერ დაიძახა და მაშინვე თვალს მიეფარა

— ისევ ისე იძახის! — სიტყვა უმწეო ღიმილით თვდომ. — გუ-გუ! გუ-გუ! — გამოაჯავრა ჩიტს სასაცილოდ და თავი მოწყვეტით ჩაჰკიდა. — შენც ისევ ისე მუშაობ. ღამეებს თეთრად ათენებ, ცაში ფრინავ, გუგული კი ყუთში არხინად ზის და არხინად მღერის.

უცებ გული ისევ მოუვიდა და ბრაზიანად აყვირდა:

— რით ვერ გაიგე, ბიჭო, რომ შენი აზრუმის ცისკარი ჩაჰქრა და აღარ ანათებს. ჩაჰქრა მეთქი, ბიჭო, ჩაჰქრა, და! ან ის რათ არ გესმის, ან რათ არა ხედავ, რომ ცაში ეხლა ვარშავეისა და გრანიცის ცისკარა ამომხდარა, ჰა? — მაგრამ ხმა მაშინვე ჩაუწყდა.

სახელოსნოში ისეთი გუგუნის შემოიჭრა, რომ ეიწრო სარკმლის მინებმა ზრიალი მოიღეს.

თედო გაჩუმდა.

ყური მიუგდო.

დიდუბის რკინიგზის მთავარ სახელოსნოების საყვირი გუგუნებდა.

ახლა მას სხვანიც შეუერთდნენ, ზოგი სტვენდა, ზოგი კიოდა, ზოგი ცივი ხმით წიკვინებდა და მთელი ქალაქი საყვირების ნაირ ხმათა ზრიალში გაეხეთვა. ორთავენი იღვანენ, ხმას არ იღებდნენ და მოულოდნელად ამტყდარ გნიასს გარინდებით უსმენდნენ.

მალე ქუჩაში გამვლელ-გამომვლელთა ფეხის ხმა, ხველება და ლაპარაკიც მოისმა.

მუშები ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოდ მიიჩქაროდნენ.

— ხედავ? მიდიან... მიდიან... იმათი დილა თენდება... და ჩვენი, ჩვენი შა-ბაში ღვება!

9.

ეანოს მთელი დილა მკვდარივით ეძინა.

იღბალზე ოსტატსაც დაავიანდა და სამი ღამის დანაკლისი, ცოტა არ იყოს, ამ დილის ძილით შეიქსო.

ღროზე ადგომას ჩვეულმა დიდბანს მაინც ვერ გაძლო ლოგინში და შინიდან მოსულ ოსტატს ფეხზე დახვდა.

სამუშაოს დასრულებით კმაყოფილს ნაშინარეზე გუნებაც ხალისიანი აჰყვა. ისე იყო, თითქოს რაღაც დიდა რამ განძი ეპოვოს და გახარებულს წუხანდელი ბნელი სტუმრის ამბავიც დააეიწყა.

შიომ მოსვლისთანავე თავის ადგილს მიაშურა ჩვეულებისამებრ, პირჯვარი სამჯერ გადაიწერა და ახალგაზნად ოსტატს მხოლოდ შემდეგ მიესალმა.

მერე მეშის ფეშტამალი საჩქაროდ აიფარა და მოწოდებულ ნამუშევარს სინჯვა დაუწყა.

ვანოც იქვე იდგა და გულგადაღებული ელოდა, უფროსი რას ეტყოდა.

ოსტატმა ნახელავი დიდი ყურადღებით გასინჯა, ლილებსა და ჩაქვიშებს ფეხსაცმელის ყაიდასთანა და დანიშნულებასთან შეხამება შეუმოწმა და, გული კარგა რომ დააჯერა, გაკვირვებით იკითხა:

— როგორ მოასწარ? — და ბიუს კმაყოფილებით ახედს მასზე. — შეიძლება პატრონს ხვალვე ჩაეხაზოთ... დღეს ეგრე იყოს, თვალი შეეწვიოს. — ფეხსაცმელი იქით გადასდო და ისიც საქმეს შეუდგა.

მალე შეშაობაში ისე გაერთინენ, რომ აღარაფერი აღარ ახსოვდათ, მაგრამ, აი, ოსტატს რაღაც იარაღი დასჭირდა.

ირველივე მოიძებნა და ძებნაში გართულმა თავის ყუნწში გადატეხილ წმინდა ქლიბს შეასწრო თვალი.

— ეს რა არი? — იკითხა კუშტად, ქლიბი ხელში აიღო და ზედ სინანულით დახედა.

ვანოს ფერი ეცვალა. იფიქრა.

რახან უბედურებაა, ბარემ ერთად დამატყდეს თავსაო და უმალ დააყოლა:

— ეგ კი არა ოსტატო, ის კარგი გულქანდის ყალიბიც დამემტერა!

მაგრამ მის გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ოსტატმა, თავზე ცეცხლის გადაყრის მაგიერ, ოდნავ გაიღიმა და მამაშვილურად დაარიგა:

— ძან სათუთია, შვილო. ფრთხილად უნდა იყო. ოდნავ მოარტყა რამე, მაშინვე გატყდება.

ვანომ თავისუფლად ამოისუნთქა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

მიხრობა ბაბუნაძე

ქველ საქართველოში

პირქუშ კლდეებზე კიაფობენ სხივები დილის,
უელავს მხედრებს იარაღი, ცხენებს აბჯარი;
მოდის ზეიმით ხეობაში ომგადახდილი,
გამარჯვებული და ამაყი ქართველი ჯარი!

წინ მოუძღვებათ მათ სარდალი, მხნე, მტრების რისხვა.
გასცდენ ხეობას, ეგებებათ გაშლილი ველი.
მთებიდან სულის საამებლათ ისმის ზარის ხმა
და ღრუბლები ცას ეფინება ვით საკმეველი.

მზე შეთამაშდა ცაზე თითქოს, განახლებულა
ველი და ირგვლივ ბუნებასაც მოუღებინა;
ყველა ზეიმობს, უხარიათ, გალაღებულან
მხოლოთ აქ მარტო დროშებს მტრისა მოუწყენიათ.



მთვარის სინათლე თეთრ სარკმელში ჯერ არ ჩამქრალა,
სულის საამოთ სჩანს წარმტაცი სინათლე ციდან.
ჩაფიქრებული ჩამომჯდარა ტახტზე მზექალა,
თუმც სიომ დაპკრა, როგორც ყვავილს ისე შესცივდა.

ძილფხიზლობს, რადგან საიდუმლო ახლავს უთქმელი,
თურმე ის ჩუმათ უფალს ასე შევედრებია, —
არ დაიძინებს, ღამეს ათევეს სანამ ქართველნი
ომის ველიდან მშვიდობით არ დაბრუნდებიან.

ოი, გათენდა, გაიხედა, არეინ სჩანს გზებზე.
მიუალერსეს გარეთ გასულს ხეთა შტოებმა.
სიო მწვანე ველს აბიბინებს და დილის მზეზე
დადის ეზოში მოქანცული უმანკოება.



გრიგოლ აბაშიძე*

სამი უსახელო

ავანთოთ შუქი ჩვენჩვენი ზვედრი,
ჩვენამდის ენთო სხეების სანთელი,
თოვლიც, ეს თოვლიც კვლავ მოვა თეთრი,
მაგრამ სხვა მოვა თოვლის ფანტელი.
ქარში დაკარგულ ფოთლებს ვინ მოთვლის,
აღრე მოსული, აღრე რომ კვდება,
განმეორდება სიმწვანე ფოთლის,
მაგრამ ფოთოლი არ მეორდება.
იქნებ ყოველი იყო ზღაპარი,
მაშ სად წავიდა დღე შარშანდელი?
პირველი ფოთლის თრთოლვა სად არი,
ან ის პირველი თოვლის ფანტელი?
დასაბამიდან ასე ბოლომდე,
იყო, ზვდებოდენ დღეებს გულლიად,
მისთვის, რომ სოფლად აღრეც ცხოვრობდნენ,
სოფელზე ზელი ვის აუღია!
ვიაროთ მკვიდრთან და საკუთართან,
ქვეყნად ასეთი კიდევ თუ არი,
მისთვის რომ აღრე სხვასაც უყვარდა,
ჯერ სიყვარულზე ვინ თქვა უარი!
ვიაროთ ასე ლექსის ლელომდე.
სხვაგვარი ყოფნა ჩვენთვის უქმია,
მისთვის რომ აღრე სხვებიც მღეროდნენ,
სიმღერა დღემდე ვის დაუგმია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალითაც რომ დაგხუტონ, გაახილე თვალი,
 მოასწარი, ქვეყნის ნახვა წილად გერგო ერთხელ,
 ერთხელ შეგხვდა ქვეყნად ლხინი, ღვინო, მზე და ქალი.
 ძალითაც რომ დაგხუტონ გაახილე თვალი,
 სიყვარულით გადიხადე მთელი ქვეყნის ვალი.
 თვალს ნუ მისცემ დასვენებას ღამეების შტებელს,
 ძალითაც რომ დაგხუტონ, გაახილე თვალი,
 მოასწარი, ქვეყნის ნახვა წილად გერგო ერთხელ.

დააცადე, ლექსმა გულში კიდევ დაიზამთროს,
 ხვალ ვინ იცის სად ინატრებ საქართველოს ღრუბელს,
 სიზმარივით მოიხედო იქნებ გაის ამ დროს,
 დააცადე, ლექსმა გულში კიდევ დაიზამთროს,
 დააცადე, სანამ გულმა თვითონ არ ინატროს,
 შუადღის მზეს ნუ შეხვდავ ქვეყნის გადამშუგველს,
 დააცადე, ლექსმა გულში კიდევ დაიზამთროს,
 ხვალ ვინ იცის სად ინატრებ საქართველოს ღრუბელს.

ა მ ი რ ა ნ ი ¹

4.

გელას კაკლისოდენა გულში აღარ ეტევა ამდენი ბოღმა. ის გამოჯაერებით ხან ხარს გაუტყლაშუნებს ბეჭზე სახრესა, ხან გზისპირად დაჩაგრულად მდგომ ჩირგვს შემოსცხებს. ვისა სცემს? ვიზე ყრილობს გულის ბუხარს არც გელამ იცის კარგად.

— მაგრამ ლექსო ხო ამბობდა — ყველაფერი რუს-ხელმწიფიდან მომდინარეობს. მაშ თვითონ ლექსოს დაჭერაც რუს-ხელმწიფის ბრალი იქნება. ეჰ, ნეტა ვინ უფრო ღონიერია — რუს-ხელმწიფე თუ ამირან-დარეჯანიანი?

გელა მძიმე-მძიმედ მიდის ბებერი პაპასავეითა. აგერ კაკლის ქვეშ გულჩინა პატარა ხბოს ელოლიავება: თვალებს უკოცნის, ყელზე ეხვევა. რა დაინახა გელა, მაშინათვე მიიძახა:

— გელა! მწიფე ოლე აღარა გაქვს? ან პანტაი, ან კვრინჩხი?

— არა.

— მოდი აქა რა, თამაშობა არ გინდა?

— არ მინდა.

— არ გინდა და ნუ გინდა. არც მე შეპრიანება შენთან თამაშობაი.

გელას გული ეტკინა, რომ ისე ცივი უარი სტკიცა გულჩინას. იმის უკმეხი პასუხიც ეწყინა. მაინც ყველაფერზე გაბუტულივით უხალისოდ მიაბიჯებს შინისკენ. ყველა-ყველა, მაგრამ ი ამირანის ზღაპარი მაინც გაეგო თავითბოლომდინა, ვიდრე დაიჭერდენ ლექსოსა! ყველაფერზე გამოჯაერებით კარებწინ მიგებებულ ყურშასაც კი აღარ მიელაჭტუა ბიჭი. პაპა ფილოც იქვე იყო. რაღაცაზე ჩხირკედლაობდა. გელას დანახვაზე, მუშაობას მიაწვდა თავი:

— მოდი შეილო, მოდი მიაბზე, როგორ მოხდა ი საწყალი ბიჭის საქმე?

— რაღა როგორ მოხდა რა! დაიჭირეს და ეგაა! ისე ცემდენ საწყალსა, ისე რობა — რძი მავიერა ჩვენ გვეწოდა ზურგი.

— აი, შეაჩვენოს ღმერთმა ის წესი და წყობილება, სადაც პატიოსან კაცს ეგრე ცეცხლს უკიდებენ! აკლდა ამ ოხერა სოფელსა უბედურებაი, რო ეგეც ზედ მიუმატეს! ეე, შეილო! დაწყვი-დაბადებდიდანა არავის ზელში არ გაუხარია ხალხსა და ვერც გაიხარებს. ხალხი შეილო ტანჯვისთვინა და ჯათის-თვინ არის გაჩენილი და ამასა მის დღეში ვერც დააღწევს თავსა.

გელა ათასნაირად აწეწილ გრძობებში გაბმულა. ფართხალებს პატარა ჩიტუნასავით, მაგრამ დასახსნელი ვერსად მოუნახია და ლამის ტრემლები მოადგნენ თვალზე.

¹) დასასრული, იხ. „მწაობი“ № 1 და 2.

— ...მერე პაპა! ი ახალთაობას რო ამბობენ, არც მაშინა...

— რა ვიცი შეილო! იქნება კია ოდესმე ახალთაობაი! რა ვიცი, რა ვიცი! აგერ დედა შეეხმურა გელას:

ერკინული

— ჩემო ბიჭიკო! მოდი გენაცვალე! ხალათი შეგიკეტე! როგორ გექნება.

ზედიზედ დაჯდომილ ტყვილეების შემდეგ დედის გულითადი ხმა უკედ-
ვების წყაროს ჩუხჩუხივით მოესმა გელას და გასწია შინისაკენ.

ცოტა-ხნის შემდეგ ისევ გამოვიდა გელა, წამოჯდა პაპა ფილოს შორიან-
ლო დაფიქრებით გართულმა დაუწყაო ცქერა მის მუშაობას.

— რაო ჩემო გელიკუნა! ლექსოს დაქერამა განა ეგრე დაგალონა? რა
ეყუთო შეილო! ეე, სოფელსა კიდე ბევრი მწარე თავგადასავალი უწერიო!
უნდა გავუძლოთ, მეტი რა ჩარაა! აიყვანენ ი შენ ლექსოსაცა და მამაშენთან
მიიყვანენ. აქაურ ავ-კარგს ეტყვი და პატარა გულზე მოეშვება კაცსა.

ფილო დაილაღა მუშაობით, ჩამოჯდა იქვე კუთხად გდებულ მორზე და
შეუდგა თავის ჭირვარამის შემანელებელ ჩიბუხის სამზადისს. გელა-ბიჭი
ხან მიწას სჩიჩქნის საბრის თავით, ხან კენჭებს ესერის ამოჩემებულ ლობის
ფიცარს. ხან თვალს გააყოლებს ჩამავალ მზისკენ გამოკიდებულ თეთრ ღრუ-
ბელს. ეებს! გამოცანად თავის ახალხალათს მისცემდა ყველას, ვინც მიუხედება,
აი, ამწუთას მის გულისნადებს. მაგრამ ვინ არის ეგეთი გულთმისანი, ვინ —
რომ გელას ახალი ხალათი ჩაიცვას და მოუხდეს კიდევ?

— პაპა ფილო!

— რაო შეილო?

— ... შენა ამირანის ზღაპარი იცი? აი, მიჯაჭული ამირანისა?

— რათა კითხულობ?

— არა, მითხარი — იცი თუ არა?

— ვიცი, როგორ არ ვიცი შეილო! ამოდენა კაცი დაებერდი და მა ამირა-
ნის ზღაპარი აღარ მეცოდინება!

— მიაშე რა, პაპა!

— უჰ, ეგა შეილო ძაან დიდი ზღაპარია! მაგასა ერთი ზამთრის ღამეც
არ ეყოფა — იმოდენაა!

— მერე რა! ზოგი დღეს მიაშე და ზოგი მერე, ჰო!

— საიდან მოვაგონდა ბიჭო ე ამირანის ზღაპარი?

— საიდანაცა! შენ ოღონდ მიაშე და სულერთი არ არის! იმდენ სოკოებს
მოგიტან პაპა, აბედისთვინა, იმდენსა რომა... ოღონდ მიაშე!..

პაპა ფილოს კმაყოფილებით ელიშება. ესაიმოვნება გელას ასეთი დანი-
აზება ამირანით.

— გეტყვი, მაგრამ, ვინძლო — პირობას არ გადახვიდე, აი!

— არა პაპა, თუნდა ჩიბუხის სატარეებსაც ზედ მოვაყოლებ! ინდღესა იმ-
დენი ვნახე ნაფარეხლების ტყეში რო!..

— კარგი, შეილო, კარგი! ხოლოთა ამირანსა შეილო დიდი თავგადასა-
ვალი აქვს. თავიდან — ბოლომდისა ერიპაა, როდის გავათავებ! ესლა გეტყვი
მარტო — რითვინ არის ისა მიჯაჭული, ჰო?

— ჰო, პაპა! მეც ეგ უფრო მინდა — რითვინ არის მიჯაჭული.

პაპა ფილომ გამართა ჩიბუხი, ერთი-ორჯერ გემოზე მოქანა და შეუდგა. გელამ უფრო სანთიანად მოიკალათა და სმენად გადაქცეული მიჩნერდა ფილოს.

— ...ჰო-და ამირანის ტოლი არაიენ იყო დედამიწაზე და გულ-ლოვანობითა მდევებს სუ მუსრი ვაავლო. ერთი აღარ დაჰკანებდა დედამიწაზე ამირანის შიშითა. დევები ხო სუ მოიშორა არა ამირანმა! მერე ერთი გაიხედ-ვამოიხედა ქვეყნიერებაზე და მაინც არ მოეწონა იქაური რაგინდრაობა: ნახა ხალხი ნადირივითა ცხოვრობს: ტანთ იმას არ აცვია, პურის ცხობა იმან არ იცის, არც იარაღის ვაკეთება, არც სახნის-საკვეთისა. ზამთარში ხო სუ სიცივით იყინებიან. ეს იმიტომა რომა, ხალხმა ჯერ არ იცოდა ცეცხლი...

— როგორა პაპა?

— როგორა და — არ იცოდენ ცეცხლის ვაჩენაი. პირველათა თურმე ხალხი ისე წვალობდა უცეცხლობითა, მა!

— მერე პაპა, მერე?

— ჰოო-და, ნახა ამირანმა, თუ როგორ იტანჯებოდა ხალხი უცეცხლოთა. ამირანსა კი ხალხი ძალიან უყვარდა შვილო. სუ იმითენია ზრუნავდა. ჰოო-და, იმას ვამბობდი: რო ნახა ამირანმა ხალხის ისეთი ვაჭირებდაი, ერთი დაიმუქრა: რიღას ამირანი ვარ, თუ ჩემ საყვარელ ხალხს ვერ ვუშველიო! ის ზომა ქრისტე-ღმერთის ნათლული იყო. იცოდა რომა ცეცხლი მარტო ღმერთს ენთო თავის წინა. ზამთარ-ზაფხულ ისე გიზგიზებდა თურმე ჩაუქრობლათა. სუ წმინდანები და ანგელოზები თბებოდენ თურმე იმაზედა. ჰოოდა ერთ ცივ ღამესა ვაგულისებული ამირანი მივარდა ამ ღვთის ცეცხლთან, მოიტაცა ერთი მოგიზგიზე მუგუზალი და გამოიქცა დედამიწაზე. ბევრი სდიეს თურმე წმინდანებმა და ანგელოზებმა, მაგრამა, შენც არ მომიკვდე, რო ისინი ამირანს ვერ დაეწიენ. მოიჭრა ამირანი და ვაჭირებულ ხალხის წინ ააგიზგიზა უშველებელი ცეცხლი. აი ამის შემდეგა შვილო ხალხი კიდევაც ვათბა, იარაღის კეთებაც ისწავლა, სახნის-საკვეთისაცა, პურის — ცხობაცაა. მა, ასე ვაჭირების ტალკვესად მოვევლინა ამირანი ხალხსა.

— იმას კი ვენაცვალე! თურმე რა ყოჩალი ყოფილა ი ამირანი, არა პაპა!

— ყოჩალიც იყო და მეტიცა, მაგრამა ღმერთმა რო აღარ იპატია, შვილო, იმისი ასე თავგამოდებაი ხალხითენია! მაშინათვე უბრძანა ქრისტე — ღმერთსა: წადი, სადაც იყვეს-არ-იყვეს, მოსქებნე ამირანი და ერთი კარგა დასაჯე ამ დანაშაულისთენია ჩემ წინაშეგო.

— მერე პაპა, მერე! რა ქნა ქრისტე-ღმერთმა?

— რას იზამდა შვილო! წამოვიდა ქვეყანაზე დიდი ღმერთის ბრძანების შესასრულებლათა. დაიწყო სიარული და ძებნა ამირანისა: ამირანმაც ვაიგო რო მისი ნათლია ქრისტე-ღმერთი ქვეყანაზედ მოსულა იმის დასასჯელათა. არ შეუშინდა. გმირ კაცსა არადროს არ ეშინია ვისმესი, მა!

— მერე პაპა, მერე?

— ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, აკი შეხედენ კიდევცა ერთმანეთსა. ამირანმა არც აცივა არც აცხელა და მიახალა შეუბოვრათა: „ნათლი! მე ვაგივე, ჩემ დასასჯელად მოსულხარ ამ ქვეყანაზე! მაშ მოდი დავიკიდოთ, ვინც მოერიოს, მოერიოსო!“ ქრისტე ღმერთმა აიღო ერთი რკინის პალო, დაარჭო და უთბრა, ჯერ ეს ამოიღე და მერე დაგეჭიდებო. ამირანი დასწევდა პალოსა, მოს-

წია და ვერ ამოიღო, მოსწია და ვერ ამოიღო. მერე ქრისტე-ღმერთმა აღარც მიაჯაჭვა ამირანი. რო ნახა ძერა აღარა აქვს ამირანსა, აიღო და ერთი/დიდი მთაც დაახურა თავზე.

— მერე პაპა, მერე? შიმშილით არა კვდება მერე? ერქინული
გველიწიქსა

— არა შეილო! აქაო და ჩემი ნათლულიაო, ქრისტე-ღმერთმა აღარც სასიკვდილოდ გაიმეტა. ერთი ფასკუნჯი მიუჩინა და ყოველდღე ის უზიდამს ხოლმე პატარა ხორცის ნაჭერსა. თანაც ერთი გოშია ჰყავს შეილო ამირანსა. დღიდან ამირანის დაბმისა ეს გოშია ადგია ამირანის ჯაჭვსა, სულ ლოკავს და ლოკავს. ლოკავს და ლოკავს. მთელი წლის განმავლობაში ამ ლოკავითა ისე გასცივითამს ხოლმე ჯაჭვსა რო, ჰა! ის არის, ამირანი დასწვდება თუ არა, რომ გადასტეხოს, ამ-დროს დიდ-ხუთშაბათის განთიადზე შქედლები სამჯერ და-არტყამენ ხოლმე უროსა გრდემლზე და ჯაჭვი ისევე მთელდება.

— რათა პაპა! მჭედლებს არა რცხვენიათ მერე, ვერე რო სწადიან.

— ევა შეილო იმიტომა რომა — მჭედლებს ეშინიათ, ამირანი რო განთავისუფლდეს, ყველა მჭედლებს სულ ამოგველიტავსო.

— რათა პაპა, რათ ამოელიტავს?

— იმიტომა რომა ი ჯაჭვი იმათი გაკეთებულია, პალოცა. ამი გულითვინა ამირანი ისეა თურმე დამუჭრებული, რო მჭედლების გასაგისს სუ მოვსპობ დუნიაზეო.

— მერე პაპა! აღარაფერი ეშველება ეხლა ამირანსა?

— ეშველება, როგორ არ ეშველება შეილო!..

— როგორა პაპა?

— როგორა და — როდისმე აიწყვეტამს.

— როდისა პაპა?

— მა სუ მიჯაჭვული ხო არ იქნება შეილო! ერთხელაც იქნება აიწყვეტამს. აი მაშინ კი დაუდგებათ დღეი ხალხის მტრებსა! ვინ იცის ისე გაავლოს მუსრი რომა, იმათი ნასახიცი კი აღარ დარჩეს დედამიწაზე.

— ნეტა როდის აიწყვეტამს, ჰა პაპა!

— რა ვიცი შეილო, რა ვიცი! ხალხი კი ერთ პირად იძახის, რო უამკველად აიწყვეტამსო — და!

— მერე, რომელი მთის ქვეშ არი პაპა, არ იცი?

— ეგ რო ვიცოდე შეილო რალა მიშავს! წავიდოდი, სუ ჩემი ხელით დაეფხოტნიდი ი ჯაჭვსა და გაეანთავისუფლებდი კია ამირანს. ი რო თავისუფალი იყვეს, რალა უშავს მაშინა ხალხსა!

— ნეტავი რომელი მთის ქვეშ არის ჰა, პაპა?

— რა ვიცი შეილო!

— შორს არი ნეტა აქედანა?

— რავიცი შეილო! ეგებ ძალიან შორს არის, ეგებ სულ ახლოც არის.

— ნეტა არაეის ეყოდინება, რო ეკითხოთ პაპა?

— ვინმე რო იცოდეს შეილო, აქამდისა ამირანსა ვინ დასტოვდა მიჯაჭვულათა! ისიც უნდა გითხრა შეილო: შეიდ წელიწადში ერთხელ ეღება თურმე იმ მთასა კარი. მაშინ ელის თურმე ამირანი ვინმე ძე-ხორციელსა რომ გამოჰკითხოს ხალხის აე-კარგი. იმან ხო ქვეყნის ასავალ-დასავალისა აღარაფერი იცის, რაც მთა ახურია თავზე. ერთხელა თურმე ერთი მწყემსი წასწყლო-

მოდა სწორედ იმ დროსა, როცა მთას კარი გაეღო. დაეძახნა ამირანმა იმი-
თენა და ეთქვა ჩემი ხმალი მომწოდეთო, რომელიც შორიანს ეგლო მწყემსი
თურმე ექიდა, ექიდა და ძვრაც ვერ უყო. მერე ამირანმა გადაწყვიტა თურმე
მწყემსი. ხელები ჩააკიდებინა ხმალში და თვითონ ფეხებიდან გამოეწიწა მწყემ-
სმა ყვირილი შექნა, ვაიმე წელში გავწყვიდო. ამირანს შეეცოდა და გაუშვა.
უთხრა: წადი სახლში და საბელი მომიტანეო. მხოლოდ თუ გზაზე ვინმე რა-
მეს დაგეკითხოს, არავის პასუხი არ ვასცეო. თუ შესცდი და ერთი კრინტი მა-
ინც წამოგვცა, მაშინათვე კარი დაიხურება და ველარც საბელს მომაწვდიო.

„წამოვიდა მწყემსი, მონახა საბელი და ისევ გაუდგა გზასა. უკან დაე-
დგენა თურმე იმისი ცოლი და მისძახის: „კაცო, სად მიგაქვს საბელი, კაცო
სად მიგაქვს საბელიო?! მწყემსი ხმას არა სცემდა და თავის გზაზე მიდიოდა
გაჩქარებული. ქალი არ მოეშვა და სულ მისძახოდა უკან: „სად მიხვალ კაცო,
სად მიგაქვს ე საბელიო?“ მწყემსა მოთმინება დაჰკარგა და შეუტია: „რა შე-
ნი საქმეა, შე წუპაკო, სადაც მივდივარო!“ მოვიდა მთასთანა და აქი კარი
დახურული დახვდა. მა, ისე დალუპა იმ რძე-ძაღვმა ქალმა, თორე ეხლა აქი
თავისუფალი იქნებოდა ამირანი და ეს ცოდვის ტრიალი ხო აღარ იქნებოდა
ქვეყანაზედა, მაშინა!

— ეხლა ის ქალი რო მოგვცა ხელში, ხო დეავბრძობდით, არა პაპა?

— ფრჩხილით გამოგჭირდი ყელსა, ფრჩხილითა. მაგნაირი გველი კაცის
ხელითა რა დასანდობია?

— ეხ! ნეტა იქა მქნა სწორედ მაშინ, როცა ი მთისკარი გაიღება ხოლმე!

— რა იცის კაცმა, როდის იღება თორე...

— პაპა, მაშ როდისმე უძვეველად აიწყვეტამს მართლა ამირანი?

— აიწყვეტამს, მაშა შეილო! აბა მუდამ მიჯაქული კი არ იქნება!

— პაპა!

— რაო შეილო?

— პაპა! რუს-ხემწიფე უფრო მოერევა თუ ამირანი?

— ამირანის მომრევი შეილო ღმერთის მეტი არავინ არი. ისიცა ეშმაკო-
ბით მოერია, თორე ისე ამირანსა რა დასძლევს!

გაჩუმდა პაპა ფიდო. გელაც სდუმს. მაგრამ რამდენი ფიქრი დაქენაობს
იმის თავში! რამდენი გრძნობა ფართხალობს იმის პატარა გულში! ხან ერთ
მთას უტყერის გულისტკივილითა და ნატვრით, ხან-მეორეს:

— ეხ, ნეტა თავისუფალი იყვეს ამირანი! რა კარგი იქნება მაშინა არა
პაპა!

რამდენიმე დღეში უცნაურად გამოიცვალა პატარა ბიჭი გელა. აღარც
ასკინკილა დახტის გულჩინასთან ერთად, აღარც ამხანაგებთან ეხალისება ჭი-
დაობა ან თევზაობა, ან ახურმისა და სალაობის თამაშობა. შურდულით რო
უყვარდა ვარჯიში, აღარც ის ართობს ეხლა. ზოგჯერ კი ისე გამოშტერდება
ხოლმე, რომ ხარებიც კი შეუღიან სიმიანდში.

ამხანაგებმა შეამჩნიეს გელას ასეთი ცვლილება და ზედმეტ სახელად ბენ-
ტერა დაარქვეს. ზოგჯერ, როცა მოთმინებიდან გამოიყვანდნენ ხოლმე ამხანა-
გები, გელა ისევ წაიხალისებდა. მაშინ აღარც ჭიდაობაში ჩამოვუარდებოდა
ამხანაგებს, აღარც რაიმე თამაშობაში და ვარჯიშობაში ჩამორჩებოდა, მაგრამ
ეს მოხდებოდა ხოლმე ხამუშ-ხამუშ. მუდმივად კი ბავშვი გულჩათხრობილი

გახდა. იგი უფრო ხშირად მარტოობას არჩევდა, ვიდრე ბავშვებში ერთმანეთს და გართობილიყო.

მაგრამ ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ გელა მართლა მარტოობას აირჩევდა, ის სულ ამირანთან არის. სულ იმას შეჰხარის და ელოლიავენბა. მისი მისი ტანთავისუფლებაზე ნატრობს და ლოცულობს. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში რამდენჯერ გაიმეორა გუნებაში პაპა ფილოს მიერ მოყოლილი ამბავი ამირანისა. ათასნაირ ნატვრებთან ერთად გელას გული სდღულს და ვადმოდულს უზომო სიყვარულით იმ გოშინასდმი — ამირანის ჯაჭვს რო ლოკავს დაულაღვად. მაგრამ ამ სიყვარულის ტოლად ზიზღიც ვადმოსქდება იმის პატარა გულიდან იმ ქალისადმი, რომლის ახირებითაც დაიხურა ამირანის კარი.

მაინც თავისუფალი რო იყვეს ამირანი, პირველად რა გმირობას ჩაიდენდა ნეტავი? მაგრამ გელამ იცის, რასაც ჩაიდენდა: მაშინათვე წავიდოდა ციხისკენ, სადაც ახალთაობის ხალხია გამომწყვდეული. ამირანი სდრუხავდა კარებზე წიხლსა და შეანგრევდა. მერე ერთს შესძახებდა ბოხი ხმით: ააა ხალხო! თავისუფალი ხართ, გამოდით ყველანიო! უუ, რა სიხარულით შეეგებება გელა თავის მამიკოს, რამდენი ხნის უნახავ მამიკოს! აქედან აღბად წავა ამირანი და რუს-ხემწიფეს გაუსწორდება. გელაც სულ ფეხდაფეხ დასდევს ამირანს და გული უფანცქალებს სიხარულისგან. ბარემ კი ბევრს შეებეწება რუს-ხელმწიფე — მამატიეო, მაგრამ ამირანი როგორ აპატიებს ხალხის ამდენ უბედურებას!

— არიქა ბიქო, სუ გააოხრეს სომინდეზი შენმა ხარებმა!

გელამ გაიხედა. იმის ხარები მართლა შუაგულ სომინდში ბულრაობდენ. კიდევ კარგი, სომინდიც თავიანთივე იყო, უიმისოდ ხო ცხვირში აღდენდენ მთელ წანახედსა.

6.

სომინდეზიც აიკრიბა. ვაჩაღდა საშემოდგომო ხენა-თესვა. მართალია ხალხს ჯერ ოდნავაც არ მოშუშებია ის ტკივილები, რაც ამ რამდენიმე კვირის წინედ მიაყენეს თვითმპყრობელობის ჯალათებმა, მაგრამ წლის მოსაველსა და ოჯახს არ ეღალატება. ან სად სმენილა და გაგონილა, რომ ქირვარამით დათრგუნვილი ხალხი გულზელ დაკრეფილი იჯდეს დაუქმებული! ამიტომ ყველა შემბულა სოფლურ ჯაფაში და ძალღონე დაუზოგველად ეწევა მიძიმე ჰუპანს. ვინც ხენა-თესვა მოათავა, უკვე შეუღდა ზამთრის თაღარიგს და ტყეში დაიწყო სიარული.

ფილოს წელი აღარ მოსდევდა ტყეში სასიარულოდ. ისევე გელაზე მიდგა საქმე. თავისივე სახლოკაცებმა შეიამხანაგეს. ის თავისთან ერთად მიჰყავდათ ტყეში. სანამ უფროსები ძელებს ჩამოიტანდნენ, გელა ხარებს მწყემსავდა. ამის სამაგეიროდ რამდენიმე ურემი შეშა უნდა მოეტანათ. გელა ხალისით დასდევდა ტყეში, მეტადრე ეხლა, როცა ზღმარტილიც შეთვალეზულია, წიფელიც თავსაყრელად მოიპოვება. ზოგჯერ კანტიკუნტად შერჩენილ შეინდსაც კი წააწყდება ხოლმე. მერე როგორი შავ-ყურქა და გემრიელია ეს ნაბოლარა შეინდი!

ერთხელ ერთ პატარა ხევის აყოლებით კი ბალახს წააწყდა გელა. ხარები შეუსვენებლივ მისდევდენ ხევის ნორჩად მოზბიზინე ნაპირებს და მათ გაძ-

ლომას პირი აღარ უჩანდა. გელაც არ უშლიდა, ის თვითონაც ხარკებზე მეტად ერთობოდა. აგერ რამდენიმე ადგილას ნაგერალა კვრინჩხსაც წააწყდა ალაგ-ალაგ მარჯნის თვალბივით მოციმციმე ყოლასაც კი მიაგნო. ნამდვილი ბაღავია ეს დალოცვილი! თანაც რა სურნელოვანია! ამნაირი პერნე... გელამ უფაპკოცნოს დედა — რას არ შეუსრულებს, რასა! მოდი დაკრიფავს და თავის დედისთვისაც წაუღებს ასე ნუგბარად. ისიც ხო რამდენი რამით არის დადარდიანებული! ეგები ცოტა ამითი მინც გაახაროს საწყალი ქალი.

ბოლოს როგორც იქნა გამოიფერდნენ ხარები. მიწვნენ იქავე მწვანეზე და შეუღვნენ ცოხნას. გელას კი ხელში მოუბღუჯია გვიმრას ბრტყელი ფოთოლი და თავის დედის საძღვნოდ აგროვებს ნანატრად ნაპოვნ თითო-ოროლა ყოლოს.

გაერთო გელა ასეთი კრეფით. თანისთან მისდევს შალა, მისდევს. შეუშჩნეველად კარგა მანძილიც კი გაიარა. ერთიც ენახოთ უცებ წაადგა ერთ ხახა-დაფრინილ კლდეს, საიდანაც გამოჩნიალებს ეს პატარა ხევი.

გელამ შეხედა თუ არა, იმავე წამს გაუფელვა თავში: ეს ხომ არ არის ამირანის მთა, კარიც რომ ეხლა შეხსნია სწორედ!

— ეე, ვინ აღირსებს გელას ამირანამდე მისვლას! ასეთი ბედი ვინ მისცა საწყალ ბიჭს!

მინც მიდის ახლო. რა ვასაოცრად დაუღია ხახა! ნაბირიდან შეიხედა შიგ. ჯერ თითქოს ვერაფერს შეაფლო თვალი. მერე კი თანისთან შეამჩნია ლოლოებივით ჩამოკიდული ყინულები. გელამ რამდენიმე ნაბიჯი გადგა წინ და მთელი ხმით შესძახა:

ამირანი! ჰაი ამირანი!

გვირაბში სიჩუმეა. ოდნავ მოისმის მხოლოდ წყლის ჩუხჩუხი. გელამ თვალი ცოტა შეეჩვია სიბნელეს. უფრო წინ წაიწია. უფრო გამეტებით დაიძახა:

— ა-მი-რანი!

გელას უკვირს თავისი გამბედაობა. იცის აქ არაფერიც არ იქნება, მაგრამ მაინც ყვირის ისე, თავისი თავის გასამხნეებლად:

— ამირანი! ჰაი, ამირანი!

უცებ გვირაბის სიღრმიდან მოესმა ხმა:

— რა ვინდა პატარა ბიჭო! მოდი აქ, ახლო!

გელას კანკალი შეუღდა ტანში. შიშით ალაგობრივ გაშეშდა. თან რალაც სიხარულის ერთნატილიც შეერია. ძლივს წამოილულულა კიდევ:

— ამირანი!

ისევ მოისმა სიღრმიდან ხმა:

— ახლო მოდი პატარა ბიჭო, ნუ გეშინია! მე ვარ ამირანი, მოდი აქ!

გელამ გაძხედა სიბნელეში და იქ შეამჩნია — ორი ნატერის თვალი როგორ ბრიალებს სწორედ როგორც იმ ბნელ ღამეში — მგელი რო აღმოჩნდა მერე.

— მოდი ბიჭიკო ახლო! ნურაფრისა ნუ გეშინია!

გელას აღარაფრისაც არ ეშინია! ამირანის ახლო იმას რალა შეამჩნებს! მიდის ბიჭი გამბედავით წინ — საიდანაც ბრიალებს ის ორი ნატერისთვალი.

— მე ვარ ჩემო პატარა, ამირანი! მოდი აქ, ახლო!

გელა მივიდა ახლოს და სიხარულით ლამის ცას დაეწიოს, ამოდენა მთა რო არ ეხუროს თავზე. მართლა ხედავს ამირანს, თავის სანატრულ და საოცნებო ამირანს! ჭრისტე-ღმერთისაგან დასჯილს და რკინის პალოზე მიჯაჭულ ამირანს! რა იცის ბიჭიკომ, რომ ეს ნაბადში გახვეული ვაჟაყვი წითელა რაზმის მეთაური ამირანია და არა ლექსოს და პაპა ფილოს ნახშობში ამირან-დარეჯანიანი!

ორი ნატერისთვალეც რომ ბრიალებდა — ეს თურმე ამირანის გოშის თვალეზი ბრიალებდენ. მაგრამ ეს გოშია რამოდენაა! ნამდვილ მგელსა ჰგავს.

— შენ როგორ მოხვდი აქა ბიჭიკო? ვინ მოგასწავლა?

— არავენაც არ მომასწავლა. მე თვითონ მოვაგენი, პაპა ფილომ ყველაფერი მიამბო, როგორც მიჯაჭვეა ჭრისტე-ღმერთმა რკინის პალოზე. მერე შენი გოშია რო ლოკავს, ლოკავს ჯაჭვსა.

— ყოჩაღ პაპა ფილო, ყოჩაღ, რო ყველაფერი ასე კარგა სცოდნია.

— უუ, პაპა ფილომა რამდენი რამე იცის! ისიც მითხრა, შეიდ წელიწადში ერთხელ იღება ხოლმე ამირანის შთის კარიო.

ამირანი უკვე მიხვდა ყველაფერს. მან სავსებით შეიფერა გელას მიერ წარმოდგენილი მიჯაჭული ამირანობა.

— რა კაი ფეხზე მოხვედი ბიჭიკო! სწორედ როცა ჩემ მთას კარი გაეღო.

— ძია ამირან! აბა ი რკინის პალო მაჩვენე, ძალიან დიდი?

— არ შეიძლება ჩემო ბიჭიკო იმის ნახვა. თუ ძე-ხოციელი თვალს მოჰკრავს, ის უფრო ღრმით წავა ქვესკნელში და უფრო გამძინელებდა ამოძრობა.

— მაშ ჯაჭვი მაჩვენე! კიდე ბევრი უკლია გაწყვეტასა?

— არ შეიძლება! თუ ჯაჭვსაც მოჰკრავს თვალსა ძე-ხოციელი, ისიც უფრო გამაგრდება და გამძინელებდა მისი გაწყვეტა.

— როდის უნდა განთავისუფლდე ძია ამირან? პაპა ფილომ სთქვა; ადრე თუ გვიან უამველად აიწყვეტამსო და გაჰვირებულ ხალხსა დიდ სიკეთესა სწეემსო.

— ეგ ყველაფერი სწორე უთქვამს პაპა ფილოსა, მაგრამ ნამდვილად როდის განთავისუფლდება — ეს კი არ ვიცი. აი ჩემი გოშია სულ ლოკავს და ლოკავს ამ საოხრე ჯაჭვსა. როცა კარგა გაწვრილდება — მერე გაწყვეტავ კიდეცა. კიდეც რა გითხრა პაპა ფილომა, ჩემო ბიჭიკო?

— კიდეც ის მითხრა რომა — ვისაცაა ამირანთანა რამე მიაქვსო, არავის ხმა არ უნდა გასცეს. ერთი კრინტიც კი არ უნდა წამოსცდეს — ვისთანაც მიდისო. თუ არა და ი მთის კარი მაშინათვე დაიხურებაო.

— მართალი უთქვამს ჩემო ბიჭიკო. ის კი არ გითხრა, ერთხელ ერთ მწყემსს საბელი რო უნდა მოეტანა და ცოლი გამოეკიდა უკან...

— მითხრა ძია ამირან! როგორ არ მითხრა!

— მა შენც ხო არავის ეტყვი, რო მიაგენი მიჯაჭულ ამირანსა?

— რო სუ ამკუწონ, გინდაც ანთებულ საკირეში ჩამაგდონ — ერთ კრინტსაც არ დაეძრავ.

გელა „გოშის“ თავზე ხელს უსვამს. ბევო წკმუტუნებს, მოუსვენრობა ეტყობა.

— შენ ბიჭიკო, აღზად პარკში რამე საკმელი გაქვს, ეს ჩემი „გოშისა“ რო ვერ ისვენებს.

— პური მაქვს. ყველის ნაჭერიცა.

— თუ გაიმეტებ, მომეცი მაშა. ცოტა შია.

გელამ ამოიღო რაც პარკში რამე ებადა. ამირანმა ზოგი ბეყოს მისცა, ზოგი კი თავისთვის დაიტოვა.

— პაპა ფილომა რა ვითხრა ბიჭიკო? ამირანი რითი არსებობსო?

— რითითა და აი ფასკუნჯსა თითო ნაჭერი ხორცი მიაქვსო ღღეშო.

— პო, სწორე უთქვამს. მაგრამ ი ერთი ნაჭერი ხორცი მე თუ ამ ჩემს გოშისას? ბარემ არა გვეყოფნის, მაგრამა სხვა რა გზა გვაქვს!

— მე მოგიტან ხოლმე ძია ამირან, ვიდრე განათავისუფლდებოდე.

— შენ როგორ მომიტან ჩემო პატარა! საღმე უნებლიედ წამოგცდება, რომ ჩემთან მოდიხარ და ე კლდის კარიც მაშინათვე დაიხურება.

— ხო ვთქვი ანთებულნი საკირეში რომ ჩამავდონ, სიტყვას ვერაინაც ვერ წამომაცდევინებს მეთქი. აი მამაჩემოც რო დაიჭირეს, რამდენი მირტყეს, მაგრამა ვერაფერშიც ვერ გამომტყხეს.

— განა იცოდი რამე, რო გამოტეხილიყავი?

— მაა! მამაჩემთანა ახალთაობის კაცები რო მოდიოდენ ხოლმე, მაშ არ ვიცოდი! ერთხელა ღამეც გაათიეს ჩვენთანა, მა! ლექსომ მოიყვანა, აი ჩვენმა შეველე ლექსომა.

— ვინ არის ეგ ლექსო შეველვი ბიჭიკო! იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ. ყოველდღე ჩვენთანა არ იყო ხოლმე საქონელში იმანა იმდენი რამეები იცის რომ! შენი ზღაპარიცა პირველად იმისაგან გავიგონე, მაგრამა ტრაჟედიებმა რო აღარ დააცადეს.

— როგორა ბიჭიკო?

— სწორედ მაშინ წამოაწყდენ და ციხეში უკრეს თავი, თანაც იმდენი სცემეს, იმდენი რომა...

პოო, ეხლა კი იცის ამირანმა, რატომ აღარ მოდის ლექსო ბიჭი, უიმისოდა მშვიერს როგორ დასტოვდა დაჭრილ ამხანაგს!

— ძია ამირან! როცა გამოსვალ, რუს-ხელმწიფესა ხო მოკლამ?

— მაშა! იმას როგორ ვაცოცხლებ იმ სისხლით გაუმძღარსა!

— ცხრა თავიანი დევივით მოკლავ არა!

— იმაზე უარესად კიდე.

— რა კარგია! პაპა ფილო ამბობს რომა, როცა ამირანი აიწყვეტამსო, მაშინაო ხალხი ყველა გაძღებო, სულ ახალ ტანისამოს ჩაიცვამენო და სულ დღეობა იქნებო, მართლა?

— პაპა ფილოს ყველაფერი კარგადა სცოდნია! ნეტავი შენა, ეგეთი პაპა რო გყოლია. ეხლა წადი ჩემო ბიჭიკო და ხვალა ან ზევა პურები მომიტანე, რო ამ ჩემ „გოშისა“ ვაჭამო. როცა მშვიერია, კარგად ველარა ლოკავს ხოლმე ჯაჭვსა.

— მთელ პარკს წამოვიღებ.

— მაგრამ ხომ იცი, ჩემათ უნდა წამოხვიდე. თუ წამოგცდა ვინმესთან, მერე აქ კარები დახურული დაგხედება და მეც გამიჭირდება ჩქარა გამოსულაი.

— მე პაპა ფილოსაც კი არ ვეტყვი!

— არავის, არავის ძე-ხორციელსა! აბა ეხლა გაიქეცი ჩემო ბიჭო და ისე მოიქეცი — როგორც ვითხარია!

გელა წავიდა. ხარებიც აშლილიყვნენ და მადიანად შეეძვრნენ. მანქარა წყლით ნათამამეც ბალახს. როცა მირეკა ბინაზე, სახლისკაცებს უკვე დაემზადებინათ ურმები და მას ელოდნენ.

— სად იყავი ბიჭო ამდენი ხანი.

— კაი ბალახს მივაგენი და იქ ვაძოვებდი ხარებსა. შეხედეთ, როგორ არიან დაფერდილები!

შეხედეს. ხარები მართლა კარგად არიან დამაძღრები და გელასაც აღარაფერი უხაყვედურეს. შეაბეს და გაუდგნენ გზას ამ ბარაქიანად დადებული ურმებით. გელას გულიც ამ ურმებივით არის დადებული მზეთუნახავი სიხარულით.

დედამიწის ზურგზე იგი ერთად-ერთია, რომელმაც იცის, თუ სად არის მიჯაჭული ამირანი!

7.

იქ, გვირაბშიც მარტოდ მიტოვებულ ამირანს უხარია, რომ მოულოდნელად ასეთი გაქვიერების ტალკვესი მოველინა.

ლიხის ქედზე ბრძოლის შემდეგ კლდიდან რო დაგორდა, აკი ორი ტყვია მოგხვედრებითა უხახახებს: ერთი მუხლში და მეორე თეძოს თავში. მართალია ძვლები ძალიან არ ჰქონდა დაზიანებული, მაგრამ იმ დანადგებაზე სიარული კი აღარ შეეძლო სრულებით. რის წვალებით მიაღწია ამ გვირაბამდის. წინადაც ბევრჯერ შეუფარებია აქ თავი და ბოლო დროს შესახვედრ აღვილადაც ეს ჰქონდა შერჩეული ლექსო მეველესთან. მან თვითანვე შეიხვია ქრილობანი და ერთი-ორი კვირის აუცილებელი სიმშვიდე იყო საჭირო, რომ საცესებით მოჯობინებულიყო. ლექსო ბიჭი ყველაფერს თავის დროზე უზიდავდა. ქვეყნის ამბავსაც დაწვრილებით უამბობდა. მხოლოდ ეს ერთი კვირეა ლექსო აღარა სჩანს. ამირანი დარწმუნებული იყო, რომ უმკველად დაემართა რამე. უიმისოდ ლექსოს ღალატი არ შეიძლება. ამირანს უკვე გამოეღია უკანასკნელი მარაგი. სიარული კი ჯერ-ჯერობით არ შეუძლია. ამ ორ წყალ შუა ჩაეარდნილა კაცმა არ იცის — სად გამოძებნოს შველა. მაგრამ თუ კაცი განწირული არ არის — კუპრიელიდანაც კი უფებლად ამოვა იგი.

უველა-ყველა, მაგრამ რას იფიქრებდა ამირანი, რომ მიჯაჭული ამირანის ზღაპარი ასეთ შვებად მოველინებოდა უკიდურეს გაჭირებაში.

ყოჩაღ პაპა ფილო!

ყოჩაღ პატარა ბიჭო გელა!

8

გაწოგოწო გუწუწუღიწინაწა! მეწენაწა იწისეწითიწი კაწარგიწი რაწამეწი ვიწიციწი როწომაწა! მაწაგრაწამ აწარ გეწეტყვიწი შეწენაწა (გოგო გულჩინა! მე ისეთი კორგი რამე ვიცი რომა! მაგრამ არ გეტყვი შენა).

— რაწატოწომ აწარ მეწეყვიწი ბიწიჭოწო?

(რატომ არ მეტყვი ბიჭო?)

— არ გეტყვი! გინდაც ქალაქი მართქო, მიინც არ გეტყვი. თუ გინდა აი წიფელას გაქმევე, მაგრამ რაც ვიცი, იმას კი არ გეტყვი!

— კარგი! ე წიფელა მომეცი ბევრი და რაც იცი, ის კი შენთვის იყავს!
 გელამ ჩაუყარა ორი მუქა წიფელა გულწინას კალთაშე და ჩაიფრებოდა სიხარულის რაშზე მომადარი ხტუნაობით გაიქცა შინისაკენ. პაპა ფილო ურმის ზეწრებს აწყობდა. გელა ასკინკილა ხტუნაობით გაეჭანა მისკენ.

— პაპა ფილო! მე რაღაც კარგი ვიცი და შენ კი არ გეტყვი!

— რა იცი შეილო! რატო არ უნდა მითხრა?

— არ გეტყვი, არ გეტყვი!

— ეგეთი კარგი რა უნდა იყოს! მამაშენი რო გამოეშვათ, ხო აქ მოვიდოდა. თუ არა და რა უნდა იყოს ისეთი?

— გამოიცანი! შენ ხო ყველაფერი იცი ხოლმე, აბა ესეც გამოიცანი პაპა! პაპა ფილოს ჩამოფარებულ უღვაშებში ჩუმხუმად ეცინება:

— მომეცი ქალაქი — რო გამოვიცნო!

— მომიცია ქალაქი!

— დიანც იყოს, დიანც იყოს აბედის სოკო.

— არა, არა! ვერ გამოიცანი! ისევ წამირთმევეია ქალაქი! ვერც გამოიცნობ პაპა. ნატვრისთვალი რო მოგცა ხელში, ეგები მაშინაც ვერ გამოიცნო. ისეთი კარგი რამე კია-როო!

— თუ არ გეტყვი და მა რაღას მაჯავრებ ე მოხუც კაცსა შე ნოლა, შენა! დაიცა ერთი, მე შენ გაჩვენებ...

პაპა ფილომ ვითომდა ერთობ გაჯავრებულმა დაავლო ხელი სახრეს და მოუღერა გელას. მაგრამ გელა ხტუნაობითა და სიცელქით გაიქცა განზე.

დაღამდა თუ არა, ყველამ საგაზმოდ მოიყარეს თავი. გელას დედა შეჭამანდს ჰკმაზავდა. ფილო ჩიბუხის ტარს სწმენდავს ცეცხლაპირად თან გელას გადახედავს უღვაშებში შეპარული ღიმილით:

— პა, ბიჭო გელა! მაშ არ გეტყვი, არ გეტყვი, პა!

— თუ კი ვერ გამოიცანი, ჩემი რა ბრალია!

— წელან ვერ გამოვიცანი იმიტომა რომა დღე იყო და მზე მიშლიდა.

— უუ, მზე მიშლიდაო! სად გაგონილა? მაშ ეხლა კიდე მთვარე დაგიშლის!

— არა! ეხლა ე დედაშენმა ისეთი სანელებელი უყო შეჭამანდსა, რომა იმი სუნი ეხლავე მიმახედრებს-რაც არის.

გელას დედამაც ხელი შეუშვა ციცხვსა და ღიმილით ეუბნება პაპას—თქვი კაცო, თქვი ერთი — რა ახარებს ამ ჩემ დედისერთა ბიჭიკოსა, რო სულ ცალ ფეხზე დახტის სიხარულისაგანა.

— ვთქვა მაშა, ბიჭო გელა?

— ვერ მიხედები პაპა ფილო, ვერა, ვერა!

— აბა თუ ვერ მივხედები და აპა! შენა... ტყეში რო იყავი...

გელას თვალები გაუგანირდა რაღაც საზარელი შიშისაგან და გულშიც ისე დაუწყო ფართხალი, თითქოს უნდა, კალთაში გადმოგორდესო.

— ...პო, ჩემო ბიჭიკო, ტყეში რო იყავი... იქა ჩიკვის ბუდეს მიაგენი და ის გახარებს, განა არ ვიცი!

გელას გულზე მოეშვა და გახარებით წამოიძაბა.

— ეხლა კი გამოცანა გერგება, პაპა ფილო! მხოლოდა ჩხიცი/კი არა ციყვი იყო, ციყვი! ისე დახტოდა წიფლიდან წიფელაზე თითქო ქარს გადაქონდაო. თუ მოვასწარი ღამე თავის ფუტუროშია, ი გაპენტილ კუდში/რო წაეველებ ხელსა სადღა წამივა! რა ცქვიტი არი ი საოხროი ახა/ქინეული

— ცქვიტი რა! მეტი რა ეკითხება! სუ ზიდან ხეზე არ დახტის! დედამ აღერსით თავზე ხელი ჩამოუსვა გელას:

— მერე ეგ ციყვი გაბტუნავებდა თავისავით, ჩემო გიჟო ბიჭო?

— პო დედა, ის ციყვი მახტუნავებს, სწორედ ისა! წამოხტა და კარში გავარდა თავის მიუხვედრავი საიდუმლოებით აღტაცებული:

— დილდი-დალალი-დალალე, დილდი-დალალე!

9

ორი დღის შემდეგ გელა ისევ წაიყვანეს ტყეში. დედის ჩემად რამდენიმე პური ზედმეტად წაიღო. ერთი კვერეული ყველიც მოჰპარა. (თან დარწმუნებული იყო გელა, რომ ესეთი ქურდობა ცოდვად არ ჩაეთვლება).

გელას ეხლა ისე მიუხარია ტყეში, რომ არცერთი ახალწლის, არცერთი აღდგომის გათენება არ უნატრია ასე.

რამდენ სოფლებში გამოიარეს, რამდენ ხალხს შეხვედენ გზაზე, მაგრამ არავინ არ იცის — თუ რა ბედნიერია გელა. არც იმის სახლიკაცებმა იციან არაფერი — აგერ იმასთან რო სხედან ურემზე ესე ახლო. უბრალო გუმანიც კი არავისა აქვს აღებული, რომ ჭვეყნის მხსნელი ამირანი ასე ახლო შეიძლება იყვეს. და ვინ წარმოიდგენს, რომ ეს ამბავი იცის მხოლოდ გელა ბიჭმა, ასე პატარად რომ მოკუნტულა ურმის ბოლოზე!

მივიდნენ თუ არა ტყეში, გელამ მაშინათვე გარეკა ხარები იმ სანეტარო ზევის აყოლებით. დამშეული ხარები თავით ხან სად დაერტობიან და ხან სად შწვანენ ბალახში. გელას კი მიეჩქარის და მიუხარია, ამიტომ ხარებსაც ისე მარჯვედ ერეკება, თითქოს კალოსა ლეწავდესო.

ხანდახან წეროსავით წაიგრძელებს კისერს: სცილილობს, შორიდანვე დაინახოს ამირანის კარი, ეშინია რაც გინდ იყოს: ვაი თუ...

აჰა, მოჰკრა კიდევაცა თვალი. გული დაიმშვიდა. ხარები მიუშვა ნებაზე. თვითონ კი გაეშურა გვირაბისაკენ. გაეხარდა ბიჭიკოს, რომ საიდუმლოება კარგად დაუცავს და კლდის კარი არ დაკეტილა. საჩქაროდ შევიდა შიგ და ფრთხილად დაუძახა:

— ამირან!

გელაზე ნაკლებ არც ამირანს აუფანცქალდა გული სიხარულით.

— მოდი ბიჭიკო, მოდი!

გელა ჯერ ნელნელა მიდის, ვიდრე თვალი მიეჩვევა სიბნელეს. ჩქარა თვალმა მოინადირა იქაურობა და გელაც ამირანის წინ არის.

— ძია ამირან! როგორც მითხარი, მე ერთი კრინტიც არ წამომცდენია სადმე. არც პაპა ფილოსთვის მითქვამს რამე. ჩემს მეტმა არავინ არ იცის, მაშა!

— ყოჩაღ ბიჭიკო, ყოჩაღ! როცა მე გამოვალ ჭვეყანაზე, შენ ერთი კარგა უნდა დაგასაჩუქრო.

— მე არაფერი საჩუქარიც არ მინდა. შენ ოღონდ რუს-ხელმწიფე მოკალი და! მერე ხო სუყველა გავმდიდრდებით და თავისუფალი ვიქნებით/არა? ლექსო მეველე სუ ესე ამობდა ხოლმე ბიჭებში. პაპა ფედოც ისე ამბობს ხოლმე.

— რა კარგი პაპა გყოლია კაცო! რამდენი რამე სცოდნია იმასა! გელამ ამოალაგა პურებიც, ყველის კვერეულიც.

— შენ ესე კარგად გაისარჯე ხოლმე ჩემო ბიჭიკო და მე ჩქარა, სულ ჩქარა დაეღეწამ ამ ჯაქვსა. ჩემი „გოშია“ როცა მიძლარია, მთელ დღელამეს ლოკავს ჯაქვსა და სცვეთავს თანდათან. აი შენ რო საიდუმლოება კარგად შეგინახია, აქამდის იმიტომაც არ დაიკეტა ჩემი კარი.

გელა ესლა უფრო ყურადღებით უცქერის ამირანს: ნაბაღში შეხვეულს, თავზე ყაბალახ ჩამოცმულს, წვერულვაშით სახე-გაბადარულს. ზოგჯერ ჯაქვის ჩხარუნიც მოესმის ნაბღის ქვეშიდან და გელას წინ იგი ისახება უზარმაზარ გმირად. ამას ხელს უწყობს გვირაბში დამყარებული სიბნელებიც, რის გამოც უფრო იზრდება ამირანის საზღაპრო გარეგნობა.

გელა წამოვიდა ისევ ბედნიერი და მხიარული. იგი ფეხქვეშ მიწას აღარა გრძნობს სიხარულისაგან.

— ნეტავ როდის გათენდება ის დღე, რომ ამირანს ბარემ დაეწვევითოს ჯაქვი და ხალხსაც შესრულებოდეს თავისი ნატვრა.

— ახ, როდის გათენდება ეს სანეტარო დღე!..

10

შემოღამდა.

სახე-მოკრიალებულმა ცამ ათასნაირი ბრწყინვალე თვალით დაუწყო ცქერა ბინდ-ბუნდით თალხად შემოსილ ქვეყანას.

აღამიანს სწორედ ესლა ეხალისება თავის მაღლა აწევა და თავის ბედის მკითხაობა იქ, მაღლა ცაზე. ზაფხუვებიც შვლის ნუკრებივით ააღერენ თავს და ისე ხარბად მისჩერებიან ცის ტატნობზე დაღავებულ ვარკსვლავებს, თითქოს საცაა ძირს ჩამოიპნევიანო. მიკვირს, რატომ კალთას არ აგებებენ!

— გულჩინა! შენი ვარსკვლავი რომელია აბა თუ გამოიცინობ!

— ეე, ის უნდა იყვეს! ეე, წითლად რო ფეთქავს! თვალსაც მიშეება,

უყურე!

ღიახ, ღიახ! მავოდენა ვარსკვლავსა შენა ვინ მოგცემს! ეგა რუს-ხემ-წიფისა იქნება სულაც! შეხე, წითელიც რო არის! მა, სისხლიანი.

— მაშ რომელია ჩემი ვარსკვლავი, შენ გეცოდინება!

— რომელია? რომელია და — ეე ის სულ პაწაწკინტელა, ძლივს რო

ბეუტავს!

— შენი? შენი რომელია?

— ჩემი ა ის უნდა იყოს ეე, დიდი კელაბტარივით რო ანთია თეთრათა!

— ეერ მოგართვით ნიახური, დიად!

— აბა, მაშ რომელი გვონია?

— რომელი? თუ ჩემი ისე პაწაწკინტელა ვარსკვლავია, შენიც ის იქნება

ეე, იმის გვერდში რო მეორე პაწაწკინტელაა.

— მითომ რათაო?

— იი, სულელიო! მა აქ რო ესე ახლო ვართ ერთმანეთთანა, ჩვენნი ვარსკვლავებიც ისე არ იქნებიან ახლო?

— არ მინდა ენგრე! მე ჩაეპრობ იმ პატარა ვარსკვლავსაქ! — ფუ ვაფო უბერავს სულს, თითქოს მართლა შეუძლიან მისი ჩაქრობაო. გულშიმწამდამრუნდა და ხითხითებს:

— ბიჭო გელა! სულ არ ჩააქრო ვარსკვლავები, თორე დაბნელდება და რალა გვეშველება მერე!

— შენ ენგრე გაიციენ, დიახ! არც კი ვრცხვენია! ამას წინათა მამა მოგიკლეს და შენ კი ენგრე იცინი!

გულჩინას თითქოს ქვა მოარტყეს გულშიო. ხმა გაკმენდილი დაემხო პირქვე. პატარა კუნძოვით ეგდო უძრავად.

გელამ დიდხანს უტყირა საცოდავით მიწაზე დამზობილ გოგონას. რამდენჯერმე გადახედა იმის გაწვრილებულ, მზეზე გახუხულ კანკებს და გული მოუქვედა სიბრალულოთ.

— გულჩინა! არ გესმის გოგო!

გელამ ოდნავ შეაჯანჯღალა. გოგონამ იუცხოვა და მწყრალად ხელი აუქრა. გელა ისევ სდუმს. ფიქრობს და ვერ მოუფიქრია — რითი მოუღბოს გული გოგონას. კარგახანს შეპყურებს ხან ცას, ხან პირდაპირ აყუდებულ უშველებელ მთებს.

— გულჩინა! იცი შენ თურმე მთებს იქითაცა სოფლები ყოფილა განა!

— დიახ, დიახ! გინდა მომატყუო არა! ვერ მოგართვით!

— მა, პაპა ფილომა სთქვა:

— რა იცის პაპა ფილომა?

— მა შენ იცი? ზღვის იქითაც კი ყოფილა თურმე სოფლები.

— ზღვა რალა არის?

— აი ბევრი წყალი რო არის თურმე ერთათა დაგროვილი. აი ტყვარი ხო დაგინახია ჩვენი სერიდანა? იმაზე დიდია თურმე ზღვაი. და იმის იქითაც არისო სოფლებიო.

გულჩინა წამოღდა და ყურადღებით მოტრიალდა გელასაკენ:

— ნეტა მაჩვენა — როგორი სოფლებია!

— იცი გულჩინა! მე რო დიდი ვიქნები, ერთი ვილაცა ძიაი ფრთებიან რაშს მაჩუქებს. შევეჯდები და იმდენს ვიჭენავებ, იმდენსა რო!... ყველა სოფლებს ვნახავ მაშინა.

— ვინ ძიაი, ბიჭო?

— არის ერთი ძიაი!

— იპ, ჩაგტიტე! შენც უნდა მე მომატყუეო, ჰა!

აი ნახავ, თუ არა. ეგები მეხვეწებოდე — მეც შემისვიო, მაგრამა ვერ მოგართვით!

ასე გავაქენებ, აი, მიყურე!

გელა მოახტა თავის სახრეს და გააქენა.

პერი ბიჭო!

— პაპა ფილო! მითხარი რა — ჩქარა აიწყვეტავს მიჯაჭული ამირანი?
 — რა ვიცი შეილო! ეგ რო ვიცოდე მაშინა ხო ჩემ ბედს ძალელი აღარ დაჰყევს.

ერქინული
 ხიზლიქოთხა

— რატომ პაპა, რატომ აღარ დაჰყევს.
 — იმიტომ... ეჰ, ამირანის აწყვეტას რო ველირსებოდე, მერე გინდ ერთი დღე მიცოცხლია და გინდა ათასი წელიწადი.

— როგორა პაპა?

— როგორა და ეგეთი სიხარული შეუდგება ყველასა!

გელას სული კბილით უქირავს, რომ არ წამოსცდეს რამე ამირანზე. ღმერთო, ეს უშველებელი სიხარული რამდენ ხანს ატაროს ერთიკენელა გულში, რამდენხანს! არა, ისევე განშორდეს პაპა ფილოსაც, რომ უნებლიედ არაფერი წამოსცდეს.

ისევე შეჯდა თავის იფნის ბედაურზე და მარჯვედ შეაჭენა სერზე. იქიდან კი ყველას მორიდებით შეთქმულივით გაჰხედა კუზიან მთას, სადაც ეგულებოდა მიჯაჭული ამირანი:

ამირან მდევე შეიბნენ,
 მიწას გაჰჭონდა გრიალი.
 ამირანმა მდევე დასცა,
 ადგილი შეხვდა ჭვიანი.
 დასცა და მხარი მოსტეხა,
 დააწყებინა ღრიალი
 პარუ-პარალაღე-დააა!...

11.

ჩქარა ისევე წავიდნენ ტყეში. გელამ თავის საგზალის გარდა ზედმეტი ველარაფერი წაიღო ამირანისთვის. დედა იქ იყო და ხელი ველარასათ ვერ გააპარა. ეგები კიდევაც აელო ზედმეტი, მაგრამ დედა ხო ჰკითხავდა, რათ გინდა მაგდენიო. მერე ი მწყემსის ცოლმაც ეს არ ჰკითხა, რო კლდის კარი მაშინათვე დაიხურა!

მანამ მთელ გზას გალევდნენ, გელა სულ იმას ფიქრობდა — რა მიუტანოს ამჯერობაზე ამირანს. მარტო თავისი კერძი რას გაუხდებოდა იმოდენა ვაჟკაცს! ეხლა იმისი „გოშია“!

მოვიდნენ გამოუშვეს ხარები. სახლიკაცები წავიდნენ ზევით ტყეში შეშის მოსაგროვებლად. გელამ წამოაგლო ხელი სახლიკაცების საგზალსაც გაილალა ხარები და გაუდგა ამირანის გზას.

კლდის კარი ისევე ღია დაუხვდა. ისევე უხარია ბიჭიკოს, რომ ასე დიდებულად იცავს საიდუმლოებას და არავისთვის ერთიკენელა რამეც არ გაუხდვია. უიმისოდ ხომ იმავე წამს დაიხურებოდა კლდის კარი.

ამირანიც ისევე სიხარულით შეეგება თავის მეგობარს. ის ყოველთვის სცდილობს, გელას წარმოდგენა მიჯაჭულ ამირანზე საცხებით გაამართლოს.

— შენ იცი ბიჭიკო ახალი ამბავი?

— რაა?

— შენი აქ არ ყოფნისას ქრისტე-ღმერთი მოვიდა ჩემთან და მიტანა: თუ ჩემი მონა იქნები, გაგანთავისუფლებო. თანაც ხალხს უნდა ისევე ჩაუქროს ცეცხლიო და აღარაფერში არ გამოეხარჩლო ხოლმეო.

— მერე ძია ამირან, მერე?

— მერე მე უარი ვტყვი. არც ცეცხლს ჩავექრობ და არც ხალხზე ავიღებ მეთქი ხელსა. განთავისუფლებითაც მე თვითონ გაეთავისუფლდები მეთქი აღრე თუ გვიან. როცა იქნება, დავლევწავ ამ ჯაჭვსა და ხალხის ამდენი ხნის ნატვრას სულ ერთად შევასრულებ.

— მერე, ჩქარა იქნება ესა, ძია ამირან?

— არ ვიცი, როდის იქნება, მაგრამ უეჭველად კი იქნება ოდესმე.

— ძია ამირან! მაშინა ერთ რაშს არ მაჩუქებ?

— რათ გინდა?

— შევედები და რაც მთას იქით სოფლებია — სუ ყველასა ვნახავ. ზღვის იქითაცა!

— რაში კი არა! მაშინ შეგსვამ ჩემ ფასკუნჯზე, აი ხორცს რო მიზიდავს ხოლმე, და რამდენიმე წუთში მთელ ქვეყნიერებას შემოგატრიალებს.

— უჰ, რა კარგი იქნება! ნეტა ჩქარა იყვეს!

ამირანმა გამოჰკითხა სოფლის ამბავი: კიდე ზო არავინ დაიპირეს, ზო არავინ ააწიოკეს: ამირანმა უნდა იცოდეს ყველაფერი, რაც ხალხის თავს ხდება, როცა განთავისუფლდება, მერე ყველაფერს მოჰკითხავს ხალხის მტრებსა და მოძალადეებს. მხოლოდ ამირანმა ვერ იქნა და ვერ მოახერხა თეკლას შესახებ შეეკითხოს რამეს, იმ გოგოს ბედი როგორღაც სევდიანად ჩაექსოვა ამირანის ფიქრებს.

გელამ დაუტოვა მთელი სავალი ამირანს და გამოტრიალდა. მირეკა თუ არა ხარები ბინაზე, სახლიკაცებმა წყრობით მიმართეს:

— ბიჭო ე ხურჯინი ვინ ამოაცარიელა?

— მე რა ვიცი, ვინ ამოაცარიელა! მე ზო აქ არ ვიყავი!

— მა აქა, ამ შუაგულ ტყეში, ვინ მოიცალა ამი მოსაპარავათა?

— რა ვიცი კაცო! მე იმისი შორედან რას დავინახავდი აქა!

კარგაბანს იბუზღუნეს სახლიკაცებმა. თუ სიტყვას გასავალი აქვს, სულ შხამად შეერგოს თვითთელი ლუკმა იმის წამლებსა. ბოლოს მშვირებმა დაუდეს ურმებსა და გაუდგენ სოფლისაკენ. არც თვითონ გელა იყო მაძლარი, მაგრამ ამას აინუნში როგორ ჩაიგდებს. ოღონდ ამირან-დარეჯანიანს შეერგოს რამე და ისა თუნდა ნამცეცებით წაგა იოლად.

12.

ამირანის ხილვის შემდეგ გელას ერთიან გადაეყარა ყოველივე მოწყენა. პირიქით ეხლა სუ მზიარულობს, იცინის, დაბტის. ამხანაგებმა რო ერთი ხელობა ბენტერა დაარქვეს, ეხლა თვითონვე მიაფიწყდათ ეს სახელი, რადგან იგი აღარ უდგებოდა მომზიარულებულ გელას.

ისევე მღეროიან, თევზაობენ, კიდაობენ, უამბობენ ერთიერთმანეთს ვაგონილ ზღაპრებს.

— მე მაინც ყველაზე მეტად ამირანის ზღაპარი მომწონს. შენა გელა?

— მეცა.



- ამირანის მთაზედა
 კაცი იჯდა ქვაზედა.
 ამირანმა წიხლი ჰკრა,
 მთა მიარტყა მთაზედა.
- იპ, შენი ჭირიმე! რა ღონიერი ყოფილა არა ბიჭებო!
 — ნეტა რა ჯაჭვი უძლებს შავნაირ ღონიერ კაცს, რო დაბეს, პა!
 — ვინ იცის გუთნეულის ღვედზე უფრო მაგარიც არის!
 — მერე ამირანსა გუთნეულზე მეტი ძალა არა აქვს!
 — მეტი ძალა რო აქვს, ახლა ი ჯაჭვი როგორილა იქნება, თუ იცი!
 — ამირანი, ბიჭებო, ზღაპარია თუ ნამდვილი?
 — ზღაპარია!
 — ზღაპარი კი არა ნამდვილია!
 — ნამდვილიო! გელა, ვერ უყურებ—რას ამოხს! სულელი!
 გელამ არ იცის, რა ჰქნას, ლამის წამოსცდეს რამე, მაგრამ არა, არა! მაშინ ხომ კლდის კარი...
- მაგას რა ყურს უგდებთ კაცო! ნამდვილი კი არა ზღაპარია!
 — მაშა! შენა პაპა ფიდომაც ეგრე არ გითხრა რო ზღაპარიაო?
 — ეგრე მითხრა მა!
- ოო, ეს მოუსვენარი ბიჭები! თითქოს შემოჩენილი არიანო! ძლივას არ აღწევს თავსა, რომ არაფერი წამოსცდეს!
- მართლა და მართლა თუ ნამდვილია, რატომაც არავის არ უნახავს აქამდინა? ერთი აღარავინ გამოვიდა რომა...
- ეხ, ნეტა კი ამირანის მნახავი კაცი მაჩვენა და...
- გელა თითქოს ხანჯლის წვერებზე ზისო. სიტყვა უკვე გულიდან ამოხტა. ლამის ენაზეა მომდგარი. ვაიმე, სუ დაილუპება, თუ წამოსცდა რამე... იგი საჩქაროდ წამოხტა და გაიქცა ხარებისაკენ.
- სად გარბიხარ ბიჭო გელა?
 — ე საოხრო ხარები! სიმინდში შევლენ, თუ არ მივეპატრონე.
 — რამ გაავიცა! სად სიმინდია, სად — ხარები! აი დალახვრა ღმერთმა!
 — დალოცვილებმა მოუარეს ალბათა!
 — ბუნჯკალი ხო არ შეუძვრა, ბიჭებო? მა რა მიარბენინებს ეგრე დაგეშლიათა!
- რავე, კაცი რო დასაქმებს, ნეტა მაშინ გარბოდეს ეგრე ფეხმარდათა! გელა მივიდა თავის წაბლა ხართან, მიულურსა. კუდი გაუწია, გაუტკაცუნა. მობზინავე ზურგზე რამდენჯერმე გადაუსვა ხელი და მერე დაუწყო ქედზე ფხანა.
- ბიჭები კი განაგრძობდნენ ამირანზე საუბარს უიმიოსოდ.

13.

ერთხელ რაღაც ოჯახურ მიზეზის გამო გელას სახლიკაცებს დაავიანდათ ტყეში წასვლა. გელა სწუხდა. დარდისაგან მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა. მოსვენების აღგილს ველარსად პოულობდა. ვინ იცის ამირანს როგორ მოშვიდა, ან იმის „გოშისა“. მშვიერი ხომ კარგა ველარა ლოკავს ჯაჭვსა! რა ჰქნას, რა წყალში ჩავარდეს? წამდაუწუმ გადაირბენს სახლიკაცებში და ეკი-

თხება, — როდის მიდიან ტყეში. მაგრამ სახლიკაცები ჯერ კიდევ გელა ახერხებენ. ვერა! გელა მეტს ველარ მოითმენს.

ერთ დღეს ხარები ჩააბარა ამხანაგებს. თვითან იზურგულა ბლომა ზურები და გაუდგა გზას. ხან ერთ მეურმეს აპყვება და ხან მეორეს, თუ ვინმე შეეკითხება — სად მიდიხარო, ის ყველას უპასუხებს: ბიძები მყავს ამა-და ამ სოფელში და იქ მივდივარო.

როცა მიუახლოვდა ნაცნობ ხევს, ყველას ჩამოშორდა და მარტო გაუდგა გზას. მიდის ბიჭუნა, მიდის. შემოდგომის ნიაფი მაინც გულს ვერ უგრილებს. ჭაქანებს პატარა ზაქივით და ოფლით საკინძეც სულ დაუსველდა.

აჰა, კლდის შავად დაფჩინილ კარებსაც მოჰკრა თვალი. მაშ ყველაფერი ისევ კარგად არის, ძველებურად. ამ ორიოდ დღის წინად კი კინაღამ ბიჭებმა წამოაცდენინეს რამე. მაშინ რაღა ეშველებოდა გელას! რო მოვიდოდა, კარი ხო ამოქოლილი დახედებოდა! მერე როგორღა გაუძლებდა საწყალი ბიჭი ამნაირ ელდას! ეხლა კი ფეხების მაგიერ ფრთები აქვს გამოსხმული. ამიტომ კი არ მიდის, არამედ მიფრინავს.

შევიდა გვირაბში. ფრთხილად დაუძახა:

— ამირან!

ხმას არაეინ იღებს.

— ამირან!

ისევ სიჩუმეა. „გოშის“ თვალებიც რომ არ ბრიალებენ!

გელა მიდის, მაგრამ თან ფეხები უცდება როგორღაც.

— ამირან!

არა! აღარაეინ ესმის გელას ძახილი.

მივიდა გელა ახლოს. ამირანი აღარსადა სჩანს. ბიჭუნა ხელებს უფათურებს ამირანის ნაწოლ ადგილას — ცარიელი კლდეებიღაა ცოტაოდენი ნატკეპნი თივით.

ხომ არ შესცდა ბიჭიკო? ან ეგებ იქით სადმე გადაინაცვლა ამირანმა!

— ამირან!

— არა! პასუხს მაინც არაეინ იძლევა. მხოლოდ თავისავე ხმის გამოძახილს მოჰკრა ყური გვირაბის სიღრმიდან და ჟრუანტელამ აიტანა.

თითქოს კიდევ არ სჯერა გელას ასეთი არარაობა აქავერობისა, ვაი თუ სიმშვილისგან მაგრა დაეძინა ამირანს!

— ა-მი-რან!

არა, არა! ამაღა ყოველივე ძახილი! „გოშისაც“ ხომ არ დაეძინებოდა? სად არიან ნატკრისთვალევით მობრიალე მისი თვალები? ერთხელ კიდევ დაძახა ბავშვმა უიმედოდ:

— ა-მი-რან!

მხოლოდ გვირაბი იმეორებს შემადრწუნებლად გელას ხმას.

აკანკალდა ბიჭი. პარკი გაუფარდა ხელიდან და თითქოს ცოფიან ნადირს დაეფრთხოსო ისე გაეჭანა კარებისაკენ.

გარეთ რო გამოვიდა ბავშვი ჭირის ოფლში იყო გაწურული. ეხლა იგრძნო უსაზღვრო შიში მარტოობისა. სადმე რომ რამე წამოსცდენოდა, მაშინ ხო კარი დაიხურებოდა. მაშ რა მოხდა?

მართლა! ეგებ ამირანმა გასწყვიტა ჯაჭვი? რასაკვირველია, უწყველად გასწყვიტა და განთავისუფლდა კიდევ. რატომ ერთბაშად არ მიხვდა ამას!

— ამირანი თავისუფალია! პერი ბიჭო გიხაროდეს!

აღტაცებული გელა მოსწყვდა ადგილიდან და ლალი შეველივით ჩამოიქრობინა ურმის გზამდევ. გელას უნდა შეჰქნას ყვირილი გზიდან გზაზე, სოფლიდან სოფელში, რომ მიჯაჭვული ამირანი თავისუფალია!

ეხლა კი ეშველება ხალხს! ყველა გამდიდრდება! ყველ აბალებში შეიმოსება! სატირელი აღარავის ექნება რამე! დღედაღამ ყველა იხარებს და იმხიარულებს! ეხლა კი ვაი რუს-ხემშიფეს! ვაი ხალხის მტრებს!

ეხლა ამირანი ნეტა თუ მართლა შესვამს გელას ფასკუნჯზე და მოატარებს მთელ ქვეყნიერებას! არც ეხლა დაიჯერებს გულჩინა? ჯიუტი!

ვის ახაროს პირველად გელამ ეს დიდი, დიდი ამბავი?

გელას გუნებაში თითქოს უცნაური ზურნა-დალაბანდი უკრავსო და იგიც აპყლია ისევე უცნაურად. იმიტომ მოხტის ასე მარჯვედ, იმიტომ გამოიარა სრულიად შეუმჩნეველად ამოდენა გზა — საეალი.

შუა სოფელში რო მოვიდა, კაკლის ქვეშ ხალხი იყო დაგროვილი და რაღაცაზე მსჯელობდნენ. გელას უნდა, შეჰყვიროს!

— ეი, ხალხო! გაიგეთ, ამირანი თავისუფალია!

მაგრამ არა! ჩუმად უნდა იყვეს! ვაი თუ ასეთი გამელაენებით ავნოს რამე ამირანს. ეხლა თვითონ ამირანი გააგებინებს ხალხს, რომ თავისუფალია. რუს-ხემშიფეს რო ბაყბაყ-დევივით დაანარცხებს მიწაზე და სულს ამოხდის, არც მაშინ გაიგებს ხალხი!

თვითონ გელა კი ისევ ჩუმად უნდა იყვეს, ვიდრე... ვიდრე...

— სად იყა ბიჭო დაკარგული მთელ დღესა?

— ...მე ზღმარტლზე ვიყავი დედა.

— თუ ზღმარტლზე იყავი, აბა სადა გაქვს ე შენი ნართელევი? ან პარკი სად არის, შენი პარკი?

პარკი?... პარკიცა და ზღმარტლიცა ყარაულმა წამართვა...

— ვინ ყარაულმა ბიჭო?

— ვინა და ტყისამა.

გელა ბარემ სირცხვილით იწვის, რომ სტყუის, მაგრამ ამირანის გულისთვის განა დანაშაულად ჩეთვლება ესეთი ტყუილი? თანაც ზომ ჭულერთია ჩქარა ყველაფერი გაიგება და მაშინ გელასაც ყოველივე ეხლანდელი ქცევა ვაი ბიჭობათ ჩეთვლება.

14.

გელა სიხარულით მიწას აღარ გრძნობს თავის ფეხქვეშ. სულ ემღერება, სულ ემხიარულება, სული კბილით უჭირამს, რომ არ წამოსცდეს უდროვოდროს ამირანის ამბავი. მაგრამ ლამის გასქედეს გული ამოდენა სიხარულის ტარებით, რამდენ ხანს მალოს კიდევ, რამდენ ხანს!

— პაპა ფილო! შენა ძალიან გინდა რო ამირანმა აიწყვიტოს?

— ნეტამც მაგ დღეს ველირსებოდე და მერე თუნდა უზიარებელად მომკალი.

როგორ შეიმავროს თავი პატარა ბიჭმა გელამ! როგორ არ გაახაროს თავისი საყვარელი პაპა! როგორ არ გაახაროს ამდენი გჭირვებული ხალხი, ვინაც ასე ლალადით ელის ამირანის მოსვლას!

— პაპა ფილო, შენ იცი რო...

— რაო შეილო, რა?

— ...მე ფასკუნჯზე უნდა შევჯდე და ისე მოვიარო მთელი ქვეყნიერება.

— ფასკუნჯსა შეილო შენთვის სადა სცალია! ისა კუდალდეც ამირანს უზიდავს ხოლმე ხორცსა.

სთქვას თუ არა ბიჭმა? სთქვას თუ არა?

— ...როცა ამირანი აიწყვიტავს პაპა, მაშინა!

— ჰოო, ეგრე მითხარი. შე კაი კაცო! მე მეგონა დღეს — ხვალ უნდა გაფრინდე მეთქი და კინალამ დამყენანე.

ვერა, ვერა! გელა ველარ გაუძლებს ამაზე მეტ ცდუნებას, თუ არ გაშორდა. ისევ სჯობია კუდაწარას სროლაში გაართოს გული.

15.

მეორე დღეს საქონელი რო მიუდიოდა გელას მინდორში, ცუდ ამბავს წააწყდა: დილაადრიან ლოგინიდან წამოეგდოთ არხიას ძმა და ცემა-ტყუებით მიჰყავდათ კანცელარიაში. ერთი ძმა არ კმაროდა, ეხლა მეორეც მიაყოლეს.

ამის მაკერალი გელა სიბრაზითა და სიბრაღულით სულ ცაბცახებდა. თავპირ დამტყრეულ არხიას ძმის სანუგეშებლად უნდა შესძახოს:

— ნუ გეშინია ბიჭო ანდრო! ჩქარა გამოჩნდება ამირანი და დედას უტირებს მაგ შენ მომრევებსა!

მაგრამ თავი შეიშავრა.

როცა ქარიშხალივით მოვარდება ამირანი, თვითონ დაინახვენ მაშინ ყველაფერს!..

16.

კვირა დღეა.

კანცელარიის წინ რამდენიმე სოფლის გლეხკაცობას მოუყრია თავი. ქუდზე კაცი არის შეგროვილი. დღეს დიდი ზეიმით უნდა წაუკითხონ ხალხს რუს-ხელმწიფის მიერ ნაბოძები რალაც მანიფესტი.

ბოქაული მოვა და ის თვითონ წაუკითხავს, მაგრამ ჯერ სხვა სამამასაბლისოში არის. იქ რომ „გააბედნიერებს“ ხალხს მანიფესტის მოსმენით, მერე აქეთ გადმოვა.

ხალხი ჯგუფ-ჯგუფად არის დაყოფილი. მსჯელობენ, კამათობენ, მკითხაობენ.

— ხელმწიფის წყალობაი რაზე იქნება; რა? ან ბატონს მიეცხოზა რამე, ან დღედელსა და ან ვაქარსა.

— აბა მე ვიცი, საწყალი გლეხკაცითვინ შეიწუხებდა ვინმე თავსა!

— ამობენო რომაო ერთი შეკრებილობა უნდა იყვეს ჭკვიანი ხალხისაო, რომა ხენწიფეს დაეხმარონ ქვეყნის პატრონობაშიო.

— არა შეილსანიასა! მე გული ისე მეუბნება რომა, ან ოშტიფულს მოგვაწერენ მეტსა და ან კიდე სხვა რალაც ჯანდაბა იქნება.

— საწყალი კაცითვინა როდის გათენებულა, რო დღეს გათენდეს!

— თუ რუს-ხენწიფესა, შეილო, ჩვენთვის სიკეთე უნდოდეს, სოფელსა ამდენ კაი კაცებს წაართმევედა და ციხეში ამოალაობდა!

— მარტო სოფელი! ახლა ქალაქში იკითხე! მუშებიცა თურმე ჩვენზე უარეს დღეში არიან. ვისაც თვალი ადგია — სუ ციხეში და ციხშირში უკარეს თურმე თავი.

— ხმები დადის კიდე, ვითომა გაზეთში ჩაუგდიათ რომეცა ^{ეკონომიკი} ~~ახალთაზე~~ არ იყაბულებსო.

— რას არ იყაბულებსო კაცო?

— რა ვიცი. ეგრე ამობენ, არ იყაბულებსო.

— აღარავისა სჯერა კაცო, აღარავისა, რო ხენწიფის ხელიდანა რამე სიკეთე გამოვა ხალხითენია!

— ჩემი ფიქრითაც ეგრეა. ალბად ერთი პირი ტყავი კიდე უნდა აგვადრონ ზურგზე და იმიტომ მოგვავაროვეს პირუტყვებივითა აქა.

— ეეი! სასიკეთო რო იყვეს რამე, იცი ხმაი აქამდინა ცხრამთას იქით გავარდებოდა, მა!

— მართალია, მართალი!

— ეეხ! თუ საწყალი კაცითენია კიდე ფიქრობს ვინმეი და რა ვიცი, რა ვიცი!

უეცრივე ხალხში შეიქნა ჩოჩქოლი. კრებულთან ქარიშხალივით მოაწყდა რამდენიმე ცხენოსანი. ყველა ნაბადში და ჩაბალახშია გახვეული. ერთი მათგანი შეფწვერა და ყველაზე ახოვანი ეტყობა ბელადია.

— ჩაფრებს იარალი აპყარეთ და შეამწყვდიეთ ბოსელში.

სახტად დარჩენილი ჩაფრები ამ ბრძანებასაც ისე ემორჩილებიან — როგორც მამასახლის — ბოქაულისას.

მამასახლისიც ჩაფრებთან ერთად მიაყოლეს და გადმოურაზეს ბოსლის კარი.

ხალხში შეიქნა ჩოჩქოლი.

— ამირანი!

— ტყის ძმები!

— ახალთაობის კაცები!

რამდენიმე ახალმოსული სადარაჯოზე დადგა გზის პირად.

— ხალხო და ჯამათო! — ცის ქექვასავით გაისმა მეთაურის სიტყვა.

ხალხი ერთი ოჯახივით შეგროვდა, შემკვრივდა. ყველა სიხარბით მისჩერებია კლდის ნატებზე შემდგარს, კლდესავით პიტალო ვაეკაცს.

აქ გაისმა მედგარი სიტყვა ხალხისთვის თავგამოდებული მებრძოლისა. მისი სიტყვა მზის ელვარებად მოეკვინა ხალხის დამწუხრებულ გუნებას. როგორც მომგალას გრილი ნიავი, ისეთივე შვებასა და სიმხნევეს ანიჭებდა ეს სიტყვა დამაშვრალ ხალხს. ეს იყო მგზნებარე მოწოდება ყველა მშრომელების შესაერთებლად. ეს იყო წინასწარმეტყველური ლაღადი, რომ ამ ჯერობაზე ხალხი უქველად მიადწევეს აღთქმულ ქვეყანას. იგი ვაეკაცურის პირდაპირობით ამხელდა რომ ნამდვილი ბრძოლა, სასტიკი და გადამწყვეტი ბრძოლა მხოლოდ ესლა იწყება. მან გაუთვალისწინა ხალხს თუ რამდენი საუკეთესო შეილი დაეცემა მსხვერპლად ამ ბრძოლის დიდ გზაზე. თანაც ყველას გულში ბრწყინვალე კელაპტარივით ანთებს დიად რწმენას, რომ ეს დაუნდობარი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება.

უცხოეთის ლიბერატორა

ბერლინი
1918

ფრედერიკო ბარსია ლორკა

სისხლიანი ქორწილი

ტრაგედია სამ მოქმედებად და 7 სურათად.

მომქმედი პირნი:

დედა,
სარძლო,
ლეონარდოს სიდედრი,
ლეონარდოს ცოლი,
მოახლე,
მეზობელი ქალი,
ქალიშვილები,

ლეონარდო,
საქმრო,
სარძლოს მამა,
მთვარე,
სიკვდილი (მათხოვრის სახით),
შეშის მჭრელები,
ყმაწვილები.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

ყვიოლად შეღებილი ოთახი.

საქმრო: (შემოდის) დედა!

დედა: ჰა?

საქმრო: მიედიეარ.

დედა: სად?

საქმრო: ვენახში (მიდის კარებისკენ).

დედა: დაიცა.

საქმრო: რათა?

დედა: გესაუზმა, შეილო.

საქმრო: არა, ყურძენს შეეკამ. დანა მომეცი.

დედა: რად გინდა?

საქმრო: (სიცილით) მტევანს მოგჭრი.

დედა: (კრიჭაშეკრული, დანის ძებნაში) დანა, დანა... წყეულმც იყოს დანა და ის უსაქმური, რომელმაც გამოიგონა...

საქმრო: კმარა!

დედა: ...თოფებიცა და დამბაჩებიც, და სულ პატარა დანაც კი... წერაქვიცა და ბარიც...

საქმრო: კარგი, დედა!

დედა: ...ყველაფერი, რასაც შეუძლია მოჰკლას მამაკაცი, ლაშაზე ვაქცაო მიდის ვენახში ან ყანაში, ყველაფერი ეს მისია, ყველაფერი ეს შემკვიდრობით მიიღო...

საქმრო: (თავდახრილი) ვაჩუმდით!

ეპილოგი

დედა: ...და უკან აღარ ბრუნდება. თუ კი დაბრუნდა, ისღა დაგვრჩენია, პალმის ტოტი გადავაფაროთ ან მარილიანი ჯამი დავაღვათ მკერდზე, სხეული რომ არ აებეროს. როგორ ატარებ დანას? ან მე როგორ ვინახავ ამ გველს უჯრაში!

საქმრო: არ გეყოფ?

დედა: ასი წელიც რომ ვიცხოვრო, მხოლოდ ამაზე ვილაპარაკებ. ჯერ იყო და მამაშენი: სამ წელსაც არ გაგრძელებულა ჩვენი ბედნიერება. მერე შენი ძმა. ან როგორ ვითმენთ — რაღაც დამბაჩამ ან დანამ მოჰკლას ხარივით ღონიერი ვაქცაო! არასდროს არ ვაჩუმდები. დრო მიდის, ბოლო კი უფრო ძლიერ სწევას ჩემს თვალებს.

საქმრო: (მტკიცედ) გაათავეთ?

დედა: არა, ჯერ არა. ვინ დამიბრუნებს მამაშენს? შენს ძმას? მკვლელები ციხეში არიან. რა არის ციხე? იქ სჯამენ, თამბაქოს ეწევიან, გიტარაზე უკრავენ! ჩემი ორი ყვავილი კი დაქვანა, დაღუპა! მათ საფლავის ბაღში მოერიან... მკვლელები კი ციხეში არიან — მთებს შეჰყურებენ სიკოცხლით სავსენი...

საქმრო: მერე და რა ვქნა, დაეხოცო მკვლელები?

დედა: არა... ამას იმიტომ ვამბობ... ან როგორ არ უნდა ვსთქვა, როცა შენც იმავე კარებში გადიხარ? დანით!.. დანით ნუ მიხვალ... ნუ მიხვალ მინდვრად!

საქმრო: (სიცილით) კიდევ რაო?

დედა: როგორ მინდა, ქალი იყო. აღარ დაგვირდებოდა სახლიდან ვასვლა, მოვქარავადით რასმე...

საქმრო: (სიცილით ეხვევა დედას) თან რომ წაგიყვანო ვენახში?

დედა: რა გავაკეთო დედაბერმა ვენახში? ჩრდილში დამსვამ?

საქმრო: (ხელში აიყვანს) ჩემო ბებერო, ჩემო ბებრუხანავ!

დედა: მამაშენსაც დავყავდი. კარგი მოდგმისა ხარ, კარგი სისხლისა. ბაბუა შენმა ყოველ კუთხეში დასტოვა ბავშვი. მიყვარან ასეთები. ჯიშინი ხალხია.

საქმრო: მე, დედაჩემო?

დედა: შენ რაო?

საქმრო: ვერ გამიგეთ?

დედა: (სახე დაუბნელდება) გავიგე.

საქმრო: არა ხართ კმაყოფილი?

დედა: რატომ არ უნდა ვიყო.

საქმრო: მერე?

დედა: არ ვიცი. ასე, უეცრად ძალიან მოულოდნელია. ვიცი, კარგი გოგოა. ხომ მართალია? წყნარია. მუყაითი. ცოპს ზელს, კაბებს იკერავს, მაგრამ საკმარისია ახსენონ, თითქოს ლოდზე დამანარცხესო შუბლით.

საქმრო: სისულელეა!

დედა: რა თქმა უნდა, სისულელეა. მარტო რომ ვრჩები? შენს გარდა, არავინა მყავს, ეხლა კი შენც მიდიხარ.

საქმრო: თქვენც ხომ ჩვენთან იცხოვრებთ?

დედა: არა, მამაშენსა და შენს ძმას ვერ დაეტოვებ. ყოველ... დღეს უნდა მივიდე მათთან. ეთქვათ, წამოგყევი, ვაი თუ თელიქსებისაგან, მკვლელების ოჯახიდან მოკედეს ვინმე და მათ გვერდით დამმარხოვნ. არა ეგ არ მოხდება! ფრჩხილებით ამოეთხრი მკვლელებს მიწიდან და კედელს მივახლი მათ გვამებს.

საქმრო: (გაბრაზებული) ისევ დაიწყე!

დედა: მაპატიე. (პაუზა) დიდიხანია იცნობ?

საქმრო: სამი წელიწადია. უკვე ვინახიც ვიყიდე.

დედა: სამი წელიწადი. საქმრო ხომ არა ჰყავდა?

საქმრო: არ ვიცი. არა მგონია. გოგო უნდა ხედავდეს, ვის მიჰყვება ცოლად.

დედა: სწორია. მამიშენის გარდა, არავინ არ დამინახავს. და როცა მოჰკლეს, აი იმ სახლის კედელს დაუწევე ყურება.

საქმრო: კარგია ჩემი საცოლე.

დედა: ალბათ. გული მწყდება: არ ვიცი, როგორი დედა ჰყავდა.

საქმრო: მერე და რაო?

დედა: (თვალეში უცქერის) შეილო!

საქმრო: რა იყო, დედა?

დედა: ჰო, კარგი. მართალი ხარ. როდის წავიდე დასანიშნად?

საქმრო: (გამზიარულდა) კვირას რომ წახვიდეთ?

დედა: (სერიოზულად) ძველებურ საყურებს წავუღებ, შენ კი უყიდი...

საქმრო: ასეთ საქმეებში თქვენ მეტი გესმით...

დედა: მისთვის იყიდე რამდენიმე წყვილი ნაქარგი წინდა... შენთვის კი ორი, არა, სამი წყება ტანისამოსი. ერთად ერთი მყევხარ...

საქმრო: ხვალ წავალ.

დედა: ჰო, ჰო! ექვსი შეილი-შვილი მაჩუქე, ან რამდენიც გინდოდეს. მამაშენთან ვერ მოვასწარი ბევრი შეილის ყოლა.

საქმრო: პირმშო თქვენი იქნება.

დედა: გოგოებიც უნდა იყოს. ქარგვას ვასწავლი, ქსოვას, — მშვიდად ვიცხოვრებ.

საქმრო: ვიცი, შეგიყვარდებათ ჩემი საცოლე.

დედა: შემეყვარდება. (უნდა აკოცოს, მაგრამ უკან დაიხვეს). წადი, ცოლს აკოცე (პაუზა, განზე), თუ გეყოლება.

საქმრო: აბა, მივდივარ!

დედა: წისქვილთან კარგად დაბარე. მოუვლელია.

საქმრო: ხომ გითხარი, დავბარავე-მეთქი.

დედა: წადი ღვთით!

(საქმრო მიდის. დედა ზურგიტ კარებისაკენ ზის. შემოდის მეზობელი ქალი. შავ კაბაშია, თავწაყრული).

დედა: შემოდი!

მეზობელი: როგორა ხარ?



- დედა: როგორც მხედავ.
- მეზობელი: მთიდან ჩამოვედი დუქანში და შენც მოგიჩინებლე ასე შორი-შორს ვცხოვრობთ.
- დედა: ოცი წელია მთაზე არ ავსულვარ.
- მეზობელი: კარგად გამოიყურები.
- დედა: ვითომ?
- მეზობელი: ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია. მეზობლის ვაჟს ორი დღის წინად მანქანამ ხელები გადასჭრა. (ჯდება)
- დედა: რაფაელს?
- მეზობელი: რაფაელს. სამუდამოდ დასახიჩრდა. ხშირად ვფიქრობ იმაზე, რომ ჩვენი შვილები უკეთ არიან საფლავში. წყნარად სძინავთ. არაფერი აღარ შეაკრთობთ.
- დედა: გაჩუმდი. ცუდი ნუგეშია.
- მეზობელი: ახ!
- დედა: ახ! (პაუზა)
- მეზობელი: (მწუხარედ) შენი ვაჟი სად არის?
- დედა: წავიდა.
- მეზობელი: როგორც იყო, ვენახიც უყიდნია.
- დედა: ბედი ეწია.
- მეზობელი: ახლა ცოლსაც ირთავს.
- დედა: (თითქოს გამოეღვიძება. სკამს მისწევს მეზობლისკენ) ყური დამიგდე.
- მეზობელი: სთქვი.
- დედა: იცნობ ჩემი ვაჟის საცოლეს?
- მეზობელი: კარგი გოგოა.
- დედა: ჰო, მაგრამ...
- მეზობელი: მაგრამ ესაა, რომ კარგად არავენ არ იცნობს. შორს სცხოვრობს მამასთან ერთად, მახლობელ სამოსახლოდან ათი მილია. მაგრამ ვიცა, რომ კარგია. შეჩვეულია მარტობას.
- დედა: დედას თუ იცნობდი?
- მეზობელი: დედასაც ვიცნობდი. ლამაზი ქალი იყო. სახე წმინდანით უბრწყინავდა. მაგრამ რალაც მაინც არ მომწონდა. ქმარი არ უყვარდა.
- დედა: (მკვებედ) რა არ იცის ამ ხალხმა!
- მეზობელი: მაპატიე. არ მინდოდა შენი წყენა, მაგრამ რასაც ვამბობ, სიმართლეა. როგორი საქციელისა იყო, არ ვამიგია. ამაყი იყო.
- დედა: კიდევ!
- მეზობელი: შენ არა მკითხე?
- დედა: ნეტავი არც ცოცხალსა და არც მკვდარს არავენ არ იცნობდეს! ნეტავი ეკლის ორი ბუჩქი იყოს, რომ არავენ არ მიუახლოვდეს, ხოლო ვინც მიუახლოვდება, დაიკაწროს.
- მეზობელი: სწორია: შვილი შენი სიამაყეა.
- დედა: სიამაყეა. ჰო-და ვუფრთხილდები. ამბობენ, იმ გოგოს საქმრო ჰყავდაო.
- მეზობელი: მაშინ თხოუმეტი წლისა იყო. იმ ყმაწვილმა უკვე ორი წელიწადია მისი ბიძაშვილი შეირთო ცოლად. ეს ამბავი ყველას დაავიწყდა.

დედა: შენ ხომ გახსოვს?

მეზობელი: თითონ არა მკითხე?

დედა: ვისაც რა სტკივა, იმაზე ლაპარაკობს. ვინ იყო მისი შეყვარებული?

მეზობელი: ლეონარდო.

დედა: რომელი ლეონარდო?

მეზობელი: ლეონარდო, ფელიქსების ოჯახიდან.

დედა: (წამოდგება) ფელიქსების ოჯახიდან?

მეზობელი: ლეონარდომ რა დააშავა? რვა წლისა იყო ის ამბავი, რომ მოხდა.

დედა: მართალია... მაგრამ როცა ფელიქსი მესმის, ჩემთვის სულერთია. (კრიკაშეკრული) ტალახით ამევესო პირი, ჩქარა უნდა გადავფურთხო, თორემ მოვეკლავ (აფურთხებს).

მეზობელი: გონს მოდი! მაგით რას მოიგებ?

დედა: არაფერს, მაგრამ შენ კი ვამიგებ...

მეზობელი: ხელს ნუ შეუშლი შეილის ბედნიერებას. ნურაფერს ეტყვი- მოხუცი ხარ. მეც დავბერდი... შენცა და მეც ჩუმად უნდა ვიყოთ.

დედა: არაფერს არ ვეტყვი.

მეზობელი: (პკოცნის) პო, ნუ ეტყვი.

დედა: (მშვიდად) აი ესაა წუთისოფელი!

მეზობელი: დროა წავიდე. ჩემიანები სადაცაა დაბრუნდებიან ყანიდან.

დედა: რა სიცხეა დღეს!

მეზობელი: ბავშვები, ყანაში რომ წყალი დააქვთ, მთლად გაშავდნენ. მშვიდობით!

დედა: მშვიდობით!

(დედა მარცხენა კარებისაკენ წავა. შუაგზაზე შეჩერდება და ნელა პირჯვარს დაიწერს)

(ფარდა)

სურათი მხორბ

გარდისტრად შეღებილი ოთახი. თუჯის ჭურჭელი, ფერადი ყვავილების თაიგულები, გადაფარებული მაგიდა. დილაა. ლეონარდოს სიდედრი ბავშვით ხელში. აძინებს. მეორე კუთხეში ლეონარდოს ცოლი წინდასა ჰქნავს.

სიდედრი: ნანა, შეილო, ნანინა,

სიმღერას მოგიყვები,

დიდი ცხენი რომ იყო,

წყალი რომ არ ინდომა,

ძირს თავდახრილ ტოტებში

წყალი შავად მოსჩანდა.

ზიდ ქვეშ გარინდებული

შავად, შავად მოსჩანდა.

გაიგონე სიმღერა,

ვინღა გვეტყვის, ბიჭიკო,

იმ წყალის ქვეშ რა იყო

ამწვანებულ მდელოზე.

ოციწიწ და

იმღერ



- ცოლი: (ჩემად) დაიძინე, ყვავილო,
ცხენს წყალი არ უნდოდა.
- სიდედრი: დაიძინე, ზამზახო.
ცხენი მწარედ სტიროდა,
დამტვრეოდა ფეხები,
გაპყენვიყო ფაფარი.
და თვალეზში უკრთოდა
სატევიარის ვერცხლი.
მდინარისკენ დაეშვენ
დაეშვენ აჩქარებით.
ტალღებს ეჯობებოდა
სისხლი გახურებული.
- ცოლი: დაიძინე, ყვავილო,
ცხენს წყალი არ უნდოდა.
- სიდედრი: დაიძინე, ზამზახო,
ცხენი მწარედ სტიროდა.
- ცოლი: ვერცხლის ქაფის სილაში
დასვრა ენანებოდა,
მთისკენ იყურებოდა
და მწარედ ჭიხვინებდა.
მთები გარინდულიყო,
გული გასცივებოდათ.
ცხენს წყალი არ უნდოდა,
მალლა ყელ-ადერებულს.
ჩემო ცხენო, მალალო,
წყალი რად არ ინდომე?
სევდად ადგა მთას თოვლი,
ცხენს — აისი ცისკარზე.
- სიდედრი: ნუ შემოხვალ, მანდ დარჩი,
ფანჯარა გამოხურე,
მიძინებულ ტოტებით,
სიზმრით, ტოტში რომ იყო.
- ცოლი: ეძინება ბიჭუნას.
- სიდედრი: დამიწყნარდა ბიჭიყო.
- ცოლი: ცხენსაც, ჩემო ბიჭუნე,
ბალიში გააჩნია.
- სიდედრი: თან ფოლადის აკვანიც.
- ცოლი: და ზეწარიც უვია.
- სიდედრი: ნანა, შვილო, ნანინა,
სიმღერა მომისმინე.
- ცოლი: დიდი ცხენი რომ იყო,
წყალი რომ არ ინდომა.
- სიდედრი: ნუ შემოხვალ, დაცა,
მთები გადაიარე,

ცხრა მთას იქით მოგელის
შენი ტურფა დობილი.

ცოლი: (ბავშვს უყურებს)
დაიძინა ბიჭიკომ.

სიდედრი: დაისვენა ბიჭიკომ.

ცოლი: (ჩუმად) დაიძინე, ყვავილო,
ტყენს წყალი არ უნდოდა.

სიდედრი: (დგება. სულ ჩუმად)
დაიძინე, ზამზაზო,
ცხენი მწარედ სტიროდა.

(გაყავს მძინარე ბავშვი. შემოდის ლეონარდო)

ლეონარდო: სად არის პატარა?

ცოლი: სძინავს.

ლეონარდო: გუშინ შეუძლოთ იყო. ღამით ტიროდა.

ცოლი: (მზიარულად) დღეს კი ყვავილივითაა. სამჭედლოში იყავი?

ლეონარდო: იქიდან მოვდივარ. არ დაიჯერებ, ორი თვეა სულ ნალებს
ფუცვლი ცხენს. ალბათ, ვერ უძლებს ქვებზე.

ცოლი: ძალიან ბევრს დააქენებ?

ლეონარდო: არა, თითქმის სულ თავლაში მყავს.

ცოლი: გუშინ მითხრეს, ვითომ ბარში ენახეთ.

ლეონარდო: ვინ გითხრა?

ცოლი: მეზობლის ქალები კაპარს აგროვებდნენ და დაენახეთ. ვამიყვირდა.
მართალია?

ლეონარდო: არა. რა უნდა გამეკეთებინა იმ უდაბნოში?!

ცოლი: მეც ვგრე ვუთხარი, მაგრამ ცხენი გაოფლიანებული იყო ქენებით.

ლეონარდო: თვითონ ნახე?

ცოლი: არა. დედამ მითხრა.

ლეონარდო: ბიჭი მასთან არის?

ცოლი: ჰო. გინდა ლიმონათი?

ლეონარდო: მხოლოდ ძალიან ცივი.

ცოლი: სადილად რატომ არ მოხველი?

ლეონარდო: ხორბლის მყიდველებთან ვიყავი. მუდამ უნდა შეგაჩერონ.

ცოლი: (ლიმონათს ამზადებს. ძალიან ნაზად) კარგ ფულს იძლევიან?

ლეონარდო: ნამდვილს!

ცოლი: კაბა მჭირდება. ბავშვს კი ქუდი.

ლეონარდო: (დგება) წავალ, დაგედავ.

ცოლი: ფრთხილად. სძინავს.

სიდედრი: (შემოდის) ვის უჭენებია ცხენი. ვხედავ, გაშხლართულია, თვა-
ლები გადმოუტარკლავს, თითქოს ცხრა მთას იქიდან მოსულაო.

ლეონარდო: (უკმაყოფილოდ) ცხენზე მე ვიჯექი.

სიდედრი: მაპატიე, ცხენი ხომ შენია.

ცოლი: (შემყრთალი) ხორბლის მყიდველებთან იყო.

სიდედრი: მე რა, თუნდაც მოუკლავს ქენებით (ჯდება. პაუზა).

ცოლი: აი ლიმონათი, ცივია.

ლენარდო: ცივია.

ცოლი: იცი, ბიძაშვილს ნიშნავენ.

ლენარდო: როდის მოვლენ?

ცოლი: ხვალ. ქორწილიც ერთ თვეში იქნება. ნეტავ დაგვართქვენ?

ლენარდო: (დაღვრემილი) არ ვიცი.

სიდედრი: საქმროს დედას, მგონი, გული არ მიუდის ამ ქორწილზე.

ლენარდო: შეიძლება მართალიცაა. ფრთხილი ქალია.

ცოლი: ჩემი ბიძაშვილი კარგი გოგოა. ცუდს ტყულად ფიქრობთ მაზე.

სიდედრი: ეს კი იცნობს. დაგავიწყდა, სამი წელიწადი იყო ამის საცოლზე?

ლენარდო: მე მივატოვე. (ცოლს) რაო, ტირილს აპირებ? კმარა! (მკვეთრი მოძრაობით ხელებს მოაშორებს სახიდან). ბიჭთან წავიდეთ.

(გადახვეულნი გადიან. შემობრბის გოგო)

გოგო: (მხიარულად) სენიორა!

სიდედრი: რა იყო?

გოგო: საქმროს დედას მოვიდა და ყველაფერი საუკეთესო იყო.

სიდედრი: მართო იყო?

გოგო: არა, დედა ახლდა. მაღალია, მედიდური (ბაძაკს). რა შესანიშნავია!

სიდედრი: ფული აქვთ!

გოგო: რამდენიმე წყვილი თხელი წინდა იყიდეს. აჰ, რა წინდებია! ქალის ოცნებაა ასეთი წინდები. უფურცელ მერცხალია აქ (კოკის ადგილს უჩვენებს), აქ ხომალდი (წვივის ადგილს უჩვენებს), აქ კი ვარდი (თემოს ადგილს უჩვენებს).

სიდედრი: ო, გოგო!

გოგო: ღერო, ეკლები, ფურცელი და სულ აბრეშუმია, აბრეშუმი.

სიდედრი: ფული ფულთან მიდის.

(შემოდინს ლენარდო და მისი ცოლი)

გოგო: მოვედი მოგიყვებ, საქმრო რას ყიდულობს.

ლენარდო: ჩვენ რა გვესაქმება?

ცოლი: თავი დაანებე!

სიდედრი: აბა რას ერჩი, ლენარდო?

გოგო: როგორც გენებოთ (ტირილით გადის)

სიდედრი: რატომ ელაპარაკები ყველას ასე მკვახედ?

ლენარდო: თქვენთვის დარიგება არ მითხოვია (ჯღღება).

სიდედრი: ჰო, კარგი. (პაუზა).

ცოლი: (ლენარდოს) რა მოგდის? რა ფიქრი გაწამებს? მითხარი, უნდა ვიყოდე.

ლენარდო: დამეთხოვე!

ცოლი: არა. შემომხედდე თვალებში და მითხარი.

ლენარდო: თავი დამანებე! (დგება).

ცოლი: საით?

ლენარდო: (გაბრაზებული) აღარ გაჩუმდები?

სიდედრი: (ბრძანებით — ქალიშვილს) გაჩუმდი!

(ლეონარდო გადის)

სიდედრი: ბავშვი! (გადის და მალე ბრუნდება ბავშვით ხელში) უმოძრაოდ დგას)

სიდედრი: დამტვრეოდა ფეხები,

გაყინოდა ფაფარი
და თვალბში უკრთოდა
სატევარი ვერცხლი.
მდინარისკენ დაეშენენ,
დაეშენენ აჩქარებით.
ტალღებს ეჯიბრებოდა
სისხლი გახურებული.

ცოლი: (ნელ-ნელა წამოდგება, როგორც სიზმარში)

დაიძინე, ყვავილო,
ცხენმა წყალი დალია.

სიდედრი: დაიძინე, ზამბახო,

ცხენი მწარედ სტიროდა.

ცოლი: ნანა, შეილო, ნანინა,

სიმღერა მომისმინე.

სიდედრი: დიდი ცხენი რომ იყო,

წყალი რომ არ ინდომა.

ცოლი: (სასოწარკვეთით)

დაიცადე, ნუ ჩქარობ,
მთები გადაიარე.
სევდად ადგას მთას თოვლი,
ცხენს — აისი ცისკარზე...

სიდედრი: (ტირის) ძილი უნდა ბიჭიკოს.

ცოლი: (ტირილით ნელა უახლოვდება სიდედრს) მოსვენება ბიჭიკოს.

სიდედრი: დაიძინე, ყვავილო,

ცხენს წყალი არ უნდოდა.

ცოლი: (ტირის მაგიდაზე დახრილი)

დაიძინე, ზამბახო,
ცხენი მწარედ ტიროდა.

(ფარდა)

სურათი მისამდე

გამოქვამულში გამოთხრილი ზინა. იქ სარძლო სცხოვრობს. სიღრმეში ჯვარი, გაყვებულლი დიდი ვარდისფერი ყვავილებისგან. კარებზე ბაბთის ფარდები და ვარდისფერი ლენტები. თეთრი კედლები. მრგვალი მართები. ლურჯი დოქები, საჩკეები.

მოახლე: (მორჩილებით, ყალბი სათნოებით) მობრძანდით!.. (შემოდინა საქმრო და დედა. დედა შავი ატლასის კაბაშია და ბაბთის მანტილიაში. საქმრო შავი ხავერდის ტანისამოსშია. ბრწყინავს მძიმე ოქროს ძეწვეი). დაბრძანდით, გეთაყვა. გეახლებიან (გადის).

(დედა და ვაჟი სხედან უმოძრაოდ, როგორც ქანდაკებები. ხანგრძლივი სიჩუმეა).

დედა: საათი თანა გაქვს?

საქმრო: დიახ. (ამოიღებს საათს და დახედავს).

დედა: ნეტავი დროზე მაინც დაებრუნდეთ. რა შორს ცხოვრობენ?

საქმრო: სამაგიეროდ აქ კარგი მიწებია.

დედა: კარგია, მაგრამ ძალიან განმარტოვებული ადგილია. ოთხი საათია სავლელი, არც სახლია და არც ხე.

საქმრო: დაგვალული ადგილებია.

დედა: მამაშენი აქ ხეებს დარგავდა.

საქმრო: უწყლოდ?

დედა: მოსძებნიდა. სამ წელიწადში, რაც ჩვენ დაქორწინებული ვიყავით, მან მთელი ვენახი გააშენა, დარგო ათი ალუბლის ხე. (იგონებს) სამი კაკლის ხე წისქვილთან და ერთიც წითელი ყვავილებით. იუპიტერიის გახმა.

საქმრო: (სარძლოზე) ალბათ, ტანთ იცვამს.

(შემოდის სარძლოს მამა. მოხუცია, ბრწყინვალე ჰალარა თმით. ქვეშ-ქვეშ იცქარება. დედა და საქმრო დგებიან და უხმოდ ხელს ართმევენ)

მამა: დიდხანს იარეთ?

დედა: ოთხი საათი.

მამა: შორი გზით გივლიათ.

დედა: ნაპირ-ნაპირ სიარული აღარ ძალმიძს. დავბერდი.

საქმრო: თავბრუ ესხმის. (პაუზა)

მამა: წრეულს ცხრატყავა კარგი მოვიდა.

საქმრო: დიახ, კარგია.

მამა: ჩემ დროს ამ მიწაზე ცხრატყავაც არ მოდიოდა. უწინ ჰირნახული რომ მოეწიათ, რას არ ჩადიოდნენ: მიწას სცემდნენ, ცრემლებით ალბობდნენ.

დედა: სამაგიეროდ ესლა მოსავალს ვერ დავმღურები. ნუ გეშინიან, არაფერს არა ვთხოვ.

მამა: (ღიმილით) შენ ჩემზე მდიდარი ხარ. ვენახი მთელი ქონებაა. ყოველი რტო ვერცხლია. ჩემი მიწა კი... გესმით? გაბნეულია. სოლივით შექრილია მასში სხვისი ბოსტანი. როგორც ეკალი, ისე მაქვს გულში ჩასობილი. გაყიდვაზე ვერ დავითანხმებ, მთელი ქვეყნის ოქროც რომ შევთავაზო.

საქმრო: ხშირად ხდება მაგრე.

მამა: ოცი უღელი ხარით რომ გადმოზიდო აქეთ შენი ვენახი და მთის ფერდობზე დარგო, ძალიან გამახარებდი.

დედა: რატომ უნდა გადმოვზიდოთ?

მამა: ჩემი ჩემ ქალს ეკუთვნის, შენი — შენ ვაქვს. ერთად რომ ვიყოთ, კარგი იქნებოდა.

საქმრო: მუშაობაც ნაკლები გვექნებოდა.

დედა: როდესაც მოგვედები, გაყიდეთ ჩემი ვენახები და აქ იყიდეთ სადმე, ახლომახლო.

მამა: გაყიდეთ, გაყიდეთ! უნდა ვიყიდოთ, კი არ გავყიდოთ. ბიჭები რომ მყოლოდა, მთელ მთას ვიყიდდი. ღელემდე, მართალია, მიწა ცუდია,

მაგრამ ხელები რისთვისა გვაქვს. ხალხი აქ არ დადის, ვერაფერ იქურდებს, შევიძლია მშვიდად იძინო. (პაუზა).

დედა: იცი, რად მოვედი?

მამა: ვიცი.

დედა: მერე რას იტყვი?

მამა: მაგათ გათქმული აქვთ.

დედა: ჩემი ვაჟი ჯანმრთელია, ღონიერი.

მამა: ჩემი ქალიც მაგეთია.

დედა: ჩემი ვაჟი ლამაზია. ქალებს არ იცნობს. მისი ნამუსი მზეზე გათეთრებულ ზეწარზე წმინდაა.

მამა: რა ვითხრა ჩემ ქალზე: ცოლს ღამის სამ საათზე ზელს, როდესაც ჯერ კიდევ ვარსკვლავები ანათებენ. ჩუმი, ნაზი, ოსტატურად ჰქარგავს, ღონე კი იმდენი აქვს, რომ კბილებით ბაწარს გადაღრნის.

დედა: უფალმა აკურთხოს შენი სახლი!

მამა: უფალმა აკურთხოს!

(შემოდის მოახლე ორი ღანგრით. ერთზე ჰიჭები, მეორეზე ტაბილეული).

დედა: (შვილს) როდის გინდათ იქორწილოთ?

საქმრო: ხუთშაბათს.

მამა: ჩემ ქალს იმ დღეს სწორედ 22 წელიწადი შეუსრულდება.

დედა: 22 წელიწადი! მაგ ხნისა იქნებოდა ჩემი უფროსი ვაჟიც, ხალხს რომ დამბაზა არ გამოეგონა, ცოცხალი მეყოლებოდა, ფიცხი და მკლავმავარი.

მამა: არ უნდა იფიქრო მაგაზე.

დედა: ყოველ წუთს ვფიქრობ. შენს გულს დააყურე.

მამა: მაშ ხუთშაბათს, არა? გადაწყვეტილია?

საქმრო: დიახ.

მამა: ეკლესია შორს არის აქედან. საქმრო, საცოლე, მე და შენ ეტლით წავალთ. სტუმრებიც ვინ ურმით და ვინ ცხენით.

დედა: თანახმა ვარ. (მოახლე მიდის).

მამა: უთხარი, შემოვიდეს. (დედას) მიაგება, თუ მოგეწონა.

(დაბლა თავდახრილი შემოდის სარძლო)

დედა: ჩემთან მოდი. კმაყოფილი ხარ?

სარძლო: დიახ, სინიორა.

მამა: ნუ დაღვრემილხარ, ეს ხომ დედა იქნება შენი.

სარძლო: მიხარია. ჩემი ნებით დაეთანხმდი.

დედა: რასაკვირველია. (ნიკაპში ჰკიდებს ხელს) შემომხედე?

მამა: ყველაფრით ჩემ ცოლსა ჰგავს.

დედა: მართლა? რა ღამაზია! იცი, ქალო, რა არის გათხოვება?

სარძლო: (სერიოზულად) ვიცი.

დედა: ქმარი, ბავშვები, ორი წყრთის სიგანე კედელი და მეტი არაფერი.

საქმრო: ვანა მეტი რა უნდა?

დედა: არაფერი. დაე ყველამ ასე იცხოვროს.

სარძლო: შევძლებ ასეთ ცხოვრებას.



დედა: აპა საჩუქრები.

სარძლო: გმადლობთ.

მამა: არაფერს მიირთმევთ?

დედა: მე არაფერი არ მინდა. (საქმროს) შენ?

საქმრო: ვიახლებით (ისა და სარძლო იღებენ ტაბილეულს).

მამა: (საქმროს) ლეინო?

დედა: პირს არ აკარებს.

მამა: მით უკეთესი (პაუზა. ყველანი წამოდგებიან)

საქმრო: (სარძლოს) ხვალ მოვალ.

სარძლო: რა დროს?

საქმრო: ხუთ საათზე.

სარძლო: დაგელოდები.

საქმრო: როდესაც შენს გვერდით ვზივარ, უხერხულად ვარ. ყელში თითქო ბურთი ჩამჩარესო.

სარძლო: როდესაც ჩემი ქმარი გახდები, გაივლის.

საქმრო: მეც ასე მგონია.

დედა: წავიდეთ. მზე არ დაგველოდება. (მამას) მაშ საქმე გაწყობილია.

მამა: გაწყობილია.

დედა: (მოახლეს) მშვიდობით!

მოახლეს: უფალი გფარავდეთ!

(დედა ჰკოცნის სარძლოს. ყველანი უხმოდ მიდიან გასავლისკენ).

დედა: (კარებში) მშვიდობით, შეილო! (სარძლო ხელით უპასუხებს).

მამა: გაგაცილებთ (მიდიან).

მოახლეს: სული მიმდის. საჩუქრების ნახვა მენატრება.

სარძლო: (გაბრაზებული) დამეხსენ!

მოახლეს: გოგო, მაჩვენე!

სარძლო: არ მინდა!

მოახლეს: წინდები მაინც დამანახვე. ამბობენ, სულ გამჟვირვალეო. მაჩვენე!

სარძლო: არა-მეთქი!

მოახლეს: ღვთის გულისათვის! მაშ კარგი... შემოგხედონ, ეგონებათ, რომ გათხოვება არ გინდა.

სარძლო: (გაცოფებული ხელზე იკბენს) აი!

მოახლეს: გოგოვ, შეილო, რა მოგდის? თუ გენანება შენი უღარდელი ყმ-წვილქალობა? ნუ ჯაერობ. დამიჯერე საღარდელი არაფერია... სჯობია ენახოთ, რა საჩუქრებია (იღებს ყუთს)

სარძლო: (ხელს მოაეღებს) დაეხსენ!

მოახლეს: ო, მე...

სარძლო: დაეხსენ, მითქვამს!

მოახლეს: ვაჟაკზე ღონიერი ხარ.

სარძლო: განა არა ვარ ნაჩვევი ვაჟაკის სამუშაოს? აპ, ნეტამც ვაჟაკი ვიყო!

მთახლე: ნუ ამბობ მაგას

სარძლო: გაჩუმდი, გულებნები!

(სინათლე ჰქრება. ხანჯრძლივი პაუზა)

მთახლე: გესმოდა ღამე ჩლიქების თქარა-თქური?

სარძლო: როდის?

მთახლე: სამ საათზე.

სარძლო: ალბათ, ცხენი ჩამორჩა ჯოგს.

მთახლე: არა, მზედარი იყო.

სარძლო: საიდან იცი?

მთახლე: თვითონ დავინახე. შენს ფანჯარასთან გაჩერდა. შემეშინდა.

სარძლო: იქნებ ჩემი საქმრო იყო? მაგ დროს არა ერთხელ ჩაუვლია ჩემ ფანჯარასთან.

მთახლე: არა.

სარძლო: გაარჩიე:

მთახლე: დიახ.

სარძლო: შერე ვინ იყო?

მთახლე: ლეონარდო.

სარძლო: (შეჰკვივლებს) სიცრუეა, სიცრუე. რატომ უნდა მოსულიყო?

მთახლე: მოვიდა.

სარძლო: გაჩუმდი! წყეულიც იყოს შენი ენა!

(ცხენის ფეხის ხმა).

მთახლე: (ფანჯარასთან) გაიხედე ფანჯარაში. ის არის?

სარძლო: ის არის.

(ფარდა სწრაფად ეშვება)

მოკმედება მიორა

სურათი პირველი

ერდო-დერეფანი სარძლოს სახლში. სიღრმეში დიდი კარები. ღამეა. შემოდის სარძლო თეთრი საწელურით და მოქარგული ბაბთის კაბით. მკლავები გაშიშვლებული იქნს. მოაბლევ ასეა ჩამხული.

მთახლე: აქ დაგვარცხნი.

სარძლო: იქ ძალზე ცხელა.

მთახლე: ამ მხარეში დილითაც სჭირს სუნთქვა.

(სარძლო დაბალ სკამზე ჯდება და ხელსარკეში იხედება. მოახლე ვარცხნის).

სარძლო: იმ მხარეში, სადაც დედა-ჩემი დაიბადა, უამრავი ხე იზრდება. ნოყიერი მიწებია.

მთახლე: იმიტომაც იყო ისე მზიარული.

სარძლო: აქ კი ჩამოჰკნა.

მთახლე: ბეღია.

სარძლო: ყველანი ვქენებით. კედლებსაც კი ბული ასდით. აჰ, მაგრა მიწნაე.

მთახლე: ღამაზად მინდა შეგიხვიო ეს ნაწნაე. შუბლი უნდა დაგიმშვენოს. (სარძლო სარკეში იხედება) აჰ, ჩემო ღამაზო! (დაეინებოთ ჰკოცნის).

- ს ა რ ძ ლ ო : (წარბშეკრული) ჩქარა დამეარცხნე.
- მ ო ა ხ ლ ე : (უვარცხნის) ბედნიერი ხარ, მოეხვევი მამაკაცს, დაუწყებ კოცნას, იგრძნობ მის სიმძიმეს.
- ს ა რ ძ ლ ო : გაჩუმდი!
- მ ო ა ხ ლ ე : რა ბედნიერებაა იგრძნო გამოღვიძებისას, რომ ის შენს გვერდითაა და მისი სუნთქვა თითქოს ბუმბულით ვიღიტინებს ბეჭებში.
- ს ა რ ძ ლ ო : (მკვახლდ) გაჩუმდები თუ არა?
- მ ო ა ხ ლ ე : გაეჩუმდები, გოგონა. რა არის ქორწილი? მხოლოდ ესაა და სხვა არაფერი: ქორწილი შექარლამა როდია ან ყვავილების თაიგული. არა, ქორწილი ახალი ლოგინია და მამაკაცი ქალთან.
- ს ა რ ძ ლ ო : ნუ ვილაპარაკებთ მაგაზე.
- მ ო ა ხ ლ ე : როგორც გუნებოს. მხოლოდ ყოველივე ეს მეტად ტკბილია.
- ს ა რ ძ ლ ო : ან ძალიან მწარე.
- მ ო ა ხ ლ ე : აი, ასე დაგახურავ ფორთოხლის რტოს. დეე, გვირგვინმა ინარჩუნოს ზემოდან (აზომებს).
- ს ა რ ძ ლ ო : (იხედება სარკეში) წაიღე!
- (იხსნის რტოს, დუმილით უცქერის მას. გვირგვინი უფარდება. თავს უღონოდ დაუშვებს მკერდზე).
- მ ო ა ხ ლ ე : რა მოგდის?
- ს ა რ ძ ლ ო : მარტო დამტოვე.
- მ ო ა ხ ლ ე : რა დროს მოწყენაა! (შთაგონებით) ხელს ნუ ახლებ რტოს. (სარძლო იძრობს რტოს). გოგო, რატომ მოგლიჯე გვირგვინი? ახლა მწუხარება არ აგეცილდება. ასწიე თავი! გათხოვება არ გინდა? სთქვი! ჯერ კიდევ არ არის გვიან.
- ს ა რ ძ ლ ო : (დგება) თავბრუ დამეხვა. სულიც შემიწუხდა. ვის არ მოსვლია ეს?
- მ ო ა ხ ლ ე : გიყვარს საქმრო?
- ს ა რ ძ ლ ო : მიყვარს.
- მ ო ა ხ ლ ე : ვიცი, ვიცი.
- ს ა რ ძ ლ ო : ჩემთვის ეს დიდი ნაბიჯია.
- მ ო ა ხ ლ ე : უნდა გადასდგა.
- ს ა რ ძ ლ ო : უკვე მივეცი სიტყვა.
- მ ო ა ხ ლ ე : გვირგვინს დაგახურავ.
- ს ა რ ძ ლ ო : (ჯდება) დაუჩქარე, ალბათ, მალე მოვლენ.
- მ ო ა ხ ლ ე : ორ საათს დაჰყოფენ გზაში.
- ს ა რ ძ ლ ო : რამდენია აქედან ეკლესიამდე?
- მ ო ა ხ ლ ე : ხუთი მილი, თუ ნაპირ-ნაპირ ვივლით, თუ გზით — ორჯერ მეტი.

(სარძლო დგება. მოახლე აღტაცებით შესცქერის).

- მ ო ა ხ ლ ე : გაიღვიძე, პატარძლო, ქორწინების დილაა, შენს გვირგვინსაც წალეკავს წუთისოფლის დინება.

ს ა რ ძ ლ ო : (ღიმილით) იკმარე.
 მ ო ა ხ ლ ე : (პკოცნის და ცეკვავს მის გარშემო)
 სარძლომ გამოიღვიძოს
 ამწვეანებული ტოტით,
 მდელი ჰყვავის და ხარობს.
 სარძლომ სახლში იღვიძოს
 ნორჩ გვირგვინად შეკრული
 დაფნის მწვეანე ტოტებით.

(ისმის კარის კაკუნი).



ს ა რ ძ ლ ო : გაულე, პირველი სტუმრები არიან (შედის სახლში).
 მ ო ა ხ ლ ე : (აღებს კარს. გაკვირვებული) შენა ხარ?
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : შე ვარ. დილა მშვიდობისა!
 მ ო ა ხ ლ ე : შენ პირველი ხარ.
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : ვანა არა ვარ მოწვეული?
 მ ო ა ხ ლ ე : ხარ.
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : ჰო-და მეც მოვედი.
 მ ო ა ხ ლ ე : ცოლი?
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : ცხენით მოვედი. ცოლი მალე მოვა.
 მ ო ა ხ ლ ე : არავინ შეგხვედრია?
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : გამოვასწარი მათ.
 მ ო ა ხ ლ ე : ფრთხილად, ცხენს დალუპავ!
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : სულ ერთია, ოდესმე მაინც ჩაძაღლდება (პაუზა).
 მ ო ა ხ ლ ე : დაჯექი. ჯერ კიდევ სძინავთ.
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : პატარძალი?
 მ ო ა ხ ლ ე : ახლავ ჩავაცემე.
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : პატარძალი კმაყოფილი იქნება.
 მ ო ა ხ ლ ე : (სცელის საუბრის საგანს) ბიჭი როგორ არის?
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : რომელი ბიჭი?
 მ ო ა ხ ლ ე : შენი შვილი.
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : (თითქოს გამოფხიზლდება) ჰა!
 მ ო ა ხ ლ ე : მოიყვანენ?
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : არა. (პაუზა) ძალიან შორს მღერიან.
 ხ მ ე ბ ი : გაიღვიძე, პატარძალო,
 ქორწინების დილაა.
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : გაიღვიძე, პატარძალო
 ქორწინების დილაა!
 მ ო ა ხ ლ ე : სტუმრები მოდიან. ჯერ შორს არიან.
 ლ ე ო ნ ა რ დ ო : (დგება) სარძლოს დიდი გვირგვინი ექნება? ძალიან დიდი
 არ უნდა. პატარა უფრო დამშვენდება. მოუტანა საქმრომ ფორთოხლის
 რტო?
 ს ა რ ძ ლ ო : (შემოდის, იგივე თეთრი კაბა, თავზე გვირგვინი) მოიტანა.
 მ ო ა ხ ლ ე : (უკმეხად) კიდევ რაო!

ს ა რ ძ ლ ო : (ბოღმით) რად კითხულობ, მოიტანეს თუ არა ფორთოხლის რტო? ორჭოფულად იკითხე.

ლ ე ო ნ ა რ დ ო : არა. არავითარი სხვა განზრახვა არა მქონდა. შენ ხომ მიცნობ (უახლოვდება) მითხარი რა ვიყავი შენთვის? უღელნიკეთი უღელი ხარი და დანგრეული ქოხი, — ეს ისე ცოტაა.

ს ა რ ძ ლ ო : რატომ მოხვედი?

ლ ე ო ნ ა რ დ ო : მინდა დავესწრო შენს ქორწილს.

ს ა რ ძ ლ ო : მეც ვიყავი შენს ქორწილზე.

ლ ე ო ნ ა რ დ ო : რომელიც საკუთარი ხელებით მოაწყე. ჩემი მოკვლა შეიძლება, გადაფურთხება კი არა. ვერცხლი კი, რომელიც ასე ბრწყინავს, ზოგჯერ იფურთხება.

ს ა რ ძ ლ ო : სცრუობ!

ლ ე ო ნ ა რ დ ო : ფიცრი ვარ. უმჯობესია დაჭრემდე. არ მინდა ამ გორაკებმა გაიგონონ ჩემი მძაფრი ხმა.

ს ა რ ძ ლ ო : შე კი უფრო ხმამალა ვიყვირებდი.

მ ო ა ხ ლ ე : გეყოფა. არ უნდა გაიხსენო წარსული.

(მოუსვენრად იცქირება კარებისაკენ).

ს ა რ ძ ლ ო : მართალია. არც კი უნდა გელაპარაკებოდე. მაგრამ გაჯაგერბული ვარ შენზე იმიტომ, რომ მოხვედი ჩემს დასახვერადა, გინდა უცქირო ჩემს ქორწილს და რატომღაც მეკითხები ფორთოხლის რტოზე. წადი აქედან! ცოლს აივანზე დაუციდი?

ლ ე ო ნ ა რ დ ო : განა არ შეგვიძლია ვისაუბროთ?

მ ო ა ხ ლ ე : (ბრაზით) არა!

ლ ე ო ნ ა რ დ ო : ცოლის შერთვის შემდეგ დღე და ღამე ვფიქრობდი, რომელია ჩვენ შორის დამნაშავე? მაგრამ ყოველთვის ჩნდებოდა ახალი დანაშაული და სპობდა წინანდელს. დანაშაული კი მუდამ რჩებოდა.

ს ა რ ძ ლ ო : ცხენით მოჯირითე კაცმა ბევრი რამ იცის. მას შეუძლია ადვილად ჩაითარიოს უღაბნოში მცხოვრები ქალიშვილი. მაგრამ მე სიამაყე მაქვს. ამიტომაც ვთხოვდები. მეც ჩავიკეტები, ქმართან, რომელიც ყველაზე მეტად უნდა მიყვარდეს ამ ქვეყნად.

ლ ე ო ნ ა რ დ ო : სიამაყე ვერ გიშველის (უახლოვდება).

ს ა რ ძ ლ ო : არ მომეკარო!

ლ ე ო ნ ა რ დ ო : დღემილი და წვა, — აი, ყველაზე დიდი სასჯელი, რომლითაც კი შეგვიძლია დაესაჯოთ ჩვენი თავი. განა შე მიშველა სიამაყემ? მიშველა შენმა უნაბაობამ? ან შენ გიშველეს უძილო ღამეებმა? სრულებითაც არა! სულ ცეცხლში ვიწვოდი. შენ მგონია, დრო მკურნალობს და კედლები ყველაფერს მალავენ? ტყუილია. როცა ვნება შეგიპყრობს, მასთან გამკლავება შეუძლებელია.

ს ა რ ძ ლ ო : (კანკალებს) არ ძალმიძს შენი მოსმენა, ვერ ვუსმენ შენს ხმას. თითქო ღვინო შევსვი თასით და მივიძინე ია-ვარდით მოფენილ ლოგინზე. ხმა მეძახის, ვგრძნობ, სული მეხუთება, მაგრამ მაინც მიყვები ამ ხმას.

მ ო ა ხ ლ ე : (კალთებზე ჩასკიდებს ხელს ლეონარდოს) ახლავე წადი!

ლ ე ო ნ ა რ დ ო : მინდა უკანასკნელად მოველაპარაკო. ნუ გეშინია.

სარძლო: ვიცი, რომ ეს სიგიჟეა, ვიცი, რომ ჩემი გული ჩამოხმა ტანჯვისაგან, მაგრამ გავიგონე მისი ხმა, დადინახე, რომ ის დარღვივებულ იბრჩეება და გულს მომეშვა.

ლეონარდო: ვერ დავწყნარდები, სანამ ყოველივეს არ გავხედავ კლდეზე ვიჯდები.

მოახლე: (ლეონარდოს) ჰო ეგეც თხოვდება!

ხმები: (სიმღერა უფრო ახლოს ისმის).

გაიღვიძე, პატარძალო,
ქორწინების დილაა!

სარძლო: გაიღვიძე, პატარძალო! (გარბის თავის ოთახში)

მოახლე: აი სტუმრებიც! (ლეონარდოს). ნუღარ მოხვალ მასთან.

ლეონარდო: დამშვიდდი! (გადის მარცხენა კარებში. თენდება)

1-ლი ქალიშვილი: (შემოდის)

პატარძალო, გაიღვიძე,
ქორწინების დილაა
და სტუმრები ფერხულით
გარს უვლიან დერეფანს.

ხმები: გაიღვიძე, პატარძალო!

მოახლე: (სიხარულით)

დე, მან გამოიღვიძოს
ამწვანებულ ტოტებით,
დე, მან გამოიღვიძოს
ნიშნად სიყვარულისა.
მდელო ჰყვავის და ხარობს,
პატარძალმა იღვიძოს,
ნორჩ გვირგვინად შეკრული
დაფნის მწვანე ტოტებით.

მე-2 ქალიშვილი: (შემოდის)

დე, მან გამოიღვიძოს
გიშრის გრძელ ნაწნავეებით,
თოვლივით თეთრი კანით,
ვერცხლის ბალთით მორთული,
მშვენიერი წაღებით.
დალაღებში ჩაწული
იასამნის გვირგვინით.

მოახლე: ჰეი, გოგონებო,
მთვარემ ამოანათა!

1-ლი ქალიშვილი: ჩემო ტურფავ, მოგელი!

მხოლოდ ქუდი დასტოვე
ფორთოხლების ბაღში.

1-ლი ყმაწვილი: (შემოდის. ქუდი უჭირავს მადლა, თავზევით).

სარძლო, გამოიღვიძე,
ქორწილი ახლოვდება,
აბამს ყველას ფერხულში



ამწვანებულ მდელოზე
და თეთრი გვირილების
კალათაში უწყვია,
საქორწილო პურები.

ხმები: სარძლო, გამოიღვიძე!

მე-2 ქალიშვილი: პატარძალმა დაიხურა
საქორწილო გვირგვინი,
საქმრომ ის დაუმაგრა
ოქროს შესაკრავებით.

მოახლე: სარძლო არ დააძინა
ყვავილთა სურნელებამ.

მე-3 ქალიშვილი: (შემოდის)
ფორთოხლების ხეივანში
საქმრო მას ელოდება,
სუფრის საფარს და კოვზებს
ის ბაღში შესთავაზებს.

(შემოდის სამი სტუმარი)

1-ლი ყმაწვილი: მტრედო, გამოიღვიძე!
უკვე განთიადია,
მან ბურუსი გაფანტა.

სტუმარი: რძალო, თეთრო პატარძალო,
დღეს-დღეობით ქალწულო,
ხელიდან ქალბატონო!

გოგონა: ჩამოდი, შევეგრემანო,
კიბეს ჩამოატარე
აბრეშუმის ფესვედი.

სტუმარი: ჩვენთან ჩამოირბინე, ეშხიანო გოგონავ. შეზედე, გრილი ცვარ-
ნამით იცრემლევა დილა.

1-ლი ყმაწვილი: გაიღვიძე, სინიორა, მზად არს შენი დღეობა, ყვავი-
ლების წვიმაში მთლად შთაინთქა ქვეყანა.

მოახლე: ბროწეულის ლენტებზე
ჩვენ ხეს ამოგიქარგავთ,
მასზე სიყვარულია,
სიყვარულის ძახილი.

ხმები: გამოფხიზლდი, პატარძალო!

1-ლი ყმაწვილი: ქორწინების დილაა!

სტუმარი: შენც ქორწილის ალიონს
ბრწყინავ გაზაფხულივით,
მთის ნაზი ყვავილივით,
კაპიტანის ცოლივით.

მამა: (შემოდის)

კაპიტანის ცოლი კი
ჩემს ვაჟს მიჰყავს თავისთვის



- და ხარებით გეახლათ
მზითე-განძეულსთვის.
- მე-3 ქალიშვილი: საქმრო დამსგავსებია
ამოქარგულ ყვავილებს,
შოდის და მის წინაშე
მიხაკნი ქედს იბრიან.
- მოახლე: ბედს ვისურვებ, გოგონა!
- მე-2 ყმაწვილი: გაიღვიძე, პატარძალო!
- მოახლე: აჰ, რა ლამაზია!
- 1-ლი ქალიშვილი: ჩუ! ეს ქორწინებაა,
ფანჯრის ქვეშ ხომ გეძახის?
- მე-2 ქალიშვილი: ჩამოვიდეს პატარძალი!
- 1-ლი ქალიშვილი: ჩამოვიდეს, დრო არის!
- მოახლე: აგუგუნდეს ზარები
და ზარების გუგუნით
სარძლოს შეხვდნენ ყველანი.
- 1-ლი ყმაწვილი: კიდევაც გამოვიდა და კიბეზე ჩამოდის.
- მოახლე: შეხეთ, წინ შეეგება,
როგორც ხარი ძლიერი,
ქორწილი მშვენიერი.

(გამოჩნდება პატარძალი. აცვია ვაზის შავი გრძელი შლიეფიანი კაბა, ბაბთით გაწყობილი. თავზე გვირგვინი ხურავს. აელერდებიან ვიტარები. ქალიშვილები ჰკოცნიან პატარძალს).

- მე-3 ქალიშვილი: რა სურნელება დაიპყრე თმაზე?
- სარძლო: (სიცილით) არავითარი.
- მე-2 ქალიშვილი: (კაბას სინჯავს) ასეთი ქსოვილი ქვეყნად არ არის.
- 1-ლი ყმაწვილი: აი საქმროც.
- საქმრო: გამარჯვებით!
- 1-ლი ქალიშვილი: (ყურზე ყვავილს გადაუდებს)
საქმრო დამსგავსებია
ამოქარგულ ყვავილებს.
- მე-2 ქალიშვილი: თვალები კი აფრქვევენ
გამოუთქმელ სიამეს.

(საქმრო საცოლესთან მიდის)

- სარძლო: რად ჩაიციე ეგ ფეხსაცმელი?
- საქმრო: ესენი შავზე უფრო მზიარულია.
- ლეონარდოს ცოლი: (შემოდის და ჰკოცნის პატარძალს) სალამა!
(ქალები ხმაშლიან ჩურჩულებზე)
- ლეონარდო: (შემოდის. თითქოს ვალს იხდისო).
ამ დილით ჩვენ თავს დაგხურავთ
გათხოვილი ქალის გვირგვინს.
- ლეონ. ცოლი: ბალ-ვენახში დაამშვიდოს
სინოყიერე შენი თმების.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქმ. დედა: (სარძლოს მამას) ესენიც აქ არიან?

მამა: ოჯახის წევრები არიან. დღეს პატიების დღეა.

დედა: მოვითმენ, მაგრამ არ ვაპატივებ.

საქმრო: როგორ მიხარია, რომ გვირგვინი გზურავს.

სარძლო: ჩქარა ეკლესიაში!

საქმრო: გეჩქარება?

სარძლო: მეჩქარება. დიახ მინდა გავხდე შენი ცოლი, მინდა მარტო დავრჩე შენთან, ვისმინო მხოლოდ შენი ხმა...

საქმრო: მეც ეგ მინდა.

სარძლო: მინდა ვხედავდე მხოლოდ შენს თვალებს. ისე მაგრა უნდა ჩავიკრა გულში, რომ ვერ შევიძლო მოსხლეტა, თუნდაც გარდაცვლილი დედა მეძახდეს.

საქმრო: მძღავრი მკლავები მაქვს: ორმოც წელიწადს შენს ხევენაში ვავატარებ.

სარძლო: (აღღებებული, სტაცებს ხელს) არა, მუდამ, ყოველთვის!

მამა: წასვლის დროა! მზე უკვე ამოვიდა.

დედა: ფრთხილად იყავით! უფალმა დაგვიფაროს უბედურებისაგან!

(სიღრმეში იღება დიდი კარი. ყველანი თანდათან გადიან).

მოახლე: შენ სახლიდან გამოხვალ

თეთრ, უმანკო ქალწულად,

გახსოვდეს, რომ ანათებ

ნახ, სხივოსან მნათობად.

1-ლი ქალიშვილი: ჩაცმით, სხეულით, სუფთა ნარნარა სახლით გამოხვალ შენ საქორწილოდ!

(გადიან)

მე-2 ქალიშვილი: უკვე ეკლესიისთვის საკუთარსა სახლს სტოვებ.

მოახლე: უკვე ქვიშას ჰაერი

ია-ვარდებით აფენს.

მე-3 ქალიშვილი: ამზანაგი არა გეყავს უფრო თეთრი, სპეტაკი.

მოახლე: პირ-ქუშ ღრუბელს მიუგავს მანტილიის ბაბთები.

(გადიან გიტარებით, დირებით, დოლებით. სცენაზე რჩებიან ლეონარდო და მისი ცოლი).

ცოლი: წავიდეთ!

ლეონარდო: სად?

ცოლი: ეკლესიაში. მხოლოდ ცხენზე ნუ შეჯდები, ერთად წავიდეთ.

ლეონარდო: ურმით?

ცოლი: მაშ რითი?

ლეონარდო: მე ის მამაკაცი არა ვარ, ურმით რომ დადის.

ცოლი: არც მე ვარ ის დედაკაცი, უჭმროდ რომ ქორწილში დადის. მეტი აღარ შემიძლია!

ლეონარდო: არც მე!

ცოლი: ეგრე რად მიყურებ? ეკალივით მჩხვლეტენ შენი თვალები.

ლ ე ო ნ ა რ დ ო: წავიდეთ!

ც ო ლ ი: ვერ გამოვივა, რა მოგდის! ერთი კი ვიცი. ჩემი ცხოვრება დასსხვრე-
ულია. მაგრამ მე მყავს ბავშვი და ველი მეორეს. წავიდეთ! ასეთივე
ბედში იყო დედანი. მაგრამ მე ჩემსას არავის დავუტოვებ.

ხ მ ე ბ ი: (გარედან) მოიგონებ, სახლიდან

შენ ტაძარში მიდიხარ,
მოიგონე, ანათებ
ამომავალ მნათობად.

ც ო ლ ი: (ტირილით)

მოიგონე, ანათებ
ამომავალ მნათობად.

მეც ასეთი გამოვედი მშობლიური სახლიდან. თითქოს მთელი ქვეყანა შოვიდა
მაშინ ჩემს ქორწილზე.

ლ ე ო ნ ა რ დ ო: (დგება) წავიდეთ!

ც ო ლ ი: მხოლოდ ერთად.

ლ ე ო ნ ა რ დ ო: კარგი! (პაუზა) წამოდი, აბა. (მიდიან)

(ფ ა რ დ ა)

სურათი მორაბი

გამოქვაბულში შესასვლელთან, ღია-ნაცრისფერი და ლურჯი ფერები. დიდი ვერცხლის-
ფერი კაქტუსები. რუხიფერი პეიზაჟების პანორამა. პრიმიტიული პეიზაჟი იაფი კარა-
მიკის სტილში.

მ ო ა ხ ლ ე: (მაგიდაზე სდებს ლანგარსა და კიქებს)

ტრიალებდა ბორბალი,
ტრიალებდა ბორბალი
და მოჰქროდა წყალი,
მოახლოვდა ქორწილი,
მოეცალეთ, ტოტებო,
დამშვენოს მთვარემ
თეთრი სახლის ბანი
მოლურჯებულ ცაზე.
(ხმამალლა)

მაგიდას გადააფარეთ!
(ოცნებით)

გოგო, ბიჭი მღეროდა,
გოგო, ბიჭი მღეროდა
და მოჰქროდა წყალი.
მოახლოვდა ქორწილი,
დე, ბრწყინავდეს რთვილი
და თაფლივით დასტკბეს
ნუშის გემო მწარე.

(ხმამალლა)

ღვინო მოამზადეთ!

(ოცნებით)

გაიხედე, ლამაზო,
გაიხედე, ლამაზო,
როგორ მოჰქრის წყალი,
მოახლოვდა ქორწილი.



აიკრიფე კაბა,
დავიფარავს ქმარი,
გარეთ ნულარ გამოხვალ
მოიხურე კარი.

შენი საქმრო მტრედია,
გულს ედება ალი,
ენატრება მინდორ-ველს
დაღვრილი სისხლის ღვარი.

ტრიალებდა ბორბალი,
ტრიალებდა ბორბალი,
და მოჰქროდა წყალი.
მოახლოვდა ქორწილი,
გადმოუშვი წყალი,
უბრწყინავდეს თვალი.

(შემოდინ მამა და დედა)

დედა: ძლივს!

მამა: ყველას დავასწარით.

მოახლე: არა, ეს არის ლეონარდო მოვიდა ცოლით, ჭაჯებივით მოჰქრო-
დნენ. ცოლი, შიშისაგან ძლივს სუნთქავს. ისე ჩქარა მოიჭრნენ, თითქოს
ცხენებით მოსულიყვნენ.

მამა: დალუბვას ეძებს. ცუდი სისხლი აქვს.

დედა: მასაც ისეთი აქვს, როგორიც მთელ ოჯახს. სხვაგვარი როგორ უნდა
ჰქონდეს. მაგათი პაპაც კი მკვლეელი იყო. ასე მოსდგამთ. უჯიშო მო-
დგმა — მკვლელებისა და ვერაგების.

მამა: არ უნდა ლაპარაკობდე მაგრე.

მოახლე: რატომ?

დედა: ყველაფერი მტკივა, ყოველი ძარღვი. ვუყურებ მათ და სულ მკვლე-
ლის ხელი მეღანდება. შემომხედე: ვანა ვგეგარ გაგიყებულს? როდე-
საც ყვირილი გინდა და არ შეიძლება, გაგიყებას რა გიკლია? ვარამი
გულს მიკლავს, წამოსასხამ-ქვეშ კი უნდა ვმალო. მოკლულებს ვიგო-
ნებ და უნდა დაეჩუმდე, თორემ ხალხი დამძრახავს.

(წამოსასხამს იხდის)

მამა: არ არის დღეს იმის დრო, რომ ეს საშინელი ამბავი მოიგონო.

დედა: საქმარისია ამაზე ლაპარაკი დავიწყო და ვაჩუმება მიჭირს. ვანსაკუ-
თრებით როცა მარტოდ-მარტო ვრჩები მთელს სახლში.

მამა: სანამ შეიღის-შეიღები გაგჩინდებიან.

დედა: ეგ არის ჩემი ოცნება (სხდებიან).

მამა: მინდა ბლომად გვეულონ. მიწას ბევრი მუშა-ხელი სჭირდება, დაე შეებნენ ბალახს, ეკალს, ქვის ლოდებს. აქ საჭიროა მატარებელი, რომ სჯიდეს და ბრძანებლობდეს, რომ აიძულოს ტექსტის შესრულება. ბევრი ვაჟია საჭირო.

დედა: და გოგოც. მამაკაცები თავქარიანები არიან. მათ ოღონდ იარაღი მიეცე ხელში. გოგოები კი მუდამ შინ არიან.

მამა: (მზიარულად) მე მგონია, გოგოც ბევრი ეყოლება და ბიჭიც.

დედა: ჩემ ვაჟს გულთი ეყვარება. კარგი ჯიშისაა. ბევრი შეილი შემეძლო მყოლოდა მამა მისისაგან.

მამა: ნეტავი მალე შეეძინოთ, ერთად ორი ან სამი ვაჟი.

დედა: მაგრე უცხად საქმე არ კეთდება. ამიტომაც საშინელი, როდესაც დაინახავ, როგორ მოსჩქეფს იატაკზე შენი სისხლი. წყარო მალე ჰქრება, შენ კი მრავალი წლის სიცოცხლედ გიღირს, როდესაც ჩემს ვაჟთან მივიქერი, შუა ქუჩაში იწვეა: ხელები დაეისველე სისხლში და ენით მოვილოკე. ის ხომ ჩემი სისხლი იყო. შენ ამას ვერ გაიგებ. გასისხლიანებულ შიწას ბროლის ჯამში შევიწინახავდი.

მამა: დაიცადე, ჩემი ქალი მაგარია, შენი ვაჟი კი ღონიერი.

დედა: აი მეც ვიცი (დგებიან).

მამა: დაამზადე ლანგარი ზორბლით.

მოახლე: ყველაფერი მზადაა.

ლეონ. ცოლი: (შემოდის ლეონარდოსთან ერთად) ბედნიერებას გისურვებთ!

დედა: გმადლობთ!

ლეონარდო: მზიარულება იქნება?

მამა: ცოტა ხნით. სტუმრებს არ შეუძლიანთ დაცდა.

მოახლე: უკვე მოვიდნენ.

(მზიარულება. სტუმრები შემოდისან ჯგუფ-ჯგუფად. შემოდისან დაქორწინებულნიც ლეონარდო გადის).

საქმრო: არც ერთ ქორწილში არ მინახავს ამდენი ხალხი.

სარძლო: (დაღვრემილი) არც ერთში.

მამა: მზიარული ქორწილია.

დედა: ნათესავები ოჯახებით მოვიდნენ.

საქმრო: ვინც სახლიდან არასოდეს არ გამოსულა, ისინიც კი მოვიდნენ.

დედა: მამა შენმა ბევრი დასთესა და აი ეხლა იმკი.

საქმრო: ზოგს არც კი ვიცნობ.

დედა: ყველა სანაპიროდანაა.

საქმრო: (მზიარულად) ცხენებმა დატანჯეს.

დედა: (სარძლოს) რაზე ჩაფიქრდი?

სარძლო: არაფერზე.

დედა: კურთხევა მიძევა (გიტარები წკრიალებენ)

სარძლო: როგორც ტყვია.

დედა: (მტკიცედ) არ უნდა იყოს მძიმე. დაე, ისე ამსუბუქდეს, როგორც მტრედი.

სარძლო: ჩვენსა გაათევთ ღამეს?

დედა: არა. სახლი ვის დავუტოვო?

სარძლო: დარჩით ჩვენსა.

მამა: (დედას) უყურეთ, როგორ ცეკვავენ. სულ სანაპიროდან არიან.

(შემოდის ლეონარდო. შემოჰყვება ცოლი. ლეონარდო ჯდება. გაჭირვებით იკავებს მღელვარებას).

დედა: ჩემი ქმრის ბიძაშვილები არიან. მაგათ დაუსრულებლად შეუძლიანთა ცეკვა.

მამა: გულით მიხარია. როგორ გამოიცვალა ჩემი სახლი (მიდის).

საქმრო: (სარძლოს) მოგეწონა ფორთოხლის რტო?

სარძლო: (გამტრებულად უყურებს) დიახ.

საქმრო: სანთლისაა. სამუდამოა. დაე, ასეთი ყვევლები მთელ კაბაზე გქონდეს.

სარძლო: საჭირო არ არის (ლეონარდო შარჯენიე მიდის)

პირ. გოგო: მივიდეთ მასთან ქინძისთავებისათვის.

სარძლო: (საქმროს) ეხლავე დაებრუნდები.

ლეონ. ცოლი: იბედნიერე ჩემ დასთან.

საქმრო: დარწმუნებული ვარ ეგრე იქნება.

ცოლი: არსად არ წახვიდეთ. აქ იცხოვრეთ. ნეტაე ასეთ ყრუ ადგილას ვცხოვრობდე!

საქმრო: მერე, ვინ ვიშლით? მთაზე მიწაც იაფია და ბავშვებიც აქ უკეთ იქნებიან.

ცოლი: ფული არა გვაქვს. მერე, ცუდი გზებია.

საქმრო: შენი ქმარი კარგი მუშაა.

ცოლი: მხოლოდ არც ერთი საქმეს არ ამოლოებს, მოუსვენარია.

მოახლე: რატომ არაფერს არ მიირთმევთ? დედი-შენისათვის გავახვევ რო-
მიან ნამცხვარს, უყვარს.

საქმრო: გაუხვიე ერთი სამი ათეული.

ცოლი: არა, არა, ნახევარიც საქმარისია.

საქმრო: დღეს ისეთი დღეა!

ცოლი: (მოახლეს) ლეონარდო სად არის?

მოახლე: არ დამინახავს.

საქმრო: ალბათ, სტუმრებთანაა.

ცოლი: წავალ მოვნახავ (გადის).

საქმრო: შენ არა ცეკვავ?

მოახლე: მე ვინ გამიწვევს?

(სიღრმეში ორი გოგო გაივლის. მთელი სურათის განმავლობაში დროგამოშვებით სტუმრები გამოჩნდებიან).

საქმრო: (მზიარულად) ჰო-და არაფერი არ ესმით: შენისთანა მოხუცები ახალგაზრდებს არ ჩამოუფარდებიან.

შოახლე: შენ რას მეპირფერები, ბიჭო! შენს გვარში მამაკაცები /^{შროიანე-}
 ბი არიან, ლამაზები და მკლავ მაგრები. პატარა გიგო ვიყავი /^{აბრტაშე-}
 ნის ქორწილზე, რა ვაქცავი იყო, კლდე იყო და არა მამაკაცი!

საქმრო: მე უფრო პატარა ტანისა ვარ.

შოახლე: თვალეში მასავით გინათებს. გოგონა სად არის?

საქმრო: თმას ისწორებს.

შოახლე: ყური დამიგდეს: თქვენ ხომ არ დაიძინებთ, ჰო-და მე დაგიმზადეთ
 შაშხი და ორი ბოთლი ღვინო. თუ მოგშივით, ქვევით ჩამოხვალთ და
 იქ განჯინაში ნახავთ.

საქმრო: (ღიმილით) ღამით არაფერს ვქამ.

შოახლე: (ემშაყურად) ეგებ პატარძალმა მოინდომოს (გადის).

პირ. ყმაწვილი: (შემოდის) ჩვენთან დალიე.

საქმრო: პატარძალს ველი.

მეორე ყმაწვილი: დილამდე მოითმინე.

პირ. ყმაწვილი: მაშინ ყველაფერს ემჯობინება.

მეორე ყმაწვილი: ერთი წუთით...

საქმრო: მივდივარ.

(მიდიან. შემოდის სარძლო, შეეგებება ორი გოგო).

პირ. გოგო: ვის მიეცი პირველი ქინძისთავი — მე თუ ამა?

სარძლო: არ მახსოვს.

პირ. გოგო: მე აქ მომეცი.

მეორე გოგო: მე კი საკურთხეველთან.

სარძლო: (სწუხს. ეტყობა, სულიერ ბრძოლას განიცდის) არაფერი მახ-
 სოვს.

პირ. გოგო: მე შინდა, რომ შენ...

სარძლო: (აწყვეტინებს) ჩემთვის სულ ერთია! ეხლა ბევრი რამე უნდა მო-
 ვიდვიქრო.

მეორე გოგო: მაპატიე.

(ლეონარდო სიღრმეში ვაივლის).

სარძლო: (დაინახავს) რამდენია საფიქრებელი!

პირ. გოგო: ჩვენ არაფერი არ ვიცით.

სარძლო: დრო მოვა, ვაიგებთ. ეს ნაბიჯი ძვირად მიღირს.

პირ. გოგო: გენანება?

სარძლო: არა. მაპატიეთ.

მეორე გოგო: რა უნდა გაპატიოთ? მალე რომ გათხოვდეთ, სარძლოს
 ერთი კი არა, ორი ქინძისთავი უნდა გამოვართვათ ხომ სწორია?

სარძლო: სწორია.

პირ. გოგო: მაშ ერთი ჩვენთაგანი უფრო მალე გათხოვდება.

სარძლო: ძალიან გინდათ გათხოვება?

მეორე გოგო: (დარცხვენილი) დიახ.

სარძლო: რატომ?

პირ. გოგო: რა ვიცი, ისე (მოეხვევა მეორე გოგოს. გარბიან. შემოდის საქ-
 მრო. ჩუმად მოეხვევა სარძლოს).



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ს ა რ ძ ლ ო : (შეკრთება) დამეხსენ!

ს ა ქ მ რ ო : შეგეშინდა?

ს ა რ ძ ლ ო : აჰ! შენა ხარ?

ს ა ქ მ რ ო : მაშ ვინ უნდა ყოფილიყო (პაუზა), მამა ან მამა?

ს ა რ ძ ლ ო : სწორია.

ს ა ქ მ რ ო : მამა უფრო ნაზად მოგეხვეოდა.

ს ა რ ძ ლ ო : (დაღვრემილი) რა თქმა უნდა!

ს ა ქ მ რ ო : ის ხომ მოხუცია (უხეშად ეხვევა).

ს ა რ ძ ლ ო : (მშრალად) გამიშვი!

ს ა ქ მ რ ო : რა მოგივიდა? (ხელს უშვებს)

ს ა რ ძ ლ ო : სტუმრები დაგვინახავენ.

(სიმღერით გაივლის მოახლე. ამით არ უყურებს).

ს ა ქ მ რ ო : მერე რა, ჩვენ უკვე დაგქორწილდით.

ს ა რ ძ ლ ო : მართალია, მაგრამ მაინც... გამიშვი, მერე იყოს.

ს ა ქ მ რ ო : მართლა რა მოგდის? თითქოს რაღაცას შეუშფოთებინახარ.

ს ა რ ძ ლ ო : არაფერია... ოღონდ არ მომშორდე.

(სახლიდან გამოდის ლეონარდოს ცოლი).

ც ო ლ ი : ხელს ხომ არ შევიშლით?

ს ა ქ მ რ ო : რა მოხდა?

ც ო ლ ი : ჩემ ქმარს ხომ არ ჩაუვლია?

ს ა ქ მ რ ო : არა.

ც ო ლ ი : ვერსად ვერა ვნახე, ცბენიც აღარ არის თავლაში.

ს ა ქ მ რ ო : (მზიარულად) გაჰქუსლა სადღაც შენმა ლეონარდომ (ლეონარდოს ცოლი შეუფოთებული გადის. სახლიდან გამოდის მოახლე)

მ ო ა ხ ლ ე : თავი მოგაბეზრეს მომლოცველებმა?

ს ა ქ მ რ ო : ნეტავ მალე გათავდეს ყველაფერი. პატარძალი დაიღალა.

მ ო ა ხ ლ ე : რას ამბობ?

ს ა რ ძ ლ ო : საფეთქელი მისკდება.

მ ო ა ხ ლ ე : სარძლო ამ მთებიდან ჯანმრთელი უნდა იყოს. (საქმროს) მხოლოდ შენ შეგიძლიან მოარჩინო, რადგან ეხლა შენია (გარბის).

ს ა ქ მ რ ო : (მოეხვია სარძლოს) წავიდეთ, ვუყუროთ როგორ ცეკვავენ. (პკოცნის).

ს ა რ ძ ლ ო : (მწუხარედ) არა სჯობია, მოვისვენო?

ს ა ქ მ რ ო : მეც წამოგყვები.

ს ა რ ძ ლ ო : აბა რას ამბობ? ხალხი რას იტყვის? მომასვენე.

ს ა ქ მ რ ო : როგორც გენებოს. მხოლოდ ღამით ნუ იქნები ასეთი.

ს ა რ ძ ლ ო : (კარებში) ღამით კარგად ვიქნები.

ს ა ქ მ რ ო : მეც ეგ მინდა (შემოდის დედა).

დე და : შეილო!

ს ა ქ მ რ ო : სად ბრძანდებოდით?

დე და : სულ სტუმრებთან ვარ. იქ დიდი მზიარულებაა. კმაყოფილი ხარ?

ს ა ქ მ რ ო : დიახ!

დე და : ცოლი სად არის?

საქმრო: მოსასვენებლად წავიდა, მძიმე დღეა, პატარძლისათვის.
 დედა: მძიმე დღეა? საუკეთესოა მთელს ცხოვრებაში. ჩემი ქორწილის დღეს
 ისე ვგრძნობდი, თითქოს მემკვიდრეობა მიმელო (შემოდის მთავრე და
 სარძლოს ოთახისაკენ მიდის). ასეთ დღეს ყამირს გეტყუენ, სხალსხეებს
 რგავენ.

საქმრო: თქვენ რა, მიბრძანდებით?

დედა: დიახ, დროა სახლში წავიდე.

საქმრო: რატომ?

დედა: სავსეა თავი საქმეებით, ხალხით, ბრძოლით.

საქმრო: ბრძოლა უკვე დასრულდა. (სახლიდან გამოვრბის მოახლე. სცენის
 სიღრმეში გაჰქრება).

დედა: სანამ აღამიანი ცოცხალია, მუდამ იბრძვის.

საქმრო: ყველაფერში თქვენი მორჩილი ვარ.

დედა: ცოლთან ტკბილად იცხოვრე, თუ შეატყო ამპარტავენობა ან სიჯი-
 უტე, მოუაღერსე, ისე რომ ოდნავ იგრძნოს ტკივილი, ღონიერად მო-
 ეხვიე, თუ გინდა უკბინე კიდეც, მაგრამ შემდეგ ნახად აკოცე. უნდა
 იგრძნოს, რომ ვაყვავი ხარ, ბატონი. შენი მორჩილი უნდა იყოს. ასე
 იქცეოდა მამაშენი. რახან აღარა გყავს, მე მიხდება შენი დარიგება.

საქმრო: ყველაფერს შევასრულებ, როგორც მიბრძანებთ.

მამა: (შემოდის) პატარძალი სად არის?

საქმრო: სახლშია.

პირ. გოგო: ნეფე-დედოფალი მოვიდნენ, ფერხული ჩავაბათ.

პირ. ყმაწვილი: შენ გაუძღვები.

მამა: (გამოდის სახლიდან) სახლში არ არის!

საქმრო: არ არის?

მამა: ალბათ, დარბაზშია.

საქმრო: წავალ, დავხედავ (შედის სახლში. ხმაურობა. გიტარების წკრი-
 ალი).

პირ. გოგო: დაიწყეს (გარბის).

საქმრო: (სახლიდან გამოდის) არ არის.

დედა: (შემკრთალი) არ არის?

მამა: სად უნდა წასულიყო?

მოახლე: (შემოდის) გოგო სად არის?

დედა: (შეშფოთებული) თვითონაც არ ვიცი.

(საქმრო გადის. შემოდის სამი სტუმარი).

მამა: იქნებ ცეკვავს?

მოახლე: არა, იქ არ არის.

მამა: (აენტება) იქ ბევრნი არიან, კარვით მოძებნე!

მოახლე: ყველგან ვეძებ.

მამა: (ძალზე აღელვებული) მაშ სად უნდა იყოს?

საქმრო: (შემოდის) არსად არ არის.

დედა: (მამას) ეს რა არის? სად არის შენი ქალიშვილი?

(შემოდის ლეონარდოს ცოლი).

ცოლი: გაიქცენ, გაიქცენ. ია და ლეონარდო. ცხენს შემოახტნენ და ქარიშხალივით გაქანდნენ.

მამა: სიცრუეა! არა, ჩემი ქალი...

დედა: დიახ, შენი ქალი, შენი ავხორცი ცოლის ქალი! ჩემი ვაჟის ცოლია.

საქმრო: (შემოდის) დავედვენოთ! ცხენს ვინ მომცემს?

დედა: ცხენი, ცხენი მალე! ყველაფერს მოგცემთ, მოგცემთ თვალებს, ენას...

მამა: არის ცხენი!

დედა: (შვილს) დაეწიე! (საქმრო და ორი ყმაწვილი გარბიან) არა, დარჩი. ამ ხალხს არაფრად არ უღირს, რომ მოგკლან... ან არა, გასწი! მეც შენთანა ვარ!

მამა: შეუძლებელია, ის არ იქნებოდა. ალბათ, ჭაში თუ გადავარდა.

დედა: წყალში თავს იხრჩობენ ნამუსიანი, წმინდა ქალები და არა მისი მსგავსები. მაგრამ ცოლია, ჩემი ვაჟის ცოლია. ორი ბანაკია, აქ ეხლა ორი ბანაკია (შემოდის სტუმრები): ჩემი ოჯახი და შენი. გასწით აქედან! დაიბერტყეთ ფეხთაგან მტვერი. ჩემ შვილს მოეხმარეთ! (გაიყვებინ ორ ჯგუფად). თი იქ ვინ არიან? მისი ნათესავები ზღვიდან და ყველა, ვინც კი მთიდან მოვიდა. გასწით აქედან, ყველა გზა შეჰკარიოთ! დადგა სისხლის ჟამი! ორი ბანაკია: შენ შენიანებით, მე ჩემიანებით. უკან დააბრუნეთ, უკან!

(ფარდა).

მთარგმნელები: ნ. შიჭაშა და ნ. ბელიძე.
(დასასრული შემდეგ ნომერი)

გიორგი ნატროშვილი

მეხსრამევე საუკუნის პოეზიები ალექსანდრა ჭავჭავაძე

XVII — XVIII საუკუნეების ქართული პოეზია, ის ლიტერატურული ეპოქა, რომელიც უშუალოდ უძღოდა წინ აღეჭსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებას, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და ფსიქოლოგიური დეპრესიისა, საკმაოდ მძაფრი შემოქმედებითი გამოფხიზლებით აღინიშნება. ამ ეპოქას, ჩვეულებრივ, აღორძინების ხანას უწოდებენ. და მართლაც, ამ დროს ქართველები გაცხოველებით ეძებენ ახალ გზებს, იცვლიან არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ ორიენტაციას.

მაგრამ ეს აღორძინება მკრთალი იყო კულტურის იმ დიდ აყვავებასთან შედარებით, რომელმაც XII საუკუნეში „ვეფხისტყაოსანი“ წარმოშვა. თავის ოქროს ხანაში ქართულმა გენიამ შესძლო მიეღწია იმ მწვერვალისათვის, რომელიც მსოფლიო ისტორიაში რენესანსის სახელით არის ცნობილი და რომელმაც ნამდვილ ადამიანურ გრძნობებს თავისი უფლებები დაუბრუნა, რომელმაც აღორძინა ჰუმანიზმი და რომლის დროსაც ადამიანის გონებამ მძლედ გაარღვია პირქუში ასკეტიზმის ზღუდეები. „ვეფხისტყაოსანში“ მწერალმა გზა აუქცია ქრისტიანულ მსოფლშეგრძნობას, ქრისტიანულ წმინდანებს და მათ ნაცვლად თავყანისცემა დაუწყო ადამიანური ცხოვრების გაფურჩქნელობას, ისე, როგორც ანტიურ საბერძნეთში, სადაც ღმერთებად მიჩნეული იყვნენ ცოცხალი ადამიანური ვნებანი, სადაც ათენეს სახით კაცი აღიღებდა თავის ადამიანურ ვონებას, ხოლო აფროდიტეს სახით — ადამიანურ სიყვარულსა და სილამაზეს, ისე, როგორც გვიანი რენესანსის იტალიაში, სადაც მხატვრები ლეთის-მშობლის სახეს აშორებდნენ მისტიური მკმუნვარების იერს და ხატავდნენ მას ძლიერ, ჯანსაღ და ვნებანი დედაკაცად. ეს იყო სარწმუნოების დოგმატებით არშეზღუდული ხელოვნება, რომელიც ხსნას ეძებდა არა ცაში, არამედ ადამიანური ცხოვრების ძლევაშოილ სასიცოცხლო საწყისებზე იზრდებოდა.

უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს იყო ნამდვილი რეალიზმი, რომელიც მიღმა ქვეყნისაკენ აღარ იცქირებოდა. მისთვის რეალური, მიწიური ცხოვრება იყო ტურფა საბაღნარო და უმალღესი იდეალი, სადაც ადამიანი აღარ არის ბრმა იარაღი რაღაც უცხო და გარეგნული ძალისა, ზეციური მზრძანებლის თვითნებობისა, სადაც ადამიანი, მისტიური ძალების ნაცვლად, თავის გულისა და გონების უკეთილშობილეს მისწრაფებებს აღმერთებს. ესა ჰქონდა ჰეგელს მხედველობაში, როცა სწერდა: „ნამდვილი პოეტური, იდეალური ურთიერთობა

ლმერთებსა და ადამიანებს. შორის მათს იდენტიურობაში მდგომარეობსო. რუსთაველმა, რომელმაც ხელოვნების პათოსად გრძნობისა და თავისუფალი ნებისყოფის არსებითი შინაარსი გადააქცია, თავისი რეალიზაციისთვის წარმართა. მან მზე ღმერთად მიიჩნია:

„აჰა, მზეო, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა“.

იმავე დროს ეს მზე ადამიანის სახით გვიჩვენა და ნესტანის მიმართ ტარიელს ათქმევინა:

„...რადგან მზეო, ჩემთვის ნათლად აღმოხდები,
აჰა, მკვდარი გამაცოცხლე, ამას იქით აღარ გზნდება“.

არც ირანულ და არც, მით უმეტეს, ბიზანტიურ კულტურას საქართველოსათვის ამ მსოფლშეგრძნობის მზამზარეული ფორმულა არ მოუცია. ამ ორი ტალღის შეხვედრამ, ჩვენი ხალხის ცნობიერებაზე მათმა ცოცხალმა ურთიერთ მოქმედებამ ქართული კულტურის სტიქიონის ვალდებებს ხელი შეუწყო და ქართულ პოეზიას, რომელმაც საკუთარი ჭარბა ამოქსოვა, სხვა ქვეყნის ხალხთა ოცნების ძალა მიუმატა. ეს ორი გავლენა ავსებდა ერთი მეორეს და ამავე დროს ზღუდავდა ურთიერთის გავრცელებას. ამ ნიადაგზე ორგანიზულად იქმნებოდა რაღაც თვისობრივად ახალი, რომელიც მალეა დგებოდა ქრისტიანობაზედაც და მუსულმანობაზედაც და თავისებურ ეთიურ სამყაროსა ჰქმნიდა.

მაგრამ გვიანდელი აღორძინება ქართულ ლიტერატურაში ამ გზით ვეღარ წავიდოდა. ისტორიული ვითარების ცვლილების გამო, ირანის პოეზიამ ქართული მწერლობის მიმართ გამანაყოფიერებელი, ახლის აღმძვრელი, თავისუფალი აზრის მალვებელი ფაქტორის როლი ვერ შეინარჩუნა. ირანის პოეზიამ ამ დროისათვის დასტოვა პირველობა მსოფლიო ისტორიულ არენაზე (მეთხოთმეტე საუკუნის დამლევს გარდაიცვალა ირანში კლასიკური მიმართულების უკანასკნელი დიდი პოეტი — ჯამი) და ამ გავლენამ ჩვენში, ამოსწურა რა თავისი თავი, სრულიად განსხვავებული სახე მიიღო, ვიდრე მას წინადა ჰქონდა. ახლა ეს გავლენა ორგანიზული აღარ არის, ის მოდის არა როგორც ერთი ელემენტი კულტურის მთლიან სისტემაში, არამედ როგორც მიბაძვის ობიექტი. უცხო სტილმა დარჩილა რუსთაველური ტკბილქართულობა, ჰეგემონია მოიპოვეს უცხო სიუჟეტებმა, რომელნიც ქართველ მწერალში ღრმა შინაგან ენტუზიაზმს, სულის დიდ ძალას აღარ აღვიძებდნენ.

ამ დისპარმონიის ნათელი მაგალითი თეიმურაზ პირველის პოეზიაა.

მეფე-პოეტი ირანული პოეზიის მშვენიერ სიუჟეტებსა და ლეგენდებს გაუტაცნია, ამ პოეზიას მისთვის მრავალი საოცნებო და მომხიბლველი სურათი გადაუშლია, მაგრამ პოეტი ამავე დროს ებრძვის თავის გემოვნებასა და ინსტიქტს, რომელიც ირანულ პოეზიისაკენ უბიძგებს, ქედმაღლურად დაჰყურებს თავისივე გატაცებას.

ამ შინაგანმა ბრძოლამ ღრმა კვალი დააჩნია მის შემოქმედებას.

არაერთგზის უბრუნდება თეიმურაზი სპარსული პოეზიის ტრადიციულ თემებს — სანთლისა და ფარვანის სიყვარულს, ვარდისა და ბულბულის სამიჯნურო პაექრობას. მაგრამ ცხადია, რომ თეიმურაზის შამ-ფარვანიანი, ირანული პოეზიის მიბაძვის გარდა, შემცველია ამ გავლენასთან ბრძოლის მძაფრი.

ტენდენციებისა. თეიმურაზ პირველი ამ თემას ქრისტიანულ ასპექტში რღებდა: მის პოემაში სანთელი იმიტომ უარყოფს ფარავანის სიყვარულს, რომ მას თავის თავისთვის რაღაც უფრო მაღალი და არაამქვეყნიური მიზნები დაუსახავს. ის უნთია მიცვალბულს, ის მაღლის მახარობელი და ხატთა წილხუცრეყმაშა-სადამე, მას ფარავანის სიყვარული თავშეუკავებელ მკრეხელობად მიაჩნია. ასეთ მსოფლშეგრძნობისათვის, ცხადია, ძნელი იყო თავისუფლად შეთანხმებოდა ირანულ სიუჟეტს.

პოეტი სწერს ლეილისა და მეჯუნის სიყვარულზე და ამავე დროს ევედრება ღმერთს — აბატიოს მას ეს ფიქრი და ოცნება საამქვეყნო საგნებზე. ამ თემებზე წერა მას „სოფლის ცუდ ზრუნვად“ მიაჩნია („ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაბსა, მიდმოდებასა, ვეღარ გაუძელ შეიდ ზაფხულ მოწყენით ცუდათ გდებასა“). საინტერესო ის არის, რომ აქ პოეტი ირანულ პოეზიას უპირისპირდება არა რუსთაველური რეალიზმის, არამედ ქრისტიანული ასკეტიზმის თვალსაზრისით. ქრისტიანობამ გაბზარა სულისა და სხეულის პარაზონია, მაგრამ ცხოვრების აბსოლუტურად სავალდებულო ნორმად მაინც ვერ აქცია მოძღვრება იმაზე, რომ ადამიანის სული ღვთისაა და სხეული სატანისაო. და, მაშასადამე, წარმართული პოეზია ვერ ჩაჰკლა. ამიტომ არის, რომ თუმცა პოეტი ეთიკის უმაღლეს ნორმად ქრისტიანობასა სთვლის და ამ თვალსაზრისით ჰგმობს არა მარტო ირანულ, არამედ ელინურ კულტურასაც, ჰგმობს ელინებისაც, რომელნიც ქრისტეზე ადრე დაიბადნენ და წარმართებად დაიბოცნენ („წარმართად მოკვდა, ჩავარდა ცეცხლშიგან არ თუ მონელსა“), მაგრამ მისი შემოქმედებითი ფანტაზია მაინც ამ ირანელებისა და ელინების სილამაზის იდეალს დასტრიალებს თავს, მაინც ჰღვიძავს პოეტის სულში საამქვეყნო განწყობილებას, მაინც უმღერის იგი მწვანე გაზაფხულს, როცა „მიწა-მდელონი ზურმუხტად გადიქცვიან“, გაიშლებიან მასზე ხეხილნი და მათ ქვეშ შეექცევიან „ტურფა უებრო ქალ-ყმანი“, და უხვ შემოდგომას, როცა ქვეყანა ნაყოფიერების ზეიმით აივსება ზოლმე. თეიმურაზი სწერს ღვინისა და ბაგის გაბა-სებებს, სწერს ლამაზ ქალებზე და ამ ქვეყნიურ სილამაზეზე, თუმცა მას რწმენა ნებას არ აძლევს აპყვეს საკუთარი გულის კარნახს.

და, ამრიგად, ვერ თავსდებათ, ვერ ერთდებიან თეიმურაზ პირველის პოეზიაში ეს ტენდენციები. ცხადია, არ იყო მართალი ავტორი წერილისა „მცირე უწყება ქართველ მწერალთათვის“, როცა სწერდა — თეიმურაზმა „უცხოოდ შეაწყო საღმრთო და საერო სწავლისა შაიჩნით“, ნათელია, რომ ეს „საღმრთო და საერო“, ეთიური და ესთეტიური შემეცნებანი მის შემოქმედებაში მძაფრად ეთიშებიან ერთმანეთს. აქ დარღვეულია ის იდენტიურობა ღმერთსა და ადამიანის გულისთქმას შორის, რომელზედაც ჰეგელი ლაპარაკობდა. პოეტის არსებაში თითქოს ორი კაცი სცხოვრობს: პირველი მემკვიდრეა ძველი პიზნოგრაფებისა, მას დედის რძესთან ერთად სულის მემკვიდრეობის იდეა აქვს შესისხლბორცებული, მეორე ამ ქვეყნიურ სილამაზეს გაუტაცნია. რასაც ერთი ეტრფის, მას მეორე ჰკიცხავს და ანათემას აძლევს.

ხანდისხან მის შემოქმედებაში ასკეტიზმი გადასძლევს ზოლმე. მაშინ ჩვენს წინაშე თითქოს ბიზანტიაში განსწავლული ასკეტია, რომელიც ეკზალტიურ პიზნებს თხზავს:

„დედაო უსხეულოსა ნათლისაო და მშობელო სიტყვისა ლელისაო საყდარო, ეტლო ღრუბელო ნათლისაო, დაბნელებულსა მშობ ცოდვითაგან, შიბოვე ძისა შენისაგან შენდობა ბრალთაგან. ქრისტემან თქვენცა მოქცეს მისისა სასუფეველისა მკვიდრება და ქურთხევისა ხმისა მისისა სმენა. ამინ.“¹⁾

საქართველო
საგარეო
მინისტროს
ბიბლიოთეკა

და ამავე დროს სწერს რელიგიურ პოემას „შვიდთა კრებათათვის“. ამას სწერს პოეტი, რომლის წკრიიალა მავჯამებში წარმართობის ეშხი და განცხრომაა.

ეს წინააღმდეგობანი ველარ ჰქმნიან საერთო კოლორიტს, ვაზაფხულის ყვავილები ვერ ეხმარებილებიან ასკეტიზმის სუსხს, მით ნაადრევი ჰქნობა დაუწყიათ. შინაგანი ძალა და გამართლება დაჰკარგვია ამ წარმართობას და სადაც მოზეიმე სიცოცხლის ფეტქეა უნდა იყოს, იქ კავშიანი ღიმილილა რჩება.

ამ კრიზისში იგრძნობა, რომ ის ელემენტები, რომელთაც შეადგინეს რუსთელის რეალიზმი, ამ ეპოქაში უკვე დაიშალნენ და დათავთავდნენ. ამ კრიზისში ჩაისახება და ძლიერდება ახალი ტენდენცია, რომელიც ნაციონალური შინაარსისა და კოლორიტის ძებნაში პოულობს ჩიხიდან გამოსავალს. და იხსენებენ რა წინაპართა სანახევროდ დავიწყებულ სიმღერებს, ჰართველები კვლავ ეძებენ დასავლეთისაკენ გზას, რომელიც მათ გადაეკრათ მეთხუთმეტე საუკუნის შუა წლებში, როცა კონსტანტინეპოლი დაეცა.

ეს გზა ახლა ჩრდილოეთზე გადადიოდა. ქართველი მწერლებიც ამ გზით ცდილობენ დაუახლოვდნენ ევროპას.

და რაც უფრო ახლო ეცნობიან ქართველები ამ ახალს, მით უფრო ძლიერდება ჩვენს პოეზიაში რეაქცია ირანული კულტურის მიმართ. ცდილობენ ჩამოშორდნენ ფანატიკურ აღმოსავლეთს. ხათაისა, ჩინ-მაჩინისა და საერთოდ შვიდთა იყლიმთა შორეული და ფანტასტიური ქვეყნების ნაცვლად, მათი ლექსის თემად საქართველო ხდება. ამ მობრუნებას ახალი კულტურის სტილი მოითხოვდა, ეძებენ ახალ შინაარსს, რომ დაუბრუნონ პოეზიას მისი პირვანდელი ახალგაზრდობა. ნაციონალური სიუჟეტის გარშემო სწერს თეიმურაზ პირველიც, ტრაგიკული ფერებით ხატავს იგი ქეთევან დედოფლის თავგანწირულებას, სწერს გრემის სასახლეზე და გარეჯაში თამარის სურათის ჰერეტიკულ ზალტიურ ნეტარებას ეძლევა. არჩილი ლექსად სწერს საქართველოს ისტორიას და ამავე დროს შირაქზე და იგრის კალმახიან წყალზე ოცნებობს, მეფე ვახტანგი თბილისსა ნატრობს, როცა მაისში ვარდი ვარსკვლავებზე ასხია და მწვანეთა ლელაქს მიდამო, დავით გურამიშვილის მთავარი თემაც ქართლის ის ჰირია, როცა იფქლი ღვარძლად იქცა და ზედ ცეცხლის კეერი მობრუნდა. პოეტი უცხოეთში თავის საზღვალავენებიან ქვეყანაზე, თავის ძვალშასალავზე და იმ მიწაზე ოცნებობს, სადაც მისი წინაპრები დამარხულან. პოეტი მამუკა ბარათაშვილიც თავის ჰაშნიკში ჰგმობს იმათ, „ვისაც თათრის ზღაპრები გაულექსავს მსმენთ საზიანოდ და მოქმელთ საურვიგოდ“.

ეს ლიტერატურული განწყობილებანი ნელნელა ამზადებენ პირობებს ირანული პოეზიის გავლენის დასაჩრდილავად. ქართველი პოეტის მენსიერებაში შირაზი იყო არა მარტო საადისა და ჰაფიზის სამშობლო, სილამაზისა და გან-

¹⁾ თეიმურაზ პირველი — „თხზულებათა სრული კრებული“, აღ. ბარამიძის და ჯ. ჯაკობიას რედაქციით 1934 წ. გვ. 144.

ცხრომის ქვეყნის სიმბოლო, არამედ მწველი მოგონებაც იმ ქალაქისა, სადაც აწამეს ქეთევან დედოფალი, სადაც მოჰკლეს მეფე ლუარსაბ მეორე, ამ წამებულთა სახელების წინაშე მოწიწებამ, საერთოდ პატრიოტულე, კარგად გულვიძებამ გააღრმავა ქართველ პოეტში ირანულ კილოს მიმართ მტერულ განწყობას. საინტერესოა, რომ თემატიურად ქართველი პოეტები უკვე ხალხურ მთქმელებს ემთხვევიან, მათ თემებს იზიარებენ. როგორც, მაგალითად, ხალხურმა პოეზიამ უკვდავყო მტრის ჯარის მოწყვეტა არშასთან, ასევე არჩილიც ვრცლად აღწერს არშის ციხიდან მომავალ მტერთან ბრძოლას. ცხადია, ეს ამ შეხვედრის ერთეული მაგალითი არ არის. იგი მოიცავს არა მარტო პოეზიას, არამედ სულიერი ცხოვრების სხვა სფეროებსაც. აღორძინების ეპოქაში სცვლიან სიმღერის კილოსაც. სწორედ სიმღერებს „პატარა ქალო, თინაო“-ს და სხვა ამგვარ ხმებზე. უფრო გვიან, მეფე ერეკლე მეორესაც იმდენად მობეზრებია ბაიათები და ისე მონატრებია ქართული სიმღერა, რომ მოხუცობის ჟამს, 1792 წელს, ამბროსი წილკნელიასთვის მიუწერია: „ქართლ-კახეთში ცისკრის აღილო აღარავის ახსოვს, ქალაქს ჩამოდი, დაგვასწავლე და იმოგნი რასმეო“. წილკნელმა, სჩანს, პირველად უარი უთხრა, მაგრამ ირაკლი არ მოეშვა და ახლა ლექსად მისწერა:

„შენ ეგ აღილო გვასწავლე,
მე ვიცო, რაც რომ გარგეო,
ეგ ენა, პირი დაგული
აღაღე ჩვენთვის ბაგეო“.

ბოლოს, ჩამოსულა წილკნელი თბილისში, იმავე საღამოს დაუბარებია ირაკლის და თითონ ხუთჯერ უმღერნია აღილო.¹⁾

ყველა ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ძლიერი იყო მისწრაფება თავის ხალხის წიაღში დაბრუნებისაკენ. მაგრამ ყველა იმ ნაწარმოებში, რომელიც თავისი დროის სინამდვილეს, პოლიტიკურ ვითარებას გამოხატავს, არის ისტორიული ტრაგედიის გასაოცრად მახვილი გრძნობა, თუმცა ისინი ჯერ კიდევ მაღალ მხატვრულ დონეზე ვერ ასულან, არა სჩანს ჩაწედენა ინდივიდუალურ ფსიქოლოგიაში. ნაპოვნია სინამდვილესთან მისვლის ქეშმარიტი გზა, მაგრამ ეს გზა ჯერ კიდევ უვალია და უცნობი.

ამ დროის ჩვენი ლიტერატურა ინტერესთა, მისწრაფებათა მრავალფეროვნებას ამჟღავნებს. არ შეიძლება სქემატიური არ იყოს კონცეპცია, რომელიც შეეცდება ეს მრავალფეროვნება მხოლოდ იმ ორი ტენდენციის ბრძოლით განსაზღვროს, რომლებზედაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. საქმე იმაშია, რომ ერთნი აღმოსავლეთის გავლენას, აქცევენ რა ზურგს, ამავე დროს უარყოფენ იმ რეალიზმსაც, რომელიც რუსთაველის შემდეგ დამკვიდრდა, უარყოფენ ირანულ კილოსთან ერთად ამ ქვეყნიური ცხოვრების სიყვარულსაც და რელიგიურ ეგზალტაციას ეძლევიან, მეორენი გამოხატავენ ამ შთაეარ ლიტერატურულ ძვრებს და ამავე დროს რეალური ცხოვრების ნიადაგზე რჩებიან.

საერთოდ კი ეს განახლება ადვილი არ გამოდგა. ირანული გავლენის დიდი ტრადიციები ბოლომდე ვერ დასძლიეს XVIII საუკუნეში. ეს გავლენა XIX საუკუნესაც ვადმოჰყვა.

¹⁾ პ. კარბელაშვილი — „ქართული საერო და სასულიერო კილოები“. თბილისი, 1898 წ. გვ. 73 — 74.

და აი მწერალი, რომელიც არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ იდეურადაც იწყებდა XIX საუკუნის დიდ ქართულ ლიტერატურას, რომელმაც ტრადიციული აზრის მიხედვით გადაშალა პირველი ფურცელი ქართველ პატრიოტული რომანტიზმის ისტორიისა და რომლის პოეზიაც ფართოდ გავრცელების გამწვანელი მოვლენა იყო — ეს მწერალი უკანასკნელ ხარკს უხდის ირანულ პოეზიის გავლენას.

ეს მწერალი ალექსანდრე ჭავჭავაძეა.

ჩვენი ლიტერატურის ევოლუციის საქმეში გადამწყვეტი როლი ითამაშა იმან, რომ ამ ისტორიულ მიჯნაზე ქართველი ხალხის ბედი სხვა გზით წარიპართა. ალ. ჭავჭავაძე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როცა საქართველომ დამოუკიდებლობა დაკარგა. ევროპაში იფურჩქნებოდა რომანტიული ლიტერატურა, და ქართული აზროვნება რომანტიზმის სევდასა და მწუხარებას მონათესავე განწყობილებებით ხვდებოდა. ასე რომ რომანტიზმის წარმოშობას ჩვენს ლიტერატურაში ხელს უწყობს არა მარტო მსოფლიო ლიტერატურის ატმოსფერო, არამედ შინაგანი მიზეზები, იმედ დაკარგულობა და უპერსპექტიობა, რომელმაც მოიცვა მოწინავე ქართველობა XIX საუკუნის დასაწყისში.

თვით ბიოგრაფია ალექსანდრე ჭავჭავაძისა ნათელი გამოხატულებათა, ცოცხალი ნაწილია ქართული პატრიოტული რომანტიზმის ისტორიისა.



1804 წლის ალავერდობა ჩვეულებისამებრ მშვიდობიანი და უზრუნველი დღეობა არა ყოფილა. იქ იყვნენ არა მარტო მლოცველები, არამედ საომრად გამზადებული ხალხიც, რომელთა შორის ახალგაზრდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც ერია. ისინი მიეშურებოდნენ მთიულეთისაკენ, რომელიც უკვე მთელი ზაფხულის განმავლობაში აჯანყების ცეცხლში იყო ვახვეული.

გულის ფანჯრალით ელოდა კახელებს მთაში ფარნაოზ ბატონიშვილი — უმრწემსი ძე მეფე ირაკლისა. მაგრამ გვიანდა იყო. ძველი საქართველოს ნანგრევები მტკიცედ ველარ იდგნენ. „ეტკიჲმან იყოფლა განგებისაგან მათ ზედა“, როგორც ერთი ძველი მწერალი ამბობს. არგასულა ერთი თვეც და აჯანყების ეარსკვლავი უკვე ჩაესვენა. ოთხივე კუთხიდან ალყა შემორტყმული მებრძოლები იძულებული გახდნენ უგზო-უკვლოდ მიმოფანტულიყვნენ.

დამარცხებულ და ხევსურეთიდან გამოქცეულ ფარნაოზ ბატონიშვილს, რომელსაც კვლავ ახლდა ერთგული თანამებრძოლი ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბილისის ქვემოთ, დემურ-ასალოსთან, მთავარმართებელ ციციანოვის მღვდარი დაეწია და გზა გადაუჭრა. სამკვიდრო დაკარგულმა უფლისწულმა და მისმა ამაღამ, რომლებიც ბრძოლით მიარღვევდნენ გზას, ირანში გადასვლა ველარ მოასწრეს.

დატყვევებულები შემოიყვანეს ისინი თბილისში.

დემურ-ასალოს ტყვეობამ ცხოვრების სხვა გზა აუჩიია ალ. ჭავჭავაძესაც. პოეტი ტამბოვში გადასახლეს, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა. ამ გადასახლების შემდეგ იწყება ახალი ფაზა მისი ცხოვრებისა: მთიულეთის კლდედრეგებში, ანანურისა და ლომისას მიდამოებში, კახეთის ტყეებში ხეტილისა და ბრძოლის შემდეგ იგი კვლავ პეტერბურგის ბრწყინვალე საზოგადოებას

უბრუნდება: პაეტა კორპუსში, შემდეგ ლეიბ-გვარდიის ჰუსართა პოეტში იმ-
ყოფება. ბედმა ისევ საქართველოში დაბრუნება და ისევ კახეთში ბრძოლა არ-
ფუნა, მაგრამ ამხანად იგი ახლდა არა ქართველთა ბატონიშვილებს, არა მხოლოდ
პირველად, არამედ იტალიიდან ბედის საძებნელად საქართველოში გაემგზავნე-
წილ მარკიზ ფილაზე პაულუჩის.

როცა დაემხო ნაპოლეონის იმპერია და რუსის არმია საფრანგეთის დედა-
ქალაქში შევიდა, ალ. ჭავჭავაძეს პარიზში ვხედავთ. ამის შემდეგ იგი ისევ სა-
ქართველოში ბრუნდება.

პოეტის ცხოვრების ეს ცალკეული მომენტები ნათელ შუქსა ჰქვნიან მისი
შემოქმედების ერთ მთავარ მხარეს — პატრიოტულ რომანტიზმს, რომ ა. ჭავ-
ჭავაძეს უფრო მშვიდობიან დროს ეცხოვრა, მისი გარემოცვა რომ არ ყოფილი-
ყო ესოდენ გამძაფრებული შფოთისა და არევი-დარევის სარბიელად, რომ მისი
ცხოვრება ასე მძაფრად რომანტიული არ ყოფილიყო, თავის პოეზიაში ის არ
გასცდებოდა ანაკრეონული ლირიკის საზღვარს, რადგან მის ადამიანურ ბუ-
ნებაში უფრო სქარბობდა მშვიდი და განცხრომის მოყვარე ტემპერამენტი, ვი-
დრე რომანტიზმის შეენაღვლიანი ფიქრებით დამძიმებული სული. ჩვენის აზ-
რით, აქ უნდა აიხსნას მისი შემოქმედებითი სამყაროს საიდუმლოება. როცა
ახალგაზრდა მეომარი ჩამოაშორეს ძველი საქართველოს აღდგენაზე მეოცნებე-
თა და მისთვის მებრძოლთა უკვე შეთხლებულ წრეს და იმ გზაზე დააყენეს,
რომელიც დიდი ხანია გაკვალული იყო მისი მამის გარსევანის მიერ, სიჭაბუკის
ვატაცებას მის შეგნებაში მაინც არ დაუკარგავს თავისი პათოსი და მიმზიდვე-
ლობა.

აქედან იჭრება მის პოეზიაში წუხილი დაკარგულზე, დამარცხებულის სი-
ნანული, ამაღლებული და პატრიოტული განწყობილება და გამოუთქმელი
დარდი, რომელიც ღრმად არის სულში ჩამარხული და რომელიც მუდამ დიდი
კატასტროფების შემდეგ ჩნდება ხოლმე, — ყველაფერი ეს გაერთიანდა, რომ
გაემდიდრებინა მისი შთაგონება. ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებში მძაფრად ის-
მის ეს განწყობილება:

„ღმობითა ვხედავ ყოვლთ წარმავალთა,
მოხუცთა, ვაეთა, ქალთა
გრძნობა რაიმე აღმივსებს თვალთა
და მადენს ცრემლთა ცხართა.
კაცთ უხედობა, თუმცა სატირე,
გარნა რად გასაკვირე.
ამა სოფლისა დიდი და მკირე,
არს ცვალებისა მზირე“.

ამ მწუხარების გარემოცვაში პოეტის თვალწინ ხანდისხან ისევ განვლილი
ბრძოლების დღეები დგებიან:

„წარმოიდგინეთ იგი ეამნი,
ყოვლად ძვირფასი მისი წამნი,
რომ ექადოდით ყოველნი გვამნი
პატრონის ყოლით,
მისწინ ბრძოლით“.

და პოეტი საყვედურით მიმართავს თავის თანამედროვეებს:

„ზედან თქვენ შორის სულ გამჭრალა,
ერთგულების ნაპერწკალი“.



ეროვნული

ამავე განწყობილებათა საფუძველზე პირველად ალ. ჭავჭავაძის ლექსებში ჩნდება სახე სამშობლოსი, როგორც დატყვევებული სატრფოსი. ეს სახე შემდეგში გააფართოვა და უფრო ვრცლად გამოიყენა მეცხრამეტე საუკუნის ქართულმა პოეზიამ. ალ. ჭავჭავაძე სწერდა:

„მას ვპერტ პატიმრად, ეს მონებს გული,
მისთვის გლახ განწირული;
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,
მარად მიახლვის წულული“.

ამავე ნიადაგზე ჩნდება მის პოეზიაში წარსულის რომანტიკა, როგორც იმ დროის ადამიანის ფსიქოლოგიური განწყობილება კონკრეტულ ისტორიულ გარემოცვაში:

„ემა, ჩემო ოცნება, კვლავ რად წარმომედგინე
და დასი მცნობთ ჩვენებად უბრალოდ რად მომდინე?
რად მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ ნუგეშთა, —
ერთხელ ჩემი სიცოცხლის ნაზად დამატკობელთა.
ნუ მიტყეებ, ოცნება, მომეც ძველი ხილვანი,
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი;
წარსულისა სიცოცხლის ნიაფი კვლავ დამჭროლე
და დამაშვარალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე“.

წარსულის ეს სევდა ყველაზე უფრო მძაფრად „გოგჩის ტბაში“ გამოჩნდა. პოეტი გვიჩვენებს, თუ როგორ დარღვეულა დიდი წარსული: ადამიანური კულტურისათვის ისევ წაუტომეგია ბუნებას ფართოდ გადაშლილი სივრცეები და კვლავ ველურ ნიადაგად, ბუთა და ნატამალთ სამყოფელად უქცევია. ფუძე, რომელიც იმაგრებდა მეფეთა პალატების სიმძიმეს, ახლა ქვათა გროვად ქცეულა. სურო და ხავსი მოხვევიან მთელემარე, მოლუშულ ნანგრევებს. ეს ბუნებრივი ბორცვები კი არა, გარდასულ თაობათა დიდებაა, ქცეული ქვად და არარაობად. ამაზე მეტყველებს აქ ყველაფერი, თვით დახავსებული შავი ქვებიც, რომელნიც ოდესღაც თაღების მძლავრ კამარებში ყოფილან ჩართულნი. აქ, ჭავჭავაძისა და მჭქეფარე ზვირთების, ლავვარდოვანი ცის გარდა, ყველაფერი შეცვლილა.

და პოეტი გვაგრძნობინებს გარდასულის იმ სურნელებას, რომელიც ამ შიდამოებს შეუნახავთ, მათ თითქოს ახსოვთ შუბთა ტრიალი და ტაიჭთა სრბოლა, ის რაინდები და ლამაზი ქალები, რომელნიც ოდესღაც აქა ყოფილან.

პატრიოტული რომანტიკის იდეური ევოლუცია მკაფიოდ გამოიხატა ალ. ჭავჭავაძის „კავკასიაში“. აქ პოეტი ცდილობს დაინახოს ის დადებითი მხარეები, რომელნიც თან ახლდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთებას. პოეტი, ნაღვლობდა რა წარსულის დაკარგვაზე, იმავე დროს ხედავდა, რომ ამ შეერთებამ მტრისაგან დაუძღვრებული საქართველო ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა, დაუკავშირა ევროპისა და რუსეთის კულტურას, გამოგლიჯა ჩვენი ქვეყანა ველური ურდოების ბრკყალებს და შესვენების, ძალების მოკრების შესაძლებლობა მისცა.

ეს პოლიტიკური შემობრუნება დამახასიათებელია არა მარტო ~~ქვ.~~ ჯავჭავაძის, არამედ თითქმის ყველა ჩვენი რომანტიკოსისათვის. გუვიხსენით თუნდაც ნიკოლოზ ბარათაშვილის გენიალური ლექსი „საფლავი მუდის თოაკლისა“.

ქვემოთაა
შეხვედრისა

აღ. ჯავჭავაძის ემოციური და გონებრივი ცხოვრების ორბიტი მეტად ფართო იყო. ქართული ლიტერატურის ისტორიაში საერთოდ უკვე ცნობილია, რომ მისი შემოქმედება აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეტურ ტრადიციებს აერთიანებდა. მაგრამ ამ ფორმულას აკლია სიზუსტე, იგი არ მიგვითითებს — სახელდობრ რომელი ეტაპების პოეტურ ტრადიციებზეა ლაპარაკი. ამის განსაზღვრას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწორედ აღ. ჯავჭავაძის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროს მსოფლიო ლიტერატურაში ერთ ეპოქალურ სტილს მეორე სცვლიდა, განმანათლებელთა საუკუნის პოეზიის კლასიკური იდეების ნაცვლად რომანტიკული პოეზია მკვიდრდებოდა. რა გავლენა ჰქონდა ამ ლიტერატურულ ევოლუციას ჩვენი პოეტის შემოქმედებაზე, როგორ იხატებოდა ეს გარდატეხა მის სულში, ჩვენის აზრით, ამ საკითხების გარკვევას კარდინალური მნიშვნელობა აქვს აღ. ჯავჭავაძის შემოქმედების ამოსაცნობად.

და აქ თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ აღ. ჯავჭავაძის ნაციონალურ იმედდაკარგულობას რომანტიკული სათავე და შინაარსი ჰქონდა, სამაგიეროდ მისი შეხედულებანი ბუნების, სიყვარულის, სიცოცხლის საკითხებზე, — შეხედულებანი, რომელიც გამოვლინდნენ პოეტის ლირიკაში, — მას ანათესავებენ იმ ლიტერატურულ ეპოქასთან, რომელიც ევროპაში წინ უძღოდა რომანტიზმს. იდეურად ის ვოლტერის და არა ეკატერინეს ნათლული იყო, ვოლტერის საუკუნის შვილი იყო, საუკუნის, რომელმაც თავის მოწინავე სოციალური იდეები ქადაგებაში არ დაივიწყა ჯენსალი, მიწიური პოეზია, არამედ შეათავსა ისინი ერთი მეორესთან, რომელმაც ათეიზმთან ერთად ანაკრონული პოეზიაც ააღორძინა, რომელიც აგრძელებდა რენესანსის, სიცოცხლის მოყვარეობის ტრადიციას. ეს ეპოქა დიდი იდეური რეზერვუარი იყო, რომელიც ჰკვებავდა ჩვენი პოეტის შემოქმედებასაც. ამიტომ არის, რომ იგი უფრო ოპტიმისტური თვლით შესცქერის ბუნებას. მწარე ნაციონალურმა სევდამ ვერ ჩაახშო მის ბუნებაში სიცოცხლის ძაბილი. აღ. ჯავჭავაძე ფორმალურად არ აპყობია ანაკრონიზმის გავლენას, არამედ თავის სულში მასთან მონათესავე ხმები და ფერები იპოვნა. თორემ მარტო ტრადიცია, მარტო გავლენა ვერასოდეს ვერა ჰქმნის ქვეშაობილ ბელოვნებას. საქმე იმაშია, რომ ასეთი ბუნებისა იყო თვით პოეტის განწყობილება, მისი ალლო და მსოფლშეგრძნობა. თვითონ მისი წარმოსახვა, მისი ფანტაზია კლასიკური, ნათელი, უნისლო და უდარდელი. სანიმუშოა ამ მხრივ მისი ლექსი „მოვედ ამ არედ შესამკობელად“. ეს სიცოცხლის ზეიმია, ანაკრონული და ელინური მიმღეობა ქვეყნისა. საუცხოვოდაა მასში გამოხატული ის, თუ როგორ უცებ იფეთქებს და გაიფურჩქნება ხოლმე სიცოცხლე გაზაფხულზე, როგორ გაიღვიძებს ხოლმე მიწა და მთელი ბუნება:



„მოვედ ამ არედ შესამკობელად,
 ნიავო, მჭროლვე კეთილ მყოფელად.
 მზე მოიწვიე დამატკობელად,
 თოვლთა, ყინულთა დასადნობელად.
 ჰერთა ცივთა განსაძობელად,
 მდელითა ყოველთა მოსახმობელად,
 პირველ იასა ექმნეს მშობელად,
 და ჰყოს აშოკნი ლხინის მგრძნობელად,
 სიყვარულისა აღმაგზნობელად“.

ჭიკვავთ ჭიკჭიკი, ბულბულთ გალობა,
 რაყიფთ აქვთ ჩხუბი, ბასბვა, ბჟუალობა,
 ერთმანეთისა დაუხვალაობა,
 სატრფოდ მოტაცვა, ფრენა, მალაობა.
 კოცნა, აღერსთა დათვიალობა,
 სიზარულისგან მოუცალობა,
 ძლეულის გმობა, შეუბრალობა.
 თქვენც განვიცხადდეთ დანამალობა,
 კრძალვით მეჩვენო გულის მშობელად
 და ჰყოს აშოკნი ლხინის მგრძნობელად,
 სიყვარულისა აღმაგზნობელად.

ქაბუკა ვინმე ჩადრით ბურვილი
 შევალს წალკოტსა წვი არ ურვილი;
 მუნითვან მოყმე გულშემურვილი,
 მოგებებების ბილვის წყურვილი.
 განაგდებს ღრუბელს მზე სხივქურვილი,
 მიესალმების მოყმეს გულღბილი.
 ეტყვის, წარვიდეთ, გვაწვევს სურვილი,
 აჰა გუმბათებარ ფოთოლბურვილი,
 ეშხით დამცხართა დასაზრდობელად.
 და ჰყოს აშოკნი ლხინის მგრძნობელად,
 სიყვარულისა აღმაგზნობელად.

აღ. ჭავჭავაძეს არ უყვარს უმზეო და ნისლიანი ბუნება. ის იმ პოეტების კვალს მისდევს, რომელთაც არა ერთხელ გადაუშლიათ მკითხველის თვალწინ მზიან-ჩრდილოვანი წალკოტი სუფთა ჰაერით, გრილი წყაროებით, სადაც ყვავილები ავრცელებენ საამო სურნელებას, ჩიტები გალობენ, მწვანე ბუჩქები თვალს იტაცებენ. ეს არის თავშესაფარი სიამოვნების ქალღმერთისა, ეს სიყვარულისა და განცხრომის კუთხეა, სადაც, როგორც პოეტი აგვიწერს, ტყის ბნელი თაღებიც „ეშხით დამცხართა დასაზრდობელად“ გადაჰფარვიან მიწას.

თავისი დროის საერთო იმედ-დაკარგულობამ ვერ ჩაახშო მის პოეზიაში ეს ბუნებრივი და უშუალო ოპტიმიზმი, რომელიც შეჰხარის ადამიანს და მოაღერსე, მომღიმარე ბუნებას. სწორედ ესა ჰქონდა მხედველობაში ალ. ხახანაშვილს, როდესაც იგი, ეხებოდა რა პოეტის დატუსაღების პერიოდს სწერდა: «Здесь-то в темнице пробудился его поэтический гений, нашедший сначала выражение в горестных думах и вскоре принявший жизнерадостное направление, исполненное страстных чувств и упоительных наслаждений»¹⁾.

¹⁾ А. Хаканов — „Очерки по истории грузинской словесности“, выпуск 4-й, г. 38—39.

პოეტს გადაყვევართ კლასიკური პოეზიის მზით განათებულ ქვეყანაში. იქ ბუნება ნაჩვენებია, როგორც უხვი და ნაყოფიერი დედა ცხოვრებისა, აქ მარად მწვანეა ხე ცხოვრებისა და ყველა ზამთარს იგი იმ იმედით ხედდება, რომ გაზაფხულზე ისევ გაიზარებს და გაიფურჩქნება.

გეგელიუსი

„თუმცა ზამთარი ატყნობს ყვავილთა
და ავდებს ხეთა მწარედ განძრევილთა,
გარნა ჟამთ ცნობით მათგანვე ხილთა
ჯერ არს ველოდეთ პირველებრ ტყბილთა“.

ეს ცხოვრების მარადიული მოძრაობა, მარადიული ტყნობა და კვლავ წარმოშობა მხნე განწყობილებით ავსებს პოეტს და ისიც მიმართავს კმუნვით აღსავსე თავის თანამედროვე ადამიანს:

„ება, ჩვეულნო ყოფნას დიდებით,
აწ რად ხართ ბურვილ კმუნვის რიდებით,
ნუ ჰგონებთ თავსა ხედ განკიდებით,
ნიაემან ყვავილთ სულთ მოზიდებით
გაბაროთ მოსელა ფერად მკელისა.
ვისაც ხელთ გჰონდეთ ნება გულისა,
იგემთ სიტტო სიყვარლისა“.

პოეტი არა ერთხელ უბრუნდება ამ განწყობილებას. ის, ლაპარაკობს რა უხვი ბუნების ეშხსა და სილამაზეზე, დაასკენის:

„... მცხოვრებმან ამ სოფლად, სად ბრწყინავენ აშიკობანი,
ეთორ დიხშოს ყოველნი მომწონებულნი გრძობანი!“

ანტიური მითოლოგიის სახეები, რომლებიც ალ. ჰავეკავაძის პოეზიაში გვხვდება, XVIII საუკუნის ფრანგული პოეზიის ზეგავლენით უნდა აიხსნას. პოეტი ცდილობს გააცოცხლოს ესა თუ ის ანტიური სახე. მაგ., ლექსში „შენ ნარგიზი ახალი ხარ“. პოეტი ლაპარაკობს ნარგიზზე, რომელსაც თავისი თავი უყვარს და რომელიც, წყალში ცქერის ნაცველად, წითელ ლეინოში იცქირება, ზედავს თავის სახეს ამ ლეინოში და „თავს შთანთქმად აღარ ზარობს“. აქ ძველი მითი ახლებურადაა მობრუნებული: ნარგიზი არა მარტო სტკებდა თავისი სახის ცქერით, არამედ თვრება კიდევ. ღირიული მოფიქრება ლექსისა უფრო მძაფრია და მახვილი, ვიდრე ამას მითი გადმოგვცემს. შემდეგ ერთ ლექსში პოეტი ლაპარაკობს კუპიდონებზე, რომელნიც „ბუჩქთა შორის იღუმალად იშალვიან“, სწერს ლექსებს „გრაციის აღსამკობლად“, ლამაზ ქალს რომაული ქალღმერთის კამენას სახელით ადიდებს და როცა ნეტარებაზე ოცნებობს, ქრისტიანული სამოთხის ნაცველად, ელიზიუმსა ნატრობს („უწყალო სენმან“).

მაგრამ ყველაფერი ეს უკვე იმ დროსაც ანაქრონიზმად ისმოდა. სამართლიანად სწერდა გენიოსი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი: „თუმცა ბერძნული მითოლოგიით ხშირად და მრავალნაირად სარგებლობდნენ, დაწყებული ხელოვნების და მეცნიერების აღორძინების ეპოქიდან, მაგრამ მინც, მიუხედავად ამისა, საესებით ვერ შეიგუეს ახალმა ხალხებმა, და თუმცა იგი მეტად ფართოდ გავრცელდა, საბჭითი ხელოვნებისათვის და მით უფრო პოეზიისათვის

ის ცოტად თუ ბევრად ცივი რჩებოდა. არავის, მაგალითად არ მოუტეა ამქამად აზრად მიუძღვნას ჰიმნი ვენერას, იუპიტერს ან პალადას“.)

ანტიური მითოლოგიის სახეების ჩვენს დროსთან შეუფერხებლად გულსხმობდა ილია ჭავჭავაძე, როცა სწერდა ალ. ჭავჭავაძის შესახებ, რომ „ცოტა არ იყოს, მასაც წილი უდევს“ სიტყვიერების „მითოლოგიურ სახელებით აქრულებაში“.)

მაგრამ ეს მითოლოგია შეტად მკრთალ გამოძახილსა ჰპოულობს ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში. მთავარია აქ ის ოპტიმისტური განწყობილება, რომელიც მართო იმ მიმართულების გამოძახილი როდია, რომელიც ევროპაში გრძნობის კულტსა ჰქადაგებდა და რენესანსის ტრადიციების აღდგენას ცდილობდა. არსებითად ეს მოტივები ქართული მწერლობისათვის არასოდეს უცხონი არ ყოფილან. ალ. ჭავჭავაძის ეს ლექსები იმიტაც არიან აღსანიშნავი, რომ მათში სწანს პოეტის შემოქმედების გენეტიური კავშირი ქართულ ლიტერატურის წარსულთან. ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში გვესმის ხმები ძველი ქართველი პოეტებისა, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ ქრისტიანულ ასკეტიზმს და უმღეროდნენ რეალურ ცხოვრებას, რეალურ ადამიანსა და მის ბუნებრივ, ხალას განცდებს. ამიტომ არის, რომ ალ. ჭავჭავაძე, როცა ის უცხოელ მწერალს მიმართავს, უმეტეს შემთხვევებში როდი სთარგმნის, აქართულებს, ასე გადმოაქართულა მან ვოლტერის მადრიგალი A m-me Bouffleur, მაგრამ ისე, რომ მასში წმინდა ქართული ელფერი, ქართული ნაციონალური ცნებები შეიტანა, ულამაზესი გაბრიელის საბე ნესტან დარეჯანით შესცვალა. ვოლტერი მიმართავდა: თქვენი თვალები მშვენიერია, მაგრამ თქვენი სული უკეთესია; თქვენ რომ გაბრიელის დროს გეცხოვრათ, არ ვიცი, რას იმღერებდნენ თქვენს შესახებ, მაგრამ მასზე აღარაფერს აღარ იმღერებდნენო. ალ. ჭავჭავაძე კი მიმართავს ლამაზ ქალს: ტარიელის დროს მე არ ვიცი, ვაქებდნენ თუ ვაძაგებდნენ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ნესტან-დარეჯანს შენთან აღარ ახსენებდნენო. ცხადია, ეს წერილმანია, მაგრამ მჩავენებელია იმისა, რომ პოეტი უცხო გავლენას ბრმად არ მისდევს, ის არ არის ერთი რომელიმე აჩემებული იდეის ტყვე, ის ამიღირებს ქართულ ლიტერატურას სახეებითა და ცნებებით, ისე რომ ამ ლიტერატურის ფესვებს არა შორდება.

დამოუკიდებელი, განსხვავებული გზით უახლოვდება ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ პრინციპს, რომელსაც ჰეგელი განსაზღვრავდა, როგორც გარეგან რეალობასთან კონკრეტული იდეალის თანხმობას, ხოლო რომანტიკოსები ადგილობრივის კოლორიტს უწოდებდნენ. უფრო გვიან ალ. ჭავჭავაძე უბრუნდება მშობლიური ქვეყნის ბუნების სურათების აღწერას. მისი „კავკასია“ თვალწინ გვიშლის გასაოცარ პანორამას: აქ არის გოლიათი მთების შესახარი მშვენიება და ველური სილამაზე. პოეტი ბუმბერაზ მთებს ხატავს, როგორც ქარიშხლის მრისხანებისა, ისე სიწყნარის წუთებში. ხატავს ზევეებს, როცა ათასწლოვანი თოვლი მოივლიჯება და თავის გზაზე მიწასთან ასწორებს ყველაფერს, დღეს ღამედ გადააქცევს, ნაძვის ტყეს — რიყედ, ვაკეს — კლდედ, და ბუნების ეს მრისხანება ზოგ არსებას ჰმუსრავს და ზოგს ჰბადებს. მაგრამ აი მთების სიწ-

1) Гегель — „Сочинения“, т. XII, гл. 282.

2) ი. ჭავჭავაძე — ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 231.

ყნარეც, როცა ლაფეარდი გადაიწმინდება და მზე ბუნებას ცისარტყვედს ყველა ფერით აიელეარებს. თითოეული წვეთი წყლისა ოქროთა და ბრინჯაოსებულ ბრწყინავს. მიღამოს საამო ყვავილი მოჰფენია, ირემი ამოსულნი ბუნელი ტყის წიაღიდან და ზემოდან დასცქერის ღრუბლებს.

მაგრამ აქ საინტერესო ის არის, რომ პოეტი გვიჩვენებს (როგორც მსტრუცკის ადამიანის ძალა ამ პირქვეშ კლდეებს. არც ღელეთა სიღრმე, არც მთათა სიმაღლე არ უშლის ხელს ადამიანს — გაარღვიოს ამ მთების უდაბურება.

„ფოლადნი, ქვათ მგვეთელნი ათასთა შინა ხელთა,
ხელოვნებითნი მეხნი, მედგრად მწენელნი ცეცხლთა,
სცემდნენ, ჰგლეჯდნენ, ჰქუხოდნენ, — და კავასი მვენესარედ
ესეთთა მიერ წყულულთა თვისთა ცხადჰყოფდა მწარედ.“

პოეტი არა ერთხელ უბრუნდება ბუნებას, იგი სატრფოს სახით აპიროვნებს მთელი ბუნების სილამაზეს. ღამის სიწყვედიადე მას გიშრის თმად ერეენება, ცის ვაეღვება „ბროლის ფიცრით შუქთა ფენას“ აგონებს, ნიაგის ნელი ქროლა სატრფოს ტკბილ სუნთქვად წარმოუდგება, და აქაც არა შორდება მას ის სასიკოცხლო ოპტიმიზმი, რომელიც საერთოდ დამახასიათებელია ანაკრონულ პოეზიისა, ერთ ლექსში იგი სწერს:

„ბუნებაში სავა რას გხედავ მშვენების მქონეს,
შენი საამო სახე ყველგან მიდგს თვალთა წინა,
არ შორდება ხედვითგან, მარადის შენსა მგონეს,
ზეციადან გაღმოსულთა ესპერტადე გრაცათა გინა.
თვით ვამსაცა ძილისას არა მაქვს ბედი მწყრომე:
სიზმარი მსმენს შენგან გამომზდარს ნახსა ხმასა,
განვიღვიებე—წემთან ზარ და სიამით გხედ, რომე
გულს შენ უწინ სცემ ნათელს, ვიდრე მზე ქვეყანასა“.

პოეტის სიხარულისა და სევდის სათავე სიყვარულია:

„როს გიყვარდი სურვით შეყვარებულსა,
მეც სიკოცხლე მაშინ მიღირდა ძვირად;
შენთან შენით, შენგან გალაღებულსა
მქონდნენ დღენი სიტკბობის მაღინრად.
შენ განგშორდი, ღბინი, შეება, სიამე,
ყველა წარხდა ნანეალა მშოენია მე.
როს გიყვარდი ცისაც მანათობელი,
სხვა სიამით მცემდა შარავანდედსა,
ღრო მაისი მედგა უცვალებელი
მარად ვარდთა და ზამბახთა მენოსეულსა“.

აქ წყნარი ნადველი უფროა, ვიდრე მძაფრი ღირიული ექსპანსიურობა და სულიერი მშფოთვარება. აქ არის ცალკე სხივები რომანტიული ღირიკისა, მაგრამ არ არის რომანტიული კონცეპცია. ალ. ჭავჭავაძის ნაზი და წრფელი განცდები ჰქმნიან ერთგვარ გარდამავალ საფეხურს რომანტიული ღირიულობისაკენ, მაგრამ ისინი ვერ აღწევენ ბარათაშვილის პანთეიზმამდე, მისი რომანტიული სულის ლტოლვამდე. აქ არ არის ის გრძნობა, რასაც გერმანელები მსოფლიო სევდას ეძახიან. როცა ილია ჭავჭავაძე ადარებდა ალ. ჭავჭავაძის პოეზიას ნ. ბარათაშვილის პოეზიასთან, სწერდა: ნ. ბარათაშვილიც „უგალობდა

სიყვარულსა და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე... ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხადიდა ტრფომის საგანდ, ვიდრე ხორცისას. იგი მით უფრო იყო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძეზე... რომ მისი გულისთქმანი, მისი გრძობანი, მისი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან¹⁾. აქ ილია იმ ღრმა ფილოსოფიურ სვედასა გულისხმობს, რომელიც რომანტიზმის მთავარი ნიშანი იყო. ალ. ჭავჭავაძის ლექსში კი პოეტის ინტერესი უფრო მაისის მხიარულ ფერებს მოუტაცნია, ვიდრე იმ საიდუმლო ხმას, რომელსაც რომანტიკოსები ბუნების წიაღში ისმენდნენ.

რომანტიკოსს აღარ შეეძლო ისე უშუალოდ და ხალისით ეცქირა ცხოვრებისათვის, როგორც მას რენესანსის დროს უცქეროდნენ. რომანტიზმი სულის პროტესტი იყო ფხიზელი და პრაქტიკული შეთვრამეტე საუკუნის წინააღმდეგ. რომანტიკოსს აღარ აკმაყოფილებდა ემპირიული სამყარო, რაც შეეხება რომანტიზმის პოზიტიურ იდეალებს, აქ უფრო მეტ მრავალფეროვანებასთან გვაქვს საქმე. უფერულ და მოსაწყენ სინამდვილეს რომ თვალს არიდებდნენ, ეძებდნენ მიღმა ჭვეყანას.

ალ. ჭავჭავაძის პოეზია-კი უფრო ღონიერია, დაუქანცველია მიწიერი სიხარულისა და განცხრომისაგან. მისი სიყვარულიც უმეტეს შემთხვევაში ნებიერთაა, ვიდრე სულიერი ტკივილი და ტანჯვა. მის პოეზიაშიაც კაოულობდა მოწინააღმდეგეს ცხოვრების სიმძიმე, მოუწყობლობა, უსამართლობა, მაგრამ ეს იყო განმანათლებლის პროტესტი, რადგან ჩვენში ისე მკვიდრდებოდა რომანტიზმი, რომ XVIII საუკუნის განმანათლებელთა იდეალებს ჯერ თავიანთი სიხალე არ დაჰკარგოდათ.



ირანული პოეზიის გავლენა ერთი უმძლავრესი ნაკადია ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში. ამ გავლენას, როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართულ ლატერარატურაში საუკუნეების ტრადიცია ჰქონდა, ამ მდიდარ მემკვიდრეობას იმაც დაერთო, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის უშედეგოდ არ ჩაივლიდა ის მძლავრი გატაცება აღმოსავლური ლიტერატურით, რომელმაც XIX საუკუნის დასაწყისში მოიცვა ევროპის პოეზია.

და ასეც იყო. პირველი შეხედვით ეგებ უცნაურადაც კი გვეჩვენოს რომ ჩვენი პოეტის მშვენიერი ლექსი „საპარის ხმაზე“, რომელიც ნამდვილად ირანული პოეზიის კოლორიტს ატარებს, ალ. ჭავჭავაძეს რუსულიდან უთარგმნია.

ევროპის ლიტერატურაში ამ პოეტურ ორიენტალიზმს ორი სახე ჰქონდა. ერთი აზიას ეთაყვანებოდნენ, როგორც მისტიციზმის აკვანს, ნირვანისა და მისტიური მყუდროების სამეფოს, ესენი იყვნენ რომანტიკოსები. მათ ინდური ფანტასტიური წარმოსახვის სამყარო იტაცებდა. შლეგელები რელიგიურმა ეკზალტაციამ ინდოეთის მსოფლშეგარნობის იდეალიზაციამდე მიიყვანა. ინდურ პოეზიასა და მითოლოგიაში ისინი არაამქვეყნიური სილამაზისადმი ტრფიალსა ხედავდნენ. ამ გატაცებით გამსჭვალული იყო მათი არა მარტო სამწერლო მუ-

¹⁾ ი. ჭავჭავაძე — ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 232—233.

შაობა, არამედ პირადი ცხოვრებაც. ერთხელ ვეიმარში გოეტეს ავტოპორტრეტის შესახებ ვეწვია. გოეტე გულუხვად დაუხვდა, მის პატივსაცემად მშვენიერი ტახტში გამართა, რომელზედაც ვეიმარის წარჩინებული საზოგადოება მირიწვია. „ბატონ შლეგელს, — სწერს ეკერმანი, — გარს ეხვიენენ ჭალეში, რომელიც ის აჩვენებდა ინდური ღმერთების სურათებს და აგრეთვე ორი დიდი ინდური ლეჭისის სრულ ტექსტს, რაშიაც, დოქტორ ლასენისა და თვითონ მის გარდა, ძნელად თუ ვინმე ერკვეოდა“. 1) ეკერმანის ცნობით, მეორე დღესაც ვაცხარებული საუბრის თემა ისევ ინდური პოეზია იყო.

მეორეს მხრივ, ფრიდრიხ შლეგელმა ვაფაციცებით დაიწყო სანსკრიტის შესწავლა. ინდოელთა ეპიურ პოემებში მან დაინახა ის სული, რომლისკენაც მისწრაფოდა რომანტიზმი და რომელიც, მისი აზრით, ესოდენ მძაფრად ენათესავენობდა ევროპის საშუალო საუკუნეების მსოფლმხედველობას. იქაც იგივე რომანტიული ლტოლვა დაინახეს სულისა, იგივე პანთეისტური ხილვა მთელი მსოფლიოსი.

აღმოსავლეთის მსოფლმეგრძობის ეს ასპექტი უცხო იყო ალექსანდრე ჰავეჰაიმისათვის.

პოეტური ორიენტალიზმის მეორე სახე ნათლად გამოჩნდა გოეტეს შემოქმედებაში. დიდ გერმანელ ლირიკოსს აზიური პოეზიიდან იტაცებდა ირანელების ნამდვილი ადამიანური სიხარულით და სიცოცხლით აღსავსე პოეზია. 1819 წელს გამოქვეყნდა გოეტეს „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“, რომელშიაც გოეტეს არ გადაუხვევია თავისი კლასიკური და ნათელი პოეზიის გზიდან. ამ ლირიული ლექსების კრებულით გოეტემ, ამოსკრა რა ფანჯარა აზიისაკენ, სცადა გერმანიის მიწაზე შირაზის ვარდების გახარება.

გოეტე ასე ახასიათებდა ამ თავის წიგნს:

„... მშვიდობიანობის დროს ყველას მოესურვა თუნდაც მცირე ხნით... კვლავ იგრძნოს თავი უზრუნველად. ამიტომ არ შეიძლება სასურველი არ იყოს სუნთქვა, მონაბერი უცხოეთიდან, რომელსაც, მსგავსად აღმოსავლური ქარიისა, შეუძლია სასიამოვნო სიგრილე მოგვეტანოს, მზიური სითბოთი და გამსჭვირვალე ეთეროვნებით მოგვეაღეროს. ჩემი „დივანის“ მუსიკალურმა დამუშავებამ ცოტა სიხარული როდი მომანიჭა“. 2).

ხოლო პენრიხ ჰეინე ამ წიგნის შესახებ სწერდა:

„ყვედილოვან სიმღერებში და მოკვეთილ გამოთქმებში აქ გამოხატულია აღმოსავლეთის გრძნობები და აზრები. და ყველაფერი აღსავსეა კეთილსურნელებით და მხურვალეობით... აქ გოეტე მუდამ უშფოთველად მომღიმარეა, უზრუნველი, როგორც ბავშვი და ბრძენი, როგორც მოხუცი. გამოუთქმელია სილამაზე ამ წიგნისა. ეს სალამია, რომელსაც დასავლეთი უგზავნის აღმოსავლეთს. მაგრამ ეს სალამი იმას ნიშნავს, რომ დასავლეთს მოსწყინდა თავისი მწირი, გამყინველი სპირიტუალიზმი და მას სურს ძალა მოიკრიბოს აღმოსავლეთის ჯანსაღი ზოციელი ქვეყნით. გამოხატა რა „ფაუსტში“ თავისი უკმაყოფილება აბსტრაქტულ სულიერის მიმართ და თავისი მისწრაფება რეალურ სი-

1) Эккерман — „Разговоры с Гете“, „Академическое издание“, 1934. стр. 703.

2) Гете — „Собрание сочинений“, т. X, стр. 641.

ამოვნებათავენ, გოეტემ დასწერა „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“ და თამამად შეთანთქა სენსუალიზმში.¹⁾

ამ წიგნის ლირიკული პერსონაჟები არიან ლეილა და მეჯუნუნმა-მქსუფა, ზულეიხა, ფერვადი და შირინი. აქ ყოველ ფურცელზე გვესმის ირანული პოეტების სახელები. პოეტი უკვე აღმოსავლური ცნებებით და მეტაფორებით აზროვნებს. თვითონ ევროპაც მას ამ ასპექტში აქვს დანახული: ნაპოლეონი მისთვის ახალი თემურია, თავის თავს ჰაფიზს უტოლებს, მარიანა ფონ-ვილემერს, რომლის სიყვარულითაც იმ ხანებში გოეტე იყო გატაცებული, ზულეიხას სახელით ეალერსება და სხვ. საერთოდ-კი ამ წიგნში გოეტე ვასაოცარ სიღრმეს აღწევს. მართლაც რომ ისევ ახალგაზრდად აქცია მოხუცი პოეტი ირანის ლირიკის სუგავლენამ. უბრალოა აქ თემები: გოეტე იღებს ირანელი პოეტის სატრაფოს მიმართ თქმულ ფრაზას — ქვეყანას მიჩრევნია ის მტვერი, რომელიც შენი ფეხის მიწასთან შეხებამ დაბადაო, და ამ თემაზე სიცოცხლის სიყვარულის ფილოსოფიას ჰქმნის, რომ უცებ აღსდგნენ მეჯუნუნი და ლეილა, სიყვარულის გზას ჩემგან ისწავლიდნენო, — ამბობს პოეტი მეორე ლექსში, და ასე სწერს ამ მოტივებზე უღრმესი ემოციური აღგზნებით.

ცხადია, გოეტე ბრმად არ ვაპყობია აღმოსავლეთის გავლენას: „დივანი“ არის ირანული მოტივების მოდერნიზაცია ანაკრონიზმის ნიშნის ქვეშ. ამ მხრივ „დივანი“ უშუალო ვაგარძელება ამავე ავტორის „რომაული ელეგიებისა“. შორი შორს არ იყვნენ ეს წიგნები, და ეს იმიტომ, რომ ყველა ირანული მოტივი გოეტეს პოეზიაში ჰკარგავდა თავის ეზოტერიულ მნიშვნელობას. გოეტე იღებს ჯანსაღსა და რეალისტურს, ხოლო სუფისტურ მისტიკას აძევებს.

გოეტემ, მაგალითად არ მიიღო სანთლისა და ფარვანის სიყვარულის მოტივი ახსნა. მან ეს მოტივი ორფისტული კონცეპციის შუქით გაანათა. ამას თვით კლასიკური პოეზიის სული მოთხოვდა.

და აქ ჩვენ გვაგონდება ალექსანდრე ჰაფჯაეძე, რომელმაც ამავე ასპექტში აითვისა ირანული პოეზია. ამით ჭარბველმა პოეტმა განაგრძო თვისი წინაპრების ტრადიცია და აქვე შეხვდა ის გერმანელ გენიოსს. დიახ, აქ სწორედ ორი პოეტის შეხვედრა იყო და არა გავლენა.

სანთლისა და ფარვანის მოტივი ირანულ პოეზიაში სუფიზმის სულით არის გამსჭვალული. ფარვანა ტრფიალით ევლება სანთელს, იწვის მის აღზე და მკვდარი ეცემა ძირს. სანთელიც ბრწყინვალე ალით იცინის და თან დნება ცხარე და ცხელ ცრემლებად. ამ სიყვარულში არის რაღაც მძიმე, ფატალური განწირულების სული. ჭარბველი პოეტი არ იღებს ამ ფორმულას:

„შენ არ ხარ სანთელ, კრულ ვარ, — თუც მას გადაო,
 არცა მე ფარვანა, რომე დამწვა რა გეკარო,
 შენ ხარ მზე, მჭონე სხივთა ჩემთა მაცხოვლეო,
 მე—ზე, რომელი ვხმე, თუ მათით არ მომზარო“.

აქ სიყვარული მისტიკური თვითგანადგურება როდია, იგი მზეა, რომელიც ათბობს და აცოცხლებს, ზრდის და ახარებს.

¹⁾ Г. Гейне — „Полное собрание сочинений“, т. VII, стр. 203—204.

მეორე ლექსში ალ. ჭავჭავაძე სწერს:

„მზეს მიხედვით, მარად დილით
ცრემლს ვით უშრობს მღვლის სხივით,
დილა ჩემი როს გათენდეს,
პირო ბადრო და ნათელია?!

ბაგე ვარდო, ნამით სველო,
სურნელთაგან მომსუნთქველო,
შუქმან შენმან განმანათლოს,
პოი, სპეტაკო ზამზახთ ველო“.



ალ. ჭავჭავაძე ძალიან კარგად იცნობდა აღმოსავლური სიმღერებისა და ზღაპრების თვალისმომკრებელ ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ მის პოეზიაში ეს მოტივები მოდერნიზებულია და გადასხვაფერებული, ჩვენ მაინც განვიცდით მგრძნობიარე და ეკზოტიური აღმოსავლეთის ატმოსფერას. პოეტი ხელახლა მღერის ძველ ირანულ ლეგენდას, რომლის მიხედვითაც ვარდი წითლად შეიღება ეკალზე დაქრილი ბუღბუღლის სისხლით:

„მოსთქვამს, ამაყო და ზვაო,
შეუბრალო, გულქვაო,
ხელი რად უფრო მახელი,
პოი, კირზე კირის დამრთაო?!

სისხლითა ჩემით ღებულო,
ქვეყანად ამით ქებულო,
ესე რა მიქმენ, უმაღლო,
პოი, ვარდო, ღმობა კლებულო!“

და ისევ და ისევ უბრუნდება ამ თემას. ვარდები, გაზაფხული დაუსრულებლად ისმის მის ლექსებში, რაღა უნდა თქმულიყო ამაზე ახალი? მაგრამ აქ ვხედავთ, რომ სიცოცხლისადმი ტრფობა, ეს ყველა მომაკვდავისათვის ნაცნობი, უბრალო ადამიანური გრძნობა, პოეზიაში არა ძველდება. ეს მარად ახალი და მარად ძველი თემაა, როგორც ჰეინე ამბობდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე მთელი თავისი პოეტური ხმით უმღერის ქალისსილამაზეს. ალვის ტანისათვის, მისი მიმოხერხის იღუმალი ეშისათვის, გიშრის თმებისათვის პოეტი სასუფეველზედაც უარს ამბობს („საროს ტანისთვის დაგე-კარგვის სასუფეველი“), ისევე, როგორც ჰაფიზი, რომელსაც სავსე ფიალა მაჰმადის სამოთხეს ერჩივნა, ზოლო სატრფოს ხალი — ურიცხვ სამეფოებს.

ალ. ჭავჭავაძის ამ ლექსებში სჩქეფს გულდიობა და სილაღე. პოეტის თვალი იჭერს მხოლოდ სიცოცხლის ყველაზე ნორჩ ყლორტებს, ადამიანისა და ბუნების ყველაზე ლამაზ ხაზებსა და ფერადებს, ყველაზე ჰარმონიულ ხმებს. ამ სურვილთა და ვნებათა სამყაროს გამოხატებაში პოეტი, მუსიკალობასთან ერთად, პლასტიურ რელიეფურობას და ნაკვთიანობას აღწევს. ქვეყნის ეს სილამაზე მას თავის რწმენად გადაუქცევია.

„გაფრენილო, ვიპ, წამო,
სხამცა რაღა ვიწამო,
ესე ოდენ მშთენიეს,
გიგონო და ვიწამო.“

სევდა მლამის მორევად,
დამნთქას ეშყის მორევად,
ნეტა მას, ვისცა ძალემს,
სიყვარულის მორევად“.



ასე დაუძლეველ ძალად გამოიხატება სიყვარული მის ლექსში, გამოიხატება, როგორც გრძნობა, რომლის გულისთვისაც ბრძენი ხელად იქცევა, რომელსაც ვერც მფეუ და ვერც ერი წინ ვერ აღუდგება („სიყვარულო, ძალსა შენსა“).

აქ ერთხელ კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქალი, რომელიც თავის იდეალად უქცევია პოეტს, ჰარამხანის ოდალისკი როდია, პოეტი აღფრთოვანებულია მისი გონების სხივებითაც: „შენი გონების სხივნი,—მიმართავს პოეტი ქალს,— ესრედ ბრწყინვენ ძლიერად, მშვენებაც გინდა არ გქონდეს, მით იმნათობებ“.

აღმოსავლურმა ლირიკამ ქანრის მხრივაც ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე. მხედველობაში გვაქვს ის მოკლე, განსხვავებული ქანრის ლექსები, რომლებიც უმთავრესად აღმოსავლეთშია გავრცელებული. ამ ქანრში გოეტებაც სცადა თავისი კალმის ძალა. მის „დივანში“ ერთ განყოფილებას „წარმონათქვამთა წიგნი“ (Buch der Sprüche) ეწოდება. ამ ლექსების შესახებ თითონ გოეტე სწერდა: „აღმოსავლური წარმონათქვამნი აღმოსავლური პოეზიის სპეციფიურ თვისებებს ინარჩუნებენ სახელდობრ იმით, რომ ისინი ძალიან ხშირად ეხებიან გრძნობითს, ხედვითს საგნებს, ხოლო ზოგიერთი მათგანი ისეთია, რომ მას ადვილად შეიძლება ლაკონური იგავი ეწოდოს. ეს ქანრი ევროპიელისათვის ყველაზე ძნელ ქანრად ითვლება, რადგან ჩვენი გარემოცვა მეტად მშრალია, თანაზომადი და პროზაული“.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ამ პოეზიის ნიმუშები გვხვდება, და აქაც პოეტი არ უზღვევს თავისი ესთეტიური იდეალის უკვე ნაცნობ გზას. მაგალითად:

„ცრლიან ბრძენნი მტყველნი,
შემთხვევით სოფლის ყოფასა
შენნი მხილველნი დაჰკომბენ
მთის უაზროსა ხმობასა“.

აქ ერთი კალმის მოსმითაა გადმოცემული აზრი, რომლის მიხედვითაც დაგმობილია ის ფილოსოფია, რომელისაც ცხოვრება უდაბურებად მიიჩნია.

ან აიღეთ მეორე მოკვეთილად თქმული ლექსი:

„მეორედ მოსვლა ვამსგავსოთ სიყვარულისა შორებას.
რომელი უფრო ძნელია? ვკითხობ გულსა თუ გონებას,
პირველში სული ცხოველი მკედარ გვამთან უკუ იქცევა
და მეორეზე ცხოველ გვამს სული თვალდათვალ ემკევა“.

უფრო მკაფიოა შემდეგი ლექსი:

„სიბრძნე და გონიერება რა გინდ მარად ფხიზლად გველობდნენ,
სიჭაბუკეს და სიყვარულს რაცა უნდა იმას ჰყოფდნენ“.

ერთი მაგალითი კიდევ:

„შენნი გამძღველნი ჩივიან: ვაი, დაეკარგეთ გონიო,
ნეტარ მეც შენთან მახელა, მომკალ თუ დაეინანიო“.

აღ. ჭავჭავაძის ამ თანრის ზოგი ლექსი ლაკონურ იგავსაც წარმოადგენს მაგალითად:

„თუ ხე ბუნებით შწარვა, ანგელოსს მიბარეა,
წარილოს, ედემს დანერგოს, საღ სურნელების არეა,
ტიგრისის წყალით მოპარყავდეს, რომ ტურფად მომდინარეა,
ნაყოფი მოგცეს, იხმო, მიინც ეგრეთვე შწარვა“.

ერყინული
ხიზლიროსია

ეს ლექსები პოეტური ოსტატობის მაღალი ხარისხის შესახებ მეტყველებენ. მაგრამ ამ ხარისხს მისი ლექსები ყველგან არ ინარჩუნებენ. პოეტის მთელი რიგი ნაწარმოებები („სახე შენი მემახევა მებადა“, „ვაი შენგან წყლულსა“, „სიყვარულსა შევუბყრივარ აწ შენსა“ და სხვ.) ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებენ, იმიტომ რომ ამ ლექსების სახეები უკვე საერთო ადგილებად იქცნენ, რომლებშიაც ერთი მეორეს ხედებოდა ყველა მიმდევარი აღმოსავლური პოეზიისა. ბევრი რამ აღ. ჭავჭავაძის ამ კილოს ლექსებში უკვე ანაქრონიზმადაა გადაქცეული. აღ. ჭავჭავაძის ლექსში ხშირად მიბაძვა სპარსობს ორიგინალობას და სწორედ ამ შემთხვევაში პოეტის ლექსები მოსაწყენი და მოძველებული გვეჩვენება. სხვათა შორის, ამის ერთი მიზეზი ისიც არის, რომ იმ ხანებში მოდაში იყო სპარსულ ხმებზე ქართული ლექსების წერა. „კალმასობაში“ მოთხრობილია, თუ როგორ ეცადნენ „რაოდენიმე გვამნი და გააკეთეს ქართული ლექსები ხმასა ზედა სპარსთასა და დაუკრედიან ჩონგურსა და სხვათა საკრავთა ზედა და დაემღერებოდინ და აწცა არს ესე ჩვენშია“.¹⁾

ეს თავისებური სინკრეტიზმი უდევს საფუძვლად ა. ჭავჭავაძის ამ ციკლის ზოგიერთ ლექსსაც. ამ ლექსების ქვესათაურები („ბაღია დივარინდან აშტუმის ხმა“, „თემრო თემროს ხმა“ და სხვა), მოწმობენ, რომ ეს ქართული ლექსები ირანულ და თურქულ ხმებზეა დაწერილი. ეს ჩრდილავდა პოეტურ ინდივიდუალობას, წინ ეღობებოდა ახლის ქმნას, რადგან აქ ლექსი ხშირად ხმას გაჰქონდა. ეს ლექსები უამხმებოდაც არა ჰკარგავენ თავიანთ მხატვრულ ღირსებას, მაგრამ, ალბად, ისინი მეტ მხატვრულ სიამოვნებას აგრძნობინებდნენ მსმენელს, როდესაც იგი ამ ლექსებს თარზე ისმენდა.

ამ უარყოფითი მხარეების მიუხედავად, აღმოსავლურმა კილომ პოეტის შენობქმედებაზე ნაყოფიერი გავლენა მოახდინა.



აღ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში მძაფრად სცემს საზოგადო ცხოვრების ძარღვი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბატონყმურ საქართველოს პირობებში ა. ჭავჭავაძე, ფეოდალური არისტოკრატის ღვიძლი შვილი, საუკუნის დასაწყისის მოწინავე იდეების მხურვალე დამცველად გვევლინება. ამის თქმის საბუთს, გვაძლევს ლექსი „ვაი სოფელსა ამს“. ამ ნაწარმოებში გადაშლილია სურათი პოეტის თანამედროვე საზოგადოებისა, სადაც „მდაბალთ ჩავგრის, მტაცებლობის და ხევის“ შემზარავ ატმოსფერაში სჭკნება და ფეხქვეშ ითელება სამართლიანობა და სიკეთე. ეს არის მძლავრი და მრისხანე პროტესტი ყველა ტირანის, ყველა მეფის წინააღმდეგ, რომელნიც, „განდი-

¹⁾ „კალმასობა“, ქ. კველიძის და აღ. ბარაშვილის რედაქციით. გვ. 296.

დების სურვით“ მოცულნი, იპყრობენ და ახორციელებენ მეზობელ ქვეყნებს და სხაგრავენი საკუთარ ქვეშევრდომებს, მოხელეთა წინააღმდეგ, რომელნიც გარს ეხვევიან მეფის ტახტს, იჭერენ მეფეთა ღიმილს, თამაშობენ ქვეშევრდომთა როლს და სცხოვრობენ მკვლელობითა და მძარცველობით. საგულისხმოა, რომ ავტორი ჰგმობს არა მარტო მეფეებსა და ფეოდალურ ბიუროკრატიას, არამედ მთელ იმდროინდელ პოლიტიკურ და სოციალურ სისტემას:

„სამეფონი ურთიერთსა მცველობენ,
 შეუწყალოთ, შეხეებრ კაცთა მხველობენ,
 მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ
 და ყვავილოვნებენ.
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით“.

ლექსი მთავრდება იმ რწმენით, რომ ჩაგვრისა და მტაცებლობის ეს სამყარო მარად არ იარსებებს, რომ მას აუცილებელი დამხობა მოეღის:

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთა ცხოვრებას
 და მათხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
 მოვლოდეთ მათთან თანასწორობას!
 არ მარადის იშვათ
 მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით“.

საიდან არის ეს იდეები? პოეტის შემოქმედების გენეზისის გარკვევის გარეშე ამ ლექსის მძაფრი პოლიტიკური რადიკალიზმი რაღაც შემთხვევითი და აუხსნელ მოვლენად მოსჩანს.

ამ ფიზიკურ სოციალურ ინსტიტუტებს ა. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ასაზრდოვებდა და აღვიძებდა ევროპის კულტურის ატმოსფერა, კერძოდ, ვოლტერის გავლენა, რომელსაც პოეტი ასე ძლიერად განიცდიდა.

კარგა ხანია ცნობილია, რომ განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში (კერძოდ, ასე იყო XIX საუკუნის დასაწყისში) თარგმნითი ლიტერატურა ნაციონალური ლიტერატურის თანაბრად ახდენს გავლენას საზოგადოებრივ იდეოლოგიაზე. ისეთ პირობებში, როცა აზრი გზას ეძებს, თარგმანი მწერლის პოლიტიკური და იდეური ორიენტაციის მკაფიო მაჩვენებელია. ალ. ჭავჭავაძის ორიენტაცია საფრანგეთის მოწინავე მწერლობაზე მაშინ, როცა, საფრანგეთის რევოლუციის იდეებით გატაცებულთან ერთად, XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ევროპაში უარღესად ძლიერი იყო აგრეთვე რეაქცია ამ მოწინავეობის წინააღმდეგ, როცა ენციკლოპედიზმის, მატერიალისტური ფილოსოფიის და მმართველობის რესპუბლიკური ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ იდგა,—ეს ორიენტაცია თავისთავად მწერლის დიდ იდეურ გამბედაობასა და თამამ რესპუბლიკურ მისწრაფებებზე ლაპარაკობს. ამ დროისათვის ფეოდალური რეაქციის ძალებს უკვე ღრმად სწამდათ, რომ სწორედ ფრანგი განმანათლებლები იყვნენ სულიერი მამამთავრები რევოლუციისა, სწორედ მათი წიგნებიდან პქროდა ის სახალხო მღვლეურების ქარიშხალი, რომელმაც ლუი კაპეტი ეშაფოტზე აიყვანა, ხოლო არისტოკრატია საფრანგეთიდან გააძევა.

ამ იდეურ ატმოსფეროში პოეტის „ვოლტერის თქმულს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შეიძლება დღეს აღარ გვაკმაყოფილებდეს ამ ლექსის

მხატვრული ფორმა, მაგრამ თვით იდეა, რომელსაც ეს ლექსი შეიცავს, კვლავ ცოცხალია და მოქმედი. ჩვენ აქ გვესმის იგივე ხმა, რაც, ლექსში „ესი სოფელსა ამას“, სადაც ლაპარაკია მეფეებზე, რომელნიც, განდიდებულნი და მხედრის მოხვეჭის სურვილით ვატაცებულნი, ქვეყანას იკლებენ. ლექსში — გამომთქმულია ის დიდებული და კეთილშობილური იდეა, რომ ომი მხოლოდ მაშინ არის საშარათლიანი, როცა ის დაწყებულია სამშობლოს დასაცავად და ხალხის გასანთავისუფლებლად. მკაცრად დაგმობილია ამ ლექსში მტაცებლური ომები, რომლებიც კაცობრიობის ისტორიაში აღნიშნული არიან სისხლის ღვრის, ბარბაროსობისა და ხალხის აწიოკების შემზარავ თარიღებად. ალ. ჭავჭავაძემ ქართულად გადმოსაღებად აირჩია ისეთი ნაწარმოები, სადაც ყველაზე უფრო სრულად, ყველაზე უფრო თამამად იყო გამოთქმული ჰუმანიზმის ის დიდი იდეები, რომელთა პროპაგანდაც აღორძინების ეპოქის კორიფეებმა დაიწყეს.

ეს ლექსი პოეტისა და მხედრის დიალოგს წარმოადგენს. საუბარს პოეტი იწყებს. მას ხელში ჩავარდნია ტაქტიკის სახელმძღვანელო, წაუკითხავს ომებზე, იარაღებზე, ბრძოლის წესებზე და შეძრწუნებულია. პოეტი ლაპარაკობს ომის სურათებზე, როცა ცეცხლით და მახვილით შეესევინა ხოლმე სოფლებსა და ქალაქებს: „ქმართა ხოცავენ განუკითხვლად, ცოლთა პბილწვენ“, ყრმებსა მშუსრავენ და დახოცილთა გვამებზე ზეიმობენ. შემდეგო, — განაგრძობს პოეტი, — მუნდირში გადაცმულ მკვლელებს ეკლესიაში წაიყვანენ და ღმერთს

„უგალობენ ლათინურად, რომ „შენ ხარო შემუე ჩენი“,
ცეცხლშიდებულ ქალაქშია წინმძღოლი და გზის მარენი“.

და შემდეგ პოეტი ჩამოსთვლის და ჰგმობს ყველა იმ მხედართ მთავარს, რომელიც, მისი აზრით, ანხორციელებს ხალხთა აწიოკების, უცხო ქვეყნების აოხრების პოლიტიკას.

ამ ნაწარმოებს გავყვართ მსოფლიოს დიდი და გრცელი ისტორიის ასპარეზზე. ეპოქები უცხად გაიელვებენ და ჩვენს თვალწინ ერთიმეორეს შესცვლიან. აღარავის არა ზოგავს პოეტი. აქ არის პირველი ახემენიდი-მეფე კიროსი, აქვეა ფრიდრიხ დიდი, რომელზედაც ლექსში ნათქვამია — ბრძოლის გზები მას თვით სატანამ ასწავლა, მკვლელობაში მას გუსტავი და ევგენი ვერ შეედრებიანო. ალ. ჭავჭავაძის დროს მსოფლიოში ჯერ კიდევ როდი იყო დაჩრდილული ეს ძველი სახელები, მათი სამხედრო ნიჭის წინაშე ჯერ კიდევ მუხლს იდრეკდნენ: მეფე გუსტავ-ადოლფს ახალ ალექსანდრე მაკედონელს ეძახდნენ, ხოლო ავსტრიის ფელდმარშალს პრინც ევგენის ურწმუნოთა დასასჯელად ქვეყნად მოვლენილ ღვთის რისხვას უწოდებდნენ. ამათ გარდა, პოეტი იხსენიებს გრაფ რუმიანცევსაც. და ყველა მათ შესახებ ამბობს:

„რა გნდ ცამდე აღიყვანონ, რა გნდ მიქონ და მიდიდონ,
უწინ სულიმც ამოხდებათ, სანამ მათენ მე მიმზიდონ“.

მაგრამ, ნაწარმოების მიხედვით, პირველი მოსაუბრე ყველაფერში მართალი როდია. მის საუბარს უსმენს „სწავლული, მშვიდი და გულწყნარი“ მხედარი. ეს უკანასკნელი ეკამათება პირველ მოსაუბრეს და საეცებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ყველა სარდლის განურჩევლად და განუკითხველად დაგმობა არ შეიძლება, რადგან ერთნი თუ სხვას აწიოკებდნენ, მეორენი იმით არიან სახელოვანნი, რომ თავიანთ სამშობლოს იცავდნენო. „დამიჯერეთ, ყველა

ბრძოლა უსამართლო ნუ გგონიათა“, ამბობს იგი და, იხსენებს რა კი უკრძახებ მტერებს, რომელნიც დროთა განმავლობაში მის ქვეყანას ესეოდნენ, ამბობს:

„...ჩვენ ჩვენსას მოუაროთ, განა უწყით რბევა სხვასა და რა ან თქვენ გეწყინებათ, რომე ვინმემ დაგიფაროთ, გაიმებათ, რომე მტერმა სახლი კარი გადაგიწოთ, ბალი-ბალა დაგიშვავსოს ათასი წლის ნაობარსა“.

გეორგი ნატროშვილი

ამის შემდეგ პოეტი იხსენიებს რაინდებს, რომლებმაც სამშობლოს დაცვით ისახელეს თავი, იგონებს ძველებურ დიდებას, ძველ მხედრებს, რომელნიც ან იმარჯვებდნენ და მტერს არ უშვებდნენ თავიანთ ქვეყანაში, ან სამშობლოს დროშის ქვეშ კვდებოდნენ. განსაკუთრებით გულთბილადაა მოხსენებული ჰუგენოტი მეფე ჰენრიხ მეოთხე, ის ჰენრიხი, რომლის შესახებ ფრ. ენგელსი სწერდა: „ელზასი არსებითად დაიპყრო საფრანგეთმა ჯერ კიდევ ოცდაათწლიანი ომის დროს. რიშელიემ მამინ ულალატა გონიერულ პრინციპს ჰენრიხ მეოთხისას, რომელიც ამბობდა: ის მიწა, სადაც ლაპარაკობენ ესპანურად, დაეკუთვნოდეს ესპანელებს, სადაც ლაპარაკობენ გერმანულად — გერმანელებს მაგჩამ მიწა, სადაც ლაპარაკობენ ფრანგულად — მე მეკუთვნისო“.¹⁾

ხსენებული ლექსიც პატრიოტიზმის ამ გონიერულ პრინციპს იცავს. პოეტიც და მხედარიც იმ საერთო დასკვნამდე მიდიან, რომ „ბრძოლა არის სულ პირველი ხელოვნება“, ამასთან მხოლოდ ის ბრძოლა, რომელშიაც შენ შენს სამშობლოს იცავ.

მაგრამ ა. ჭავჭავაძემ ვერ მოასწრო ამ თვალსაზრისით შეგებენა საქართველოს ისტორიისათვის. მან მხოლოდ უცხოთა მატიანეს საფუძველზე გაიზიარა ეს იდეები. „ქართლის ცხოვრების“ გმირებმა ვერ იპოვეს მხატვრული გამოხატვა მის შემოქმედებაში. ამ თემაზე მან დაგვიტოვა მხოლოდ მშრალი ქრონიკები, რომელნიც, მიუხედავად თავიანთი ოფიციალური ხასიათისა და კონსპექტურობისა, არ არიან ინტერესს მოკლებულნი. ეს ქრონიკები მოწმობენ, რომ პოეტს ბევრი უფიქრია თავის სამშობლოს ისტორიისა და ადამიანების შესახებ. მხედველობაში გვაქვს ა. ჭავჭავაძის „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი“, — რომელიც პოეტმა ნიკოლოზ პირველს წარუდგინა. პოეტი ამ ქრონიკებში სწერს: „აბლანდელი საქართველოს მხახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც ჰყვოდდა. მისი წინანდელი მოსახლეობის მოწმეებად მხოლოდ უტყვი ნანგრევები-ღა დარჩენილან და მხოლოდ ბიზანტიელთა ისტორიკოსების ნაწერები-ღა მოწმობენ ქართველი ხალხის ძველ სიდიადეს. ოდესღაც მრეწველობით აყვავებული ქალაქები გაჰქრნენ, მაგრამ მათი ნანგრევები დღესაც ჰყვებავენ ქართველობის სიამაყის გრძობას“.²⁾

ქრონიკებში პოეტი ლაპარაკობს იმ დამპყრობლებზე, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში არა ერთთვის აუწიოკებიათ საქართველო. პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სწორედ ჩინგისყაენისა და თემურლენგის, შაჰაბაზის და ადამაპაღანის ურდოებმა გადააქციეს სავალალო სანახაობად ძველი საქართველოს დიდებაო. გულისტკივილით ამბობს პოეტი ტრაგიკულ მწივიდმეტე საუკუნეზე, რომ მამინ „ქართველი გლეხაკი მიწას შეიარაღებული ხნავდა,

¹⁾ К. Маркс и Фр. Энгельс — „Сочинения“, т. XIV, ч. I, 488.

²⁾ იხ. ურჩილი „ქართული მწერლობა“, 1926 წლის № 4—5, გვ. 163, 167.

ტყვიის ქვეშ კრეფდა ჰირნახულსო-“⁴⁾). ამ გლეხკაცის ომი სამართლიანი იყო, მის ომს სამშობლოს დასაცავად თავისი მძლავრი და წარმატებული რომანტიკა ჰქონდა.

ომის თემაზეა დაწერილი ალ. ჭავჭავაძის ორიგინალური ლექსი „ბომბოლი-სათვის“. ეს ომის პლასტიური სურათია, სადაც სიერცეში უხილავად დაფრინავენ ტყვიები და სადაც შეტაკების ბედს სწვევტს მამაცი მეომრის სამი უებრო თვისება: შორსმხედველი გონება განიზრახავს, უშიშარი გული პედავს და მარჯვე მკლავი ანზორციელებს.

პოეტის ეს ლექსი ტირტიის ჰიმნებს მოგვგონებს, რომელნიც მოუწოდებდნენ სპარტანელებს — მხნედ და უდერტეინველად გაეწირათ თავი სამშობლოს დასაცავად.

პოეტისათვის უცხო არ იყო ოცნება იმ შორეულ მომავალზე, როცა ხალხები მშვიდობიანად იცხოვრებენ. „ვეოლტერის თქმულის“ ბოლოს, სადაც ლაპარაკია სამხედრო სტრატეგიაზე, ლეთისადმი ასეთი ვედრებაა:

„...მსცავლე დრონი სხებრ, იმგვარად,
რომ ეს უცხო ხელოვნება უშვად დარჩეს და უზმარად“.

ეს არის ბოლო ფურცელი ჰუმანიური კონფერენციისა ომის შესახებ.

ცხადია, ყველაფერი ეს უჩვეულოდ და გამომწვევად ისმოდა გაუთავებელი დამპყრობელი ომების დროს, სამხედრო ზვიადობის გარემოცვაში, როცა ირგვლივ სალდაფონური ატმოსფერა იყო ჩაფუბებული და მთელ ევროპაში თოფის წამლის სუნი იდგა, როცა ოცხასამი წლის განმავლობაში, 1791 წლიდან 1814 წლამდე, ევროპის ბრძოლის ველებზე თექვსმეტი მილიონი ხუთასი ათასი კაცი გასწყვიტეს.

ყველაფერი ეს პოეტის თვალწინ ხდებოდა და მის სულზე წარუშლელ კვალს სტოვებდა.

მიუხედავად მრავალი გავლენისა, მისი პოეზია მაინც ერთი აუცილებელი რგოლია ქართული ლიტერატურის ევოლუციაში, ორგანიული ნაწილია ჩვენი ლიტერატურის ისტორიისა. ალ. ჭავჭავაძის მომდევნო პოეტები, ცხადია, უფრო ორიგინალური არიან, ნამდვილი ქართულ კოლორიტითაა აღბეჭდილი მათი ფიქრი და ოცნება, მაგრამ ყოველი მათგანი მაინც ჰკრძობს ამ ადამიანში რაღაც მშობლიურსა და მონათესავეს. მასზე ლექსებსა სწერენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი და ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ იმ დიდ სევდასა და დიდ სიხარულს, რომლითაც აღსავსე იყო ალ. ჭავჭავაძის პოეზია და რომელიც საუცხოოდ გამოხატა შუამთის მონასტერში პოეტის საფლავის ქვაზე წარწერილმა ფსალმუნის სიტყვებმა: „Вечер водворится плач и завтра радость“.

*) იქვე, გვ. 166.

ლევან ასათიანი

სხოვრება აკაკი წერეთლისა

თავი 9 *)

პეტიტორებისკენი

გიმნაზიიდან გამოსვლის შემდეგ ორი თვე, მარტი და აპრილი, აკაკიმ სოფელში გაატარა. აპრილის დამლევს იგი გამოეთხოვა დედ-მამას, თავის მშობლიურ სახლ-კარს და გაუდგა შორეულსა და უცნობ გზას — რუსეთისაკენ. ამ დროს ჰაბუკი აკაკი, როგორც თითონ სწერს, „ქვეყანაში თვალგაუხელებელი, ცხოვრებაში გამოუცდელი და ოცნებით გაბერილი“ იყო.

როგორი იყო ამ ხანებში პოეტის გარეგნობა და მისი სულიერი განწყობილება?

ამის წარმოსადგენად უადგილო არ იქნება გავიხსენოთ აკაკის ერთი გვიანდელი მოთხრობა — „სამგვარი სიყვარული“, სადაც მოცემულია მეტად ოსტატური პორტრეტი ვინმე ჰაბუკისა.

„ხმა ახალი დაწმენდილი მქონდა, — ვკითხულობთ იქ, — ის-ის იყო უღვაშები მემწვეანებოდა; სიჰაბუკის საოცნებო ძლიერება ძვალ-რბილში მქონდა გამჯდარი; მიწაზე ფეხს აღარ ვაკარებდი: ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად! გული გრძნობად და გონება ოცნებად გადაქცეული მეშვიდე ცაზე მიმაფრენდნენ, ქვეყანა ჩემს ნებაზე ბრუნავდა და ბედნიერ აწმყოს უმპყველის მომავლით ვიგვირგვინებდი“..

ეს დახასიათება ძალიან წააგავს პოეტის ავტობიოგრაფიულ ახალგაზრდობაში, და ჩვენც ასეთად გვეხატება ჰაბუკი აკაკი იმ დროს, რომელსაც ჩვენი თხრობა შეეხება.

მშობლებმა უცხო ქვეყანაში მიმავალ შვილს საგზაოდ ხუთასი მანეთი ჩაუდევს ჯიბეში და, გარდა ამისა, შორეულ მგზავრობასა და უცხო ქალაქში მარტო რომ არ ყოფილიყო, ლალად და მსახურად ერთგული შინაყმა ივანე კირაკიტაძე გაატანეს.¹⁾ „ხვერის არ მცოდნეს და სრულიად არაფრის მნახველს, — გვიამბობს პოეტი, — უნდა ზღვა გამეგლო, ხმელეთი გადამელახა და ერთი ბიჭის ამარა ჩავსულიყავ პეტერბურგში, სადაც ჩემი ძმა მეგულეობდა „კანკოი“-ში მოსამსახურედ“.

ორპირამდე (მარანამდე) აკაკიმ თავის ივანესთან ერთად ცხენით იმგზავრა. აქ ორივენი ნაღში ჩასხდნენ და „თავი მიანდევს გადარეულ რიონს“. ორ-

*) იხ. „მნათობი“, № № 1 და 2.

¹⁾ ეს ივანე, აკაკის ძმისწულის ვასილ წერეთლის გადმოცემით, სოფელ თავასიდან იყო. შემდეგში იგი მუდმივად ცხოვრობდა სხვიტორში, აკაკის უფროსი ძმის დავითის ოჯახში, და იქვე გარდაიცვალა 90-იან წლებში.

პირიდან ფოთამდე ჩასვლას ჩვენი მგზავრები ორ დღეს მოუხდნენ. ამ დროს რიონზე უკვე გახსნილი იყო რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო საზოგადოების გემების მიმოსვლა. კ. ბოროზდინს თავის მოგონებების წიგნში — „სამეგრელო და სვანეთი“ ძალიან დეტალურად აქვს აღწერილი ის ზეიმი, რომელმაც უკმაშართა 1858 წლის მაისში ფოთიდან ორპირში პირველი ორთქლის გემის — „სტეკანოვის“ მისვლის გამო. ამის შემდეგ ეს „აკერმანი“ რევოლუციურულად მოძრაობდა ფოთსა და ორპირს შორის. აკაკის, როგორც სჩანს, გემისათვის აღარ მოუცდია და სამგზავროდ ნაფი უქირავებია. ასე დაიწყო მისი დიდი მოგზაურობა ჩრდილოეთის სატახტო ქალაქისაკენ.

სამი წლით გვიან ამავე მარშრუტით იმგზავრა ევროპისაკენ მიმავალმა პირველმა ქართველმა დრამატურგმა და რედაქტორმა — გიორგი ერისთავმა. აი როგორ ასწერა „გლუბარიჩმა“ თავისი შთაბეჭდილებანი, მიღებული ორპირიდან ფოთამდე:

„16 ივნისს მოვედი ორპირს... ჩავსხვედით პატარა პარახოდში... წამოვედით, არა ცხელდა ძალიან. უმშვენიერესს რას ნახავს თვალი, როგორც რიონის მარჯვენე რომ უყურებს მეგრელიას და გურიას ადგილის მდებარეობის შემკულობას, თითქო მისცურავთ საშუალ-ევროპიულის ბაღებში, მშვენიერნი თვალთ უწდომნი მაღალნი ტყენი, კუნძულნი დიდროვანის და მწყობრის და ჩრდილიანის ტყითა, შორს ხედავთ ამა მაღალს მთათა, ტყიანთა, კლდიანთა და შიგადაშიგ მწვანეთა ველთა. რიონის ორსვე პირზედ ქალთა მეგრელიასა და გურიისას, კარგათ სუფთად ჩაცმულთ, ზოგთ ქოლგებიც უქირათ. აგერ რამდენიმე ლოტკა მოსცურავს და სეირნობენ კაცნი და ქალნი, სიმკვირცხლე და მოძრაობა შემოსულა მათში, — შეძლება, ეაჭრობა გარდასხმულა ამ მხარეს. სად არიან ძველნი მეგრელნი — ძველ გრძელ ჩოხაში გახვეულნი, შიშველნი, ვით ადამ, რომელთაც ფრანკულნი სანკვილოტებს დაუძახებდნენ. აბა ახლა ნახეთ ტანოვანნი, ფეროვანნი, სუფთად მსხდომარენი, — მაგრამ არ არის საკვირველი, — ეს ნაყოფიერი მიწა, ეს დიდი და შემკობილი ნაპირებით რიონი, რომელიც ერთვის ზღუასა, რასაკვირველია, წინ წავიდოდნენ ქართველებზედ ცხოვრებით. არ მიშხენდი, რომ მიცურავდი შორის ამა მდიდრის ბუნებისა, შემკობილისა მხარისა, პაერი თუ მამულის მოშორება ამძიმებდა ჩემს გულსა.“¹⁾

სამშობლოსთან განშორების ასეთი სევდა, ალბად, კაბუჯ აკაკის გულსაც შეეხო. მაგრამ ამ სევდას აქარწყლებდა სიძლიერე ახალი შთაბეჭდილებებისა და წინასწარი განცდა იმ დიდი იმედებით და ოცნებით გასაზივოსნებული ახალი ცხოვრებისა, რომელიც მას მოელოდა იქ, შორეულსა და უცნობ პეტერბურგში.

ახალგაზრდა აკაკი ამ გზაზე მარტო ბუნების სიმშვენიერითა და სუფთად ჩაცმულ, მოსეირნე კაცთა და ქალთა სიმკვირცხლით ვერ დასტკბებოდა. ამ სანახაობას არ შეიძლება მის მეხსიერებაში არ გამოეწვია მოგონებები იმ მწვავე პოლიტიკური და სოციალური ამბებისა, რომლებმაც რამდენიმე წლის წინად შესძრეს სამეგრელოს მიწა-წყალი და რომელთა შორეული გუგუნი ისე მკაფიოდ ისმოდა ქუთაისში მისი მოწაფეობის ეამს. 1854 წელს, ყირიმის ომის დროს, თურქეთის ჯარების შემოსევამ ომერ-ფაშას მეთაურობით მოაოხრა ჩვე-

¹⁾ გ. ერისთავი — ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა 13 ივნისიდან. თხზულ., სახელგამი, 1936 წ. გვ. 331 — 332.

ნი ქვეყანა და უფრო მეტ გაქირვებაში ჩაადგო გლეხობა. თურქების წასვლის შემდეგ სამეგრელოს თავად-აზნაურობამ გაათქვამებული სისასტიკით დაბევრა ზალხი. 1857 წელს მიქაეის და თოდუების ზელმძღვანელობით იფეთქა სამეგრელოს გლეხთა აჯანყებამ.

„მართალია მოგვაშორეთ ოსმალები, მაგრამ ჩენი მგზავრების მტკიცით ოსმალებზე უფრო სასტიკად მოგვეპყრენ“ — განუცხადა გენერალ კოლუბაიკინს „სამეგრელოს რევოლუციის დანტონმა“ — უტუ მიქაევამ, მასთან შეხვედრის დროს.

გლეხთა განთავისუფლების საკითხი ამ დროს ეპოქის უდიდეს სოციალურ პრობლემას წარმოადგენდა. ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაურკვეველ და ბუნდოვან იდეებთან ერთად, რომლებითაც ამ დროს შეპყრობილი იყო ქაბუჯ აკაიის გონება, არსებულ სინამდვილეს არ შეეძლო არ აღეძრა მის შეგნებაში აგრეთვე მწვავე ფიქრები „წყუელი“ სოციალური საკითხების ირგვლივაც...

ორი დღის დამქანცველი მგზავრობის შემდეგ აკაიიმ თავისი ლალათი, როგორც იქნა, ფოთს მიიღწია. იგი აქ გემის მოლოდინში სამ დღეს დარჩა და უნებლიე მოწმე გახდა ამ ქალაქის მატთანეში სამხსსოვრო ისტორიული ფაქტია: იმ დღეებში ფოთი ქალაქად იქნა ნაყურთხი. ფოთი ამ დროს უმნიშვნელო, მცირედ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა.¹⁾ ორი თვით ადრე აკაიის ჩამოსვლამდე აქ გზად გამოიარა სამშობლოსაკენ მიმავალმა ალექსანდრე დიუმამ (მამამ). დიუმაზე ფოთს უფრო სავალალო შთაბეჭდილება დაუტოვებია, ვიდრე მანამდე ნახულ ქუთაისს. მისი სიტყვით, ფოთში იმ დროს თუთხმეტამდე ოდა იდგა, ქუჩებში გაუვალი ტალახი იყო, ხოლო თვით ნიადაგი, სადაც ქალაქი იყო გაშენებული, ნესტიან ქაობს წარმოადგენდა. ფრანგი რომანისტი ირონიულად სწერდა თავის მგზავრობის წიგნში: „1859 წლის 1-ლ იანვრიდან ფოთი გამოცხადებულ იქნა ქალაქად; ხოლო ორი წლით ადრე იგი ნავთსადგურად იყო გამოცხადებული. ჩვენ ვნახეთ, რა ნავთსადგურიც არის იგი (გემები ორი ეერსის მანძილზე ჩერდებიან ნაპირიდანო, — სწერდა ზემოდ ა. დიუმა, ვნახოთ როგორი ქალაქი გამოვა ფოთისაგან ორი წლის შემდეგ!“²⁾

ასეთი იყო საქართველოს ერთად-ერთი საზღვაო ქალაქი და ნავთსადგური იმ დროს, როდესაც ქაბუჯმა აკაიიმ გზად ვავლისას ინახულა. ცოტა ხნის შემდეგ მან გაიცნო მაშინდელი რუსეთის საზღვაო ვაჭრობისა და სამოქალაქო ცხოვრების განვითარებული ცენტრები — ოდესა, მოსკოვი, პეტერბურგი და თვალნათლივ შეაფასა ის შეუღარებელი კონტრასტი, რომელიც განასხვავებდა მათ იმ დროს ჩენი ჩამორჩენილი, ლარიბი და ბნელი ქვეყნის დაბა-ქალაქებისაგან.

ჩვენთვის ძვირფასია აღდგენილ იქნას ყველა ის შთაბეჭდილება, რომელიც მიიღო პოეტმა ამ მგზავრობაში. ამიტომ სურვილი გვაქვს გავაცნოთ მკითხველს ის საზეიმო ცერემონიები, რომლებიც რუსეთის ზეფის მოხელეებმა გამართეს ფოთში ქალაქის კურთხევის გამო და რომელსაც დაესწრო აკაიიც. ერთი ამ მოხელეთაგანი, კ. ბოროზდინი თავის მოგონებებში ასე გადმოგვცემს ამ ამბავს:

¹⁾ ნიკო ნიკოლაძე სწერს თავის მოგონებებში: „ფოთი მაშინ მთლად ტყეა და ქაობში იყო დამალული“ („რჩ. ნაწერები“, ტ. I, გვ. 89).

²⁾ А. Дюма — „Кавказ от времени Прометей до Шамиля“. გვ. 698.

„მისში ფოთი ქალაქად იყო გამოცხადებული და უნდა ეკურთხებინათ. ამ შემთხვევისა გამო ორპირში მოიყარა თავი მთელმა უფროსობამ. სწავლენ: გენერალ-გუბერნატორი, ქუთაისის გუბერნატორი, სამეგრელოს მმართველი, რამდენიმე მაზრისა და ოლქის უფროსები, ხამი ეპისკოპოსი, მთავრობის მდიანი, პუანდიდელი და ჯუმათელი (გურიისა). ამ კომპანიაში რამდენიმე ქალიც ერია. ყველანი ჩასხდნენ ფოთში წასასვლელად ორთქლმავალ გემზე „აკერმანზე“, რომელმაც იმ ცოტა ხნის წინ ორპირსა და ფოთს შუა დაიწყო სიარული მდ. რიონზე.

ორპირიდან ფოთამდე ექვს საათს მივლიოდით. ფოთში, ნავთსადგურის უფროსი, პირველი რანგის კაპიტანი, კიტაევი, ინეენერი-ლიალინი და ფოთის სხვა უფროსობა გენერალ-გუბერნატორს ნაპირას დახვდნენ და პატაკები მიართვეს. გენერალ-გუბერნატორი მისთვის მომზადებულს სახლში წაიყვანეს, ხოლო სხვებმა ცალკე კომპანია შევადგინეთ. ჩვენ გვერია თავადი ივანე დავითიძე ორბელიანი, მთავარმართებლის ადიუტანტი, ქეიფის მოყვარე კაცი; ამას თან მოჰყავდა ზურნა, და ამ ზურნით წავედით ქალაქ ფოთის დასათვალისწინებლად. ზურნის ხმა პირველად მოეფინა ფოთს და ჩვენც, საკმაოდ შეზარხოშების შემდეგ, საამოდ გვეწვეთებოდა ყურში ეს ხმა.

მეორე დღეს სამმავე ეპისკოპოსმა კრებულებითურთ პარაკლისი გადაიხადეს ნავთსადგურზე და ახლანდელი ქალაქი აკურთხეს; მერე წაკითხულ იქნა უმაღლესი ბრძანება. გენერალ-გუბერნატორმა სიტყვა უთხრა ადგილობრივს უფროსობას, ქალაქის მშენებლებსა და მცხოვრებლებს; გენერალ-გუბერნატორის შემდეგ ნავთსადგურის უფროსმა ეგორ კიტაევმა წარმოსთქვა სიტყვა. ცოტა კარგად ვერა სთქვა და კინალამ ყველას სიცილი წასქდა. ამას მოჰყვა ზარბაზნების სროლა. ბოლოს იქვე, ნავთსადგურზე, გამართულ იქნა სადილი. ერთი ნახევარი საზოგადოებისა ნაპირას იჯდა, დიდ ფარდულს ქვეშ; ამითში ერივნენ უფროსი მოხელენი და ქალები, ხოლო უმცროსი მოხელენი გემის ერდოზე ისხდნენ. მათში ერია ინგლისის ელჩი კამერონი და ივ. ორბელიანი ზურნით. მეორე დღეს დილაზე უკანვე დაებრუნდით და ორპირში ადრე მივედით.“¹⁾

აკაკიმ, როგორც ვთქვით, სამი დღე დაჰყო ფოთში. მესამე დღეს ფოთის რეიდზე მდგომმა სამხედრო „ცეცხლის“ გემმა ლუზა ასწია და ოდესისაყენ იბრუნა პირი.

მის ერდოზე მდგომი ქაბუჯი დიდხანს გაჰყურებდა მშობლიური ქვეყნის ნაპირებს, შორეულ ლურჯ სივრცეებში გაშლილ ქალებსა და ტყეებს, ჩამავალი მზის სხივებით შეღებილ კავკასიონის ბუმბერაზ მთებს. იქ, უკან, ნისლოვან ჰორიზონტს იქით, რჩებოდა ბავშვობისა და ქაბუჯობის წლები, დაუვიწყარი და მარად სამახსოვრო მოგონებებით.

წინ, გაურკვეველ მომავლის ბინდში, ქაბუჯ პოეტის აფორიაქებულ გონებას ეხატებოდა ათასი ფიქრი, წარმტაცი იმედი და ჯადოსნური ოცნება.

ახალმა შთაბეჭდილებებმა უდიდესი გავლენა იქონიეს ქაბუჯი პოეტის გონებაზე. „ისე გამართო ახალ-ახალ, უცხო სანახაობამ, რომ დროს ველარ ვგებულობდი, — სწერს აკაკი თავის მოგონებებში, — ჩემი პოეტური ოცნება ისე

¹⁾ კ. ბორჯღინი — „სამეგრელო და სვანეთი“, მოგონებანი. თარგ. თ. სახოკიასი. სახელგ., 1934 წ., გვ. 312 — 313.

გაიზარდა მგზავრობის დროს, ისე აპრელდა და აფერადდა, რომ გაბრუნებულმა ცა და ქვეყანა, ზღვა და ხმელეთი საჰაეროა ფიცრად გაეხადე და ჩემ ნებასურვილზე ვაბტუნებდი მეფესა და ლაზიერსო“.

საინტერესოა, რატომ აიჩრია ასეთი მარშრუტი აკაკიმ რუსეთისაკენ წასასვლელად? ამის პასუხს თვითონვე იძლევა ერთ ადგილას.

პეტერბურგში პირდაპირ მიმავლისათვის, — სწერს პოეტი, — რასაკვირველია, ხმელეთით წასვლა უფრო მოზერბებული იყო და არც ისე საშიში, როგორც ზღვით, მაგრამ ამ გზით მითომ გამისტუმრეს, რომ იქ ვარანცოვის ქვრივი ეგულეზობდათ და მისი ნახვა დამავალეს. იმ დროს საზოგადოდ ქართველებს (აქ უფრო სწორი იქნება, თუ ვიგულისხმებთ ქართველ თავად-აზნაურობას. — ლ. ა.) ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვარანცოვის, რომ, თუ ზუსტით მყოფი, ან მიმავალი ქართველი ვარანცოვის ქვრივს არ გაუვლიდა და არ ნახავდა, ვერც კი წარმოიდგენდნენ. ჩემმა შშობლებმაც მითომ დამავალეს, რომ უთუოდ მივსულიყავ კენინასთან და მათ მაგიერ მოკითხვა გადამეცა: ძღვნად-მისართმევადაც ერთი დიდი გიშრის ჯვარი, ზედ ჯვარცმავამოსახული გამატანეს“...

რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ ზღვიდან გამოჩნდა შორეული ნაპირი და ზედ გაშენებული ქალაქის გაურკვეველი კონტურები. ეს იყო ოდესა. ჩქარა ნავთსადგურსაც მიუახლოვდნენ. ზღვის სანაპირო ზოლი ვიწრო იყო, იგი უცებ მალღდებოდა და ამ მალღობზე, ნავთსადგურის გაყოლებით, წამოჭიმული იყო ახალი, მრავალსართულიანი სახლები. მათ წინ ამწვანებული ბულვარი გასდევდა, რომელიც საესე იყო მოსიერნე ხალხით. ბულვარის მარჯვენა თავში მოსჩანდა მაღალი, ლამაზი სასახლე, რომელსაც წინ, ზღვისაკენ დაყოლებით, ფერდობზე ინგლისურ გემოვნებაზე გაშენებული ბაღი ეკრა, ხოლო მის მარჯვნივ, ცოტა განზე, ღრმა ხრამის პირას, ათი წყვილი დორიული ბოძისაგან შემდგარი ლამაზი კოლონადა იყო აღმართული. ეს შენობა ვარანცოვის ცნობილი სასახლე იყო, მრავალჯერ აღწერილი უცხოელ მოგზაურთა მიერ. რომლებიც გაკვირვებულნი და მოხიბლულნი იყვნენ ამ შენობის გარეგანი და შინაგანი შემკულობით. ესლა ამ სასახლეში ცხოვრობდა სამი წლის წინად გარდაცვლილის, კავკასიის ყოფილი მეფის ნაცვლის, მიხეილ ვარანცოვის ქვრივი, ელიზავეტა ქსავერიეენა.

ოდესაში მოსული, შორი მგზავრობით დაქანცული აკაკი სასტუმროში დაბინავდა. დასვენების შემდეგ თავისი პირველი ვიზიტი მან, რასაკვირველია, ვარანცოვის ქვრივს გაუკეთა.

ოდესლაც სილამაზით განთქმული, გრაციითა და სიკველუციით აღსავსე ახალგაზრდა არისტოკრატი ქალი, იმპერატორ ნიკოლოზ პირველის განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი და რუსული პოეზიის გენიოსის ალექსანდრე პუშკინის მიჯნური, ესლა უკვე ხანდაზმულობაში იყო შესული და მარტოოდენ წარსულის საამო მოგონებებით სულდგმულობდა. აღბათ, ამ ხნისა უნდა ჰყავდეს ნაულისხმევი ეს ქალი ბარტენეს, რომელიც გვიამბობს, რომ ერთხელ, ოდესაც მოხუცი ვარანცოვის ქვრივი თავის ძველ წერილებს ათვალიერებდა, მას ხელში მოხვდა პუშკინის წერილების შეკვრა. იქვე მდგომმა მოურავმა პუშკინის ერთ წერილს თურმე თვალი გადაჰკრა და ფრანგულ ენაზე დაწერილი ასეთი ფრაზის წაკითხვა მოასწრო: „რას აკეთებს თქვენი რევენი ქმა-

რი?"²⁾ ცნობილია, რომ ვორონცოვი სასტიკად იქვიანობდა თავის ცოლს პუშკინზე და ამის გულისთვის დაუზოგავად მტრობდა პოეტს. პუშკინიც ვალში არ ჩნებოდა და მთელი რუსეთი მოფენილი იყო მისი დაუნდობელი ეპიგრამებით ვორონცოვზე. პუშკინის ოდესაში ყოფნის დროს, 1822-1823 წლებში, ვორონცოვი ყოველად უძლიერესი გენერალ-გუბერნატორი იყო ნოვოროსიის მხარისა. პუშკინი კი ერთ კერძო წერილში ასეთი ეპიტეტებით ამკობდა მას: Вандал, придворный хам, мелкий эгоист. ამავე დროს ეკუთვნის პუშკინის ცნობილი ეპიგრამა ვორონცოვზე:

„Полу-милорд, полу-купец,
Полу-мудрец, полу-невежда,
Полу-подаец, по есть надежда,
Что будет полным наконец!“

როდესაც ჭაბუკი აკაკი ვორონცოვის ქვრივს ესტუმრა, მისი შესანიშნავი სასახლის ყოველი ნაკვეთი ჯერ კიდევ ატარებდა უწმინდეს მოგონებას პუშკინზე. ელიზავეტა ქსავერიევანა ღრმად მოხუცი გარდაიცვალა და სიკვდილამდე ინახავდა პუშკინის სხოვნას გულში. უყვარდა პუშკინის ლექსები, მას უკითხავდნენ ამ ლექსებს თითქმის ყოველდღე, და ეს გრძელდებოდა წლიდან წლამდე. უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, რომ ერთი საუცხოვო ნიმუში რუსული ლირიკული პოეზიისა, დაწერილი პუშკინის მიერ 1830 წელს ბოლდინოში მიძღვნილი ყოფილა ვორონცოვის ცოლისადმი. აი, ეს ლექსიც:

„В последний раз твой образ милый
Дерзаю мысленно ласкать,
Будить мечту сердечной силой,
И с негой робкой и унылой
Твою любовь вспоминать.
Бегут, меняясь, наши лета,
Меняя все, меняя нас;
Уж ты для страстного поэта,
Могилным сумраком одета,
И для тебя твой друг угас.
Прими-же, дальняя подруга,
Прощанье сердца моего,
Как овдовевшая супруга,
Как друг, обнявший молча друга—
Перед изгнанием его“.

აკაკი რომ ჩავიდა ოდესაში, პუშკინი უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო, ოცდათუთხმეტი წლის წინად რუსული პოეზიის ამომავალი მნათობი ხშირი და სასურველი სტუმარი იყო იმ მზიარული დარბაზისა, სადაც ეხლა ასე მორცხვად შეაბიჯა შორეულ საქართველოდან მოსულმა ახალგაზრდა პოეტმა. არის რაღაც საკვირველი და, თუ გნებავთ, მომზიბლავიც, ამ უნებურ შეხვედრაში: აკაკიმ თავისი დიდი პოეტური შემოქმედების დასაწყისში სრულიად შემთხვევით და თავისდა შეუცნობლად გაიარა პუშკინის ნატერფალზე და ისუნთქა იმ ჰაერით, სადაც ჯერ კიდევ ჟღერდა მისი ლექსების მუსიკა, სადაც განსაკუთრებული მოკრძალებით ინახებოდა მისი განუმეორებელი პიროვნების კულტი...

²⁾ В. Вересаев — „Спутники Пушкина“. Москва 1937 г. гл. 315.

ვორონცოვის ქვრივს თავისი ცხოვრების უკანასკნელი ერთი ათეული წელი, 1845 წლიდან, საქართველოში ჰქონდა გატარებული და იქ ბევრი ნაცნობი და მეგობარიც ჰყავდა. ამიტომ იყო, რომ იგი განსხვავებული უპირობო-ცემით ხედებოდა საქართველოდან მისულ სტუმრებს. სხვათაგანს განსაკუთრებით მისწავლია ის გარემოება, რომ გარდაცვლილი მეფის ნაცვალთა კავკასიისა, თავადი ვორონცოვი, პირადად იცნობდა აკაკის მამას, როგორც წერილთა. აკაკის ძმისწულმა, ვასილ დავითის-ძე წერეთელმა, გვიამბო თავისი მამის საინტერესო გადმონაცემი ამ ნაცნობობის შესახებ. როდესაც მე გიმნაზიის შესწავლად კლასში ვიყავიო, — უთქვამს ერთხელ დავითს, აკაკის უფროს ძმას, — ქუთაისში გვესტუმრა თავადი ვორონცოვი თავისი ამალითო. აივანზე, სადაც მოსულ სტუმარს შეეგება თურმე როსტომი, ერთ-ერთი აღიუტანტი აცნობდა ვორონცოვს დამხედურთა პიროვნებას. როდესაც ჯერი მიდგა დავითზე, ვორონცოვი მიუბრუნდა ამ ლამაზსა და წარმოსადექ ქაბუკს და აღერსიანად ჩაძოართვა მას ხელი. იმდენად მოეწონა თურმე მეფის ნაცვალს როსტომის უფროსი ვაჟი, რომ მამას სთხოვა — საშხედრო სამსახურში გაემწეებინა იგი. როსტომს უარი ვეღარ გაუბედნია, მხოლოდ უთხოვია, შორს არ გაეგზავნათ მისი შვილი და ჩაერცხათ იგი ქართულ გრენადერთა პოლკში; რომელიც იმ დროს აღბუღალში იყო დაბანაკებული. ასე დაიწყო თურმე როსტომისა და მისი ოჯახის ნაცნობობა ვორონცოვთან. საფიქრებელია, რომ ვორონცოვის ქვრივს, — თუ კი იგი პირადად არ იცნობდა აკაკის მამას, — გაგონილი მაინც ჰქონდა მის შესახებ. ამით აიხსნება, რომ ელისაბედ ქსავერის ასული ასე აღერსიანად შეხედვდრია ახალგაზრდა ქართველ სტუმარს.

„ვორონცოვის კენიამ, — სწერს აკაკი, — შევიღვივით მიმიღო და დედა-შვილურადაც მომექცა. გამომკითხა ყველას ამბავი და ზოლოს, გიშრისჯვარი რომ გადავეცი, დიდი სიამოვნება დაიმჩნია: „ვახსოვართ ქართველებს და სჩანს, რომ ჩემ ქმარს მალე არ დაივიწყებენო!“.

„— სანამ საქართველოს სახსენებელი არ მოისპობა, ვარანცოვის სახელიც არ დაივიწყდება-მეთქი, — წამოვიკნავე მე ეს უფროსებისაგან ჩვენში ბევრჯერ ნათქვამი და ჩემგან გაგონილი და გულში ჩარჩენილი სიტყვები.

მოხუც კენიას ცრემლები მოერია, ღიმილით შემომხედა და მაკოცა. ჩემი მიტანილი ჯვარი სტუმრების ხელიდან ხელში გადადიოდა. ყურადღებით სინჯავდნენ; გიშერი შავი ქარვა ეგონათ, მაგრამ ჯვარზე გამოქანდაკებული ქრისტეს სახე, როგორც ეტყობოდა, ვერ აკმაყოფილებდა მათ ესთეტიურ მოთხოვნალებს. ერთ სტუმარ-ქალთაგანს მიუბრუნდა კენია და უთხრა: იტალიაში ხომ არა გგონიათ თქვენი თავი? ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთანა რამეებს უბრალო მეგიშრეები აკეთებენ იმერეთში. ისინი გლეხები არიან და არსად რამე უნახავთ, გარდა გარდამოხსნისა და ხატებისა ეკლესიებში; მათი სამხატვრო გალერეია, მათი სკოლა მარტო ბუნებას საქართველოსი, მაგრამ ბუნებასა სოცნებო და აღტაცებაში მომყვანი. ეს უბრალო ხელოვნება განა არ ამტკიცებს, რომ იმათ, თუ გარემოებას ხელი არ შეეშალა მათთვის, თავისი საკუთარი რაფაელები და მიქელ-ანჯელოები ეყოლებოდით? განსვენებულ თავადს აღტაცებით უყვარდა ქართველები, დიდ პატივსა სცემდა მათ წარსულს და მომავალზე იმედობდა. სულ იმას ამბობდა: „ეს პატარა საქართველო

დიდი რუსეთის ქარგაში უმშვენიერესი ფერადი და უმტკიცესი ოქროს ქსოვილი იქნებაო! მხოლოდ ჩვენ კი უნდა მიუშვათ ნებაზე, ვუწინამძღოროთ და გარედან ხელი შევეწყობოთ!" ერთი საათი მეტი ილაპარაკა სულ ამ განთქმულ ბუნებზე და საქართველოზე. წასვლა რომ დავაპირე, გამოთხოვების დროს, ღიმილით მითხრა: აი, ახლა თქვენ, ახალგაზრდა ქართველებმა, უნდა გაამართლოთ ჩემი ქმრის იმედებო! მერე ვკითხა: რამდენ ხანს დარჩებით ოდეაშიო? და რომ ნოვახსენე: რამდენიმე დღეს მეთქი, მეორე დღისათვის სადილად დამპატიეა".

სასახლიდან დაბრუნებულმა აკაკიმ მთელი დღე ოდესის დათვალეობას მონადრომა. ოდესის ფართო ქუჩებზე ხეტიალის დროს არ შეიძლებოდა მას რამდენჯერმე არ გახსენებოდა ვორონცოვის სასახლეში მიღებული შთაბეჭდილებანი და არ მოგვანებინა ყოველივე იქ ნათქვამი და განაგონი. და მას, ახალგაზრდა ქართველ პატრიოტს, რომელსაც ვალენროდიში ჰქონდა გულში ამოჭრილი, რომელიც გატაცებული იყო მიცკევიჩის ნაწერებით და გარიბალდისა და კოშუტის თავდადებული გმირობით სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ეხლა სასაცილოდ უნდა სჩვენებოდა ვორონცოვის ქვრივის გულუბრყვილო რჩევა: „თქვენ, ახალგაზრდა ქართველებმა, უნდა გაამართლოთ ჩემი ქმრის იმედებო“, ესე იგი უნდა ისწავლოთ და ვანათლდეთ იმისათვის, რომ ცარიზმის ერთგული მოხელეები გამოიხიდეთ და უფრო მტკიცედ დააპაპროთ კისერზე დაპყრობილ ქართველ ხალხს მეფის ხელისუფლების მიერ დადგმული პოლიტიკურა და სოციალური ჩაგვრის უღელიო.

განა ამისათვის ემზადებოდა ქაბუკი აკაკი ამდენ ხანს? განა ღირდა ამისათვის შორეულ პეტერბურგში გამგზავრება, განა უფრო იოლი არ იყო ქუთაისში დარჩენა და რომელიმე სახაზინო დაწესებულებაში მოხელედ გამწესება? მთელი შემდგომი ცხოვრება აკაკისა, მისი შემოქმედება, მისი მოღვაწეობა შეეწირა სწორედ მეფის სატრაპების, მეფის პოლიტიკური რეჟიმის საწინააღმდეგო საქმეს, — თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის განთავისუფლების დიდ მიზანს. და ეს მიზანი ეხლა კანდელივით იყო უკვე დანთებული ქაბუკის გონების თვალწინ: მისი გრძნობები, მისი ფიქრები, მისი მომავლის ოცნებები ამ კანდელის შუქით იყო განათებული, მისკენ იკვლევდნენ გზას.

ოდესაში ბევრი რამ საუცხოო ნახა მივარდნილი ქუთაისის სოფლურ მყუდროებას მიჩვეულმა ახალგაზრდა კაცმა: მრავალსართულიანი სახლები, განიერი ქუჩები, ხალხის გაცეცხებული მისვლა-მოსვლა ამ ქუჩებში. მაგრამ ყოველივე ეს „დიდად არ შემიმჩნევია, — სწერს პოეტი, — მე მხოლოდ ბოლოში თავმოყრილმა გემებმა გამოაცეს!.. ან რა მიაქვთ, ნეტავი, ამდენი და ან რა ბჭვთ წასაღები, რომ ზღვაზე ძლივს ეტყვიან-მეთქი? — ვამბობდი გუნებაში და თანაც გულს ვაყოლებდი ზღვის ფრთხინვას“.

ოდესა ამ დროს რუსეთის უდიდესი ნავთსადგური იყო შევ-ზღვაზე, საიდანაც გაცხოველებული ვაჭრობა სწარმოებდა ევროპასთან. ყირიმის კამპანიის შემდეგ ოდესას ახალი მოშუშებული ჰქონდა ის ქრილობები, რომელიც მას ამ ომმა მიაცენა. ვორონცოვის სასახლეს და ბულვარზე დადგმულ რიშელიეს პსევდო-ანტიურ ძეგლს ჯერ კიდევ აჩნდა იმ ყუშმარების ნიშანი, რომლებიც ოდესის ქალაქს „საჩუქრად“ გამოუტყზაენა ინგლის-საფრანგეთის შეერთებულმა ესკადრამ სევასტოპოლის ბლოკადის სამახსოვრო წლებში.

ოდესა აკაკის სტუმრობის დროს თავისი ვარეგნული იერიშით მკვეთრად განიჩეოდა რუსეთის სხვა საგუბერნიო ქალაქებისაგან. ჯერ კიდევ ოცდაათიოდეწლის წინად მისი ვარეგნობის გამო პუშკინი სწერდა პ. ვიანსკის ნაწარმოებში ბარათში: „Одесса — город европейский“-ო. პუშკინმა თავის „ონეგინის მოგზაურობაში“ (1829-30 წ. წ.) პოეტური სტრიქონებიც კი უძღვნა ოდესას, სადაც საკვირველი სისწორით იყო გადმოცემული ის კომერციული ციებ-ციხელება, რომელიც სახადივით ჰქონდა მოდებული ამ ქალაქსა და მის ქრელ-მოსახლეობას:

„Я жил тогда в Одессе пыльной...
Там долго ясны небеса,
Там хлопотливо торг обильный
Свои под'ѣмлет паруса;
Там все Европой дышит, веет,
Все блещет югом и пестреет
Разнообразием живой.
Язык Италии златой
Звучит на улице веселой,
Где ходит гордый славянин,
Француз, испанец, армянин,
И грек, и молдаван тяжелый,
И сын египетской земли—
Корсар в отставке, Морали...“

ასეთი იყო ოდესა, ასეთი იყო ის მრავალფეროვანი შთაბეჭდილება, რომელიც მიიღო პირველ დღესვე ქაბუქმა აკაკიმ ქალაქში.

მეორე დღეს, ის იყო აკაკი ეშხადებოდა ვორონცოვის სასახლეში წასასვლელად, რომ სასტუმროს მსახურმა შემოუტანა წერილი. ექიმი ანდრეევსკი სწერდა: „კნენა ავად გახდა, დღეს არავის მიღება არ შეუძლია და მის მაგიერ მე ვთხოვთ, ჩემთან მოხვიდით სადილათო. მით უმეტესად, რომ კნენა ვარონცოვის დავალებით ერთი რამ უნდა გადმოგცეთო“. აკაკიმ არ იცოდა ანდრეევსკის ადრესი და შესწუხდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ექიმს საკუთარი კარეტა გამოეგზავნა ქართველი სტუმრისათვის. აკაკი ჩაჯდა კარეტაში და გაემგზავრა თავის ახალ მასპინძელთან.

ერასტი სტეფანეს-ძე ანდრეევსკი ვორონცოვის სასახლის ექიმად იყო ნამსახური და მეტად დაახლოვებული პირი იყო მის ოჯახთან. ვორონცოვის სასახლეებს მან თითქმის ოცი წელი ვაატარა. ჯერ ოდესაში მსახურებდა მასთან დივიზიის ექიმად, შემდეგ, 1845 წელს, ჩამოჰყვა საქართველოში და არ მოშორებია სიკვდილამდე. ანდრეევსკი თან დაჰყვებოდა ვორონცოვს, სადაც წავიდოდა. იგი მონაწილეობას იღებდა დარგოს ექსპედიციაში, ჩიჩნეთსა და დაღისტანში. ჯარში იმყოფებოდა აგრეთვე სალთის აღებისას. ანდრეევსკი განათლებული კაცი იყო. სწავლა ბერლინში ჰქონდა მიღებული. ერთ დროს განაგებდა საექიმო ნაწილს კავკასიაში, ბოლოს დანიშნულ იქნა სამედიცინო საბჭოს წევრად. ცნობილი არქეოგრაფი ა. პ. ბერცე სწერს, რომ ანდრეევსკი გამოირჩეოდა თავისი ხასიათის თავდაუქერლობით, განსაკუთრებით მსჯელობის დროს, იცოდა მკვებე ლაპარაკი და თავხედური მოქცევა ადამიანებთან ურთიერთობაში. ამით იგი ხშირად ინადირებდა კიდევ თავად ვორონცოვის გულსო. ვო-

რონცოვს სჯეროდა, რომ თითქოს ერთად-ერთს ანდრეევსკის შემდეგ მისთვის ჯანისა და სიცოცხლის შენარჩუნება, ამიტომ სწყალობდა მას და უტყუარობას არ აქცევდა მის ბოროტ საქციელსო.¹⁾ ბერეცს ასეთი მტრული დამოკიდებულება ანდრეევსკისადმი საერთოდ დამახასიათებელი იყო ვორონცოვს და რომდელი ყველა რუსი მაღალი მოხელისათვის, რომლებიც ანდრეევსკის ამხარობდნენ — მისი გავლენით იჩენს თავადი ვორონცოვი მიკერძოებას ქართველებისადმიო.

ამ ბრალდებას უმთავრესად ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ანდრეევსკიმ ცოლად ითხოვა ქართველი თავადის ქალი, ბარბარე გიორგის ასული თუმანიშვილი. ბარბარეს დედა თამაზ ორბელიანის ასული იყო. მის ოჯახთან მახლობელი ურთიერთობა ჰქონდათ იმ დროის ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებს — გრ. ორბელიანს, ალ. კავკაძეს და აგრეთვე შწვრლობასთან ახლო მდგომ პირებს, როგორც, მაგალითად, ბარბარე ქობულაშვილს და სხვებს. ბარბარე თუმანიშვილი ექიმ ანდრეევსკიზე გათხოვების შემდეგაც ახლო მონაწილეობას იღებდა ქართულ კულტურულ საქმეებში. სხვათა შორის, მისი სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართული თეატრის დასაწყის წინასთან.

ბარბარე ანდრეევსკისამ მონაწილეობა მიიღო გ. ერისთავის „გაყრის“ პირველ წარმოდგენაში, რომელიც კეთიშობილთა გიმნაზიის შენობაში გაიმართა 1850 წლის 2 იანვარს. იგი თამაშობდა მაკრინეს როლს. იმავე წლის მაისში იგი წინოს როლს ასრულებდა გ. ერისთავისვე კომედია „დავა“-ში.²⁾ საქართველოდან წასვლის შემდეგ ექიმი ანდრეევსკი თავისი ცოლშვილით ოდესაში დაბინავდა. იქ იგი ცხოვრობდა ჯერ ვორონცოვის შესახვევში, ბადარევსკის სახლში (სწორედ იქ ესტუმრა მას ახალგაზრდა აკაკი), ხოლო შემდეგ ვადავიდა ახლად-აგებულ საკუთარ შესანიშნავ სახლში, ეკატერინეს მოედანზე, ზულეარის მახლობლად, სადაც მისი ოჯახი მისი სიკვდილის შემდეგაც განაგრძობდა ცხოვრებას³⁾.

ეს ოჯახი, რასაკვირველია, ბარბარეს წყალობით, მუდამ ღია იყო ქართველი ახალგაზრდებისათვის, სადაც ესენი ყოველთვის განსაკუთრებულ პატივისცემასა და გულთბილ მიღებას პოულობდნენ. იონა მეუნარგია სწერს, რომ „ოდესაში ამ დროს, როგორც დიდხანს შემდეგში, ყველა ჩვენების პატრონი, შემწე და გზის მაჩვენებელი იყო ცნობილი ექიმი ვარანცოვის დროისა ანდრეევსკი და მისი სახლობაო“. აკაკის ოდესაში გავლის შემდეგ, 1860 წელს, როდესაც პატარა დავით ერისთავი, მომავალი დრამატურგი, „სამშობლოს“ ავტორი, პირველად ჩაიყვანეს იქ სასწავლებლად, იგი სტუმრად მიუგვრიათ ანდრეევსკის ოჯახში. „ამის რჩევით, — ვადმოგვეცემს იონა მეუნარგია, — დავითი და მისი ამხანაგი ვანო ერისთავი შეიყვანეს ოდესის საუკეთესო პანსიონში, რომელიც ეკირა ბ. კნერის. აქედან დავითი თავისუფალ დროზე ხშირად დადიოდა ანდრეევსკისასო.“⁴⁾ 1878 წელს, როდესაც ბარბარე ანდრეევსკისა გარდაიცვალა, დ. ერისთავმა „ტფილისკი ვესტნიკში“ დაბეჭდა მოგონე-

¹⁾ საქართველ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება. ა. პ. ბერეცს ჩანაწერები

²⁾ ცნობები ბარბარე თუმანიშვილის შესახებ მოგვაწოდა პატივც. მიხეილ ხელთუბნელმა.

³⁾ Д. Эривтов — „Мои воспоминания о семействе Андреевских“. (газ. „Тифл. Вестник“, 1878 г., № 66.

⁴⁾ დავ. ერისთავის თხზულებანი. ი. მეუნარგიას ბიოგრ. ნარკვევი გ. ერისთავზე. გვ. 4.

ბა, სადაც მადლობით იხსენიებს ანდრეევსკის ოჯახს და, სხვადასხვა სწერს: როდესაც პირველად ჩამიყვანეს ოდესაში, იქ ერთად-ერთი ჩვენი ნაცნობი ოჯახი ანდრეევსკებისა იყო. „ოდესა, როგორც განათლების გამწვანებელი ქალაქი, კავკასიელების მიერ ამაზე ცოტა ხნის წინად იქნა აღმოჩენილი. ჩვენზე აღრე იქ გაემგზავრა ორი ჩვენი ნათესავი ყმაწვილი, რომლებიც ანდრეევსკის ოჯახში ღვიძლი შვილებივით იქნენ მიღებულნი. საერთოდ კავკასიელებს, — დასძენს დ. ერისთავი, — ამ ოჯახში მეტად გულთბილად, ნათესაურად ზედებოდნენ. უნდა გენახათ, როგორ უხაროდა განსვენებულ ერასტი სტეფანესძეს, როდესაც მის სახლში ახალი კავკასიელი გამოჩნდებოდა. სადილობის ეპოს, როდესაც მას განსაკუთრებით უყვარდა მასლაათი, იგი მოგიყვებოდათ ახალი სტუმრის ამბავს მისი გენეალოგიიდან, ამასთანავე ერთად უყვარდა თავის გამოჩენა რომელიმე ინტიმური ისტორიის მოთხრობით იმერეთისა ან ქართლის მეფის ცხოვრებიდან“¹⁾.

ასეთი იყო ანდრეევსკის ოჯახი. „ცოლშვილის მოყვარული და მოალერსე ანდრეევსკიო, — სწერს აკაკი, — როგორც ყველგან, ისე ოდესაშიაც ხელგაშლილად ცხოვრობდა. იმ დღესაც, მე რომ ვეწვიეო, — განაგრძობს პოეტი, — სახლი სტუმრებით აევსო. ჩვეულებრივის მისალმების შემდეგ ანდრეევსკის მეუღლემ ბოდიში მოიხადა ვარანცოვის კნეინას მაგიერ და გადმომცა რაღაც ქალღმერთის გრძელად გამოხეული ლელვის ჩირივით: ეს იმან გამოგიგზავნათო! ხელში რომ ავიღე, მემძიმა. ვნახე, რომ სულ ბაჯაღლო ოქროები იყო. გაეწითლდი, ქირის ოფლმა დამისხა და სხვებს კი უთუოდ ეგონათ, სიხარულმა აიტაცაო. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ მაღლი გადავუხადე და საჩუქარი უკანვე დავუბრუნე. „სწუნობთ? — შეკრთომით მკითხა ანდრეევსკის მეუღლემ, — საჩუქრის მიუღებლობა ვის გაუგონიაო? ეს სახსოვრად გამოგიგზავნა კნეინამო“. დაწუნება რა ბრძანება არის-მეთქი, — მოვახსენე, სახსოვრად რომ სხვა რაზე ებოძებია, დიდის სიმდაბლით და მადლობით მივიღებდი, მაგრამ ფული კი სწორედ არ მეხერხებოდა-მეთქი. სტუმრებმაცა და მასპინძლებმაც გაოცებით დამიწყეს ყურება. ცხადია, უგუნურ ბრიყვად ჩამაგდეს, მაგრამ თვითონ ანდრეევსკიმ-კი სიცილით უთხრა ცოლს: „ბარბარე, ავი გითხარ, რომ არ მიიღებდა! მაგას ჯერ ისევ საქართველოში ჰგონია თავი, ასე მალე მამა-პაპის წესსა და რიგს ვერ მოიშლისო“... მერე მოვიდა ჩემთან, ბექზე დამადგა ხელი და ღიმილით მითხრა: ჩემო ახალგაზრდა მეგობარო! ტყუილა ნუ დაგირცხვენია, აქ საწყენი არა არის რა! ჩვენში ეს მიღებულია და ხომ გავიგონია თქვენებური ანდაზა: რა ქვეყანაშიაო მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო. ისიც მართალია, ვინც გაჩუქა და შენც მართალი ხარ, რომ არ მიიღე ეს საჩუქარი. ამას მე უკანვე ვადაცემ კნეინას, ვუამბობ ყველაფერს და ბევრსაც ვაცივებ, მაგრამ მხოლოდ პირობით კი: ერთა წელიწადიც არ გაივლის, რომ შენ სულ სხვა თვალთ შეხედავ ცხოვრებას, დღევანდელ შენს შეცდომას იგრძნობ და მაშინ სიტყვა მომეცი, რომ მომწერო და შემატყობინო!.. მართლაც, — დასძენს აკაკი, — წელიწადს კი არა, ოთხ თვესაც კი არ გაუვლია, რომ ვიგონებდი ამ შემთხვევას და გუნებაში ვამბობდი: რა გამოუცდელი ვიყავ-მეთქი! გულიც კი მწყულებოდა, მაგრამ არა მიმიწერია-რა ანდრეევსკისათვის“.

¹⁾ „Тифл. Вестник“. 1878 г., № 66.

ასე დამთავრდა საჩუქრის ამბავი. აკაკის სტუმრობა იმ დღეს უფრო ახლოს მანძილზე არ ვითარებულა. საქციელ წამხდარმა ყმაწვილმა კაცმა გულს დაეკარა ვილაც მეტიანარა გრაფზე იყარა თავისი მწარე ენით. „სტუმრებში ნუ დროს იქ ერთი ვილაც პუწკია ახალგაზრდა ერია, სულ უღვაშებზე იხდებიან, — სწერს აკაკი. — ის მოვიდა, მომიჯდა გვერდით და ჩამეკითხა:

— გეტყობათ, თავადო, რომ ბევრი ფული მივაქვთ თან?

— რატომ არა?!

— მაინც? ხუთასი ათასი?

ეს რომ მითხრა, მე გივი შეგონა და სკამი უკან დაეაჩოჩე და საჩქაროდ მივაძახე, ხუთასი მანეთი შეთქი.

— ხუთასი მანეთი? — გამიტრიზავა. — მერე და ეგ რას გეყოფათ?

— გზაში მეტი არ მომინდება და მერე თვიურად გამომიგზავნიან სახლიდან.

— რამდენს?

— ხუთ-ხუთ თუმანს თვეში.

— მერე ეგ ვანა კმარა?

— საქციელოდ კი არ მივდივარ!...

— მაშ კიდევ მოგჩვენებთ!... — მითხრა კიდევ დაცინვით და გადახედა სხეულს. ზოგიერთებმა ღრეკა დაიწყეს. მივხედი, რომ მე დამცინოდნენ და ცეცხლი მომეკიდა. შეტი ველარა გაგებდე-რა და მეც სიცილით ვუთხარი:

— მე საქმეზე მივდივარ, საქციელოდ დროც არ მექნება, და, რასაკვირველია, მეყოფა თვეში ხუთი თუმანი: ნათქვამია: კაცია და გუნებაო! თქვენ თავს კი ნუ მადარებთ!... თქვენ, როგორ გეტყობათ, სულ სხვა ბრძანებებით! როგორც ვხედავ, ხუთი თუმანი თვეში მარტო უღვაშებზე მოვიხდებით! — ამის თქმა და ზოგიერთი ქალების გადახარხარება ერთი იყო... ჩემი მოსაუბრე გაწითლდა, ხელები მოაშორა საუღვაშეს, ზეზე წამოდგა, რაღაცას თქმას აპირებდა, მაგრამ სახლის პატრონმა აღარ აცალა, ჩაგვერია სიტყვაში“...

მასპინძლისა და სტუმრების შემდეგი საუბრის საგანს საქართველო, ქართული ხალხი, მისი ცხოვრება, ხასიათი და ადამიანურებები შეადგენდა. მასპინძლის ამბებს საქართველოს შესახებ ყველანი გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს. „პირველ ნახვისთანავე ისე შემეყვარა თავი, — სწერს აკაკი, — რომ მოშორება აღარ მინდოდა“. მართლაც, რაც ხანი დარჩა აკაკი ოდესაში, ყოველდღე დადიოდა ანდრეევსკის ოჯახში. ხანში შესული ექიმი ცხოვრებაში გამოუცდელ ახალგაზრდას დარიგებას აძლევდა, უჩრევდა: „პეტერბურგში რომ ჩახვალ, ასე მოიქეცი და ამგვარად“.

ბოლოს, გამგზავრების დრომაც მოაღწია. მარტო რომ არ წასულიყო აკაკი, მასავით გამოუცდელი მსახურის ივანეს ანაბარად, ანდრეევსკიმ მას თანამგზავრი უწოვა. ერთი მისი ნაცნობთაგანი იმ დღეებში მოსკოვს მიდიოდა, მას შეამხანავა, როგორც გამოცდილს, ჩააბარა ახალგაზრდა კაცის თავი და ასე გაისტუმრა იგი ოდესიდან.

იმ დროს რუსეთში ფოსტის „პოვოზკებით“ მოგზაურობდნენ. რკინის გზა მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგს შუა იყო გაყვანილი. აკაკი და მისი თანამგზავრებიც, რასაკვირველია, ფოსტის შარავზას დაადგნენ. გასცილდნენ თუ არა

ქალაქს, თვალუწვდენი ველები გადაიშალა ირგვლივ. მრავალი რამ აყვავდა და უცნაური როგორც აკაკის, ისე მისი ივანესათვის ამ ხანგრძლივ მგზავრობაში. ვაბუჯ აკაკის ფიქრები ხშირად წინ უსწრებდნენ ზოზინის მსმპლდოსტის ეტლს; მას ოცნებაში ესახებოდა თავისი მომავალი ცხოვრება, დიდი ქალაქი, ახალი გარემო, ახალი ნაცნობები. შუა მაისი იდგა და უკრაინის ტრიალ მინდვრებზე ზღვასავით ღელავდა ზურმუხტოვანი ჯეჯილის ყანები. ვრცელი და განიერი ცა ლურჯი სარკველივით ეხურა ამ უსაზღვრო ქვეყანას. სადღაც აქ, ამ თვალუწვდენ ველებში მდებარეობდა გურამიშვილის დაკარგული საფლავი...

მგზავრები დროგამოშვებით ფოსტის სადგურებზე ისვენებდნენ. სოფლები გადამწვანებული იყო ალუბლის ბაღებითა და ბოსტნებით. მგზავრები ხედავდნენ ვლებებს; ისინი ჩამოხუთლ-დაგლეჯილები იყვნენ, მათხოვრებს ჰგავდნენ. ბატონისა და მეფის ურიადნიკის მათრახ-ქვეშ ჩუმად კენესოდა შეეჩენკოს დიდი ქვეყანა, რომლის ნახვასაც ისე ნატრობდა პოეტი შორეულ გადასახლებაში:

„...О, господи!
Дай хотя бы глянуть
На народ порабощенный,
На мою Украйну!..“

სხვათა შორის, რადგან სიტყვამ მოიტანა, გვინდა შევნიშნოთ, რომ იმ დროს, როცა აკაკი უკრაინის ვზით პეტერბურგისაკენ მიდიოდა, პეტერბურგიდან აქეთ, სამშობლოსაკენ, მოეშურებოდა ტყვეობიდან განთავისუფლებული შეეჩენკო...

სულ სხვაგვარი შთაბეჭდილებებით იყო აღელვებული აკაკის ლალა ივანე. თავასელი გლეხი, აკაკის სიტყვით, საგონებელში ჩაუგდიათ რუსის ქალებსა და... ჩიტებს. „ერთხელ, — სწერს აკაკი, — რალაც უცნაური ჭყვიელის ხმა შემოგვესმა... რომ მიუხაზოვდით, ერთი მინდორი გამოჩნდა, საღაც დამწკრივებულიყვნენ რუსის დედაკაცები და ცელით ბალახსა სთიბავდნენ, თანაც უცნაურად გაჰკიოდნენ“ ... მთიბავი ქალები მუშურს მღეროდნენ. მათ გულ-მკერდი მოლელილი ჰქონდათ, მოკლე კაბები მუხლებამდე ძლივს სწვდებოდათ და მუხლებ ქვეით შიშველ-ტიტვლები იყვნენ. „ეს რომ დაინახა ჩემმა ივანემ, — გვიამბობს აკაკი, — იკივლა: არიქა, ბატონო, თვალეები დახუჭეო! თვითონ მიიფარა თვალეებზე ხელი და დაიწყო ჭუჭყუნის: „დალახეროს ღმერთმა ამისთანა ქვეყანა! აქ სად წამოვსულვართ, ამ უნამუსო ქვეყანაშიო! და სხვანი. სწორედ მოგახსენოთ, მეც მეუტხოვა ასეთი ჩაცმულობა, მაგრამ თვალეებზე ხელი კი არ მიმიფარებია. ჩემმა მგზავრმა რომ გამომკითხა: „რა მოსდის შენს მსახურსო?“ და ჩემგანაც პასუხი გაიგო, სიცილით კინაღამ მოკვდა, ჩააცივდა ჩემს ივანეს: „მაგრე ჩაცმული ცოლი რომ გყავდეს, არ გინდაო?.. მალე ბრძანება გამოვა, რომ თქვენმა ქალებმაც მაგრე უნდა ჩაიცვან ხოლმეო! „მანამდე არაფერი სჭამოს თქვენმა გვერდებმა“, — მიაწყევლა ქართულად და მერე რუსულად ჰკითხა: „ნეტავ ქალბატონებიც ასე იცმენო?.. — „ხანდახანო!“ უპასუხა და მერე მე მოთხრა: „ყოველ ქვეყანას თავის ზნე და ჩვეულება აქვს და, ვისაც არ უნახავს და არ გამოუცდია, რასაკვირველია, გაუკვირდებაო!“.

ივანე კირკიტაძე, ქალებს გარდა, გაშლილ ველებზე მიმომდრინებ ჩიტებსაც ძალიან გაუყვირებია. უთქვამს თურმე: „ე ხე რომ არსად არის, რაზე ჯდებიან და სად სძინავენ ამ ჩიტებსო?“ საერთოდ აკაკის გასაქრთმებელი მოპკლებია გზაში. მისმა ოდესელმა თანამგზავრმა, რომელიც გვერდით იჯდებოდა, გამოუცდელი აკაკი ერთ ახირებულ საქმეზე აავუღიანა: „ტულაში რომ ჩავედით, — სწერს პოეტი, — რკინის ქარხანაში წავიდა ლოგინის საყიდლად, და მეც მაყიდვინა, თითქო პეტერბურგში კი აღარ ყოფილიყოს, და გზაში თრევით თავი შეგვაწუხებინა“.

ბოლოს, როგორც იქნა, სველი გზა დაილია.

ერთი თვის დამქანცველი და ილაჯის-გამწყვეტი მოგზაურობის შემდეგ ჩვენმა მგზავრებმა მიაღწიეს ჩრდილოეთის სატახტო ქალაქს.

თიბათვე დგებოდა. პეტერბურგში ამ დროს დაწყებული იყო სეზონი თეთრი ლამეებისა, საოცარი ლამეების, პუშკინმა რომ ასწერა „ბრინჯაოს მხედარში“: „...Задумчивых ночей

Прозрачный сумрак, блеск безлунный!“

თავი 10

სტუმრებისა და წლები

ჩავიდა თუ არა პეტერბურგში, აკაკიმ პირდაპირ თავის ძმის ილიკოს შიამურა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმპერატორის „კანეოი“ და მასთან ერთად, რასაკვირველია, ილიკოც, ზაფხულის გამო ცარსკოე სელოში გადაეყვანათ ბანაკად. აკაკი შესწუხდა, მაგრამ რაღას გააწყობდა. მხოლოდ მეორე დღეს გაემგზავრა იგი ძმის სანახავად.

ილიკო უფრო ადრე მიელოდა აკაკის. მან დაახლოებით იცოდა, როდის უნდა ჩასულიყო მისი უმცროსი ძმა და როდესაც აკაკის დაავიანდა, ძალიან შეშფოთებული იყო, ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში, ვაი თუ რამე დაემართა გზაში მარტოდ მომავალ, გამოუცდელ ყმაწვილსო. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ცარსკოე სელოში უეცრად კარი გაიღო და მასთან ოთახში აკაკი შევიდა.

შორეულ სამშობლოდან ჩასულ ყმაწვილ კაცს ყველანი გარს შემოებვივნენ. ილიკოს გარდა, „კანეოიში“ ბევრი ქართველი ახალგაზრდა თავადიშვილი მსახურებდა, მათ შორის იმერლებიც მრავლად იყვნენ, აკაკის პირადი ნაცნობები. ყველანი ეკითხებოდნენ სამშობლოს ამბებს, ნაცნობ-ნათესავების გარემოებას, ზოგი რასა და ზოგი რას.

ბოლოს, ჩასვლის მიზანიც გამოჰკითხეს აკაკის და როდესაც გაიგეს მისი სურვილი, სათითაოდ ყველამ დაუწყო რჩევა: „რადგან სამხედრო სამსახურში აბირებ შესვლას, აქ დარჩი, ჩვენთან: „კანეოიბას“ არა სჯობია რაო. ჩვენი სამსახური, სამსახური კი არა, ლხინი და ქეიფიაო“.

ახალგაზრდა თავადიშვილების რჩევა არაფრად ეკანთა აკაკის. მან კარვად იცოდა, თუ რა ფუქსავატი და უმაქნისი იყო მათი ცხოვრება. კარგი სმაქამა, ჩაცმა-დახურვა, რამდენიმე საათს ცხენზე ჯირითი და შემდეგ სხვადასხვა ადგილას ქეიფი და დროსტარება, — აი მთელი შინაარსი მეფის მხლებელთა

ყოველდღიური ცხოვრებისა. ამას ემატებოდა ისიც, რომ „კანელიში“ მუსამსახურე კავკასიელები და კერძოდ ქართველები, როგორც დიდი ოჯახის წევრები და თვალ-ტანადობითაც საგანგებოდ შერჩეულნი, დიდ ზეგავლენას იქონიან მემამულე-არისტოკრატიულ წრეებში, განსაკუთრებით რუსების შსს-ს წარმომადგენელთა ქალებს შორის. მათი უზრუნველი ცხოვრება, თვით ხასიათი სამსახურისა, ცხადია, არ უწყობდა ხელს მათში გონებისა და კეთილი ზნეობის განვითარებას. ამ „კანეოს“ აფან-ჩაფანს კარგად იცნობდა იმ დროს პეტერბურგში მყოფი სტუდენტი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ცნობილ ლექსში „იანიჩარი“ კარგამულად დაუწუნა ივერიელ ჰაბუებს მათი უსარგებლო ვაჟაკობა:

„...ვისტვი, თუ ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიძარდესა,
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველს ოსმალებსა?
შენს სიძარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის კებით ჰაბუქს გულს არ ვიხალისებს!“

აკაკი გულწრფელად გამოუტყდა ძმას, — მართალია, სამხედრო სამსახური მსურსო, მაგრამ ისეთ ადგილას მინდა მოვეწყო, სადაც სწავლის გაგრძელება იქნება შესაძლებელი, რომ ბოლოს გენერალურ შტაბში შევიდეთ. რაც შეეხება თქვენს „კანეობას“, ეს მე ხელს არ მომცემსო. ილიკო თითონაც აღარ იყო აღტაცებული „კანეოში“ სამსახურით (ჩქარა ამის შემდეგ მან ითხოვა და გადაყვანილ იქნა სევერსკის დრაგუნთა პოლკში), ამიტომ მას ძალიან მოეწონა უმცროსი ძმის ჭკვიანური განსჯა და უთხრა: დღესვე, შადლულიდან რომ დავბრუნდებით, ჩვენ უფროსთან, პეტრე ბაგრატიონთან წავიყვან და ის მოგცემს რჩევასა და დარიგებასაო“.

ნაშუადღევს ორი საათი იყო, ილიკო რომ დაბრუნდა და აკაკი წაიყვანა ბაგრატიონთან.

ამ გენერალს ოდესღაც ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ესწავლა ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად. როდესაც ძმები წერეთლები ეწვივნენ, იგი მზარულ გუნებაზე დახვდა სტუმრებს. მან ქართულად მოიკითხა აკაკი, და როდესაც ამან გაიკვირვა, ბაგრატიონმა სიცილით უთხრა: „განა ქართველი აღარა გგონივარ? დიდი ხანია რუსეთში ვარ დ ცოტა დამავიწყდა, თორემ შენზე უკეთ ვიცოდი ქართული. შენც, როგორც იმერელი, უძვეელია იმერულ კილოთი უკიდებ და მე კი წმინდა ქართული ვიცოდიო“.

ბაგრატიონმა ერთი საინტერესო ეპიზოდი უამბო ახალგაზრდა პოეტს თავის ბავშობიდან. „ტფილისშიო, — სთქვა გენერალმა, — სააზნაურო სასწავლებელში ვსწავლობდი ერთად ტატო ბარათაშვილთან, პოეტი რომ იყო, და მისი ბრალიც იყო ჩემი რუსეთში წამოსვლა და კორპუსში გადასვლა: გამიგონია შირებით დიდკაცების ლანძღვა? აგვიყოლია ჩვენც, მისი მეგობრები: ის სწერდა და ჩვენ ვაგზავნიდით: როცა ფოსტალიონი მოვიდოდა ხოლმე ჩვენს სასწავლებელში, ჩვენ შემოვეხვეოდით გარს, უცბად აღუწევდით ჩანთის თავს, სადაც წიგნები ელაგა, და ჩაუღებდით ხოლმე ჩუმად ჩვენს ვალექსილ წერილებს, ის რას მოიფიქრებდა, რომ ნახავდა ჩანთაში წერილებს? მიჰქონდა ადრესისამებრ. ერთი ალიაქოთი ატყდა ტფილისში! გამოძიება დაინიშნა. ბოლოს გაგვიგეს, დაგვიჭირეს და ბარათაშვილს ჰონორარად ოცდახუთი როზგი მიანიჭეს, ჩვენც იმდენივე გადაგვიწყვიტეს, მაგრამ მე გავიქეცი, გამოვედი სასწავლებლიდან. კორპუსში გამოგზავნეს და მას აქეთ აქა ვარ სამსახურშიო“.

ბაგრატიონმა ბევრი ძველი ამბავი გაიხსენა და უამბო ყმაწვილ კაცებს. შემდეგ სიტყვა იმდღინდელ მანევრებს შეეხო და მზიარულ გუნებაზე შეოქმდა გენერალმა ალტაცებით თქვა — დღეს განსაკუთრებულად ისახელებს კაცები, ცხენოსნობაში ქართველებმა: აბაშიძემ, ამილახორმა, ანდრონიკაშვილმა, დედაძე-შიძემ. მათი წყალობით შეადლულმა ისე კარგად ჩაიარა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა სამჯერ მიბრძანა მადლობა... „ძველ დროშიო, — ამბობდა ამჟამად ბაგრატიონი, — ქართველები განთქმული იყვნენ ცხენოსნობითაც ყველგან. დღევანდელ ქართველებსაც სისხლში აქვთ მამა-პაპური ღირსება. მაგრამ, დრო რომ აღარა თბულობს და უვარჯიშოდ არიან, ვეღარას ახერხებენ. აი ახლა: თათრები, ჩერქეზები, ჩაჩნები და ყაზახები რომ მოვიდნენ, მაშინვე კარგი ცხენოსნები იყვნენ, მაგრამ შერე ვარჯიშობით მეტი აღარა შეუძენიათ-რა! რაც იყვნენ, ისევ იმად დარჩნენ. ქართველებმა კი, რომ ივარჯიშეს, გაუსწრეს მათ. თათრების რაზმში რომ სახელგანთქმული ცხენოსანი იყო, პასრი-ბეგი, დღეს იმას ბევრი სჯობია ქართველებში; ასე გასინჯე, რომ ესეც აღარ ჩამოუვარდება! — ბაგრატიონმა ილიკოზე მიუთითა. — თქვენ?... თქვენ როგორიღა ცხენოსანი ხართ? — მიუბრუნდა აკაკის.

— დიდი არაფერი, — უპასუხა ახალგაზრდა პოეტმა.

— რატომ?

— მე ცხენებისათვის კი არ მიდევნია! წიგნები მეჭირა ხელში!

— შენმა ძმამ მითხრა, რომ გიმნაზიაში ყოფილხარ და მამ რატომ უნივერსიტეტში არ შეხვალ?

— სამხედრო სამსახური ამოვიტყერი გულში.

— ძმასთან გინდა ერთად რომ იყო სამსახურში?..

— არა! კანვოიში სამსახური არ შემიძლია!..

აქ უკვე ილიკო ჩაერია მათ საუბარში. მან ბაგრატიონს გადასცა ყოველივე, რაც მის ძმას ჰქონდა განზრახული და თანაც სთხოვა, დახმარება აღმოეჩინა მისთვის. უფროსმა მოისმინა ყოველივე და სთხოვა აკაკის, ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად ზვალისთვის მისულიყო. ამაზე დამთავრდა იმ დღის სტუმრობა.

მეორე დღეს, როდესაც აკაკი ეწვია ბაგრატიონს, ის მარტო იყო თავის კაბინეტში. ჩუბინაშვილის ლექსიკონი გადაეშალა და სინჯავდა. მასპინძელმა გვერდით მოისვა მორიდებული ყმაწვილი კაცი და მათ შორის გაიმართა მეტად საგულისხმო საუბარი. ამ საუბარს ასე გადმოგვცემს აკაკი:

— „გუშინ სხვებთან არ მინდოდა გამომეკითხა: რატომ არ გინდა, რომ ჩემთან შემოხვიდე კანვოიში და შენ ძმასთან ერთად იმსახურო? რას გაჩემდი? მითხარი დაუფარავად, როგორც მამას!

— მე ისიცა მწყინს, რომ ჩემი ძმა მანდ არის... მაგან თითქმის გაათავა გიმნაზია და მანდ კი მისთანა ქართველი უნდა შევიდეს, რომელმაც არა იცის-რა და სხვა გზა აღარა აქვს. მე რომ შეეხედე, მანდ ცუდლუტობის მეტს ვერას ისწავლის კაცი! — ლენერალმა გაიცინა და ბეჭებზე დამადვა ხელი.

— დრო ბევრი აქვთ, და ვისაც სწავლა უნდა, განა ვერ მოახერხებს?

— კი, მაგრამ, სადაც სხვა ყველა ქეიფობს, იქ ერთი რას გააწყობს? ქვეყანა წამხედურობით კეთდება და წამხედურობითვე ირღვევა.

— ოპო, შენ ფილოსოფოსი ყოფილხარ, როგორც გეტყობა, და უმჯობესი არ არის, რომ უნივერსიტეტში შეხვიდე და სამეცნიერო გზას დაადგე? — მითხრა ხუმრობით, — სამხედრო სამსახური ასეთი რამ არის, რეჟიმერ-მეცალეება არ გექნება, სწავლა-მეცნიერებას გამოუდგე. აი მეც მსრუტე-მეცალეებას წმარს, ლეიბტენანტის პრინცს ვახლდი აღიუტანტად; ის დიდი მეცნიერი კაცი იყო, ჭიმიკოსიც იყო. მე ვითომც შემიყვარდა მის ხელში მეცნიერება, მაგრამ შერე დრო აღარ დამჩნა, ჩამოვრჩი.

— ეგ ყველაფერი ცხადია, მაგრამ მე სულ სხვა განზრახვით მივდივარ სამხედროში!“

აქ აკაკიმ დაწვრილებით და გულახდილად უამბო გენერალს, თუ რა მიზანი ჰქონდა მას დასახული სამხედრო სამსახურში შესვლით.

აკაკი ამბობს, ბაგრატიონმა რომ მომისმინა, „გადამეხვია და მაკოცა: „ღმერთმა ჰქნას, რომ სურვილი შეგსრულდებოდეს. მე დღესვე წავალ ჩემ მეგობარ კნიაზ შეხავსკოისთან. ის გვარდიის მსროლელ ბათალიონს უფროსობს, იმას ჩავაბარებ შენს თავს. მამასავით გიპატრონებს და სხვა მაშინ შენ იციო!“

იმ დღეს ბაგრატიონი სადილით გაუმასპინძლდა აკაკის. ნასადილევს კიდევ დიდხანს ესაუბრა თავის ახალგაზრდა, გონებამახვილ სტუმარს, ბევრი რამ გამოჰკითხა სამშობლო ქვეყნის შესახებ. ბოლოს, წასვლის დროს უთხრა:

„ახლა კრასნოე სელოში მიდის ჯარი, იქ შადლული იქნება, შემოდგომის დამდეგამდე აღარა იქნება-რა!.. მაშინ მოდი ჩემთან, მე დაგაყენებ გზაზეო... შანამდე, ამ ორ-სამ თვეს კი, სხვაგან სადმე შეინახე თავიო“.

ამაზე დაშორდნენ ერთმანეთს გენერალი ბაგრატიონი და აკაკი. მათი ნაცნობობა შემდეგშიც გრძელდებოდა და სტუდენტი აკაკი დროგამოშვებით მოდიოდა ხოლმე მის ოჯახში სტუმრად.

„კანვოი“ უკვე ემზადებოდა კრასნოე სელოში გასამგზავრებლად. ილიკოს ბარემ არ უნდოდა თავისი უმცროსი ძმის მიტოვება, მაგრამ რა უნდა ეტანა წაიყვანა იგი პეტერბურგში და დროებით მიჰგვარა ქართველ სტუდენტებს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

„ამირან-დარეჯანიანის“ ახალი გამოცემის გამო¹⁾

„ამირან-დარეჯანიანი“ ქართული მწერლობის ღირსშესანიშნავი ძეგლია. ამ ძეგლის თაობაზე მოიპოვება საკმაოდ მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა. მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემაც დასმულა, ასე თუ ისე გადაწყვეტილა, ხელახლა გადასინჯულა, ახლებურად გაშუქებულა. ბევრი რამე (და არსებითი რამე) ამ პრობლემებიდან დღესაც საცილოა. „ამირან-დარეჯანიანის“ ყველა მკვლევარი გრძნობდა, რომ ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემების გარკვევისათვის დიდ დაპრკოლებას ჰქმნიდა გაუმართავი და უკრიტიკო ტექსტის არსებობა. ზ. ჭიჭინაძის ცნობილი გამოცემა აქ ყოველად უზვიოდ არის მიჩნეული. მით უმეტესი ინტერესით მოველოდით თხზულების ახალ საბჭოურ გამოცემას. სამწუხაროდ, ეს მოლოდინი სრულიად გაგვიცრუდა. ს. კაკაბაძის „ამირან-დარეჯანიანი“ ბევრით ვერაფრით სჯობს ზ. ჭიჭინაძის საყოველთაოდ ითვალწუნებულ გამოცემას.

ს. კაკაბაძე ხელაღებით იდგენს „ამირან-დარეჯანიანის“ ორი რედაქციული ტექსტის არსებობას (გვ. XII). მეორე რედაქციის ტექსტით, — ამბობს გამოცემელი, — „შინაარსის მიხედვით ზუსტად მისდევს პირველს რედაქციას, მაგრამ ამას ატყუი რედაქტორის მძლავრი შალაშინი. ცალკეული გამოთქმანი შევსებულ-შესწორებულა მთელი მოთხრობის სიგრძეზე, თავების სათაურების გარდა გაკეთებულია ბლომად ქვესათაურები“ (XIII). ერთის სიტყვით, — დასკვნის რედაქტორი, — „პირობით მეორე რედაქციად წოდებული ტექსტი წარმოადგენს პირველი რედაქციის საფუძვლიან შესწორების და ნაწილობრივ შევსების ცდასაც“ (XIV). მეორე რედაქციული ტექსტის ჩამოყალიბება უნდა მომხდარიყო „თვით თხზულების ავტორიდან საკმაოდ დაშორებულ ხანაში“ (XV). „ამირან-დარეჯანიანის“ მეორე რედაქციად მიჩნეული ტექსტი შემოუნახავს 1825 წელს გადაწერილ ხელნაწერს № 1119 (საქართველოს მუზეუმის ბ კოლექციიდან), რომლის მიხედვითაც დაიბეჭდა ზ. ჭიჭინაძის გამოცემა. პირველი რედაქცია-კი სამ ხელნაწერს დაუყვავს (საქართველოს მუზეუმის ბ კოლექციიდან № № 393, 1623 და 3708). პირველი (№ 393) დეფიბრტი ხელნაწერია „XVII საუკუნის ნახევრის ახლო ხანისა“, მეორე (№ 1623) გადაწერილია 1776 წელს, ხოლო მესამე (№ 3708) XVIII საუკუნის პირველ ნახევარს უნდა გუთვნოდესო (გვ. XIII).

ს. კაკაბაძის აზრით, „ამირან-დარეჯანიანის“ პირველი რედაქცია „დაიწერა XI საუკუნის დასაწყისში, უკეთ, პირველ მეოთხედში, ბაგრატ III-ის მეფობის ბოლოში, ანდა მისი შვილის გაორგის I-ის დროს“ (XVII). ავტორი უცნობიაო. ტექსტის პირვანდელი რედაქცია გადაუმუშავებია (და ამ გადაუმუშავების საფუძველზე თავისად მოუწინევიო) თამარ მეფის დროინდელ მოღვაწეს მოსე ხონელს (XV — XVI). ზ. ჭიჭინაძის გამოცემა შეიცავს მოსე ხონელის მეორე რედაქციას, ხოლო თვითონ ს. კაკაბაძის გამოუტყვევნება ტექსტის პირვანდელი, უცნობი ავტორის მიერ შესრულებული რედაქცია, თუმცა რაღაც გაურკვეველი მიზეზების გამო ახალი გამოცემის სატატურო ფურცელზე აღნიშნულია: „ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელისა“, ასევეა რუსულად თარგმნილი: „Мосе Хонели, Амиран-Дареджаниани, под редакцией С. Какабадзе“.

¹⁾ ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელისა, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, სახელგამო, თბ., 1939, XXX — 184 გვ.
ა) ტულისს, 1896.

„ამირან-დარეჯანიანის“ ტექსტის თაობაზე ს. კაკაბაძეს ზევით აღნიშნულ თვალსაზრისი შეუმთავრებია ოთხი ხელნაწერის მიხედვით, თუმცა ჩვენს ხელნაწერებში თხზულების ათეული ხელნაწერი მოიპოვება. რა თქმა უნდა, სამეცნიერო ხარისხის გამოცემისას უსათუოდ გათვალისწინებულ უნდა ყოფილიყო მთელი ხელნაწერების შესწავლა. მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ს. კაკაბაძის მიერ გამოყენებულ ტექსტს [S357] ტექსტიდან მხოლოდ ერთი დეფექტური ნუსხა ყოფილა XVII საუკუნისა, ხოლო დანარჩენი უფრო ნაგვიანვე დროს შედგენილია. როგორც სწამს, ს. კაკაბაძეს უყურადღებოდ დარჩენია, სხვას რომ თავი დავანებოთ, ოთხი შესანიშნავი უძველესი ხელნაწერი ტექსტისა. აი ეს ხელნაწერები: A441, H2149, Q340 (სამივე საქართველოს მეზღვემის ხელნაწერთა ფონდიდან) და 29 (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ფონდიდან, ოვგანე ბატონიშვილის კოლექცია).¹⁾

A441 აწერია აქვს თ. ჟორდანიას. აღმწერელი, სხვათა შორის, აღნიშნავს: „Переписана [рукописи] алфавитом мхедრული XVI в. „заключает в себе: светскую повесть, озаглавленную так:—*კარი პირველი. აბესალომ ჰინდოთა მეფისა. Глава 1-ая об Абесаломе, царе Индии. Всех глав 12*“²⁾.

როგორც მოსალოდნელი იყო, ხელნაწერი შეიცავს „ამირან-დარეჯანიანის“ ტექსტს. თ. ჟორდანიას დათარიღება გვეხვს არ იწვევს. ამრიგად, A441 ხელნაწერი უძველესია „ამირან-დარეჯანიანის“ დღეს-დღეობით ცნობილ ნუსხათა შორის. ტექსტი ნაკლულია.

ლენინგრადის ხელნაწერი № 29 გეტოქნის XVII საუკუნის კარგად ცნობილ მდივან-მწიგნობარს აღმურაანთ ბაღდასარას-შვილს, მუშობს გასპარას (რომელსაც, სხვათა შორის, გადაუწერია „ვეფხისტყაოსნის“ განთქმული ნუსხა H757. ეს ნუსხა ამჟამად პაროზშია და „ვისრამიანის“ უძველესი ხელნაწერი, S27). მუშობს გასპარას „ამირან-დარეჯანიანის“ შესრულებულია, როგორც ანდერძიდან სწამს, 1699 წლის მიწურულში. აი ანდერძის სათანადო ადგილი:

„აჲ დასრულდა ამბავი დარეჯანის ძისა შეწვევითა ღთისითა ზელით აღმურაანთ ბაღდასარას შვილის საღაროს მუშობის გასპარასითა, თვესა ღვინობისთვის კ [20]. კჲოს ტჲუ [1699] დავიწვე და წარავმართე (sic) წერასა. რაზომცა მალე წერას ვეცადე, ღღეში ერთი რვეულის მეტი ვერ გავათავე.“

აღმურაანთ ბაღდასარას შვილის ნუსხა „ამირან-დარეჯანიანის“ ერთ-ერთი სრული და საუკეთესო ხელნაწერია.

Q340 ხელნაწერის ძირითადი ნაწილი გადაწერილია XVII საუკუნეში უცნობი მწიგნობრის მიერ. ნაკლული თავ-ბოლო ნაწილი XIX საუკუნის პირველ წლებში შეუღესია ვილად „კერძო დიაკონ დავითს“. ხელნაწერს დასასრულში დაცული აქვს ასეთი მინაწერი: „წვეებული სბვისგან, სრულქმნილი ჩემგან, თავის-ბოლომდის შრომის მიმღე ვარ კერძო დიაკონი დავით“.

სრული და კარგი ხელნაწერია H2149. ყველა ნიშნით ის უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეს (მივა და შიგ ფურცლები იქ ჩამატებულია შემდეგ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში) რედაქციულად ეს ხელნაწერი ერთი საუკეთესოთაგანია.

ჩვენ ამჟამად არ ვეხებეთ ს. კაკაბაძის პიპოთეზის არსებით მხარეს ერთი რამ ამათიგეთე ცხადია: ს. კაკაბაძეს არ შეუწყველია „ამირან-დარეჯანიანის“ ხელნაწერი მეგვიდრობა, ამიტომაც მის დასკვნებს აკლია მეცნიერული დასაბუთების ძალა. გამოცემული ტექსტი გაუმართავია და მრავალი შეცდომის შემცველი³⁾. ერთის სიტყვით, „ამირან-დარეჯანიანის“ ახალი გამოცემა არ შეიძლება ჩითვალოს სანდო კრიტიკულ გამოცემად.

¹⁾ ს. კაკაბაძეს არ გამოუყენებია არც მათა თანაშვილების მიერ XVIII საუკუნეში გადუქილი ტექსტი „ამირან-დარეჯანიანისა“ (S357, ს.გ. მეზღვემის ფონდი).

²⁾ „Описание рукописей церковного музея“, II, III.

³⁾ ოლონდ ეს კია, რომ ზ. ჰიკინაძის გამოცემა შართლაც ძალიან ნაგვიანვე ხელნაწერს და წარყვნილ ტექსტს ემყარება. ამდენადვე ეს გამოცემა (და მისი დედანი), ს. კაკაბაძის გამოცემისთან შედარებით, შეიძლება ჩითვალოს „ამირან-დარეჯანიანის“ თავისებურ ვარიანტად ან, თუ გინდ, პარობითად რედაქციადაც.

სანიშნოდ ერთი მაგალითი: XII კარის შესავალში აღნიშნულია რომ ამირან-დარეჯანის ძეს ბაღბეთით ეწვია მოციქული, ამირანი ეტბენბა საარსიმისძეს: „აი ბაღბეთა მეფისა არს. ბაღბეთა მეფე მოუკლავს ბაღბაშ ვინმე ყამის-ძეს და წაღლია ყოველიც სამეფო მისი“... (გვ. 170). გამოდის რომ ამირანთან მოციქული გამოუგზავნეს მხოლოდ ერთი მკვდარ მეფეს. ნამდვილად-კი, ხელნაწერების მიხედვით, მოციქულს ჰქონდა მხოლოდ ერთი მკვდარი მეფის (ბაღბეთის მეფის) ცოლი (სა არს-ო). საყურადღებოა შემდეგი: „ამირან-დარეჯანიანის“ უძველეს ხელნაწერში (A441) ბაღბამ ყამის-ძის ნაცვლად იკითხება: ბაღბამ ყამის-ძე. საგულისხმოა და ანგარიშგასაწევი გარემოება.

გასათვალისწინებელია საქმის მეორე მხარეც. ნ. შარმა ჯერ კიდევ 1895 წელს გამოქვეყნებულ წერილში აღნიშნა „ამირან-დარეჯანიანის“ ორი რედაქციული ტექსტის (მოკლისა და ვრცელის) არსებობა¹⁾. საქმით სპეციალური ლიტერატურა მოიპოვება „ამირან-დარეჯანიანის“ ნაწილად თუ გაგრძელებად ცნობილ „ჯიშმურანიანის“ შესახებაც²⁾. ამ საგანზე ს. კაკაბაძე მოკლად ყრუდ შენიშნავს: „ამირან-დარეჯანიანის გაგრძელებად ითვლება „ჯიშმურანიან“, დაწერილი ორ თავად მეტად გვიან დროს, დაახლოებით მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევარში“³⁾. ასე, ერთი კალმის მოსმითაა გადაწყვეტილი „ამირან-დარეჯანიანის“ მართლაც პირველხარისხოვანი სარედაქციო საკითხი. ს. კაკაბაძეს, ყოველ შემთხვევაში, უნდა აღენიშნა ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგი (თუ კი ამ შედეგს ის დადებითად სთვლიდა. მით უმეტეს, როდესაც ამ შედეგს მთლიანად დაუბოლბს), ან და წყაროდ მაინც უნდა მიეთითებინა.

მეტად საინტერესოა ს. კაკაბაძის მიერ დადგენილი რედაქციების დათარიღების ცდები. როგორც აღენიშნეთ, „ამირან-დარეჯანიანის“ პირველი რედაქცია მიჩნეულია XI საუკუნის დასაწყისში თუ პირველ მეოთხედში წარმოშობილად. ჯერ ფრთხილად ნათქვამია: „ნაწარმოებში არის ერთი იდეოლოგი, რომელიც თითქოს იძლევა შესაძლებლობას თარიღის საკითხის თუ არ საბოლოოდ გარდასაწყვეტად, ყოველ შემთხვევაში, მის დასაყენებლად“⁴⁾. შემდგომ კილო იცვლება, მეგრამ დასკვნა მინც ორპოვლითაა: „შეიძლება ამიტომ ამირან-დარეჯანიანა შარმა იხილავდა დაწერილი იყოს მე-XI საუკუნის პირველ მეოთხედში“ (XVIII, 5—6). ქვევით იგივეა სიტყვა-სიტყვით განმეორებული (XVIII, 24—25). ეტყობა, ს. კაკაბაძე თვითონ არაა დაწმუნებული თავისი არგუმენტაციის სიმართლეში.

მაინც საგულისხმოა ეს არგუმენტაცია. „ამირან-დარეჯანიანის“ მიხედვით, ინდოეთი დიდი და მდიდარი სამეფოაო, მაჰმუდ დაზნეველის მომდევნო ხანაში-კი ინდოეთის სიძლიერე შეირყაო: „მაჰმუდის შემდეგ ჩრდილოეთ ინდოეთში იწყება არეც-დარეცის ხანა, რომელიც გრძელდება მთელი ხუთი საუკუნე. დაზნეანთა დინასტიაც მაჰმუდის შემდეგ, დასუსტდა და ამიტომ ძნელი საფიქრებელია, რომ ამირან-დარეჯანიანის ავტორი მაჰმუდის შემდეგდროინდელ ხანას გულისხმობდეს, როდესაც ისინი იმდენი ინდოეთ მეფის არა-ჩვეულებრივ სიმდიდრეს და სიძლიერეს“ (XVII). ს. კაკაბაძე იმაშუშებს მეორე, მაშველ საბუთსაც: „მაჰმუდის ხანა უდგება ამირ-მუმლის, ანუ ბაღდადის არაბთა ხალიფის, ჯერ კიდევ ბრწყინვალე მდგომარეობაში მყოფობას. მე-XI საუკუნეში ბაღდადის ხალიფა თანდათან ჰკარგავს პოლიტიკურ ძალა-უფლებას“ (იქვე).

სამუშეობად, ს. კაკაბაძე ძალიან პრიმიტიულად მსჯელობს. ისე გამოდის, თითქოს შემდეგდროინდელ ავტორს საზოგადოდ არც-კი შეეძლოს წინააღმდეგობა ამბების საერთო ასპექტში წარმოადგენა და მისი წერილობითი აღბეჭდვა. ეს ერთი. ეხლა მეორე: თურმე ზღაპრულ-საფეხვამირო ამბების მომთხრობელი მწერალი ვალდებული ყოფილა ზუსტად დაიცავს ისტორიულ-გეოგრაფიული პერსპექტივი. თურმე ვეღვა თხზულება, რომელიც კი ინდოეთის სიძლიერეზე ლაპარაკობს (ასეთი კი უამრავია), მიჩნეულ უნდა იქნას ან მაჰმუდ

¹⁾ Персидская национальная тенденция в грузинском романе „Амиран-Дареджаннани“ (ЖННП, VI, 352, 364).

²⁾ ალ. ბარამიძე — „ამირან-დარეჯანიანის“ შედგენილობისათვის*. ნარკვევები, I, 1932, გვ. 49—71).

³⁾ წინასიტყვაობის გვ. XIX.

⁴⁾ გვ. XVI, დაყოფა აქაც და ქვევითაც ჩემია. — ა. ბ.

ლაზნეველის დროისად, ან უფრო ადრინდელ ხანისად. შორს რომ არ წავიდეთ, გინა „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთის აკლია ბრწყინვალეობა, სიძლიერე და სიმდიდრე? მაშასადამე ს. კაკაბაძის ლოგიკით, „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობაც მამულ დაზნეველის დროს ვერ გავსოცდებო.

ერთი საბუთი კიდევ, ს. კაკაბაძე აცხადებს, რომ: „თამარის პირველი მართლმადიდებლის ერთი ცნობა, რომელიც შეიძლება ადისტურად დასტავად დასტავად ამირან-დარეჯანიანის ადრინდელ წარმოშობას“—ო (XVIII) და იმოწმებს 1195 წელს ომის აღწერილობას, რომელიც ამგვარად იხსრება: „კმა იყო ძველთაგანცა გოლიათთა და ქაბუქთა ომად“. ს. კაკაბაძის აზრით, დაყოფილი სიტყვები უნდა გულისხმობდეს, სხვათა შორის, ამირან-დარეჯანიანს. აქედან დასკვნა:

„ამირან-დარეჯანიანისა [ხან ისეთი სახელითაც ნათლავს ნაწარმოებს ს. კაკაბაძე] 1195 წელს ითვლებოდა „ძველთაგან“ მომდინარე ნაწარმოებად და ამიტომ ის მართლაც შეიძლება დაწერილი იყოს მე-XI საუკუნის პირველ მეოთხედში“ (XVIII).

საოცარი საბუთი და საოცარი დასკვნაა! უნიადაგო და ზერელე განცხადებაა, თითქოს ისტორიკოსის „ძველთაგან“ ომებში „ამირან-დარეჯანიანის“ ომები იგულისხმებოდეს. მაგრამ დავუშვათ, რომ ასეა. რა საბუთის ძალით, — ეყითხებით ს. კაკაბაძეს, — XII საუკუნის ისტორიკოსის „ძველთაგან“ მინდვამინდ მისთვის (ს. კაკაბაძისთვის) საჭირო XI საუკუნის პირველ მეოთხედს ნიშნავს და არა, ვთქვათ, XI საუკუნის ნახევარს, ან X საუკუნეს, ან X საუკუნის პირველ მეოთხედს და სხვ.?

ასეთია ს. კაკაბაძის ირგუმენტაციის ძალა და სტილი.

ჩვენ ამჟამად არ ვეცხებით ს. კაკაბაძის წინასიტყვაობაში აღძრულ სხვა ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს. ყველგან ნაჩქარეობა და ნაძალადეობა მელანდდება. მინდა აღვნიშნო მხოლოდ ერთი გარემოება. ს. კაკაბაძეს „ამირან-დარეჯანიანის“ უპოვნია იმერეთის ელემენტები. ამიტომაც, დასკვნის, თხზულება იმერეთში უნდა იყოს დაწერილი. საბუთად მოყვანილია ზმნის ზ რ ა ბ ვ ი ს ხ მარება არა მარტო უზნობის, ლაპარაკის მნიშვნელობით, როგორც ეს მიღებული იყო ლიტერატურულ ქართულში, არამედ და ზ რ ა ბ ვ ი ს აზრითაც, „როგორც ეს ახასიათებს იმერულ კილოს“ (XVIII). აქაც ანალოგიის გზას რომ მივმართოთ, ს. კაკაბაძის ლოგიკით, ან „ვეფხისტყაოსანი“ არ გამოდგება ლიტერატურული ქართულის კრიტიკულად, ან „ვეფხისტყაოსანი“ იმერეთში შეთხზულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან საჭევროდ არის განთქმული რუსთაველის აფორიზმი:

„სჯობს სიოცხლესა ნ ა ზ რ ა ბ ს ა სიკვდილი სახელოვანი“.

სიტყვამ მოიტანა და ცოტა რაზე „ამირან-დარეჯანიანის“ ლექსიკონზედაც უნდა ითქვას. საშუაბაროდ, ს. კაკაბაძე ამ შემთხვევაშიაც საჭმეს ზერელედ მოჰკიდებია. მარტო ის რადა ღირს, რომ XI საუკუნის პირველ მეოთხედისად მიჩნეული მოზრდილი ლიტერატურული ძეგლის ლექსიკონი მცირე ფორმატის ქაღალდის ერთ ფურცელზეა მოთავსებული.

ერთის სიტყვით, საბოლოოდ უნდა დავასკვნათ, რომ „ამირან-დარეჯანიანის“ ახალი გამოცემა ს. კაკაბაძის რედაქტორობით ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებას ლიტერატურული შემკვიდრების მეცნიერულ-კრიტიკულ თვისებაზე. „ამირან-დარეჯანიანი“ კვლავ ელის მართლაც საფუძვლიან მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემას. ეს ჩვენი შეცნირების გადაუდებელი მორიგი ამოცანაა.

ა. ზარამიძე